

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GEORGIE

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

გ მ ა მ გ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE
ET DE CULTURE MATÉRIELLE

XII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
А К А Д Е М И Я Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

И З В Е С Т И Я

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

XII

**დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის განკარგულებით**

რედაქტორი აკად. ანნ. ჩიქოვანაძე

ს ა რ ჩ ი მ ე ნ ი

გვერდი

სიმონ ჯანაშია. გერმანული ფაშიზმი ქართველი ხალხის უბოროტესი მტერია	XI—XV
1. ქ. ლომთათიძე. გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში	1— 29
2. არნ. ჩიქობავა. ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში	31— 50
3. ვლ. ფანჩვიძე. მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურ ენაში .	51— 74
4. ვლ. ფანჩვიძე. მრავლობითი რიცხვის შესამე პირის აფიქსები -ჟუნ- -ჟო- უღურ ენაში	75— 83
5. გ. როგავა. პოლიპერსონალიზმი ქვემო-ადიღეური ენის ზმნებში.	85—133
6. გ. როგავა. შიშინა აფრიკატები ქვემო-ადიღეურში	135—147
7. *არნ. ჩიქობავა. მორფოლოგიური შეხვედრები აფხაზურისა ქართველურ ენებთან	149—168
8. ვ. თოფურია. გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში.	169—182
9. ქ. ლომთათიძე. ბრუნების საკითხი აფხაზურში	183—197
10. შ. გაფრინდაშვილი. დარგუული ენის წუდაჯარული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი	199—207
11. დ. იმნაიშვილი. ძირითადი და თანდებულებიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში	209—220
12. არნ. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები	221—247
13. ს. ჯანაშია. სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. ქართველურ-ადიღეური პარალელები. I.	249—278
14. ვლ. ფანჩვიძე (რეცენზია)—«K. Bouda. Beiträge zur Kenntnis des Udischen auf Grund neuer Texte.» «Zeitschr. der Deutschen Morgenländischen Gesellschaft» 1939. Bd. 93, H. 1. გვ. 60—72».	279—282
15. არნ. ჩიქობავა. მთის კავკასიურ ენათა შესწავლისათვის ჩვენში (მთის კავკასიურ ენათა შესახები შრომების სიითურთ)	283— 301

О Г Л А В Л Е Н И Е

	Стр.
С. Джанашиа. Немецкий фашизм злейший враг грузинского народа	XI—XV
1. К. Ломтатидзе. Категория переходности в абхазском глаголе	1— 29
2. Арн. Чикобава. К склонению местоимений аварского языка.	31— 50
3. Вл. Панчвидзе. Глаголы с субъектом в дательном падеже в удинском языке	51— 74
4. Вл. Панчвидзе. Аффиксы третьего лица множественного числа -уҭб- -уҭ -қиц -қо в удинском языке	75— 83
5. Г. Рогава. Полиперсонализм в глаголах ниже-адыгейского языка	85—133
6. Г. Рогава. Шипящие аффрикаты в ниже-адыгейском языке.	135—147
7. Арн. Чикобава. Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками	149—168
8. В. Топуриа. Грамматические классы и их экспоненты в лакском языке	169—182
9. К. Ломтатидзе. Проблема склонения в абхазском языке.	183—197
10. Ш. Гаприндашвили. Фонетические особенности Цудахарского диалекта даргинского языка	199—207
11. Д. Имнайшвили. Основные и послеложные падежи в ингушском и чеченском языках	209—220
12. Арн. Чикобава. Проблема эргативной конструкции в кавказских языках: стабильный и лабильный варианты этой конструкции	221—247
13. С. Джанашиа. Сванско-адыгейские (черкесские) языковые встречи. Грузинско-адыгейские параллели. I.	249—278
14. Вл. Панчвидзе (реценз.)—«К. Bouda. Beiträge zur Kenntnis des Udischen auf Grund neuer Texte.» «Zeitschr. der Deutschen Morgenländischen Gesellschaft» 1939. Bd. 93, H. 1. Стр. 60—72.»	279—282
15. Арн. Чикобава. Исследование горских кавказских языков и наши задачи (с приложением перечня работ, касающихся горских кавказских языков)	283—301

TABLE DES MATIÈRES

	Pages
S. Djanachia. Le fascisme allemand est l'ennemi le plus méchant du peuple géorgien	XI—XV
1. K. Lomtadidzé. La catégorie de transitivité dans le verbe abkhaze	1— 29
2. Arn. Tchikobava. Déclinaison des pronoms dans l'avare	31— 50
3. Vl. Pantchvidzé. Les verbes avec le sujet au datif en oudine	51— 74
4. Vl. Pantchvidzé. Les affixes de la 3-me personne du pluriel -ყუნ- -ყა -qun -qo dans l'oudine	75— 83
5. G. Rogava. Le polypersonnalisme dans les verbes de l'adyghé inférieur	85—133
6. G. Rogava. Les affriquées chuintantes dans l'adyghé inférieur.	135—147
7. Arn. Tchikobava. Rencontres morphologiques de l'abkhaze avec les langues karthvéliennes	149—168
8. V. Topouria. Les classes grammaticales et leurs exponents dans le lak	169—182
9. K. Lomtadidzé. Le problème de la déclinaison dans l'abkhaze	183—197
10. Ch. Gaprindachvili. Particularités phonétiques du dialecte tsoudakhar de la langue dargwa	199—207
11. D. Imnaïchvili. Les cas fondamentaux et les cas à postposition dans l'ingouche et le tchétchène	209—220
12. Arn. Tchikobava. Le problème de la construction ergative dans les langues caucasiques: variantes stable et labile de cette construction	221—247
13. S. Djanachia. Rencontres linguistiques svano-adyghé (circaisiennes). Rencontres géorgiennes-adyghé I.	249—278
14. Vl. Pantchvidzé (recension)—«K. Bouda. Beiträge zur Kenntnis des Udischen auf Grund neuer Texte». «Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft» Bd. 93, H. 1, p. 60—72».	279—282
15. Arn. Tchikobava. Investigations des langues caucasiques montagnardes et nos tâches (en appendice énumération des travaux relatifs aux langues caucasiques montagnardes)	283—301

სატრანსკრიპციოლ ნიშნები *

ТРАНСКРИПЦИОННЫЕ ЗНАКИ *

ქართული ანბანის რიგზე:

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ც	თ	ი	ქ	ლ
a	b	g	d	e	v	z	ē(η)	t	i	k	l

მ	ნ	ი	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ჯ	უ	ფ
m	n	j	o	p	ž	r	s	ṭ	ç	u	p

ჭ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ
k	γ	q	š	č	c	ḏ	ç	č	x	q

ჯ	ჰ	შ	წ	ფ	ღ	ხ
ḷ	h	š(ა)	w	f	ə	ʻ

* აქ მოცემულია ქართულისათვის საჭირო ნიშნები. მთის კავკასიურ ენათვის გამოყენებული ნიშნები დროებითია.

Наличные здесь знаки выработаны для транскрипирования букв грузинского алфавита. Дополнительные знаки для горских кавказских языков не являются окончательными.

სიმონ ჯანაშია

გვიყვანული ვაშლი ჩვენი ხალხის უბოროტების მტერია *

ძვირფასო ამხანაგებო, მეცნიერების მუშაკნო!

მძიმე განსაცდელის ეამს შევიკრიბებით ჩვენ დღეს აქ: საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი ძველი კულტურა, ჩვენი აწმყო და მომავალი. მოსპობასა და შეგინებას უპირებენ ყველაფერს, რაც ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ ჩვენი სახელოვანი წინაპრებისაგან; შეგინებასა და განადგურებას უმზადებენ ყველაფერს, რაც ჩვენ შევქმენით ისტორიაში უნახავი გმირული დღეებით, უძილო ღამეების მსხვერპლითა და ჭაბუკური ალტაცებით; სამარის გათხრას აპირებენ იქ, სადაც ჩვენ აკვანს ვურწვევლით ჩვენს შვილებს, ჩვენი ხალხისა და ყველა სხვა ხალხის უზრუნველს შრომითს ცხოვრებას, ერთა შორის ძმობას მთელ მსოფლიოში.

სიკვდილს უქადიან გონებას, ჭკუის პატიონებასა და აზრის სიმართლეს. სიკვდილით ემუქრებიან მეცნიერებას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თვითული ჩვენგანის ცხოვრება, მეცნიერების მოკვლას ღამობენ მეცნიერებისავე მონაპოვრით — ავიაციითა და წყალ-ქვეშა ნაგებობით, ქიმიითა და მეტალურგიით.

ომის დასაწყისშივე გაათრთხილა ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა კავშირის ხალხები, რომ საკითხი დგას მათი სიცოცხლისა თუ სიკვდილის შესახებ. ეს ეხება არა მარტო დიდს სლავ ხალხებს, არამედ ყველა საბჭოთა ერს, და ყველაზე უფრო მწუხარებელი — მცირე ერებს, კერძოდ კავკასიელ ხალხებს. იმპერიალისტები ჩვეული არიან მცირე ერთა გამოყენებას, როგორც ხურდა ფულისას მშვიდობიანობის დროს და როგორც საზარბაზნე ხორცისას თავის მტაცებლურ ომებში.

ეს ღრმად შეგნებული აქვს ქართველ ხალხს, რომელმაც ამ ოცი წლის სიგრძეზე, საბჭოთა წყობილების ურყევ საძირკველზე, ააგო თავისი ეროვნული სუერენული სახელმწიფოებრიობა, ააყვავა და ახალი, უმშვენიერესი შინაარსით გააპოხინა თავისი ძველთა-ძველი ეროვნული კულტურა, პირველად ააშენა მოწინავე მეცნიერების უკვე სახელმოხვეჭილი ეროვნული ტაძარი. ოცი წელიწადი აწრთობდა ქართველი ხალხი თავის ძმადნაფიცობას დიდ რუსის ხალხთან, უკრაინელსა და ბელორუს ხალხებთან, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა სხვა ხალხთან. სწორედ ძმადნაფიცი საბჭოთა ხალხების ამ მეგობრობის საფუძველზე შექმნა საქართველომ თანამედროვე მოწინავე ინდუსტრია, უნახავს,

* სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მეცნიერთა ანტიფაშისტურ მიტინგზე თბილისში, 1941 წლის ოქტომბრის 19-ს.

უჩვეულო სიმაღლეზე აიყვანა თავისი სოფლის 'მეურნეობა, მოიპოვა უფლებები იქონიოს თავისი უნივერსიტეტები, თავისი მეცნიერებათა აკადემია.

და ყოველივე ამის ნაცვლად ფაშისტები ბარბაროსები გვიმზადებენ ჰიტლერისა და გერინგის დამკვირბულო, გაბახებული კოლონიის როლს, გებელსის საზიზღარ საკუქნაოს ხალხთა და რასების უთანასწორობის მხეცური თეორიებით, ჰიმლერის საროსკიპო სახლებს.

არასოდეს ეს არ მოხდება!

ქართველი ხალხი იბრძვის მთელი თავისი ძალ-ღონით დიადი სამამულო ომის მოწინავე პოზიციებზე.

სიყვარულით, სიხარულითა და სიამაყით აღვნიშნავთ ჩვენ რომ იქ, „ფინეთის ცივი კლდეებიდან“ ვიდრე შავ ზღვამდე, უკრაინისა და რუსეთის შორეულსა და ამავე დროს ჩვენთვის ესოდენ ახლობელს ველებში ქართველი ხალხის შვილებმა, საბჭოთა პარტიოტებმა, უკვე ჩასწერეს თავისი სახელები საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის უკვდავ მატრიანეში.

ამბობენ რომ სისხლისმსმელი ჰიტლერისა და მისი საზიზღარი დამქაშების ავაზაკური პროპაგანდა ზოგჯერ „კავკასიურ თემებზედაც“ უკრავს. თურმე ამ ყაჩაღებს ელანდებათ რომ მათი მურტალი მონათმფლობელური „ფედერაციის“ უღელში შებმული არიან კავკასიელი ხალხებიც, კერძოდ—საქართველო.

ეს არ მოხდება არასოდეს!

ქართველი ხალხი კარგად იცნობს გერმანელ იმპერიალისტებს არა მარტო ლიტერატურული გზით, არამედ პრაქტიკითაც.

1918 წელს გერმანიის ჯარები საქართველოშიაც იყვნენ, როგორც მძარცველები და მაროდორები, როგორც სახალხო თავისუფლების ჯალათები და როგორც დამცველები ერთი მუჟა ქართველი მემამულეებისა, რომელნიც მზად იყვნენ გაეყიდნათ სამშობლო რამდენიმე ფუთი ხორბლისათვის.

ისევე, როგორც უკრაინაში, გერმანელები არბევდნენ მავინ ქართველს მშრომელ ხალხს, ადებდნენ ფულადს კონტრიბუციებს სოფლებსა და მთელ რაიონებს, სტაცებდნენ ქართველ გლეხობას მთელს მის სარჩო-საბადებელსა და პირველ რიგში—პურს, სწვავდნენ სახლებსა და ხოცავდნენ ადამიანებს. თვითონ მენშევიკების ადმინისტრაცია იძულებული იყო აღეარებინა, რაც დადსტურებულია სათანადო დოკუმენტებით*, რომ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, საგარეთუბნო რაიონშიაც-კი გერმანელები იარაღს ჰყრიდნენ რევოლუციონურად განწყობილ მოსახლეობას და მცირეოდენი წინააღმდეგობისათვისაც-კი „избивали женщин и мужчин розгами до крови, убивали крестьянских собак, врывались в дома“... „Немцы за сокрытие оружия били крестьян до того, что они падали без чувств... Были случаи, что избитые крестьяне, не перенося такой пытки, умирали“. იმის გამო რომ ერთ-ერთი სოფლის რწმუნებულმა ოსიპოვმა მიუთითა გერმანელებს მათი რეკვიზიციების სრულ უკანონობაზე, გერმანელებმა მოჰკლეს ოსიპოვი, მხეცურად სცემეს მის ცოლს, ხოლო მათი ბავშვი მოჰკლეს თვითმფრინავიდან ჩამოგდებული ყუმბა-

* ჩვენ ვსარგებლობთ საქ. ცენტრარქივის მიერ მომზადებული დოკუმენტების კრებულით.

რით. ასეთი შემთხვევები იყო ათასობით. გერმანელი ოკუპანტები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რევოლუციონური მღელვარებისა და მოძრაობის ჩახშობაში ცეცხლითა და მახვილით.

მაგრამ ხალხი საქართველოშიაც, ისევე როგორც უკრაინაში, სასტიკად უსწორდებოდა ამ ყაჩაღებს უკვე მაშინ. მენშევიკების რაიონული კომისარი, შიშისაგან გულწასული, სწერდა ამის შესახებ თავის უფროსებს:... „Крестьяне окрестных сел, расположенных в моем районе, возмущены таким поступком германцев и заявили, что силой оружия будут отстаивать свою честь и имя свободного гражданина“.

მთელი საქართველო მოცული იყო მაშინ სახალხო ბრძოლით და მისი ცეცხლი დაუნდობლად სწვავდა ხელებს როგორც საკუთარს, ისე უცხოელ მოძალადეებსაც. ხალხი პოულობდა საკმაო ძალას იმისათვის რათა, როგორც ეს აღნიშნულია ერთს იმდროინდელ გლეხის განცხადებაში, „оградить себя, грузинских подданных, от произвола своей и иностранной власти“.

ამას ქართველი ხალხი ახერხებდა იმ შავნელი დროის საშინელ პირობებში, როცა ჩვენი ქვეყანა გაპარტახების კარამდე იყო მიყვანილი მენშევიკური ბედოვლათების პოლიტიკის წყალობით, როცა მენშევიკური მთავრობა ყველა საშუალებით ცდილობდა ჩაეკლა ხალხის საბრძოლო სულისკვეთება, როცა ქართველი ხალხი მოკლებული იყო მისთვის აუცილებელ კავშირსა და დახმარებას დიდი რუსი ხალხისა და რუსეთის ყოფილ იმპერიის სხვა ნომე ხალხების მხრივ, როცა ე. წ. საქართველოს „დემოკრატიული“ რესპუბლიკა გადაქცეული იყო სათამაშოდ იმპერიალისტური ვიგინდარების ხელში.

ამის შესახებ საოცარი სისწორითა და მომაკვდინებელი სარკაზმით ნათქვამია იმავე გლეხის განცხადებაში. ეს გლეხი მენშევიკურმა ადმინისტრაციამ დააპატიმრა გერმანელი ოკუპანტების მითითებით და მეტების ციხეში ჩასვა იგი ბრძანებით — „числить его за германской императорской миссией“. პატიმარი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ციხიდან სწერდა: „Я считаю свое содержание в тюрьме с зачислением за миссией иностранного государства актом незаконным. Мне кажется, что участью гражданина, живущего у себя на родине в самостоятельной республике, может распоряжаться исключительно власть республики. Содержание же меня в тюрьме с зачислением за властью иностранного государства дает мне возможность предполагать, что объявленная Грузией самостоятельность является мифом“.

ეხლა უკვე სულ სხვა დროებაა. მართალია, გერმანელი იმპერიალისტების ბანდიტური ბუნება და პოლიტიკა უცვლელი დარჩა. მაგრამ, სამაგიეროდ, სრულიად გამოვიცვალეთ ჩვენ. ეხლა საქართველო დიადი საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიანი წევრია. ეხლა ქართველ ხალხს აქვს თავისი საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ამ სახელმწიფოს, ისევე როგორც ქართველი ხალხის მთელ მუშაობას საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ სარბიელზე ხელმძღვანელობენ ქართველი ხალხისავე ღვიძლი შვილები, რომელნიც შთავონებული არიან ერთადერთი სურვილით—იყვნენ ამხანაგ სტალინის ზრახვათა გაგების სიმალღეზე და მისცენ მათი განხორციელებისათვის მთელი თავისი ენერჯია, მთელი სიცოცხლე.

ქართველი ხალხი გამობრძმედილია უთვალავ მტრებთან ბრძოლაში თავისი ეროვნული ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქართველი ხალხის ძველს სალაშქრო სიმღერებში შექმებულია სამშობლოსათვის თავდადებული გმირების გულუშიშრობა და სიმამაცე, შექმებულია ომი მამულის გამოხსნისათვის:

მთაში გაზრდილო ვაჟკაცო,
ხმალს როდის მოგიშვილება,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება.
ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი—ქორებულ მხედავნი,
მუხლები—შავარდნისაო!

მართლაც დასდგომია წარსულში ქართველ ხალხს ისეთი გამთასიანებისა და ძნელბედობის დღეები, როცა მას მტერი სჭარბობდა რიცხვითაც და იარაღით, და როცა ქართველ ხალხს მოუპოვებია გამარჯვება თავისი უშიშარი, რკინის გულით, უდრეკი სიმამაცით, შეურიგებელი სიძულვილით მტრისადმი, უკვდავი ნებისყოფით სიცოცხლისა და თავისუფლებისადმი.

ეხლა სხვა დროებაა, ეხლა ჩვენ გულებიც ფოლადისა გვიდგას, მაღალხარისხოვანი საბჭოთა ფოლადითაც შეჯავშნულები ვართ და წინ მიგვიძღვის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები ყოველთვის ოცნებობდნენ ძლიერს მეგობარ-ხალხზე, უანგარო მოკავშირეებზე. ჩვენ მოვიპოვეთ ასეთი მეგობარ-მოკავშირე დიდი რუსი ხალხის, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების, ყველა საბჭოთა ერის სახით. ჩვენ სამუდამოდ და განუყრელად დაუუკავშირეთ მათ ჩვენი ბედი. არავითარ ძალას მსოფლიოში არ შეუძლია დაარღვიოს ეს დიადი მეგობრობა, იგი შეკრულია საერთო ბრძოლისა და საერთო შრომის დულაბით.

საბრძოლოდ დარაზმულნი, გამარჯვების მტკიცე რწმენით აღვსილნი, თავისი მოვალეობის შეგნებით გამსჭვალულნი არიან დღეს საქართველოს მეცნიერების მუშაკნი.

ჩვენი ქვეყანა ერთად-ერთია დედამიწის ზურგზე ამჟამად, სადაც, გმირული ხალხის ნებისყოფამ, დიდი ლენინისა და დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით, აღამიანთა ცხოვრებასა და საქმიანობას მეცნიერული თეორია და გეგმა დაუღო საფუძვლად. ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საქმის შემდგომი განვითარების ინტერესები მეცნიერებას მთლიანად აყენებს ხალხის სამსახურში. ეხლა-კი დადგა ის დღე, როცა საბჭოთა მეცნიერმა თავისი ცოდნა, ოსტატობა და გონების გამჭრიახობა არა მარტო უკლებლივ უნდა მოახმაროს საქვეყნო საქმეს, არამედ მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია უნდა მიმართოს სწორედ სადღეისო საჭიროების დაკმაყოფილებისაკენ მტრის გასანადგურებლად უმოკლეს დროში,

ბევრი მისცა ხალხმა მეცნიერებას და ბევრს მოითხოვს მისგან. ეხლა დადგა ხალხის წინაშე ვალის მოხდის ყველაზე დიდი დღე.

საქართველოს მეცნიერების მუშაკნი სულ უფრო და უფრო ღრმად ებმებიან ფრონტისათვის დახმარების საქმეში. ქიმიკოსები და ფსიქოლოგები, მათემატიკოსები და ენათმეცნიერნი, ყველანი, ვინც ბუნებასა და კულტურას სწავლობს, ცდილობენ თავისი საქმე შეასრულონ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის სამკედლოში, სადაც იწრათობა ჩვენი გამარჯვება. მეცნიერების მუშაკნი ცდილობენ ღირსეული თანამემამულე იყვნენ ჩვენი საამაყო წითელი არმიის გმირი მებრძოლებისა, რომელთაც თავისი სისხლი მიაქვთ სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე და რომელთაც უკვე შემოსეს თავისი სახელი მარად უქცნობი, უკვდავი დიდებით.

საქართველოს მეცნიერების მუშაკებმა კარგად იციან რომ ფაშიზმი განწირულია, რომ არ შეიძლება გამარჯვება დარჩეს სიბნელისა და სიმხეტის მოციქულებს, რომ ჰიტლერული გერმანიის დამხობა და განადგურება იქნება უფრო საშინელი, ვიდრე ეს როდისმე დამართნიათ მტაცებელ-დამპყრობელებს, ყველა ჯურის იმპერიალისტებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამოცანა მდგომარეობს ჩვენი გამარჯვების მაქსიმალურ მოახლოებაში. გავსრისოთ მტერი უმოკლეს ხანში---აი რა აზრი აფრთოვანებს ჩვენს მეცნიერულ საზოგადოებას.

„გამარჯვება“, ასე ეძღვრს ქართული მისალმება. ამ სიტყვაშია ხალხის მთელი ისტორია.

გამარჯვება!---ვეუბნებით ჩვენ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს, რომელნიც მრისხანე ზეავად ამდგარან სამშობლოს დასაცავად.

გამარჯვება!---ვეუბნებით ჩვენ ევროპის დამონებულ ხალხებს, რომელნიც განუყრელად ატარებენ ამ წმინდა სიტყვას გულში და პირზე.

გამარჯვებას ვეუბნებით ჩვენს თანამოსაგრეებს, მეცნიერების მუშაკებს, რომელნიც სკედენ უძლეველ იარაღს იმისათვის, რათა დაიცივან ადამიანის გონება და გონების ნაყოფი სიბნელისა და სიმხეტისაგან.

საბჭოთა ხალხი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მთელს მოწინავე კაცობრიობასთან კავშირში, გასრეს კაცობრიობის უსაზიზღრეს მტერს, სისხლისმსმელ ფაშიზმს.

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

ქ. ლომათაძე

გარდამავლობის კატეგორია აუხაზურ ჯანმრთელობაში*

გარდაუვალობა და გარდამავლობა ისევე, როგორც სხვა საგრაჰატიკო ტერმინი, ჩვენი სინამდვილის ენების მიმართაც ინდო-ევროპულ ენათა სამყაროდან მომდინარეობს. ინდო-ევროპულ ენების ნიადაგზე შემუშავებული ცნებები სადმე თუ კი მოითხოვს რევიზიას, ბუნებრივია, ამას საჭიროებდეს ისეთი ძირითადი ცნების მიმართ, როგორც არის გარდაუვალობა და გარდამავლობა.

გარდამავლობა-გარდაუვალობის საკითხის გარკვევა, სხვას რომ თავი დავანებოთ, წინასწარ ვარაუდობს პასუხის გაცემას საკითხზე ზმნათა გვარების შესახებ. ჯერჯერობით კავკასიის დასავლური ჯგუფის ენათა სინამდვილეში ეს საკითხი სათანადოდ დამუშავებული არ არის.

გარდამავლობის საკითხი უადრესად რთული საკითხია, როგორც სემანტიკური, ისე. სინტაქსურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით. მასთან კავშირს აბამენ გრაჰატიკის სხვადასხვა უბნის მოვლენები. ასე რომ, მათგან განწყენება სხენებული პრობლემის რკვევის დროს მხოლოდ ზიანს თუ მოგვიტანს. ჩვენ ამ შემთხვევაში გვინდოდა მიინც ვიწროდ შემოვფარგულულიყავით, თუმცა ზოგი მასთან კავშირში მყოფი მოვლენის შესახებ გარკვეული საკვლევეო პერსპექტივის ქონა მიინც აუცილებელი აღმოჩნდა.

სირთულე ამ პრობლემის რკვევისა განსაკუთრებით ნათელი გახდა არნ. ჩიქობავას გამოკვლევის შემდეგ (ვგულისხმობთ: „ერთგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები“. წაკითხული იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესიაზე 28.IX.39 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავლობა-გარდაუვალობისათვის ამოსავალია ინდო-ევროპულ ენათა ნიადაგზე შემუშავებული შინაარსი. თუმცა უნდა ითქვას, რომ მის განმარტებაში ერთგვარობას ადგილი არა აქვს. გარკვეულს ლიტერატურაში გარდამავლობა ზმნისა ნიშნავს „მოქმედების გამოხატელობას, როცა ეს მოქმედება გადადის სხვა საგანზე“, ე. ი. მისი დაზუსტებული მნიშვნელობით იგი ემთხვევა ე. წ. მოქმედებითი გვარის ზმნას¹. თუ, მაშასადამე, ზმნა გამოხატავს მოქმედებას და ეს მოქმედება გარკვეულ საოქმედო

* წაკითხულია მოხსენებად კავკ. ენათა განყოფილების სხდომაზე 1939 წ. 31 დეკემბერს.

¹ აფხაზურშიაც მოქმედებით გვართან გარდამავლობის გათანაბრების შემთხვევაა ევლედით ჯ. უსლართან. იხ. Этнография Кавказа I. Абхазский язык, გვ. 44-45.

საგანსაც ვარაუდობს, ზნა იქნება გარდამავალი. ამ შინაარსობლივ მომენტს ვარკვეული გრამატიკული მხარეც შეეფარდება. მაგრამ ისე, როგორც სხვა გრამატიკული მოვლენებიდანაც ცნობილია, აქაც, სხვადასხვა ენაში ერთიან, ზოგად შინაარსობლივ მომენტს ერთი და იგივე გრამატიკული მხარე არ ფარავს და, მაშასადამე, აქაც ეილებთ გარდამავლობა-გარდაუვალობის განსხვავებულ ვაგებას. ასე მაგ., არაფრით არ არის უფრო აქტიური აფხაზური ზნა: აზნგ სგრგტლოაღტ—სახლს ვაგებ“ და დგს ფყრღტ—ვეურტყამ, ელსავ (გონიერს)“, ეიღრე ზნა სლგსჟეღტ—ვისცემ მას (ქალს)“. თუ მოქმედების გადასვლაზე იქნებოდა მსჯელობა; ყველა მოყვინილ მაგალითში მოქმედება გადადის სხვაზე; თუ აქტიურობაზე იქნებოდა მსჯელობა, ყველა აქ მოზსენებულს ზნაში უაღრესად აქტიური შინაარსია მოცემული. ყოველ შემთხვევაში „ცემა“-ს ნაკლებ აქტიურობას და ნაკლებ მოქმედებითობას ვერ დაესწამებთ, ვინემ დანარჩენ ორს („აგებას“ და „გალახვას“), მაგრამ გამოირკვა, რომ აფყარა, არგტლარა ზნეები არიან გარდამავალნი, ასრა „ცემა“ კი გარდაუვალია.

გარდამავალ და გარდაუვალ ზნათა დაყოფა აფხაზურისთვისაც რეალური მონაცემია, ოღონდ გარდაუვალი ზნის დამთხვევა აქტიურ შინაარსთან არ ხდება, ან უკეთ, ყოველი აქტიური შინაარსის მქონე ზნა, რომელიც ამ თავის მოქმედებას სხვა საგანზე აერცელებს, არაა სავალდებულო იყოს გარდამავალი; მით უმეტეს გარდაუვალობა ვერ მოგვეცემს ვნებითობას.

აფხაზურის მეცნიერულად შესწავლასთან არის დაკავშირებული მასში გარდაუვალ და გარდამავალ ზნათა გამოყოფა. კერძოდ, იგი პ. უსლარის სახელს მიეწერება. უსლარის შემდგომ ამ საკითხს თავის ფაქტიურს ნაწილში არაფერი შემატებია. უსლარისეული დაყოფა ზნებისა გარდამავალ და გარდაუვალად მხოლოდ გაზიარებულ იქნა სხვა მკვლევართა მიერ¹ და ზოგი საკითხი, რომელიც თვით უსლარის დასმული ჰქონდა, საკითხადვე დარჩა მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურის გარდამავალი ზნის შესახებ საკმარისი ლიტერატურა მოიპოვება. ხსენებულს ლიტერატურაში აფხაზური გარდამავალი ზნის კონსტრუქციის ინტერპრეტაცია მხოლოდ ყურადღების ცენტრში მოქცეული.

ზნათა გარდაუვალობა-გარდამავლობისათვის ჩვეულებრივ მიმართავენ ბრუნვას სახელებისას, რომლებიც სინტაქსურად დაკავშირებულნი არიან ამა თუ იმ ზნასთან. ევროპული ენებისათვის, მაგალითად, სახელობითში დასმული სუბიექტი და აუზნატივში დასმული ობიექტი არის ნიშანი ზნის გარდამავლობისა; ქართულში, ერთი მხრივ, სახელობითში (აწმყო) და მოთხრობითში (ნამყო ძირითადი) დასმული სუბიექტი, ხოლო, მეორე მხრივ, მიცემითში (აწმყო) და სახელობითში (ნამყო ძირითადი) დასმული ობიექტი გვაძლევს ზნის გარდამავლობას.

აფხაზურში, როგორც უკვე ცნობილია, ბრუნვის კატეგორია არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში ე. წ. მეორეხარისხოვან ბრუნვებს რომ თავი და-

¹ ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ, რამდენადაც ჩვენ. ლიტერატურაზე ხელი მიგვიწვდება, ქნის გ. შმიდტი, რომელიც გარდამავლობას საერთოდ უარყოფს აფხაზურში. იხ. ამის შესახებ აქვე, გვ. 23, შენიშვნა 2.

ვანებოთ, სინტაქსური კონსტრუქციისათვის მიუცილებელი და ძირითადი ბრუნვების—სახელობითის, მიცემითის, მოთხრობითისა (ერგატივის) და აკუსატივის—ქონა-არქონის შესახებ აფხაზურში არაეინ დაობს. მაშასადამე, თუ ზმნა გარდამავლობა-გარდაუვალობას მაინც განარჩევს, ბუნებრივია, ამის გამოსაცნობი ნიშნები ისევ ზმნაში ვეძიოთ.

ინდო-ევროპული ენების ზმნაში სუბიექტის პირია მხოლოდ გამოხატული. სინტაქსურს კონსტრუქციაში ამის გამო სახელების უაღრესად აქტიური როლი ჩანს. ქართულს ენაში გაცილებით უფრო მეტადაა დატვირთული ზმნა: ჩვეულებრივია ორი პირის გამოხატვა, თუმცა სახელებიც თავის წვლილს ამქლავნებენ სინტაქსურს კონსტრუქციაში. მათაც, ინდო-ევროპულ ენათა სახელის მსგავსად, ბრუნვათა ცვლა ახასიათებს ზმნასთან დაკავშირებით. ამ მხრივ ქართულისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ აქ გვხვდება ზმნასთან ოდენ-სინტაქსურად დაკავშირებული ობიექტი, რაც სრულიად უცხოა აფხაზური ზმნისათვის. ამ თვალსაზრისით ერთგვარი პროპორციაც მყარდება სახელსა და ზმნას შორის ენათა მიხედვით: რამდენადაც მეტად იტვირთება სახელი, მით უფრო მარტივდება ზმნა და პირუკუ. აფხაზური ზმნა მაქსიმალურად დატვირთულია; სინტაქსური ურთიერთობა მთლიანად ზმნაშია მოქცეული, ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სახელი მორფოლოგიურადცაა მასში გამოხატული. ამიტომაც უსლარი გარდამავლობა-გარდაუვალობის საკითხს აფხაზურში სწვევებს მხოლოდ და მხოლოდ ზმნის, ან ზმნაში წარმოდგენილ პირთა ნიშნებისა და ამ ნიშანთა თანამიმდევრობის წესის მიხედვით.

აფხაზურში ზმნიდან ამოსვლის შემთხვევაშიაც მთელ რიგ სიძნელეებს ვაწყდებით. ყველაზე არსებითი სწორედ ზმნაში წარმოდგენილ ამ პირის ნიშნებში გარკვევაა. აფხაზური ენა ვერ ასხვავებს სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნებს: ის, რაც ერთ შემთხვევაში S-ის ნიშანია, მეორე ზმნასთან ან უკეთ, მეორე შემთხვევაში O-ის ნიშნად მოგვევლინება და პირუკუ. ამის გამო ძნელდება სუბიექტის პირის გარკვევა და გარდამავლობის დადგენა.

არსებით ნიშნად გარდამავლობა-გარდაუვალობისათვის სრულიად სამართლიანად და ობიექტური ვითარების ადეკვატურად პ. უსლარს მიჩნეული აქვს პირის ნიშანთა ადგილმდებარეობა. ანალოგიური პრინციპი მელაენდება ისეთ ევროპულს ენებში, რომლებშიაც სახელებს ბრუნვები დაუკარგავთ (ევროპულს ზმნაში ხომ თავად არ იყო მოცემული ობიექტის პირები). ერთად ერთ ნიშნად გარდამავლობის გარკვევისათვის აქ ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა თანამიმდევრობადა გამოდის.

პირის ნიშნები

აფხაზურ ზმნას პირველ პირში, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის ნიშნად, გამოყენებული აქვს ს- პრეფიქსი. მას იყენებს, როგორც მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი, ისე მამრობითისა.

მეორე პირში განსხვავებულია პირის ნიშნები სქესთა მიხედვით. მამრობითისათვის არის უ-, მდებარეობითისათვის—მ-. ესენიც გვევლინებიან, როგორც სუბიექტის ნიშნად, ისე ობიექტისად.

განსხვავებული მდგომარეობაა მარტოოდენ III პირში. აქ, ერთი მხრივ-გვაქვს მხოლოდობით რიცხვში დაყოფა ადამიანთა კლასად (ნიშანი--დ-) და არა-ადამიანთა (ნიეთთა) კლასად (ნიშანი--ი-); მეორე მხრივ, დაყოფა სქესის მიხედვით ადამიანთა კლასში (მამრ. სქ. ნიშ. ი-, მდედრ. სქ. ნიშ.--ლ-) და არა-ადამიანთა (ნიეთთა) კლასში სხვა (ა- || ნა-) ნიშნის გამოყენება. მესამე პირში უკვე იწყება გარჩევა ობიექტისა და სუბიექტისა. ერთსა და იმავე ზმნაში III პირისათვის სუბიექტის ნიშანი სხვაა და ობიექტისა--სხვა.

მრავლობითის პირველ ორ პირში განსხვავებული ნიშანი არც კლასის, არც სქესისა და არც სუბიექტ-ობიექტის მიხედვით არ ჩანს. პირველ პირში მრავლობითში მუდამ არის ჰ-, ჰა-->აა-, II პირში ში--||ჟი-. მესამე პირში მრავლობითშიაც განსხვავებულია ნიშანი, ოღონდ მხოლოდ სუბიექტ-ობიექტობის მიხედვით: გარკვეულ შემთხვევაში არის რ- (|| დ-), გარკვეულში კიდეც ი-.

მოყვანილი პირის ნიშნები და ადგილმდებარეობა შემდეგი სახისა იქნება: სუბიექტ-ობიექტობისა და ზმნათა გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით:

ერთპირიანი ზმნები:

ძირი: გ ღ ლ ა-- დგომა	ა ც ა რ ა-- წასვლა
ს გ გ ლ ო უ ბ -- ედგავარ	ს ც რ მ ტ -- მიედივარ
ზ გ გ ლ ო უ ბ დგახარ (ქ.)	ბ ც რ მ ტ -- მიდიხარ (ქ.)
ზ ა ი კ ლ ო უ ბ " (ვაფ.)	ჟ ც რ მ ტ -- მიდიხარ (ვ.)
დ გ გ ლ ო უ ბ -- დგას (აღამ.)	ღ ც რ მ ტ -- მიდის (აღამიანი)
ი გ გ ლ ო უ ბ " (არა-აღამ.)	ი ც რ მ ტ -- მიდის (არა-აღამიანი)
შ ა გ გ ლ ო უ ბ ედგავართ	ჰ ც რ მ ტ -- მიედივართ
წ ა გ გ ლ ო უ ბ დგახართ	შ ა ც რ მ ტ -- მიდიხართ
ი ა გ ლ ო უ ბ დგანან	ი ც რ მ ტ -- მიდიან.

ეს ზმნები, მასასადამე, სუბიექტად განარჩევენ „ვინ“ (ანუ ადამიანთა) კლასს და „რა“ (ანუ არა-ადამიანთა, ნიეთთა) კლასს. პირის (resp. სუბიექტის) ნიშანი პირველ ადგილზეა. წინ უძღვის ზმნის თემას.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა:

ა ც ლ ა ბ რ ა შეჯიბრება	
ს-ფ-ა ც ლ ა ბ რ ე ბ ტ	-- გეჯიბრები მე შენ (ვ.)
ს-ზ-ა ც ლ ა ბ რ ე ბ ტ	-- " " " (ქ.)
ს-ლ-ა ც ლ ა ბ რ ე ბ ტ	ვეჯიბრები მე მას (ქ.)
ს-ა-ა ც ლ ა ბ რ ე ბ ტ	-- ვეჯიბრები მე მას (ვ.)
ს-ა-ა (ა) ც ლ ა ბ რ ე ბ ტ	-- " " " (არა-აღამ.)
ს-შ-ა ც ლ ა ბ რ ე ბ ტ	-- გეჯიბრებით მე თქვენ
ს-რ-ა ც ლ ა ბ რ ე ბ ტ	ვეჯიბრები მე მათ

ი-ს-სცლაბზემტ	--- ის (არა-ად.) მეჯიბრება მე
ი-ზ-სცლაბზემტ	--- ის (არა-ად.) გეჯიბრება შენ (ქ.)
ი-ჟ-სცლაბზემტ	--- " " " " (ვ.)
ი-ლ-სცლაბზემტ	--- " " ეჯიბრება მას (ქ.)
ი-ჲ-სცლაბზემტ	--- " " " " (ვ.)
ჲ-ს-(ა)ცლაბზემტ	--- " " " " (არა-ადამ.)
ი-ჰ-სცლაბზემტ	--- " " გვეჯიბრება
ი-ში-სცლაბზემტ	--- " " გეჯიბრებათ
ი-რ-სცლაბზემტ	--- " " ეჯიბრება მათ
დ-ს-სცლაბზემტ	--- ის (ადამ.) მეჯიბრება მე
დ-ზ-სცლაბზემტ	--- " " გეჯიბრება შენ (ქ.)
დ-ჟ-სცლაბზემტ	--- " " " " (ვ.)
დ-ლ-სცლაბზემტ	--- " " " " (ქ.)
დ-ჲ-სცლაბზემტ	--- " " გეჯიბრება შენ (ვ.)
დ-ს-(ა)ცლაბზემტ	--- " " ეჯიბრება მას (არა-ად.)
დ-ჰ-სცლაბზემტ	--- " " გვეჯიბრება ჩვენ
დ-ში-სცლაბზემტ	--- " " გეჯიბრებათ თქვენ
დ-რ-სცლაბზემტ	--- " " ეჯიბრება მათ
ი-ხ-სცლაბზემტ	--- ისინი მეჯიბრებიან მე
ი-ზ-სცლაბზემტ	--- " " გეჯიბრებიან შენ (ქ.)
ი-ჟ-სცლაბზემტ	--- " " " " (ვ.)
ი-ლ-სცლაბზემტ	--- " " ეჯიბრებიან მას (ქ.)
ი-ჲ-სცლაბზემტ	--- " " " " (ვ.)
ჲ-ს-(ა)ცლაბზემტ	--- ისინი ეჯიბრებიან მას (არა-ად.)
ი-ჰ-სცლაბზემტ	--- " " გვეჯიბრებიან ჩვენ
ი-ში-სცლაბზემტ	--- " " გეჯიბრებიან თქვენ
ი-რ-სცლაბზემტ	--- " " ეჯიბრებიან მათ

სხვა პირებს აღარ გამოეუდგებით. მთავარი III პირი — სუბიექტადაცაა მოცემული და ობიექტადაც ყველა ნიშნით, როგორც მრავლობითში, ისე მხოლოდობითში.

ამ რიგის ხმები, როგორც აქ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, განარჩევენ, მაშასადამე: S-ად III პირში ადამიანთა და არა-ადამიანთა კლასს (შდრ. დს-სცლაბზემტ და ის-სცლაბზემტ); ირიბ ობიექტად III პირში როგორც სქესს, ისე კლასს მხოლოდობითში (შდრ. ს-ლ-სცლაბზემტ, ს-ჲ-სცლაბზემტ, ს-(ა)ცლაბზემტ); III მრ. პირში სუბიექტსა და ირიბ ობიექტს (შდრ. ი-რ-სცლაბზემტ — ისინი მათ ეჯიბრებიან).

ამ ზმნებშიაც სუბიექტის ნიშანი პირველ ადგილას გვევლინება, მას მოსდევს ირიბი ობიექტი.

ორპირიანი გარდამავალი ზმნა:

აკჷაბარა — ბანა

პირდ. ობ. სუბიექტ

დგ-ს-კჷაბარტ — ებან მე მას (ადამ.)

დ-გ-ბ-კუბორმტ	—	ბან შენ (ქ.)	მას (აღამ.)
დ-გ-ჟ-კუბორმტ	---	ბან შენ (ვ.)	" "
დ-გ-ლ-კუბორმტ	---	ბანს იგი (ქ.)	" "
დ-გ-ა-კუბორმტ	—	" " (ვ.)	" "
დ-ა-კუბორმტ	—	" "	" (არა-აღ.)
დ-(ა)ჰ-კუბორმტ	—	ვბანთ ჩვენ	" "
დგ-შ-კუბორმტ	---	ბანთ თქვენ	" "
დგ-რ-კუბორმტ	---	ბანენ ისინი	" "
ი-ს-კუბორმტ	—	მე ვბან მას (არა-აღ.)	მათ
ი-ბ-კუბორმტ	—	შენ (ქ.) ბან	" "
ი-ჟ-კუბორმტ	—	(ვ.) " "	" "
ი-ლ-კუბორმტ	---	ის (ქ.) ბანს	" "
ი-ა-კუბორმტ	---	" (ვ.) " "	" "
ა-ა-კუბორმტ	---	" (არა-აღ.) "	" "
ა-(ა)ჰ-კუბორმტ	—	ჩვენ ვბანთ	" "
ი-შ-კუბორმტ	---	თქვენ ბანთ	" "
ი-რ-კუბორმტ	—	ისინი ბანენ	" "

ორპირიანი გარდამავალი ზმნა III პირში პირდაპირ ობიექტად განარჩევს აღამიანთა და არა-აღამიანთა კლასს მხოლოდობითში, მრავლობითში პირდაპირ ობიექტს აგრეთვე ცალკე ნიშანი აქვს — ი- (შდრ. დგსკუბომტ, ისკუბომტ).

სუბიექტად III პირში განარჩევს როგორც კლასს, ისე სქესს (შდრ. დგლკუბომტ, დიკუბომტ, დაკუბომტ, დგრკუბომტ).

თანამიმდევრობა პირებში ასეთია: პირველ ადგილას დგას აქუქვე პირდაპირი ობიექტის ნიშანი, ხოლო მეორე ადგილას სუბიექტის ნიშანი.

სამპირიანი გარდამავალი ზმნა:

ათარა--მიცემა

პირდ. ლბ.
ფრბ. ლბ.
სუბიექტ.

ა-ა-ს-თომტ	—	მათ	მას (არა-აღ.)	ვადლევ	მას (არა-აღამ.)	მე.
ა-ა-ბ-თომტ	—	მათ	მას (არა-აღ.)	აძლევ	მას (არა-აღამ.)	შენ (ქ.)
ა-ა-ჟ-თომტ	—	"	" "	" "	" "	(ვ.)
ა-ა-ლ-თომტ	---	"	" "	აძლევს	" "	ის (ქ.)
ა-ა-ა-თომტ	---	"	" "	" "	" "	(ვ.)
ა-ა-აა-თომტ	---	"	" "	" "	" "	(არა-აღამ.)

¹ სამპირიან ზმნებში III პირის მხოლოდობითში (არა-აღამიანთა კლ.) სუბიექტის ნიშნად გვევლინება ნა-. ორპირიან გარდამავალ ზმნაში ასეთად ა ვიცოდით (შდრ. დ-ა-კუბომტ). ნა- ორპირიანშიაც შეიძლება შევხვდეს ამავე ფუნქციით, თუმცა მათში, თუ ზმნა განკვეთილია და S-ის ნიშანს ფუძეში მოიქცევს.

ა-ა-ჰ-თომტ	-	მათ		მას (არა-ად.)	ვადღევთ	მას (არა-ად.)	ჩვენ
ა-ა-შე-თომტ	-	"		"	ვადღევთ	"	თქვენ
ა-ა-რ-თომტ	-	"		"	ვადღევენ	"	ისინი
ღ-ბგ-ს-თომტ	-	მას (ადამ.)		ვადღევ	შენ (ქ.)		
ღ-ჟ-ს-თომტ	-	"		"	(ვ.)		
ღ-ლგ-ს-თომტ	-	"		ვადღევ	მას (ქ.)		
ღ-ჟ-ს-თომტ	-	"		"	" (ვ.)		
ღ-ა-ს-თომტ	-	"		"	" (არა-ადამ.)		
ღ-შე-ს-თომტ	-	"		ვადღევთ	თქვენ		
ღ-რგ-ს-თომტ	-	"		ვადღევ	მათ		

პირთა შესაძლო კომბინაციას III პირის მიხედვითაც აღარ განვარკობთ.

სამპირიანი გარდამავალი ზმნა პირდაპირ ობიექტსა და სუბიექტს განარჩევს ისევე, როგორც ორპირიანი გარდამავალი. ირიბ ობიექტში კი პირის გარჩევა ემთხვევა გარდამავალ ზმნაში სუბიექტის პირის გარჩევას, ოღონდ არა-ადამიანთა კლასის ნიშნად ირიბ ობიექტში გარკვეულ გარდამავალ ზმნათა სუბიექტის მსგავსად მუდამ ა- იქნება და არა-ა-ცა და ნა-ც.

თანამიმდევრობა: პირველ ადგილას სამპირიან გარდამავალს ზმნაში დგას პირდაპირი ობიექტი, მეორე ადგილას— ირიბი ობიექტი და მესამე ადგილას—სუბიექტი.

განხილულ პირის ნიშნებს რომ თავი მოუყაროთ, ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, ასეთ სურათს მივიღებთ:

მხოლოობითი:

მრავლობითი:

I ს-
II { ბ- მდღერ.
ჟ- მამრ.

ჰ(ა)-
შ-

პირველი რიგის ნიშნები:

მეორე რიგის ნიშნები:

მხოლოობ.

მრავლ.

მხოლოობ.

მრავლ.

III {ღ- ადამ. კლ.
ი- არა-ად. კლ.

{ ი-

{ ლ-
ი-
ა-(||)ნა-არა-ად.

{ რ-(|| ლ-)

გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ნიშნები პირდაპირი დამატების ნიშნად არის წარმოდგენილი გარდამავალს ზმნაში; გარდამავალი ზმნის სუბიექტის ნიშნები, რომლებიც აგრეთვე კუთვნილებითი ურთიერთობის გამოსახატავად გამო-

იყენება. არაპირდაპირი ობიექტის ნიშნად გვევლინება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნაში¹.

აღნიშნული იყო, რომ პირველსა და მეორე პირში სუბიექტ-ობიექტის ნიშნები არ არის განსხვავებული. მათი სუბიექტად ან ობიექტად წარმოდგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავთ მათ ზმნაში. განსხვავებული ნიშნები III პირში გვხვდება, მაგრამ აქაც ის, რაც სუბიექტია ერთ შემთხვევაში ობიექტად წარმოგვიდგება მეორეში.

შინაარსის გამოყენება სუბიექტ-ობიექტის, მაშასადამე, გარდაუვალობა-გარდამავლობის გარკვევისას, როგორც უკვე ვნახეთ, ვერ იქნება ამოსავალი. პირის ნიშნებიც, თუნდაც ისინი III პირს გულისხმობდნენ, ვერ გამოგვადგება, რადგან სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები ამ შემთხვევაშიც, უფროა შეზღუდულად, მაგრამ მაინც, ემთხვევიან ერთმანეთს.

უსლარის მიერ თავის თავად სწორად შენიშნული პირის ნიშანთა თანამიმდევრობა-ადგილმდებარეობის წესი თვითონ მოითხოვს გასარკვევ კრიტერიუმს, რადგანაც გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი, რომელიც პირველ ადგილზე იმყოფება, შეიძლება გარდაუვალი ზმნის სუბიექტად დავსახოთ. ამაში ხელს არ შეგვიშლის პირის ნიშნის სახეობა, ხელს არ შეგვიშლის მისი არც ადგილმდებარეობა. ერთად ერთი ანგარიშგასაწევი მომენტი შეიძლება ზმნის შინაარსი ყოფილიყო, მაგრამ ზმნის შინაარსსაც ყოველთვის ერთნაირად როდი იცებენ. განსაკუთრებით ისეთ ზმნებში კირს ეს, რომლებშიაც მოქმედი პირი თანდათან იჩრდილება, მაგ., ე.წ. ინვერსიულ ზმნებში (იხ. ქვევით).

პირის ნიშანთა თანამიმდევრობის წესი რომ მოითხოვს ერთგვარ დამატებით ნიშანს, ეს მეტად თვალსაჩინოდ მქლავანდება ისეთ ზმნებზე, რომელთაც გარდაუვალობაც შეუძლიათ და გარდამავლობაც მოგვცენ ერთ და იმავე პირის ნიშანთა თითქოს ერთნაირი თანამიმდევრობით. აკრა — „ქერა“ ზმნიდან შეიძლება:

ახუქი ღგ-ს-კუბ — ბავში მიჭირავს (გარდაუვ.)

ახუქი ღგ-ს-კუბტ ბავშეს ვიჭერ (გარდამ.)

არაერთიარო სხვაობა გარუგნულად პირის ნიშანთა მიხედვით მათ შორის არ ჩანს. ნამდვილად კი დ- პირველ შემთხვევაში სუბიექტის ნიშანია, მეორეში პირდაპირი დამატებისა. ასევე ს- „ღესკუბ“-ში არაპირდ. ობიექტის ნიშანია, ღგსკუბტ-ში — სუბიექტისა.

¹ ერთად ერთ გამონაკლისს ამ წესიდან კმნის მეშველი „არს“ ზმნა. „ამ ზმნაში, უთუოდ გარდაუვალში, S-ის ნიშნად იგივე პრეფიქსებია გამოყენებული, რაც გარდამავალი ზმნის სუბიექტისათვის გხვდებოდა. არის:

სრუბ	ვარ
ბრუბ	—ხარ (ქ.)
ჟრუბ	—ხარ (ვ.)
ლრუბ	—არის (ქ.)
ბრუბ	— „ (ვ.)
ბუბ	— „ (არა-ად.)
პარუბ	—ვართ
შორუბ	—ხართ
ბრუბ	—არიან

ამათ შესახებ იხ. ცალკე ნარკვევში.

კარგად გამოხატავს ამ სხეობას ქართული „მიჭირავს“ და „ვიქერ“.

რომ პირის ნიშანთა ადგილმდებარეობა თითონ მოითხოვს გარკვევას, იქიდანაც ჩანს, რომ თვით უსლარს, რომელმაც მიაგნო გარდამავლობა-გარდაუვალობის ამ ნიშანს სწორედ პირის ნიშანთა თანამიმდევრობაზე დაყრდნობით შეეთომა მოუფიდა და გარდაუვალი აგუაფხარა „მოწონება“-ზმნა გარდავალად ჩასთვალა (იქვე, გვ. 56; 81).

უსლარის ამ შეეთომას იმეორებს შემდეგ ყველა მკვლევარი (შიფნერი, დირი, მეზჩანინოვი...).

განსაკუთრებით მოუგვარებელია ამ მხრივ მდგომარეობა უახლოეს ლიტერატურაში. ერთ-ერთ სპეციალურს წერილში, რომელიც აფხაზური ზმნის ამ მხარეს მიეძღვნა, მთლიანად არეულია ყველაფერი. ანგარიში არ ეწევა არც შინაარსსა და არც ფორმას. ან უკეთ, არც შინაარსი და არც მასზე დაყრდნობილი უსლარისეული ფორმულა პირის ნიშანთა თანამიმდევრობისა საკმაო არ აღმოჩნდა ზმნათა სწორი კლასიფიკაციისთვის. აშკარად გარდაუვალი ზმნები აკატრა შეხება, აყუტწრა—ჩამოშორება. ახტჩჩარა --დაცინვა და სხვ. პირის ნიშანთა მდებარეობის მიხედვით (დგ-ს-ხტჩჩორტ, დსკტტეეტ, დღსყტტწეეტ) გარდამავლად ცხადდება (იხ. «Die passive Konstruktion des abchasischen Verbums».---Исчерпывающий словарь, ტ. VI, გვ. 208).

პირის ნიშანთა თანამიმდევრობაში გარკვევისათვის და ზმნათა გარდაუვალობა-გარდამავლობის დასადგენად აფხაზურს, მეტი რომ არა ვთქვათ, სამიოდე ნიშანი მაინც მოეპოვება. ორი მათგანი პრინციპულად სრულიად ზუსტისა-შუალდებაა ზმნათა დაყოფისათვის, ოლონდ ერთი მათგანის გამოყენება სათანადო ფონეტიკური გარემოს არსებობას ვარაუდობს, მეორე კი—ფუძეთა რთულ შედგენილობას, მესამე—მორფოლოგიური ხასიათის აბსოლუტური ხერხია ზმნის გარდამავლობის გასარკვევად.

1. ეს არის პირის ნიშანთა ფონეტიკურად ცვლილი სახეობები. ზემოთ წარმოდგენილი პირის ნიშანთა სახე არ არის ერთად ერთი. პირველი პირის ნიშნები მხოლ. ს-, მრ. ჰ(ა)- და II მრავლ. პირ. ნიშანი შიიცვლება. ს-საგან ვიღებთ ზ-ს, ჰ(ა)-საგან -ა-ს¹, ში-საგან -ჟ-ს, ე. ი. ხდება მათი გამჟღერება. უსლარი შენიშნავს, რომ ასეთი ცვლილება დამახასიათებელია იმ ზმნებისათვის. რომლებშიაც ძირი იწყება ერთ-ერთი ამ ბგერათაგანით: ჰ. ჳ, ჟ, შ, ძ, ძ, ჟ. უსლარს აქ გამორჩენილი აქვს დ, ლ და სხვ. აჯობებდა: ასეთი ცვლილება ხდება მაშინ, როცა ზმნის თემა იწყება მჟღერი თანხმოვნით და უ-თი და როცა პირის ნიშანი უშუალოდ ხვდება ზმნის ფუძეს. მაგრამ ამით მაინც არ იქნება სრულად განსაზღვრული წესი.

¹ ჰ(ა)-საგან აა-ს მიღება გამჟღერებით უნდა ავხსნათ. ჰ(ა)ს გამჟღერებით უნდა მიგველო მისივე რიგის მკვლერი სპირანტი, რომლის, როგორც ბგერის, დაკარგვამაც აფხაზურში აა ჩვეულებით მოგვცა.

უსლარმა პირის ნიშანთა ცვლილებაში შენიშნა მხოლოდ ფონეტიკური მომენტი, მაგრამ ეს ფონეტიკური მომენტი მორფოლოგიურ საყრდენს ვარაუდობს. ყველა მჟღერი დაწყებული თემის მქონე ზმნაროდი იწვევს გამჟღერებას პირის ნიშნებში, არამედ—მხოლოდ დამხოლოდ გარდამავალი ზმნები და ისიც სუბიექტური პირისას (ზმნის თემას უშუალოდ სუბიექტის პირი ხვდება).

ამის მიხედვით გვექნება:

აღჭრა	--	ცოდნა (გარდამავალია)
ი-ზ-ღჭრუეტ	—	ვიცი რალაც (არა-ადამ.)
ა-ა-ღჭრუეტ	--	ვიცი " "
ი-ჟ-ღჭრუეტ	--	იცი " "
აგარა	-	წაღება (გარდამავალია)
ი-ზ-გოეტ	-	მიმაქვს რალაც (არა-ადამ.);
ა-ა-გრეტ	-	მიგვაქვს " "
ი-ჟ-გრეტ	---	მიგაქვთ " "
ა-ბარა	-	დანახვა, ხედვა (გარდამავალია)
ი-ზ-ბრეტ	---	ვხედავ რალაცას (არა-ადამ.)
ა-ა-ბრეტ	---	ვხედავთ " "
ი-ჟ-გრეტ	---	ხედავთ " " და სხვ.

მაგრამ იგივე აგუაფხარა—მოწონება ზმნა (გარდაუვალა), რომლის ფუძეც აგრეთვე მჟღერი თანხმონით იწყება, მსგავს ცვლილებას არ მოგვეცემს.

იქნება:

ი-ზ-გუაფხოეტ	--	მომწონს რალაც (არა-ადამ.)
ა-ა-გუაფხოეტ	-	მოგვწონს " "
ი-ჟ-გუაფხოეტ	-	მოგწონთ " "

ეს უფრო ნათლად ჩანს ისეთ მჟღერით დაწყებულ ზმნებში, რომლებიც გარდამავალნიც შეიძლება იყვნენ და გარდაუვალნიც. ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე ზმნა ხან გაამჟღერებს პირის ნიშანს, ხან—არა. მაგ.,

აძახრა	—	კერვა (გარდაუვ.)
ს-ძახრეტ	--	„გმკერავობ“, „კერავ“, კერვას ვეწევი
ჰ-ძახრეტ	—	„გმკერაობთ“, „კერავთ“, კერვას ვეწევით
შ-ძახრეტ	—	„მკერაობთ“, „კერავთ“, „კერვას ეწევით“.

აძახრა—კერვა (გარდამავალი)

ი-ზ-ძახრეტ	—	კერავ რასმე
ა-ა-ძახრეტ	—	კერავთ რასმე
ი-ჟ-ძახრეტ	—	კერავთ რასმე

აჯრა—წერა (გარდაუვ.)		აჯრა	---	წერა (გარდამ.)	
ხ-ჯრეტ	-	ვწერ, „ემწერლობ“, წერაში ვარ გართული	ი-ზ-ჯრეტ	—	ვწერ რალაცას
ჰ-ჯრეტ	-	ვწერთ " " " " " "	ა-ა-ჯრეტ	—	ვწერთ რალაცას
შ-ჯრეტ	-	ვწერთ " " " " " "	ი-ჟ-ჯრეტ	—	ვწერთ რალაცას და სხვ.

მაშასადამე, პირის ნიშანთა გამქდერება ზმნის თემის საწყის მქდერ ბგერებთან მხოლოდ გარდამავალი ზმნისათვის არის ნიშანდობლივი.

II. აფხაზურ ზმნათა ფუძეები მარტივი სახისაც არიან და რთულისაც. რთული ფუძის მქონე განკვეთილი ზმნებისათვის დამახასიათებელია პირის ნიშნის განკვეთის ადგილას ჩართვა. პირის ნიშანთა ფუძეში მოქცევა უსლარისთვისაც იყო ცნობილი, მაგრამ ის წერდა: „...в некоторых (глаголах -ქ. ლ.) ставятся они (характеристики -ქ. ლ.) внутри самих корней. Не знаю, существуют ли какие-либо наружные приметы, определяющие такое явление; но крайней мере, мне не удалось открыть их“ (ib. § 41).

იკვევია, რომ ზმნის ფუძეში განკვეთის ადგილას არსებული პირის ნიშნები გარდამავალი ზმნის სუბიექტური პირის ნიშნებია და იმ ზოგ ზმნას, რომელიც უსლარს ვერ განესაზღვრა, სწორედ ეს განკვეთილი გარდამავალი ზმნები შეადგენენ. განკვეთილი ზმნა გარდაუვალიც ჩვეულებრივია. მათთან არავითარს შემთხვევაში არაა შესაძლებლობა პირის ნიშანთა ინფიქსაციისა.

ორპირიანი გარდაუვალი განკვეთილი ზმნები:

- ა-ლ-ა-ლ-არა -- შიგ (პარტიაში, კოლმეურნეობაში...) შესვლა
- ს-ა-ლა-ლომტ -- მე შეედივარ მასში (არა-აღამ.)
- ა-ლ-წ-რა -- გამოსვლა „რასშიმით“
- ს-ა-ლ-წ-ე-ტ -- გამოვდივარ რისგანში (არა-აღამ.)
- ა-ლ-შ-არა -- შეძლება
- ი-ს-გ-ლ-შ-ომტ -- შემიძლია რამე და სხვ.

ორპირიანი გარდამავალი განკვეთილი ზმნები:

- ა-ყ-ა-წ-არა -- კეთება
 - ი-ყ-ს-წ-ომტ -- ვაკეთებ რასმე
 - ა-ქ-უ-წ-არა -- ზედ დადება
 - ი-ქ-უ-ს-წ-ომტ -- ეღებ ზედ რასმე
 - ა-ჟ-ა-ჰ-არა -- დაბმა
 - ი-ჰ-ა-ს-ჰ-ომტ -- ებამ რასმე და სხვ.
- იგივე გარდაუვალი ზმნები რომ გარდამავლად გადაექციოთ, პირის ნიშანი მაშინვე ფუძეში აღმოჩნდება. გარდამავალი ზმნა „შიგ შეყვანა“ ა-ლ-ა-ლ-არა-სგან იქნება ა-ლ-ა-წ-არა. აქედან:
- ლ-ა-ლა-ს-წ-ომტ -- იგი (აღამ.) შემყავს რალაცაში
 - ა-ლ-ხ-რა -- შიგნიდან გამოიყვანა.
 - ლ-ა-ლ-ს-ხ-შ-ემტ -- იგი (აღამ.) გამომყავს რალაციდან
 - ა-ლ-გ-რ-შ-არა -- შეძლებინება
 - ი-უ-ლ-ს-გ-რ-შ-ომტ -- შეგაძლებინებ შენ (მე) მას. ასე რომ, რა წამს განკვეთილი გარდაუვალი ზმნა გარდამავლად იქცა, პირის ნიშანიც, ფუძეში აღმოჩნდა.. ამასთან დაკავშირებით ორიოდ შენიშვნაც არის საჭირო.

1. არის აქ მჭიდრობა — „ძახება“ — ზმნა, რომელსაც ერთი პირი გააჩნია და ეს ერთი პირიც განკვეთილს ფუძეშია მოქცეული. „ვიძახი“ იქნება ქსე-ს-თუემტ. ამის გამო შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ ეს ზმნა გარდაუვალია. მაგრამ იგი გარდამავალი ზმნაა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი დაუკარგავს. უნდა ვიყარაუდოთ, რომ იგი ნიშნავდა არა საერთოდ „ძახებას“, არამედ „რისამე დაძახებას“. როგორც აქედან ჩანს, აფხაზურშიც გარკვეულ ზმნებთან, მაინცდამაინც, პირდაპირი ობიექტის მიმართ იწყება იგივე პროცესი, რაც ზოგ ქართულ ზმნაში უკვე დასრულდა.

2. ისეთი შემთხვევაც შეიძლება შეგვხვდეს. რომ ზმნაც გარდამავალი იყოს, ფუძეც განკვეთილი, მაგრამ პირის ნიშნები ყველა ფუძის გარეთ დალაგდეს. ეს შესაძლოა მაშინ, თუ განკვეთილობა ამ ზმნის ფუძისა თვით აფხაზისათვის დაწრდილულია, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა.

ან ზოგჯერ კაუზატივის წარმოებისას, ზოგი ზმნის კაუზატიურს ფორმაში სუბიექტის ნიშანი განკვეთილ გარდამავალ ზმნაშია ფუძის გარეთ ექცევა.

კაუზატივის —რ- მაწარმოებელი განკვეთილ ზმნებში, ჩვეულებრივ, ფუძეშია ჩართული ხოლმე, მაგ., ანგ-რ-წაარა „მოსპობა“, „განადგურება“ (შდრ. გარდაუვ. ანწაარა). აქედან: ი-ნ-სგ-რ-წაოჯტ — „ესპობ, ვანადგურებ რასმე“ და სხვ.

ზოგ განკვეთილ ზმნას კაუზატივის ნიშანი ფუძის გარეთ მოუღის და ამიტომაც ბუნებრივია, თუ სუბიექტის ნიშანიც ფუძის გარეთ გამოვა. სუბიექტის მოქმედებითობა კაუზატივის ნიშანთან არის დაკავშირებული და სუბიექტის ნიშანიც მის გვერდით აღმოჩნდება.

ამ ნაწილში ასახსნელი რჩება არა ის, თუ სუბიექტის ნიშანი რად არის განკვეთილ-გარდამავალი ზმნის გარეთ, არამედ ის, თუ ფუძის გარეთ ამ ზოგ ზმნაში რად ექცევა კაუზატივის ნიშანი.

იქნება: არ-ყა-წაარა	გაკეთებინება
არ-ლა-წაარა	დათესვინება
არ-შარტყარა	— სანადიროდ წარგზავნა
ი-უ-სგ-რ-ყაწოჯტ	— რაღაცას ვაკეთებინებ შენ (ვ.)
იუ-ს-გ-რ-ლა-წოჯტ	— რაღაცას ვათესვინებ შენ (ვ.)
ღგ-ს-გ-რ-შარტყოჯტ	— ნადირობად წარგზავნი (აღამ.), ვანადირებ.

ასეთი ზმნები, ჯერ ერთი, მცირე რაოდენობით გვხვდება, მეორეცაა და, მათშიაც სხვა შემთხვევაში სუბიექტის ნიშანი ინფიქსალ მოიპოვება (შდრ. იყა-ს-წოჯტ, ილა-ს-წოჯტ).

სუბიექტის ნიშანი ფუძის გარეთ გამოღის ასეთს განკვეთილს ზმნებში პოტენციალურს ფორმებშიც. თვით პოტენციალისის ზ ელემენტი ფუძის გარეთაა, იგი სუბიექტის „შესაძლებლობას“ გამოხატავს და სუბიექტის ნიშანსაც აიძულებს მის გვერდით აღმოჩნდეს. თუ, მაშასადამე, „რასმე ვაკეთებ“ იქნება ი-ყა-ს-წოჯტ, „რომ შევიძლო და გავაკეთო“, „გაკეთება რომ შევიძლო“ იქნება ი-ს-ზგ-ყა-წარ, „ვერ გავაკეთებ“ ი-ს-ზგ-ყა-წომ და სხვ. მაგრამ ამასთან დაკავშირებით ზოგ სხვა ცვლილებასაც აქვს ადგილი. კერძოდ, საშპირიანს

გარდამავალს ზმნაში, ასეთი პირი მეორე ადგილზე გვხვდება, მაგ., ი-ს-ზგ-უ-თომ — „ვერ მოგცემ შენ (ვ.) მას (არა-ად.)“ შღრ. იუ-ს-თომ — „მას (არა-ად.) შენ (ვ.) არ მოგცემ“.

რამდენადაც არ უნდა გვზღუდავდეს ასეთი კანონზომიერი გადახვევებიც გარდამავლობისათვის ურყევ წესად მაინც უნდა მივიჩნიოთ ამ ნიადაგზე შემდეგი: თუ ზმნის ფუძეში პირის ნიშანი ინფიქსად შეგვხვდა, ეს სუბიექტური პირის ნიშანი იქნება და ზმნა უთუოდ გარდამავალი. ნეგატიური სახით ეს დებულება ასეთსავე კატეგორიულობას ვერ ინარჩუნებს.

მთელ რიგ ზმნებში შედგენილი ფუძის საშუალებითაც ხერხდება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის გარჩევა. გარკვეული წინდებულებისაგან ნაწარმოები ზმნებისათვის, თუ ისინი გამოხატავენ თავისით მიმდინარეობას მოქმედებისას, ფუძის მაწარმოებელ ნაწილად გამოყენებული იქნება -ლა, -წ, -ხა და ზმნა იქნება გარდაუვალი, ხოლო თუ იგივე ზმნა მოქმედებაში სხვის მონაწილეობასაც ვარაუდობს, გამოყენებული იქნება -წა, -ხ... და იქნება — გარდამავალი, მაგ.:

გ ა რ დ ა უ ე ა ლ ი :

ა-ქა-ლა-რა — ასელა

ა-ლა-ლა-რა — შორის შესვლა

ა-წა-ლა-რა — ქვეშ შესვლა

ა-ქა-ხა-რა — ზედ შერჩენა

ა-ლ-წ-რა — შიგნიდან გამოსვლა და სხვ.

გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი :

ა-ლა-წა-რა — შორის დადება, შედება

აქაა-წარა — პირში, შიგ, ზედ დადება

ა-წა-წა-რა — ქვეშ შედება

აქაგ-ხ-რა — გამოხსნა

ა-ლ-ხ-რა — გამოღება, გამორჩევა... და სხვ.

ამგვარად ფუძენაწარმოები ზმნები ძირითად ბარაგს წარმოადგენენ აფხაზურისათვის.

III. ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა. აფხაზურ ზმნათა გარდამავლობა-გარდაუვალობის ზუსტ ნიშნად წარმოქმითი ბრძანებითის წარმოება გვევლინება. თვით ბრძანებითის შესახებ როზენისა და უსლარის მიერ თითო-ოროლა უსისტემოდ მოყვანილ მაგალითს თუ არ გაეითვალისწინებთ, არაფერი მოიპოვება¹. ვინაიდან ჩვენც ცალკე ამ საკითხის გარკვევას ალარ ვაპირებთ, შედარებით ვრცლად შევჩერდებით მასზე აქვე, გარდამავლობის გარკვევასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამას გარდამავლობის საკითხი აიტანს.

¹ როზენს მხოლოდ ასეთი შენიშვნა აქვს ბრძანებითის წარმოების შესახებ: „Den Imperativ bildet man aus der Radix, bisweilen das Präfix **დი** [?-ქ. ლ.], oder auch den Charakter der zweiten Person vorsetzend und die Endungen **ი** oder **ა** anhängend. Eine bestimmte Regel besteht dabei nicht.“ (ხაზი ჩვენია -ქ. ლ.). იხ. G. Rosen. „Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Samische und Abchassische“, — Lemgo und Detmold, 1846, გვ. 78.

ბრძანებითის ფორმას მეტყველების პროცესში, საერთოდ, თან სდევს ინტონაციური სხვაობა თხრობითთან შედარებით. გარდა ამისა მას ახასიათებს უფრო არსებითი მორფოლოგიური ნიშანიც—მეორე სუბიექტური პირის აღმნიშვნელი ნაწილაკის დაკარგვა.

ბრძანებითში II პირის ნიშნის დაკარგვა ცნობილია ქართულიდანაც. განსაკუთრებით ძველს ქართულში იყო გარჩეული შესაფერი ფორმის მიხედვით თხრობითი და ბრძანებითი კილო (იხ. აკ. შანიძე. S_2O_2 ქართულ ზმნებში, გვ. 4—5) შდრ. წახვედი და წადი!

ასევეა აფხაზურის მონათესავე ენებშიაც.

ადილეურში:

თხრობ.

ბრძან.

ჴაღ'ალჴეხ; —შენ ხედავ მათ

ლ'ალჴეხ;—დაინახენ იგინი!

უაჴუა —მიღიხარ

ჴუ — წადი!

უბიხურში:

აესთხზენ—ვწერ

თხზ'—წერე!

აფხაზურშიაც ადგილი აქვს ამ მოვლენას. ბრძანებითში იკარგვის II სუბიექტური პირის ნიშანი, ოღონდ იმ განსხვავებით ჩვენთვის ცნობილი ენებისაგან, რომ აქ სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვა ეხება მხოლოდ გარდამავალ ზმნებს.

ზმნები აფხაზურში ორ დიდ ჯგუფად იყოფა ბრძანებითის წარმოების მიხედვით და ეს დაყოფა თანხვედნილია ზმნათა აგრეთვე ორ ჯგუფად—გარდამავლებად და გარდაუვლებად—დაყოფასთან. გარდაუვალი ზმნა, სულ ერთია, აბსოლუტური იქნება იგი თუ რელატიური, ბრძანებითში არავითარ პირიელ ცვლილებას არ განიცდის, თხრობითი კილოსაგან მისი განსხვავება მხოლოდ სუფიქსაციაში გამოიხატება. ბრძანებითში ყველა ზმნა წარმოდგენილია წმინდა ფუძით². არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როცა ბრძანებითსაც შეიძლება სხვა კილოური ფორმანტიც დაერთოს, მაგ., უცტ-აშ! „აბა ერთი წადი!“ და სხვ.

სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვა მხოლოდ გარდამავალი ზმნისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აქაც პირის ნიშნის დაკარგვა ეხება II პირის მხოლოდობითს რიცხეს, როგორც მდებრობითისას (მ-) ისე მამრობითისას (უ-) და არა II პ. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელს (შა-).

აფხაზურისათვის ეს გასაგებიცაა. როგორც ვიცით, იქ მრავლობითობის აფიქსები გამოხატავენ როგორც რიცხეს, ისე პირს და რომელიმე შა-ში მოცემულია ისიც, რომ ეს მეორე პირია და ისიც, რომ მრავლობითია. აფხაზურს რომ ამათთვის სხვადასხვა აფიქსები ჰქონოდა, ერთი, გამომხატველი რიცხვისა

¹ ად. დიორი, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, გვ. 28.

² დიალექტური სხვაობისა და ფუძეში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინტონაციამაჩვილთან დაკავშირებით იხ. „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“, ენიმკ-ს შობაზე, ტ. II. გვ. 187—192.

და მეორე, პირისა—ქართულის მსგავსად (შდრ. მო-დი-ხ-არ-თ)—მაშინ უნდა გვევარაუდებინა, რომ აქაც პირის ნიშანი დაიკარგოდა. თუ ახლა შერჩენილია, შერჩენილია არა პირის ნიშანი, არამედ რიცხვისა, რათა მხოლოდობითა და მრავლობითს შორის განსხვავება შენარჩუნებულ იქნეს.

II პ. მრავლობითობის აფიქსის შესახებ ასეთი მოსაზრება სემინარებზე გამოთქმული ჰქონდა აკად. ს. ჯანაშიას.

პირის ნიშნის დაუკარგველობით ბრძანებითში ერთ მწკრივზე ლაგდება გარდაუვალი ზმნები, სულ ერთია, სტატიკური იქნება ეს ზმნა თუ დინამიკური (იხ. ქვევით). ერთნიც და მეორენიც შეიძლება იყვნენ აბსოლუტურნიცა და რელატიურნიც; ოღონდ სტატიკურ ზმნებს განსხვავებული ექნებათ ბრძანებითის ფუძე. სტატიკურ ზმნებს ერთვის ზ. გარდა ამისა, სტატიკური ზმნის ბრძანებითის ფორმა სხვა წარმოების პარალელურად კონიუნქტივის მნიშვნელობითაც არის ნახმარი სხვა პირებში. მაგ., უყაზ—იყავ (ვ.)! მაგრამ სტ-ყაზ || სტყაზაადტ—„ვიყო“ და სხვ.

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები:

სტატიკური

აყაზარა—ყოფნა

თხოობითი კ.

ბრძანებითი კ.

სუბიექტი

მხ. II პ. ბჷყოუპ—ხარ შენ (ქ.)

ბჷყაზ—იყავ (ქ.)!

უყოუპ — „ „ (ვ.)

უყაზ — „ (ვ.)!

II პ. მრ. შიჷყოუპ—ხართ თქვენ

შიჷყაზ—იყავით!

დინამიკური

აგგლარა—ადგომა

მხ. II პ. ბგგლომტ—დგები შენ (ქ.)

ბგგლ —ადექ (ქ.)!

უგგლომტ — „ „ (ვ.)

უგგლ!—ადექ (ვ.)!

II პ. მრ. შიგგლომტ—დგებით თქვენ

შიგგლ!—ადექით!

რელატიურ-გარდაუვალი ზმნები:

ახძარა—დაწევა

თხოობითი კ.

ბრძანებითი კ.

სუბიექტი

II პ. მხ. ბ-ლგხძომტ — შენ (ქ.) ეწვევი მას (ქ.) ბ-ლგხძა! —დაეწვი შენ (ქ.) მას (ქ)!

უ-ლგხძომტ — „ (ვ.) „ „ „ უ-ლგხძა! — „ „ (ვ.) „ „ !

II პ. მრ. ში-ლგხძომტ — თქვენ ეწვევით „ „ ში-ლგხძა! —დაეწვიოთ „ „

აკჷპარა—კბენა

სუბიექტი

II პ. მხ. ბ-ა-კჷპაჷმტ—შენ (ქ.) მას (არა-ად.) კბენ

ჷ-ა-კჷპაჷმტ — „ (ვ.) „ „ „

II პ. მრ. ში-ა-კჷპაჷმტ — თქვენ „ „ კბენთ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ .

II პ. მხ. ბ-ს-ცჳა! - შენ (ქ.) მას (არა-ად.) უკბინე!

ჭ-ს-ცჳა! - " (ვ.) " " "

II პ. მრ. ში-ს-ცჳა! - თქვენ " " უკბინეთ!

რელატიურ-გარდამავალი ზმნები:

ა გ ა რ ა -წალება, წაყვანა (ორპირიანი)

თ ხ რ ო ბ ი თ ი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

სუბიექტი

II პ. მხ. { დგ-ბ-გრძტ — შენ (ქ.) იგი (აღამ.) მიგყავს

დგ-გს { წაიყვანე

{ დგ-უ-გრძტ — შენ (ვ.) " " "

{ დგ-გს { იგი (აღამ.)!

II პ. მრ. დგ-შ-გრძტ თქვენ " " მიგყავთ

დგ-უ-გს — წაიყვანეთ!

ა თ ა რ ა მიცემა (სამპირიანი)

თ ხ რ ო ბ ი თ ი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

აუბიექტი

II პ. მხ. { ი-ლგ-ბ-თოგტ — შენ (ქ.) მას (ქ.) აძლევ რაღაცას ი-ლგ-თ! { მიეცი მას

{ ი-ლგ-უ-თოგტ — " (ვ.) " " " ი-ლგ-თ { (ქ.) რაღაც!

II პ. მრ. ი-ლგ-ში-თოგტ — თქვენ " აძლევთ " ი-ლგ-შით — მიეცით მას (ქ.) რაღაც!

ღა მსგავსადვე სხვა ამგვარი ზმნები.

აქ განხილულთა გარდა რჩება მთელი წყება სტატიკურ და დინამიკურ რელატიურ ზმნათა, რომლებიც თავიანთი გარეგნული სახით თითქოს გარდამავლებს წააგავს—ხშირად მათ სწორედ ასედაც თარგმნიან—და რომლებიც ბრძანებითის წარმოებაში არ ემთხვევა ამ უკანასკნელთ.

ამ წყებას განეკუთვნება ლიტერატურაში *verba sentiendi*-ს სახელით ცნობილი ზმნები. ზმნები, რომელთაც აფხაზურშიაც, ქართულის მსგავსად, ინფერსია განუცდიათ და რომელთაც ობიექტური წყობა გააჩნიათ. ეს ზმნებია: აჭა:ა სმენა. გაგონება, აურა — რეგება (შოვნა), წილად ხედომა, აღშაარა — შეძლება, ათახხარა — ნდომა, აცემლახარა — შეძლება, შეზარება, აგუაფხარა — მოწონება. ახაარა — დაბადება, ახლაარა — თავზე ჩამოცმევა, აჭაჭუშაარა — პირიდან გავარდნა, აშაარა — ქონა, ყოლა და ბევრიც სხვა.

ეს ზმნები გარდაუვალი ზმნებია თავისი ბუნებით; მათშიაც ისევე, როგორც ჩვეულებრივს გარდაუვალ-რელატიურს ზმნეში პირველ ადგილას წარმოდგენილი პირი სუბიექტის პირია, ხოლო მეორე ადგილას წარმოდგენილი — ირიბი ობიექტისა. აფხაზური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ასეც უნდა ყოფილიყვნენ ისინი აღქმული, როგორც შინაარსობლივად, ისე მორფოლოგიურადაც. აზროვნებაში მომხდარი სათანადო ცვლილებების ნიადაგზე პირი, რომელიც ობიექტად იყო წარმოდგენილი გააქტიურდა და სუბიექტის უფლებ-

ბემის მოხვევქას ლამობს. რეალური სუბიექტი და ობიექტი გაეთიშა გრამატიკულ სუბიექტსა და ობიექტს. ეს პროცესი ჯერ დამთავრებული არ ჩანს აფხაზურში.

ამ ზმნებს (ზოგს მაინცა და მაინც) დიდი ნაბიჯი გადაუდგამს გარდამავალი ზმნისაკენ, მაგრამ ჯერ მათ ვერ დამთხვევიან. ნაბიჯის გადადგმა კი იმაში გამოიხატება, რომ მათ გაუჩნდათ ბრძანებითის ფორმა იმ პირისათვის, როქელიც ობიექტური პირი უნდა ყოფილიყო და რომელსაც ბრძანებითის ფორმა ვერას გზით ვერ ექნებოდა. მას მხოლოდ კონიუნქტივის წარმოება უნდა შესძლებოდა. ხსენებული პირისათვის ბრძანებითის ფორმის გაჩენით ისინი არსებითად დაშორდნენ. გარდაუვალს ზმნებს, მაგრამ რომ სრულს ვათანაბრებას გარდამავლებთან ვერ ახერხებენ, იქიდან ჩანს, რომ თუ მცა ბრძანებითის ფორმა გაიჩინეს, მაგრამ გარდამავალ ზმნათა მსგავსად, საბრძანებელი პირის ნიშანს როდი კარგავენ! ამით ისინი ჯერ კიდევ გარდაუვალი ზმნის თვისებას ინარჩუნებენ პრინციპში.

ამ ინვერსიულ-გარდაუვალმა ზმნებმა, მაშასადამე, შეიძლება მოგვეცნ უღვლილების ასეთი შერეული ტიპი:

აჰარა—სმენა (გაგონება)

თხრობითი:

ი-ბ-აჰაჲტეტ-- გესმის შენ (ქ.) ის (რალაც)

ი-ჲ-აჰაჲტეტ-- გესმის შენ (ვ.) " "

ი-შე-აჰაჲტეტ გესმით თქვენ " "

ბრძანებითი:

ი-ბ-აჰა! --ისმინე შენ (ქ.) რალაც, --გესმას!"

ი-ჲ-აჰა! - " " (ვ.) " --გესმას!"¹

ი-შე-აჰა! ისმინეთ " " --გესმათ!"

აურა—რგება (შოვნა)

თხრობითი:

ი-ბ-რჲტეტეტ —გერგება შენ (ქ.) რალაც !! შოულობ...

ი-ჲ-რჲტეტეტ --- " " (ვ.) " " "

ი-შე-რჲტეტეტ—გერგებათ თქვენ " || შოულობთ

ბრძანებითი:

ი-ბ-რჲ —იშოვე შენ (ქ.), გერგოს რაიმე!

ი-ჲ-რჲ? " " (ვ.) " " !

ი-შე-რჲ—იშოვეთ " გერგოთ " !

ასევე ალშეარა -- შეიძლება ზმნისაგან ბრძანებითად ასახელებენ იტლშეა-ს „შესძელ რამე“ (იხ. ნ. მარი, Абхазско-русский словарь, გვ. 95, ა).

¹ შდრ. უსლართან ბრძ. იტაჰაჲ. „Этнография Кавказа“. Абхазский яз., გვ. 120.

² შდრ. ნ. მართან ბრძ. იტრჲტ—„Почуи!“—Абхазско-русск. словарь, გვ. 2, ა ურა ზმნისთან.

ზოგ ამ ზმნათაგან, რომელთაც პირის კომბანაცია უხერხდება, ბრძანებითი შეიძლება წარმოებულ ექნეს II პირისათვის მაშინაც, როცა იგი სუბიექტია და მაშინაც, როცა იგი ობიექტია. მაგ., ჩვენი ჩაკითხვის დროს აფხაზები ადასტურებდნენ ფორმებს უს-რჷ „მერგე!“ ფრაზაში: „ენას ზაწჷკ უსრჷ!“—„მხოლოდ დღეს მერგე“, „მეშოვე“—„მომეზარე“ (მამითადის შეწვევის შემთხვევაში შეიძლება მივმართოთ ასეო) და იჷ რჷ! „გერგოს“ და სწორედ იმიტომ, რომ ჯერ კარგად არ არის გარკვეული სუბიექტი მასში.

ლიალექტობრივ ზოგ მათგანს ბრძანებითში პარალელურად სუბიექტის ნიშან-ჩამოცლილი ფორმებიც უნდა მოეპოვებოდეს. მაგალითად, ბზიფელები გვარწმუნებდნენ, რომ შეიძლებაო ფორმა როგორც დგუთახხხ, ისე დგუთახხხ—„ინდომე“, „გიყვარდეს ის (ადამ).“¹

აბაზურში სისტემა, მცირეოდენი სხვაობის გარდა, თითქმის ისეთივეა, როგორიც აფხაზურში; გარდამავალი ზმნები ბრძანებითში იქაც კარგავენ სუბიექტის ნიშანს, გარდაუვალები—არა, ინვერსიულ ზმნებში კი იქ ცვლილება უფრო შორს წასული ჩანს და შეიძლება ეს აფხაზურის განვითარების პერსპექტივაც იყოს. აბაზური ცდილობს ამ ზმნებშიაც პირის ნიშნის დაკარგვას. შესაძლოა ფორმები დგკჯზლა—„გეკიროს ის (ადამ).“ შდრ. აფხ. დგ-ჟ-კჯზ-გეკიროს შენ (ვ.) (ადამ.)²; ომაზლა—„გკონდეს რამე“ (შდრ. აფხ. იჷმაზ), ი-ჰ-აჷ²—„გერგოს რამე“ (შდრ. აფხ. ი-ჷ-რჷ!).

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტიპის ზმნებისათვის ბრძანებითის წარმოება მაინც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. სისტემის ჩამოყალიბება ჯერ არ მოხერხებულა, რადგან ჯერ ენას არა აქვს საბოლოოდ გარკვეული მათში სუბიექტის ვინაობა.

ეს ზმნები თავისი შინაარსის მიხედვით დაძრული არიან გარდამავლობისაკენ. ამ შინაარსობლივ ცვლილებას ენა ცდილობს გრამატიკულ მხარეშიაც გზა გაუხსნას, რაც იმაში გამოიხატა, რომ მას ბრძანებითის ფორმა გაუჩინა. მაგრამ ეს პროცესიც ჯერ არ დამთავრებულა. სხვა ფორმალური ნიშნები კი მათ შენარჩუნებული აქვთ იმავე გარდაუვალი ზმნებისა: ფუძის განკვეთილობის შემთხვევაში პირის ნიშანი არ ექცევა ფუძეში; თემის მჟღერი თანხმოვნით დაწყების შემთხვევაში არ ხდება პირის ნიშანთა გამჟღერება დაბოლოს, როგორც კიკაუხატი-ვობის ელემენტით, ან სხვა საშუალებით, ამავე ზმნათა ფუძეს გარდამავლობა მიენიჭება, მაშინვე ყველა აქ ჩამოთვლილი ფორმალური მხარე ამოქმედდება: პირის ნიშანი ინფიქსად მოგვევლინება; ბრძანებითის წარმოებაც შესაძლებელი გახდება და წართქმითს ბრძანებითში სუბიექტის ნიშანი დაიკარგვის.

¹ ჩვენ ბზიფშიაც გვეუბნებოდნენ: შეიძლებაო — დგკჯზ „გეკიროს ადამიანი“.

² ვ(ა) აბაზურში მო-პრევერბს ვადმოსცემს. აფხაზურს-კი ამ ზმნაში პრევერბი არ სჭირდება.

იმავე ზმნებისაგან გვექნება:

ა ხ გ - რ - შ ა რ ა -- დაბადებინება

თ ხ რ ო ბ ი თ ი :

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი :

დ გ - ლ გ - ხ - ბ გ - რ - შ ა ო მ ტ -- შენ (ქ.) მას (ქ.) აღმიანს აბადებინებ

დ - ჯ ლ - ხ გ - რ შ ა ¹ -- შენ მას (ქ.) ის (აღამ.) დაბადებინე!

ა გ ჟ ა - რ - ფ ხ ა რ ა - მოწონებინება

თ ხ რ ო ბ ი თ ი :

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი :

ი - ს - გ ჟ ა - ბ გ - რ - ფ ხ ო მ ტ -- შენ (ქ.) მე მას (არა-აღ.) მაწონებ

ი - ს - გ ჟ ა - რ - ფ ხ ა -- შენ (ქ.) ის (არა-აღ.) მო- მაწონე!

ა რ - ჰ ა რ ა -- გაგონებინება

თ ხ რ ო ბ ი თ ი :

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი :

ი - ს გ - უ - რ - ჰ ა ჟ ე ტ -- შენ (ვ.) მე მას (არა-აღ.) მასმენინებ

ი ს გ - რ - ჰ ა ¹ -- შენ (ვ.) მე ის (არა-აღ.) მო- მასმენინე!

ი - უ - უ - რ - ჰ ა ჟ ე ტ -- შენ (ვ.) შენს თავს მას (არა-აღ.) ასმენინებ.

ი უ - რ - ჰ ა ¹ -- შენ (ვ.) ის (არა-აღ.) შენ თავს ასმენინე -- ისმენინე! და სხვ.

ასე რომ, ინვერსიული ზმნები თუმცა შინაარსით გარდა- მავალი ზმნებისაკენ გადახრას ცდილობენ, მაგრამ ძირი- თადად მაინც გარდაუვალ ზმნებს მიჰყვებიან.

ბრძანებითის წარმოების მიხედვით ზმნათა ორი ძირი- თადი ჯგუფის, გარდამავალისა და გარდაუვალის, გამოყოფა ხერხდება.

ზმნათა გარდამავლად მიჩნევისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნე- ლოვანია მხოლოდ წართქმითი ბრძანებითი, უკუთქმითის ბრძანებითში ზმნათა მიხედვით სხვაობა არ ჩანს, რადგანაც მას, მართალია, ბრძანებითის ფორმა გააჩნია, მაგრამ სუბიექტური პირის ნიშანი არსად არ იკარგვის, რაც ცნობი- ლი მოვლენაა სხვა ენებიდანაც.

ფუძელ აქაც ისაა აღებული, რაც დადებითს ბრძანებითში იყო, ოღონდ წინ, ან განკვეთილს ზმნებში განკვეთის აღვილას, ერთვის უარყოფითობის აფიქსი -შ- და ბოლოს სუფიქსად -ნ.

იქნება:

უ-მ-ც-ან-არ წახვიდე შენ (ვ.)! — აცარა — წასვლა

უ-მ-გ-ღ-ან-არ ადგე " " ! — აგ-ღ-არა — ადგომა

უ-ლ-ხ-გ-მ-ძ-ან-არ დაეწიო მას (ქ.) შენ (ვ.)! — ახ-ძ-არა — დაწევა

დ-გ-უ-მ-გ-ან-არ წაიყვანო შენ (ვ.) იგი (აღამ.)! — აგ-არა წაყვანა

ი-ლ-გ-უ-მ-თ-ან-არ მისცე შენ (ვ.) მას (ქ.) ის (არა-აღ.)! — ათ-არა — მიცემა და

სხვ. უარყოფითი ბრძანებითის წარმოება არ უხერხდება სტატიკურ ზმნებს. ისინი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ კავშირებითს მიმართავენ:

¹ საყურადღებოა, რომ პარალელურად ასეთ ყოვლმხმანებელსა და მისახველებდენ არ - ხ - გ - შ ა რ ა - დ - ლ - ბ გ - რ - ხ შ ა ო მ ტ და ბრძანებითში დ გ ჯ რ ხ შ ა ¹

ჟ-ყა-მ-ზაადტ —არ იყო შენ (ვ.)!

ი-ჟ-მა-მ-ზაადტ—არ გქონდეს შენ (ვ.) იგი (არა-ად.)!

უარყ. ბრძანებითში ჟ ყა მ გ ზ ფორმა შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ არც ისე ბუნებრივია და ყველა ზმნაც ვერ ახერხებს ასეთ წარმოებას.

უარყოფითის ბრძანებითსაც ფუძედ ისა აქვს გამოყენებული, რაც დადებითს, ოღონდ აქ უკვე სუფიქსად ერთვის -ნ. თინ. გონია შევიღმა თავის მოხსენებაში: „უარყოფითობის მაწარმოებლები ჩაჩნურში“ ეს ნსაპართლიანად იმავე უარყოფითობის აფიქსად მიიჩნია. ნ რომ უარყოფისათვის მ-ს სახესხვაობა უნდა იყოს, იქიდანაც მტკიცდება, რომ აბაზურში აღნიშნულს ფორმებში აქ მოყვანილთა პარალელურად შეგვხვედრია მ-ც, როგორც უმცან, მაშასადამე, ისე უმცამ, რაც უთუოდ მიუთითებს უარყოფითი ბრძანებითის ორმაგად წარმოებაზე. უარყოფითის წარმოებაში ინტენსიური ვამოხატვის წესი ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე, მაგალითად, აფხაზური ზმნის. უარყოფითს ფორმებში ინტენსიურობის-მა ელემენტი ისეა შეხორცებული, რომ უმისოდ პირს კიდევ უარყოფის გამოხატვა. უფრო ბუნებრივია ისემა-მა-მ — „არა მაქვს სრულიად“, ეინემ „ისემა“.

ბრძანებითის წარმოებისას ინტენსიურობის ხაზგასმა —ამ შემთხვევაში აფიქსის ვაორმაგების წესით—ბუნებრივია, თუ გზას გაიკვლევდა. ასეთი მოვლენა ქართულიდანაც ხომ ცნობილია.

ბრძანებითის წარმოების შესახებ აფხაზურში კიდევ ბევრის თქმა შეიძლება¹, მაგრამ ისედაც დიდი წიალსვლა მოგვივიდა.

ზემოგანაილული მოვლენები რომ შევაჯამოთ, შექმდეგ სურათს მივიღებთ: აფხაზური ზმნები გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად.

გარდაუვალში ექცევა როგორც დინამიკური ზმნები, გამოხატველი მოქმედებისა, ისე სტატიკური ინვერსიული ზმნებითურთ. ასეთი ზმნები შეიძლება იყვნენ რელატიურნიც.

¹ ურალდებოა, მაგალითად, ბხიფში შესაძლებელი ფორმები ბრძანებითისა. როცა ლმერთს შესთხოვენ: ან ციან ბზარა რა უთ! — „ლმერთმა სიკეთე მოგცეს (შენ) (ვ.)“; ან ციან ბზარა შენ უთ ყა წი! — „ლმერთმა მშვიდობა გიყოთ თქვენ“; ან ციან შინ გჰია — „ლმერთმა დავლოცათ“; ან ციან ილფხან ჰათ! — „ღვთის მადლი მოგვეცი“, ლმერთის მადლი (ლმერთისი მადლი) მოგვეცი (ლმერთო)! შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. აქ ყველგან კონიუნქტივი უნდა ყოფილიყო, რადგან მესამე პირში ივარაუდება ლმერთი, მაგრამ ბრძანებითის შინაარსის საწარმოებლად ვნამ ერთსა და იმავე ზმნაში შეათავსა ორი მეორე პირი. აქ მესამე პირის „ბრძანებითი“ კი არა უნდა იყოს, არამედ იმავე მეორე პირისა. II პირის ნიშანი კი, როგორც წესი, ბრძანებითის წარმოების დროს, დაკარგულად უნდა ივარაუდებოდეს. ეს ნათლად ჩანს იმავე შემთხვევებში უარყოფითი ფორმის წარმოებისას, როცა პირის ნიშანი არ იქარგვის. აქ უკვე ორი სეორე პირია გამოხატული ისეთ ზმნაში, რომელშიაც ეს სრულიად შეუწყნარებელი უნდა იყოს. არა... მაგ... ან ციან ბზარა რა უთ-მ თან || ბ ზ უ მ თ ა ნ — „ლმერთმა სიკეთე. მშვიდობა არ მოგცეს (ვ., ქ.) ან ციან ბზარა შენ უთ ყა წი! — „ლმერთმა სიკეთე ნუ გიყოფა“, ან ციან შენ უთ მ ჰ ა ნ „ლმერთმა არ დავლოცოს“ და სხვ. ჩვენ ყველა აქ წარმოდგენილი მაგალითი კონიუნქტივით ვითარგმნეთ, სხვანაირად და მოხერხდა. მათი თარგმნა საერთოდ არ შეიძლება. მეორე პირი, როგორც S-ად ისე O-ად არარეფლექსურს ზმნაში, წარმოადგენილია.

გარდამავლებში ექცევა დანარჩენი დინამიკური ზმნები.

გარდამავალი ზმნებისათვის არსებითია პირდაპირი დამატების ქონა. ერთი და იგივე ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც; ამას წყვეტს პირდაპირი დამატება, მაგალითად:

ა ც ე ა ლ ტ ა რ ა

დ-ცაღტრმტ—ხნავს (აღამ.), ხენას ეწევა (გარდაუვ.)
 ი-ი-ცაღტრმტ—ხნავს რალაცას ის (ქ.) (გარდამავ.)
 დ-ძახტრმტ—კერავს საერთოდ (აღამ.), კერავს, მკერაობას ეწევა (გარდაუვ.)

ი-ლ-ძახტრმტ—კერავს ქალი რალაცას (გარდამავ.)
 დგ-ზრმტ—იგი (აღამ.) წერს საერთოდ, „მწერაობს“ (გარდაუვ.)
 ი-ლგ-ზრმტ—იგი (ქ.) წერს რალაცას (გარდამავ.).

შესაძლოა სხვანაირადაც გაუჩნდეს ზოგ ზმნას პირი, მაგრამ ეს ვერ მოგვეცემს გარდამავლობას, მაგ.:

ს-ტორმტ—ვეჯდები ატოარა—ჯდომა
 სგ-რ-დ-ტოალომტ—მას (ვ.) მიეუჯდები გვერდით. ა-დ-ტოალარა მიჯდომა

დგფსტრმტ—კვდება (აღამ.) აფსრა—სიკვდილი
 დღლ-ც-უფსტრმტ—მას (ქ.) უკვდება (აღამ.) აცოფსრა—გამოცლა, ვისთვისმე მოკვდომა
 დ-წაატრმტ—ეკითხულობს, ეკითხავს (აღამ.) აწაარა—შეკითხვა
 დ-ლგ-ზ-წაატრმტ—ეკითხება იგი (აღამ.) მას (ქ.) აზწაარა „სხვისთვის“ შეკითხვა.

ამ უქანასკნელებში გაჩენილი პირები არ არის პირდაპირი ობიექტის პირები. პირდაპირი ობიექტის პირი კი აუცილებელია გარდამავლობისათვის, ოღონდ ესეც გაგებული არა ზოგადი შინაარსის თვალსაზრისით, არამედ გრამატიკულად: იგი სახელობით ბრუნვის შინაარსს უნდა ჰგუობდეს. რადგანაც სხვა ენის პირდაპირი დამატება შესაძლოა სულ სხვანაირად იქნეს დავასებული აფხაზურში. ამისათვის ამოსავალია თვით აფხაზური ზმნის ფუძე. ასე. მაგალითად, ზმნები „გათაყვება“ (აღვარა) და „დაწყება“ (აღვარა) მოსალოდნელია გარდამავლები იყვნენ, მაგრამ აფხაზურ ნიადაგზე არც ერთი და არც მეორე გარდამავლობას არ იძლევა. არ იძლევა მიტომ, რომ ზმნის ფუძე გათაყვება-დაწყებას კი არ გადმოგვეცემს რისამე, არამედ „საქმეში შესვლას“ და „საქმიდან გამოსვლას“; მათ არ უხერხდებათ პირდაპირი ობიექტი¹.

პირის ნიშანთა ერთიანობის პირობებში პირდაპირი-არაპირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირთა გარკვევა პირის ნიშანთა ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული. თავის მხრივ, პირის ნიშანთა თანამიმდევრობაში გასარკვევად და ზმნის გარდამავლობის გამოსაცნობად მნიშვნელოვანია პ ი რ ი ს ნ ი შ ა ნ თ ა

¹ ამ ზმნათა შესახებ—ცალკე.

ფონეტიკურად ცვლილი ვარიანტები, მათი განკვეთილ ფუნქციებში მოქცევის წესი, ზმნათა ფუძეების აღნაგობა და წართქმითი ბრძანებითის წარმოება.

II. გარდამავალი ზმნის კონსტრუქციისათვის.

აფხაზური გარდამავალი ზმნის შესახებ მსჯელობაში ძირითადად კონსტრუქციის საკითხი იდგა. ამ კონსტრუქციით დაინტერესებული იყვნენ, როგორც აფხაზურისა და კავკასიური ენის სპეციალისტები, ისე პირებიც, რომელთაც ზოგადად იზიდავს პრობლემა. ერთნიცა და მეორენიც, თითქმის უგამონაყლისოდ, ერთ დასკვნამდე მიდიოდნენ და ეს დასკვნა იყო: აფხაზური გარდამავალი ზმნა პასიური კონსტრუქციისაა.

არსებითად საწინააღმდეგო თვალსაზრისია წამოყენებული არნ. ჩიქობავას ხსენებულ ნაშრომში ზოგადად კავკასიურ ენების შესახებ და, კერძოდ, აფხაზურის შესახებაც, სადაც გარდამავალი ზმნის პასიურობაცა და აქტიურობაც უარყოფილია მისი ნეიტრალურობით.

იქვე დასაბუთებულია აფხაზურ გარდამავალ ზმნაში ერგატიული კონსტრუქციის არსებობა.

იე. მეშჩანინოვი აფხაზურ გარდამავალ ზმნაში ერგატიული კონსტრუქციის დასაწყის სტადიას ხედავს (იხ. მისი, „Новое учение о языке“ 1936 წ., გვ. 166).

აფხაზური გარდამავალი ზმნის პასიურად მიჩნევას სათავე ჰ. შუხარდტის ცნობილი ნაშრომით: — „Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen“ (1995)—დაედო. შემდეგ იგი გაზიარებულ იქნა სხვა მკვლევართა მიერაც.

ჰ. უსლარს თავისი შეხედულება აფხ. გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ არ გამოუთქვამს. საკვირველია, რომ ამ კონსტრუქციის პასიურობის მომხრენი უსლარს თავიანთ თანამოაზრედ აცხადებენ. ეგების, აფხაზურ ენას სხვა კავკასიურ ენათა შესწავლის შემდეგ რომ გასცნობოდა უსლარი, მასაც იგივე აზრი გამოეთქვა, მაგრამ ფაქტის არის, რომ ამ საკითხის შესახებ მას სიჩუმე დაუცავს, და ეს ეგებ არც შემთხვევითი იყოს.

თავს იქერს ამ კონსტრუქციის ინტერპრეტაციისაგან აღ. დირიც (Einführung, გვ. 75).

მკვლევართა ერთი ჯგუფი—ჰ. შუხარდტი, გ. დეეტერსი, იე. მეშჩანინოვი, კაცნელსონი... მასში პასიურობას ხედავენ. მიზეზი ასეთი შეხედულებისა ინდო-ევროპულ ენათა ზმნაში მარხია. ხსენებული მკვლევარებიც გამოდიან იმ გაგებიდან, რასაც ინდო-ევროპულ ენათა ზმნა იძლევა. მათში კი გარდამავალი ზმნისათვის ამოსავალი სუბიექტის სახელობითი ბრუნვაა და პირდაპირი ობიექტის აკუსატივი. სხეანაირი სუბიექტი მათ არ იციან, ამიტომაც, თუ კავკასიურ ენებში გვხვდება გარდამავალი ზმნა, აქაც სუბიექტი სახელობითს ბრუნვაში უნდა ვეძიოთ. კავკასიურ ენებს კი თითქოს გარდამავალს ზმნაში სუბიექტი ე. წ. ერგატივის (მოთხრობითის) ბრუნვაში გააჩნიათ. ერგატივი სახელობითი არ არის, მასში დასმული პირიც არ იქნება სუბიექტის პირი, მამასაღამე, კონსტრუქცია პასიურია.

აქედან პროექცია ეშვება, თუმცა უბრუნვო, მაგრამ სუბიექტისა (გარდაუვალში) და პირდაპირი ობიექტისათვის ერთნაირი ნიშნის მქონე აფხაზურ ზმნაზედაც.

გარდამავალი ზმნის პასიურობის დებულება რომ იქნეს წამოყენებული, ორი პირობა მაინც უნდა იყვეს დაკული: ან შინაარსით უნდა გვაძლევდეს ასეთი ზმნა პასიურობას, ან ფორმით უნდა იყოს ეს გამოხატული. შინაარსის მიხედვით არ შეიძლება აფხაზური გარდამავალი ზმნა პასიური ბუნებისად ჩავთვალოთ. საკვირველი ის არის მხოლოდ, რომ ამას მხარს უჭერენ აფხაზი სპეციალისტებიც, რომელთათვისაც ხსენებულ ზმნათა არაპასიურობა აგრე რიგად ნათელი უნდა იყოს. არა თუ ამ შემთხვევაში, აფხაზურ ზმნას საერთოდ აცუქირს პასიური შინაარსის გადმოცემა. სამართლიანობა მოითხოვს აღენიშნოთ, რომ ერთ-ერთი ასეთი სპეციალისტი შენიშვნაში მაინც ამბობს: „Die Beispiele der transitiven Zeitwörter werden hier in der aktiven Konstruktion übersetzt, wie es eben der jetzige Abchase versteht“¹. ცხადია, ამ კონსტრუქციის შინაარსით პასიურობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ამას ადასტურებს ბრძანებითის წარმოებაც. სუბიექტის პირად რომ ამ ზმნებში პირველ ადგილას არსებული პირი იყარაუდებოდეს, მაშინ ხომ ბრძანებითის ფორმაც მას გაუჩნდებოდა. რაჟ-კი არ იქნებოდა „ჰამე რალაც“, არამედ *ჰუ-ა-ჟ „შეგკამოს რალაკამ“, რაც წარმოუდგენელია. ბრძანებითით მიმართავენ სწორედ შინაარსით სუბიექტის პირს.

ახლა ფორმალურ მხარეს რაც შეეხება, პასიურობის მომხრეთა მთელი არგუმენტაცია იმ გარემოებას ემყარება, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტური ნიშანი არ ემთხვევა გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ნიშანს, არამედ ე. წ. პირდაპირი ობიექტისას. მაგალითად, დე-გგლომტ — „დგება ის (აღამიანი)“ აქ III პ. მხ. რიცხვის სუბიექტის ნიშანი აღამიანთა კლასისათვის დ-ა, ასევეა იგი ფორმაში დე-ს-ჰუ-ქ-მტ — „ვკლავ მას (აღამ.)“². ამ გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის დ-ნიშანი შეხვდა გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ნიშანს. მაშასადამე, აქაც იგი ობიექტს კი არ უნდა გადმოსცემდეს, არამედ, სუბიექტს. აქედან გარდამავალი ზმნა პასიური კონსტრუქციისაა².

¹ Яфетический сборник, т. VI: Die passive Konstruktion des abchasischen Verbums. გვ. 207, შენიშ. 2.

² ამავე არგუმენტაციას ემყარება სრულიად განსხვავებული დასკვნის შემცველი დებულება, რომელიც ე. შ. შ. ი. ლ. ტ. მ. წამოაყენა (იხ. მისი ნაშრომი „Zum Konjugationssystem des Abchasischen“, — Studia Orientalia, I Helsingforsiae, 1925, გვ. 242—252). მისი აზრითაც ყველა აფხაზურ ზმნაში დ (და მისი რიგის პირის ნიშნები) სუბიექტს გადმოგვეცემს, ამიტომაც ყველა ეს ზმნა არის ინდო-ევროპულ ენათა გაგებით გარდაუვალი. გარდამავალ ზმნას აფხაზურში ადგილი არა აქვს. რაკი აფხაზურს გარდამავლობის კატეგორია არ გააჩნია, მას არც აქტიუ-პასივის კატეგორია შეიძლება ჰქონდეს.

თავის თავად საყურადღებო ეს უკანასკნელი დასკვნა სრულიად მცთარ საფუძველზეა აღმოცენებული. როგორც აქ მოყვანილი საბუთიანობით დავრწმუნდით, აფხაზურისთვის გარდამავლობის კატეგორიის არსებობა ფაქტია. აქტიუ-პასივის უქონლობამ გარდამავლობის უარყოფამდე კი არ უნდა მიგვიყვანოს აფხაზურში (თუმცა აქტიური პირუქუ ჩადას: ჯერ ვარაუდობს, რომ გარდამავლობა არ არსებობს აფხაზურში და ამ ნიადაგზე უარყოფს პასიურობასაც და

მართალია, გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ნიშანს გარეგნულად ემთხვევა გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ნიშანი, მაგრამ აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ აქაც ეს სუბიექტის გადმომცემიაო. არ ხერხდება. არ ხერხდება იმიტომ, რომ ენაში ჩვეულებრივია ერთი ერთი და იმავე აფიქსის სხვადასხვა ფუნქციით გამოყენება.

აფხაზურის ეს მდგომარეობა ბრუნვის მქონე ენაზე გადათარგმნილი ნიშნავს, რომ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი დგას სახელობითს ბრუნვაში და აგრეთვე გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი დგას სახელობითს ბრუნვაში; ამ უკანასკნელის სუბიექტი კი ერვატივითაა წარმოდგენილი. აფხაზურს რომ ბრუნების სისტემა ჰქონოდა, სწორედ ასეთ სურათს მოგვეცემდა. ასეთ სურათს იძლევა კიდევ ბრუნვის მქონე ადიღურ ენათა ზმნა.

ქალწ-რ მათხა-ბავშვი წერს

ქალწ-შ თხჯღ-გრ მათხა ბავშვი წიგნს წერს.

ამ უკანასკნელის ზუსტი თარგმანი უნდა ყოფილიყო: „ბავშვა წიგნი წერს“, ქართულშიაც ხომ სუბიექტის ბრუნვა ემთხვევა პირად. ობიექტის ბრუნვას.

ახლა არა ბრუნვიდან, არამედ პირის ნიშნებიდან რომ გამოვიდეთ. სხვა ენებს რომ თავი დავანებოთ, იმავე აფხაზურში განა ჩვეულებრივი არ არის ერთი და იმავე პირის სუბიექტად და ობიექტადაც წარმოდგენა?! ხსენებული დებულების პრინციპი რომ განგვევრცო, I-სა და II პირს ისინი ობიექტად ველარსად ნახავდენ: ისჯოჯტ-შიც-„რალაცას ექამ“. ს სუბიექტი უნდა ყოფილიყო და სჯოჯტ-შიც-„მე მქამენ“—და სხვ.

ღ-, ი- (მხოლ.) ი- (მრ.) გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტის ნიშნებს წარმოადგენენ და გარდამავლებთან—პირდაპირი ობიექტისას ისევე, როგორც ქართულსა და ადიღურს ენებში სახელობითი ბრუნვა სუბიექტის ბრუნვაც არის და ობიექტისაც.

აფხაზური გარდამავალი ზმნის კონსტრუქციაში გარკვევისათვის, ზემოთ განხილული საყურადღებო მომენტების გვერდით, არსებითია ზმნის ფუძის მნიშვნელობის საკითხი, რომელიც არნ. ჩიქობავას ზემოხსენებულს ნარკვევში იყო დასმული და რომლის მიხედვითაც ეს მნიშვნელობა ნეიტრალურია.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ აფხაზურში დაპირისპირება ენებით-მოქმედებითი გვარებისა არ ხერხდება. წარმოუდგენელია აფხაზურში იმ ენებითი შინაარსის მოცემა, რომელსაც სხვა ენები ახერხებენ. ამსოლუტურად შეუძლებელია: კეთდება, იყოფა, შენდება. იწერება, იბეჭდება და სხვ. მით უმეტეს, შეუძლებელია ორპირ-გამოხატული RS-ის შემცველი ფორმები—„მის მიერ კეთდება“ და სხვ.

ერთად ერთი, რაც აფხაზურმა თითქოს ენებითი შინაარსით შეიძლება აწარმოოს, სტატიკური ფორმაა—დაწერილია—იჯგუპ, გაკეთებულია არ გამოდის თვით აქტიურობისა და პასიურობის არარსებობის ფაქტიდან), არამედ ამ გარდამავლობის სპეციფიკური ბუნების გამომჟღავნებამდე.

გ. შმიდტის ზემოხსენებულ ნაშრომში წამოყენებულ დებულებებს უფრო ვრცლად ცალკე შევხებით.

იყაწრუპ, გაყოფილია — ეძგჷშოლუპ¹, მაგრამ არავითარი ნიშნით არც ესენი ენებითობას არ გვაძლევენ. თუ მათ ენებითად ჩათვლიდით, მაშინ ენებითადვე უნდა მიგვეჩნია ნომინალური ძირებისაგან ნაწარმოები შედგენილი შემასმენელიც:

დხაწოლუპ — კაცია (ახაწა)
 დგფჷგსლუპ -- ქალია (აფჷგს)
 იბზროლუპ კარგია რალაც (აბზრა)
 იღტლუპ --- დიდია „ (აღტლუ) და სხე.

არავითარი სხვაობა წარმოების მიხედვით მათ შორის არ ჩანს, ამასთანავე დაკავშირებული სწორედ გვარების საკითხიც აფხაზურში.

აფხაზური ენის პირველ სერიოზულ მკვლევარს ყრუდ გამოთქმული აქვს შემდეგი მნიშვნელოვანი დებულება: Страдательного злoгa, пoвиднoмy, нoнцe нeт в афхaзскoм языкe² (ხაზი ავტორისაა—ქ. ლ.), რაც განმეორებული აქვს შემდეგ შიფნერსაც: Ein Passivum besteht nicht³ და რასაც შემდეგ სადაოდ ხდის პ. შუხარდტი⁴.

ჩვენ გვგონია, უსლარის ზემოხსენებულს დებულებაში საკმაოდ ბევრია მოცემული იმისათვის, რომ მას აფხაზური ზმნა პასიური კონსტრუქციისად არ მიეჩნია. ამიტომაც ეთვლიდით მის მღუპარებას აფხაზური ზმნის კონსტრუქციის შესახებ არაშემთხვევითად.

უსლარმა აფხაზური ზმნები გვართა მიხედვით ორ ჯგუფად დაყო. ესენია: მოქმედებითი გვარის ანუ ტრანზიტიული ზმნები და საშუალო გვარის ანუ ინტრანზიტიული ზმნები (იხ. გვ. 43, 46).

ამ შემთხვევაში უსლარი ვერ თავისუფლდება მისთვის ცნობილ ენათა ზმნის შინაარსისაგან.

¹ ესა და მსგავსი საკითხები სპეციალურს შესწავლას მოითხოვს აფხაზურში. აქ—მხოლოდ გაკვრით.

² ხენ. ნაშრომი, გვ. 61, § 48.

³ Abchasische Studien, გვ. 24, § 43.

⁴ შუხარდტი წერს: Schifner § 43 macht die von Fr. Müller S. 56 wiederholte Bemerkung, dass das Abchasische kein Passiv kenne, dass man den Satz „ich werde von meinem Vater geliebt“ ausdrücken müsse: „mein Vater liebt mich“, streng genommen ist... die Sache gerade umgekehrt: das abch. mein Vater ich-er-lieb „entspricht nicht sowohl dem letzteren als dem ersteren Satze (იხ. ხენ. ნაშრ. გვ. 6)

უნდა შევნიშნათ, რომ უსლარის მიერ მოყვანილი საილუსტრაციო მაგალითი ენებითობის არ არსებობისათვის აფხაზურში „სარა საბ ღუსთახუპ“, რომელსაც შემდეგ შიფნერი, შუხარდტი და კაცენელსონი ემყარებიან და რომელსაც ეს ორი უკანასკნელი სრულიად საწინააღმდეგო დებულებისათვის იყენებენ, არ არის თავის ადგილზე. მისი საშუალებით არც პასიურობის დამტკიცება მოხერხდება და არც აქტიურობისა, რადგანაც „ღუსთახუპ“ სიტყვა-სიტყვით: იგი (აღამ). „მინდა“ მათ ესმით რუს. „я ero ахана“—და და, მაშასადამე, მოქმედებით გვარად მიიჩნევენ. აფხაზურში ასეთი გვარის არსებობის პირობებშიაც „ღუსთახუპ“ მისი წარმომადგენელი ვერ იქნება. იგი გარდაუვალი ზმნა არის.

მხოლოდ პირის ნიშანთა თანამიმდევრობამ უსლარი კვლავ შეიყვანა შეცდომაში.

როგორც ვიცით, მოქმედებითი გვარი საპირისპირო ცნებაა ვნებითი გვარისა. ვნებითი გვარი კი უსლარის მიხედვითაც არ ჩანს აფხაზურში. მაშასადამე, მასში არც სათანადო მოქმედებითს გვარს უნდა ვეძებდეთ.

მოქმედებითად, ვნებითად და საშუალო გვარად აფხაზურ ზმნებს ვერ დავეყოფთ.

მოქმედებითობა და ვნებითობა რომ არ არის აფხაზურში მკვეთრად გამოიჯნული, სწორედ ამის გამოა, რომ იქ მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღობებს ვერ ვიღებთ. მსგავსი ფორმები მხოლოდ საურთიერთო ნაცვალსახელის მნიშვნელობას იძლევიან. აღსანიშნავია, რომ მათს ნიშნებში ისეთივე შეფარდება მყარდება, როგორც პირის ნიშნებში გვექნადა.

მიმღობები ამ სახისაა:

ბ-ცო ---ის, რომელიც მიდის (მივდივარ, მიდიხარ...)

ბ-ყოუ ---ის, რომელიც არის (ვარ, ხარ...)

ბ-სშეა ---ის, რომელსაც ვკლავ (ვკლავ...)

ღ-ზ-შეა ---ის, რომელიც კლავს მას (აღამ. ვკლავ...)

ღ-ზ-გუაფხო ---ის, რომელსაც უყვარს, მოსწონს ის (აღამ.) (მომწონს, მოგწონს...) და სხვ.

აქტიურობისა და პასიურობის საკითხი ამ ფორმებში მოხსნილია.

აფხაზური ცდილობს ჩამოაყალიბოს მაინც ფორმები *nomen agentis* და *nomen patientis* გამოხატველი. ამისათვის ზმნის ფუძეს პირველ შემთხვევაში ურთავს ადამიანობის გამოხატველ ვ სუფიქსს და მეორე შემთხვევაში კუთვნილების -ჴ სუფიქსს ვიღებთ:

აყაწაჯ — მკეთებელი, კეთებ(-ის) კაცი.

აყაწატი — გასაკეთებელი — გაკეთებისა და სხვ.

ეს მოვლენა ახალ ფეხადგმული ჩანს და ყველა ზმნაში ჯერაც ვერ გატარებულა, თანაც გარდამავლობას ის მაინც ვერ დაუკავშირდება.

აფხაზურ ზმნათა დაყოფა თუ ხდება, ხდება მათი მდგომარეობისა და მოქმედების მიხედვით სტატიკურ და დინამიკურ ზმნებად.

გარდამავალი ზმნა რეზერვს დინამიკური ზმნებისაგან იღებს. დინამიკური ზმნა გარდაუვალიც ჩვეულებრივი მოვლენაა. სტატიკური ზმნა კი ყველა გარდაუვალია. აქვე შემოდის ე. წ. შედგენილი შემასმენელიც.

სტატიკური ფორმა შეიძლება მიიღოს დინამიკურმა ზმნამაც. მაგალითად, იყაწოუპ — „გაკეთებელია რალაც“ იმისდა აღუნიშნელად, თუ ვის მიერაა გაკეთებული. კაუზატიური სამპირიანი ზმნებიდან ასეთ შემთხვევაში ორი პირიც იქნება გამოხატული, მაგრამ სუბიექტი არც მაშინ ჩანს, მაგალითად, იღ გ-რ ყაწრ უპ „გაკეთებინებელია რალაც მათგან“. აქ მოცემულია პირდ. ობიექტისა და მოქმედების შემსრულებლის პირი; სუბიექტი — არაა.

დინამიკურს ზმნაში, თუ ის ნასახელარია, თითქოს ხერხდება ვნებითურად და მოქმედებითურად დაყოფა ფორმებისა.

სახელის დინამიკურ ზმნად გადაქცევისათვის საჭირო ხდება მადინამიკურ-ბელი -ხა სუფიქსის დართვა, რომელიც ქართულად გადმოთარგმნილი დ-თი ნაწარმოები ვნებითის შინაარსს მოგვცემდა.

ამავე ზმნებს მეორე -ტო სუფიქსი გააჩნიათ დინამიკურობისათვის, რომელიც აგრეთვე დინამიკურობის გარდა იძლევა იმის გაგებასაც, რომ ამ მოქმედებაში სხვა პირი ურევია. ასე მაგ.:

აბზჩა—კარგი

დგბზოუპ—კარგია ის (აღამ.)

დგბზჩა-ხოტრ—კარგდება ის (აღამ.)

დგბზჩას-ტოუჟეტ—ვაკარგებ, ვაკეთილებ მას (აღამ.).

ეს—ტო თავისი მათქმურებელი ფუნქციით იმასვე აწარმოებს სახელებში, რასაც კაუზატივი ზმნებში (კაუზატივის რ სახელებშიაც შეიძლება იყოს გამოყენებული).

-ხა და -ტო თითქმის ისეთსავე შეპირისპირებას გვაძლევს ნასახელარ ზმნებში, რასაც გარკვეული ზმნების ფუძის ნაწარმოებლები —ლა, -წ... ერთი მხრივ, და -წა, -ხ..., მეორე მხრივ (იხ. აქვე გვ. 13).

დგბზჩა-ხოტრ—ში გარდაქცევითობაა მოცემული. სხვა ვნებისათვის და მახასიათებელი ვნებითობა აქაც არ ჩანს მკვეთრად.

მაშასადამე, ჩამოკვეთილი სახით ვნებითი გვარი აფხაზურ ზმნას არ მოეპოება. თუ იგი სადმე ამ შინაარსს გადმოგვცემს, იქაც შეზღუდულია „მდგომარეობითი“ ვნებითით; საკუთარი ფორმები მას არც ამისათვის გააჩნია.

ვნებითის საპირისპირო მოქმედებითი გვარიც არ უჩანს აფხაზურს. არავითარი ფორმა გვარისათვის მას არ მოეპოება. ფუძის მნიშვნელობა კი არც აქტივს იძლევა და არც პასივს, იგი ნეიტრალურია. ჩამოთვლილ გვართა ნაცვლად თავისი ფორმით აფხაზური ზმნები სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა სახეებს გვაძლევს. ამ თვალსაზრისით, როგორც შინაარსი, ისე ფორმა მკვეთრად განსხვავებული ზმნათა მიხედვით.

К. В. ЛОМТАЛИДZE

КАТЕГОРИЯ ПЕРЕХОДНОСТИ В АБХАЗСКОМ ГЛАГОЛЕ

(РЕЗЮМЕ)

Категория переходности и непереходности свойственна и абхазским глаголам; но не всякий глагол, действие которого распространяется на другой предмет, может быть переходным.

Для переходности в абхазском языке глагол должен иметь т. н. прямой объект, т. е. такой объект, который подразумевается в именительном падеже.

Имя в абхазском языке не изменяется по падежам.

Синтаксическое взаимоотношение между именами и глаголами выражается с помощью личных аффиксов.

Абхазский язык имеет два ряда морфологически различных личных аффиксов только для третьего лица. Один ряд различает только классы (класс „человека“ и класс „ншей“), а другой — те же классы, но в классе человека выделяются также и роды (мужеский и женский).

Личные аффиксы одного ряда выражают субъект непереходного глагола и прямой объект переходного глагола. Личные же аффиксы другого ряда — субъект переходного глагола и косвенный объект (они же выражают отношения принадлежности и субъект единственного непереходного вспомогательного глагола „быть“).

Местоположением этих двух рядов личных аффиксов определяются в глаголе субъект и объект, т. е. определяется переходность и непереходность глаголов.

В непереходном глаголе субъект стоит на первом месте, а косвенный объект, если таковой имеется, — на втором.

В переходном глаголе прямой объект стоит на первом месте, а субъект — на втором, если глагол двухличный. В трехличных же переходных глаголах на первом месте опять-таки ставится прямой объект, на втором месте — косвенный объект, а на третьем — субъект.

Такой последовательностью личных аффиксов точно определяется переходность и непереходность, но необходимо выяснить, что именно мы должны считать субъектом и что — объектом, ибо даже и в третьем лице, где мы имеем два ряда различных личных аффиксов, субъективный аффикс переходного глагола совпадает с аффиксом косвенного объекта, с одной стороны, субъективный аффикс непереходного глагола совпадает с аффиксом прямого объекта переходного глагола, с другой стороны.

Напр. ღ-ღბ-ჰჳღ d-a-s-ḥup „держу его“ точнее: „находится“ (у меня в руках) (челов.) — непереходный глагол; ღ-ღბ-ჰჳღღ d-a-s-ḥ-wēj̄t „ловлю его“ (челов.) „задерживаю его“ (челов.) переходный глагол.

В этих условиях переходность глаголов может быть установлена следующими способами:

1. *Способ озвончения субъективных аффиксов (в I лице единств. и множеств. чисел и во II лице множественного числа) в глаголах, основа которых начинается звонкими согласными.*

Если в глаголе, основа которого начинается звонким согласным, наблюдается озвончение личных аффиксов I лица как единственного, так и множественного чисел и аффикса II лица множественного числа, то глагол безусловно является переходным. Напр., ი-ზ-გოღ i-z-goj̄t — „несу что-то“ (переходн.) сравн. ი-ბ-გუღბღღ i-s-gwarxoj̄t — „нравится мне что-то“ (непереходн.).

2. *Способ включения субъективных аффиксов внутрь основы в глаголах, имеющих сложную основу.* Если глагол имеет сложную основу и в то же время является переходным, субъективный аффикс включается внутрь основы, напр.: *ი-ყა-ს-წოღტ* *i-qa-s-çójt* — „делаю что-то“ (переходн.) *ср.* *ი-ს-გუბტყოღტ* *i-s-gwârchojt* „иравится мне что-то“ (непереходн.).

3. *Способ образования положительной формы повелительного наклонения.* Если глагол переходный, то при образовании положительной формы повелительного наклонения аффикс II субъективного лица единственного числа опускается. Напр.: в *изъявит. наклон.* *ი-უ-გრღტ* *i-u-gójt* „ты (муж.) несешь что-то“, *ი-ბ-გრღტ* *i-b-gojt* „ты (жен.) несешь что-то“; в *повелит. наклон.* *ი-გ-ა!* *i-gá* „ты (не различая рода) носи что-то“!

Сравни непереходный глагол:

в *изъявит. накл.* *უ-ცოღტ* *u-sojt* „ты (муж.) идишь“

ბ-ცოღტ *b-sojt* „ (жен.) идишь“

в *повелит. накл.* *უ-ცა!* *u-sá* „ты (муж.) иди!“

ბ-ცა! *b-sá* „ (жен.) иди!“ и т. д.

Почти все исследователи абхазского языка признают абхазский переходный глагол по своей структуре пассивным.

В противоположность такому пониманию А. С. Чикобана выдвигает положение о *нейтральном* характере основы переходных глаголов в кавказских языках (см. по этому поводу доклад „К проблеме эргативной конструкции: стабильный и лабильный варианты этой конструкции“. Доложено на I сессии Груз. Филвала АН СССР 28.IX.39 г.).

Сторонники пассивности переходного глагола основывались на том факте, что субъективный аффикс непереходного глагола (напр. *ღ-ცოღტ* *d-sojt* „он [челов.] идет“) совпадает с аффиксом прямого объекта переходных глаголов (ср. *ღ-ს-შუჭღტ* *d-s-šwçjt* „я его [чел.] убиваю“). Если этим аффиксом в непереходных глаголах передается субъект, то тот-же аффикс должен передавать субъект и в переходных глаголах, поэтому, заключают они, абхазский переходный глагол пассивной конструкции, ибо *ღ-ს-შუჭღტ* *d-s-šwçjt* не значит „я убиваю его [чел.]“, а „он [чел.] убивается мною“.

Совпадение аффиксов субъекта переходных глаголов и прямого объекта непереходных глаголов в абхазском языке такое же явление, какое имеется в грузинском и адигейских языках. В этих языках одним и тем же надежом передается, как субъект непереходного глагола, так и прямой объект переходного глагола.

Абхазский переходный глагол, повидимому, нейтральной природы поэтому то в абхазском языке не различаются действительный и страдательный залоги, известные нам из других языков.

В абхазском языке глаголы делятся на статические и динамические, но эти категории не связаны с различением переходных и непереходных глаголов.

არს. ჩიობაჲ

ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში *

განხილვის საგანს წარმოადგენს არა ყველა ნაცვალსახელი, არამედ ყველაზე დამახასიათებელი; ვგულისხმობთ: 1. პირთა ნაცვალსახელებს, 2. ჩვენების ნაცვალსახელებს, 3. კითხვითს ნაცვალსახელებსა და 4. უკუქცევითს ნაცვალსახელებს.

ბრუნების გათვალისწინებისათვის აღებული გვექნება მხოლოდ ძირითადი ბრუნვები—მხოლოდობითსა და მრავლობითში.

ჯერ კიდევ პ. უსლარმა ხუნძურში გამოყო—და სამართლიანადაც—ოთხი ბრუნვა, როგორც ძირითადი; ეს ბრუნვებია: სახელობითი, ერგატივი (მოთხრობითი), ნათესაობითი და მიცემითი.

პ. უსლარის წერილში ა. შიფნერისადმი, რომელსაც თარიღად უზის 24 აპრილი 1864 წ., ვკითხულობთ: „წარმოგიდგენთ ჩემ მიერ გამოძებნილ ბრუნების სისტემას, რომელიც მეტად კარგად უდგება ყველა მთის-ენებს და რომელმაც დიდად გამიადვილა ჩემი მეცადინეობა. ვფიქრობ, გამოვიყენოს ჩაჩნური ენისთვისაც, თუ კვლავ მომიხდება მასზე მუშაობა“ (იხ. П. Услар: „Лакский язык“, Тифлис, 1890, წიგნის თავში დართული წერილები პ. უსლარისა ა. შიფნერისადმი, გვ. 27). შემდეგ ნაჩვენებია ზემოხსენებული ოთხი ბრუნვა და ლოკატივების ხუთი წყება¹.

ნაცვალსახელთა ბრუნების გათვალისწინებას საჭიროა წარემძღვაროს ნაცვალსახელთა შედგენილობის შესახებ შემდეგი ცნობები:

1. ხუნძურში მესამე პირის ნაცვალსახელს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან გარჩეული საკუთარი სიტყვა გააჩნია: ღო-უ—ის (იხ)...

2. მესამე პირის ნაცვალსახელს ორი ვარიანტი დაერთვის: ღო-უ და ღ'ო-უ. პირველი აღნიშნავს მესამე პირს, რომელიც მოლაპარაკესთან შედარებით დაბალ ადგილას იმყოფება; მეორე—მესამე პირს, თუ ის უფრო მაღალ ადგილზეა, ვინემ მოლაპარაკე. ამრიგად, გორაკზე მდგომი თუ ლაპარაკობს გორაკის ძირას მდგომი მესამე პირის შესახებ იტყვის: „ღო-უ“-ს, თუ პირუკუ შემთხვევაა. „ღ'ო-უ“-ს; ღო-უ—სივრცის თვალსაზრისით ნეიტრალურია: სხეობა ამ მხრივ მოლაპარაკესა და მესამე პირს შორს არაა.

* წაკითხულია მოხსენებად ვნიშვი-ის კავკასიურ ენათა განყოფ. სხდომაზე 19.X.1939.

¹ ოდნავი ცვლილებით ეს სქემა გამოვრებული აქვს ლ. შირკოვს თავის შრომაში: „Грамматика аварского языка“, Москва, 1924.

3. ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ა-უ, ჰა-უ—„ეს“ და ე-უ, ჰე-უ—„ის“, მკვეთრი განსხვავება ა-უ და ჰა-უ-ს შორის არა ჩანს.

4. ჰა-უ—ნაცვალსახელის ფუძე შეიძლება დაერთოს მესამე პირის ხსენებული ნაცვალსახელების ძირს და მოგვეცეს:

ჰა-ლა-უ, ჰა-ლა-უ, ჰა-ლ'ა-უ—ჰე-ღე-უ, ჰე-ღეუ, ჰე-ლ'ეუ—„აი ეს“... „აი ის“ (შღრ. მეგრ. ა-თენა—ე-თინა)...¹

5. როგორც ჩვენებითი, ისე მესამე პირის ნაცვალსახელი, აგრეთვე უკუქცევითი ნაცვალსახელი, იცვლება კლას-კატეგორიათა მიხედვით:

ღო-უ, ღო-ღ, ღო-ბ — ის (ОН, ОНА, ОНО);

ჰა-უ, ჰა-ღ, ჰა-ბ — ეს (ЭТОТ, ЭТА, ЭТО);

ჟი-უ, ჟი-ღ, ჟი-ბ — თვითონ (САМ, САМА, САМО).

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები კი კლას-კატეგორიას არ განასხვავებენ:

ღუნ—მე; მუნ—შენ; ნიჟ || ნილ'ჟ ჩვენ; მუჟ ---თქვენ...

6. კითხვითი ნაცვალსახელები ვინ? რა? ერთსა და იმავე ფუძეს იყენებს და კლას-კატეგორიათა მიხედვითღა ვაირჩევთ:

ში-უ? ვინ? (მამაკაცი: I კლ.-კატ. ნიშნით);

ში-ღ? ვინ? (ქალი: II კლ.-კატ. ნიშნით);

ში-ბ? რა? (საგნები: III კლ.-კატ. ნიშნით)².

7. პირველი პირის ნაცვალსახელი მრავლობითში ორი სახისაა:

ექსკლუზიურისა — ნიჟ — მე და ის (|| ისინი);

ინკლუზიურისა — ნილ'ჟ — მე და შენ (|| თქვენ)...

ნაცვალსახელთა ბრუნების განხილვისას ჩვენთვის ამოსავალი იქნება ჩრდილო-ბუნძური ფორმები, რაიც იმავე ღროს სამწერლო ხუნძურ ფორმებს ხვდება მეტ-წილად, შემდეგ მოცემული იქნება დიალექტური ვარიანტები, რამდენადაც ისინი ამჟამად ხელმისაწვდომია.

უკელაზე მარტივია ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და მესამე პირის ნაცვალსახელთა ბრუნება. აქ მხოლოდობითში გარჩეულია სამი გრამატიკული კლასი ისევე, როგორც ზედსართავებსა და მიმღობებში, მრავლობითში სამივე კლასს საზიარო ფორმა აქვს.

პირველი კლასის ნიშანია—უ, მეორისა —ღ, მესამისა—ბ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია —ულ, მიცემითისა — ე, რომელსაც წინ

¹ ნაცვალსახელთა ვარიანტების შესახებ იხ. П. Устар: «Аварский язык», Тифлис, 1889, §§ 38--94. გამსაკუარებით § 93, 94.

² შღრ. მეგრ.-ჰან. შინ—ვინ“, მუ—რა“ და ქართ. ვინ—რა; სვან. აპრ — ვინ“, მამ — რა“.

ქართულსა და სვანურში მეორეული ვითარებაა წარმოდგენილი. მეგრულ-ჰანურში—უწინარესი, რამდენადაც შინ—ვინ“ და მუ—რა“ ერთი და იმავე ფუძის ვარიანტებს წარმოადგენენ.

უძღვის (დასაკეშირებელი) ი ხმოვანი და ჯ (ამ უკანასკნელის შესახებ იხ. ქვ.)¹.

ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვა იწარმოებიან ერგატივისაგან: ხსენებული ნიშნები ერგატივის ფორმას დაერთვის,—ერგატივი აქ ფუძის როლს ასრულებს ისეთ ძირითად ბრუნვათათვის, როგორცაა ნათესაობითი და მიცემითი. მაგრამ ეს არაა სპეციფიკური ამ ნაცვალსახელებისათვის: ზოგად სახელთა გარკვეული ჯგუფებიც ამგვარად აწარმოებენ ნათესაობითსა და მიცემითს.

ერგატიულ ბრუნვას ორი დაბოლოება აქვს: ს და ლ'ი. პირველი—სახელობითის უ-ს ადგილს იჭერს, პირველი გრამატიკული კლასის ნიშანია ერგატივში, მეორე, ლ'ი—საზიაროა მეორე და მესამე გრამატიკული კლასებისათვის, ე. ი. სახელობითის ჯ-სა და ზ-ს ნაცვლად გვევლინება.

ამრიგად, ერგატივს ორი გრამატიკული კლასი აქვს გარჩეული, სახელობითის სამის ნაცვლად. საულისხმო ისაა, რომ მეორე გრამატიკული კლასი (—ადამიანი მდებარეობითი სქესისა—) საკუთარ ფორმას მოკლებულია, იგი მესამეს ეკედლება: ლ'ი ზოგად სახელთა ბრუნებისას მესამე კლას-კატეგორიის ფორმანტია. ეგვევ ითქმის ზედსართავი სახელებისა და მიმღეობათა შესახებ. შეუძლებელია ამაში ამ კლას-კატეგორიის წარსულის გარკვეული მხარე არ შედგებოდეს. ამას ქვემოთ დაუბრუნდებით კითხვით ნაცვალსახელთა განხილვისას.

ჩვენებითი ნაცვალსახელის საბრუნებო ფორმები საცვებით ხვდება ზედსართავებისა და მიმღეობის ბრუნვათა ფორმებს; შდრ.:

აუ,	<u>აჯ,აბ...</u>	— ბეჩედ-ა-უ	<u>ბეჩედ-ა-ჯ, —ა-ბ,</u>	„მდიდარი“
ას	აღ'ა...	— ბეჩედ-ა-ს	ბეჩედ-აღ'ა...	
ას-ულ	აღ'ა-ულ...	— ბეჩედ-ა-ს-ულ	ბეჩედ-აღ'ა-ულ...	
ასი-მ-ე	აღ'ა-ი-მ-ე...	— ბეჩედ-ა-ს-ე.	ბეჩედაღ'ა-ე...	

ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება

1. ხუნძახ.-ჭირკ:

	მხოლოობითი:	მრავლობითი:
სახელ.	ა-უ	ა-ჯ ა-ბ
ერგატ.	ა-ს	<u>ა-ღ'ა</u>
ნათეს.	ა-ს-უ-ლ	ა-ღ'ა-უ-ლ
მიცემ.	ა-ს-ი-მ-ე	ა-ღ'ა-ი-მ-ე
სახელ.	ე-უ	ე-ჯ ე-ბ
ერგატ.	ე-ს	<u>ე-ღ'ა</u>
ნათეს.	ე-ს-უ-ლ	ე-ღ'ა-უ-ლ
მიცემ.	ე-ს-ი-მ-ე	ე-ღ'ა-ი-მ-ე

¹ ეს ხმოვნები არა ჩანს მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის იმ პარადიგმაში, რომლებიც ლ. ყირკოვს აქვს მოცემული (იხ. მისი: *Аварско-русский словарь*, დაპარტი).

მისამდე პირის ნაცვალსახელის პრეზენტაცია

1. ხუნძახტურ-ჭირკეულდი:

მხოლოობითი: დო-უ დო-ა, დო-ბ
 სახელ. დო-უ დო-ლ'ა
 ერგატ. დო-ს დო-ლ'ა
 ნათეს. დო-ს-ულ დო-ლ'ა-ულ
 მიცემ. დო-ს-ი-ა-ე დო-ლ'ა-ი-ა-ე

მრავლობითი: დო-ლ
 დო-ზ
 დო-ზ-ულ
 დო-ზ-ი-ა-ე

მხოლოობითი: სახ. დო დემ-ა, დვა-ბ
 ერგ. დვა-ს დვა-ლ'
 ნათ. დვა-ს-ულ დვა-ლ'-ულ
 მიც. დვა-ს-ე დვა-ლ'-ე

მრავლობითი: დვა-ლ
 დვა-ზ
 დვა-ზ-ულ
 დვა-ზ-ე

3. კუხტური:

სახელ. ი-და-უ ი-და-ა, ი-და-ბ
 ერგატ. ი-და-ს ი-და-ლ'
 ნათეს. ი-და-ს-ულ ი-და-ლ'-ულ
 მიცემ. ი-და-ს-ე ი-და-ლ'-ე

ი-და-ლ
 ი-და-ზ
 ი-და-ზ-ულ
 ი-და-ზ-ი-ა-ე

4. ჭარული:

და-უ და-ა, და-ბ
 და-ს და-ჰა
 დუ-ს-ულ დუ-ჰა-ულ
 დუ-ს-უ-ა დუ-ჰა-უ-ა

და-ლ
 და-ზ
 დუ-ზ-ულ
 დუ-ზ-უ-ა

5. ანწუხტური:

სახელ. და-უ და-ა, და-ბ
 ერგატ. და-ს და-ლ'
 ნათეს. და-ს-ულ და-ლ'-ულ
 მიცემ. და-ს-ი-ა-ე და-ლ'-ი-ა-ე

და-ლ
 და-ზ
 და-ზ-ულ
 და-ზ-ი-ა-ე

რით განსხვავდებიან მესამე პირის ნაცვალსახელში ხუნძური დიალექტები ერთმანეთისაგან?

1. ქუხურში, ანწუხურში, კარულში, დოუ-ს ნაცვალად დაუ გვაქვს (ჰიდუ-რისათვის ამოსავალია ხუნძახურ-ჰირკული ვარიანტი).

საფიქრებელია, რომ ეს ა-ნიანი ვარიანტი უდევს საფუძვლად ო-ნიანს: დაუ → დოუ უფრო ბუნებრივია, ვინემ პირუკუ დაუ-დოუ. ამასვე გვაგარაუდებინებს რთული, ჩვენებით-ნაწილაკიანი, ვარიანტები ხუნძახურ-ჰირკულისა: შადაუ, შადაუ, შალ'აუ...

2. ფუძისეული ა აფიქსისეულ ხმოვანთან ასიმილაციის შედეგად იძლევა უ-ს კარულში:

დუსულ-დასულ „მის“ (ego)...

დუზულ-დაზულ „მათ“ (их)...

3. კარულში მიცემითის ნიშანი უ არ ჩანს: წინდაწინ ი-დ ქვეული, ის შერწყმული უნდა იყოს წინამავალ მ-სთან:

დუსუდ — დუსუდ-ი — დუსუდ-ე

დუზუდ — დუზუდ-ი — დუზუდ-ე...

4. შემაერთებელი ხმოვანი არ მოგვეპოვება ჰიდურისა და ქუხურის მიცემითში:

ჰიდ.: დვ-ა-ს-ე... ქუხ.: იდა-ს-ე... შდრ. ხუნძ.-ჰირკ. დო-ს-ი-მე...

დვ-ა-ზ-ე

იდა-ზ-ე

დო-ზ-ი-მე...

5. ჰიდური დო-დოუ; ერგატივში: დვ-ა-ს-დო-ა-ს

დვ-ა-ლ'ა — დ-ო-ალ'ა

მრავლ. სახ. დვ-ა-ლ-დო-ა-ლ

„ ერგ. დვ-ა-ზ-დო-ა-ზ...

თუ ეს ასეა, ერგატივის ნიშნად უნდა გამოიყოს -ას, -ალ'ა და არა ს, ლ'ა; დოს || დოლ'ა-ში ფორმანტების თავკიდური ა დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ:

დო-ას = დოს; დო-ალ'ა = დოლ'ა...

მაშინ ერგატივის საწარმოებელი ფორმანტები აღმოჩნდებოდა ჩვენებთი ნაცვალსახელი აუ, ად — ერგატივში: ერგატივი იხვევ იქნებოდა ნაწარმოები, როგორც ქართულ საზოგადო სახელებში:

კაც-მან: დო+ას-დოს; დო+ალ'ა-დოლ'ა...

6. ჭარულში მეორე და მესამე კლას-კატეგორიათა ერგატივს არა აქვს (ა)ლ'ი, არამედ ჰა: ცვლილება მარტოდენ ფონეტიკური ხასიათისაა, — ჭარული ჰა—ლ'ი (იხ. საანგარიშო მოხსენება ჭარულზე სამუშაოდ მივლინებისა, ენიმკი-ს მოაპზე, IV, გვ. 225).

7. ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება ერგატივში ლ'ი და ლ'-ს მონაცვლეობა ანწუხურში, ჰიდურში...: ეს ორი სპირანტი მეტწილად გარჩეული არაა სამხრულ დიალექტებში.

8. აქამდის თქმული იმას მოწმობს, რომ მესამე პირის ნაცვალსახელის ფუძეცა და ბრუნვათა აფიქსებიც ყველა ხუნძურს კილოში ერთნაირია: განსხვავებას ფონეტიკური პროცესები იწვევენ.

ერთად ერთი მორფოლოგიურად არსებითი სხვაობა დასტურდება ანწუხურში: მიცემით ბრუნვას აქ უჩვეულო სახე აქვს:

დას-ი-ბ-ე... დალ'-ი-ბ-ე... და-ზ-ი-ბ-ე: ეს ბ-ბგერა ფონეტიკურად ვერ აიხსნება; მას მორფოლოგიური საფუძველი აქვს. მას შეეხვდებით სხვა ნაცვალსახელთა ანწუხურ ვარიანტებშიც. მისი კვალიფიკაცია იხ. ქვემოთ.

მეორე და პირველი პირის ნაცვალსახელთა ფორმები (იხ. გვ. 37) ხუნძურ დიალექტებში მეტ სხვაობას ააშკარავენს, ვინემ მესამე პირისა; თვით ხუნძურ-პირკეულშიც მისი ვითარება უფრო რთულია. აქ შეიძლება შემდეგი აღინიშნოს:

1. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა გარჩევა პირველსა და მეორე პირში. როგორც თავშივე ვთქვით, არა გვაქვს.

2. მეორე პირის მრავლობითის ორი ძირითადი ვარიანტიდან **ნუჟ** || **მუჟ** მეორეცაა **ნუჟ: ნუჟ-მუჟ**. ეს უკვე ა. შიფნერმა აღნიშნა¹.

3. მხოლოდობითის სახელობითში პირველი და მეორე პირი მხოლოდ თავკიდური თანხმონით განირჩევა:

ღუნ (მე) - მუნ (შენ).

4. ერგატივში თავკიდური თანხმონები ერთნაირია (**ღ**), განსხვავებას ხმოვნითი ელემენტი ამყარებს:

ღ-ი-ცა (მე) — ღ-უ-ცა (შენ).

¹ შეტომაა, როცა ერკერტ-თან ვკითხულობთ: „მეორე პირი მრავლობითისა მუჟ ახალი წარმოება ჩანს მხოლოდობითის მუნ-ის მიხედვითო“ (იხ. Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895, ნაწ. II, გვ. 177).

1. ხუნძახ-ჭირკჲ:

სახელ.	დუნ (მე)	მუნ (შენ)	მრავლობითი:	მუნ ნილ ¹	მუჲ
ერგატ.	დი-ცა	დუ-ცა	ნიე ნილა (ჩენ)	ნი/ე-ფ-ელ(ა) ნი/ე-ლ-ე-ლ(ა) ²	მო/უჲო/ერ
ნათეს.	დი-რ	დუ-რ	ნიე-უ-ცა ნელა-ე-ცა	დი-რ	ნი/ე-ლ-ე-რ
მიცემ.	დი-მე	დუ-მე	ნიე-უ-ე-რ ნელა-ე-ე-რ	დი-ლ-ე	ნი/ე-ლ-ე-მ-ე-ე

3. ჰიდურის:

სახელ.	დუნ	მუნ	მრავლობითი:	მუნ ნილა	მუჲ
ერგატ.	დი-ლ'ა	დი-ლ'ა ი-ლ'ა	ნიე ნილა	ნი/ე-ფ-ელ ნი/ე-ლ-ე-ლ	მო/უჲო-დ
ნათეს.	დი-რ	დუ-რ	ნიე-ფ-ელ ნელ-ე-ლ	დი-რ	ნი/ე-ლ-ე-რ
მიცემ.	დი-ე	დუ-ე	ნიე-ფ-ე ნელ-ე-ე	დი-მ-ი	ნი/ე-ლ-ე-მ-ი

4. ჰარული:

სახელ.	დუნ	მუნ	ნიე ნილა	მუჲ
ერგატ.	დი-ლა	დი-ლა	ნიე-ფ-ელ ნი/ე-ლ-ე-ლ	მო/უჲო-დ
ნათეს.	დი-რ	დუ-რ	ნიე-ფ-ე ნი/ე-ლ-ე-რ	ნი/ე-ლ-ე-რ
მიცემ.	დი-მ-ი	დუ-მ-ი	ნიე-ფ-ე-ი ნი/ე-ლ-ე-მ-ი	ნი/ე-ლ-ე-მ-ი

5. ანწუხუბრის:

სახელ.	მუნ	მუნ ნილა	მრავლობა:	მუნ ნილა
ერგატ.	დი-ლა	დი-ლა	ნიე ნილა, ნუჲ	ნიე ნილა
ნათეს.	დი-რ	დუ-რ	" " "	" " "
მიცემ.	დი-მ-ე	დუ-მ-ე	ნიე-ფ-ელ ნი/ე-ლ-ე-ლ	ნი/ე-ლ-ე-მ-ე

6. კეჭერის:

სახელ.	მუნ	მუნ	მრავლობა:	მუნ ნილა
ერგატ.	დი-ლა	დი-ლა	ნიე ნილა, ნუჲ	ნიე ნილა
ნათეს.	დი-რ	დუ-რ	" " "	" " "
მიცემ.	დი-მ-ე	დუ-მ-ე	ნიე-ფ-ელ ნი/ე-ლ-ე-ლ	ნი/ე-ლ-ე-მ-ე

7. უაშიბ.

¹ წულდა (კაოდა); დი-ცა შიძულდაო.

² ი-ვარიანტი: სურლრაფლისა და ჰარადასია.

³ დარისტნის კედინსიტუტის ხუნძ. მსმენელთა ჩვენებით ყაზიბში I და II კ. ნაცვალ. მიემთხვევა I და II კ. ნაცვალ. ცნობა ვერ შეემათვნება.

ეს შეპირისპირება გასდევს მხოლოდობითის დანარჩენ ბრუნვებშიც და მთელს მრავლობითში.

თავიკიდური საზიარო დ- არ უნდა იყოს ძირეული მასალა ამ ნაცვალსახელთათვის (შდრ. „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბილისი, 1937, გვ. 504, 569).

ეს დ უცვლელად დასტურდება ანდიურში (დინ), კარატაულში (დენ); დილოურში (დი), დარგულში (დუ || დულ); მისი ფონეტიკური ვარიანტი ნ უნდა გვექონდეს ლაკურში (ნა), დარგულის აკუმურ დიალექტში (ნუ); იგივე დ-ძ-წ გასდევს: კიურულს (წუნ), რუთულურს (წუ), წახურულს (წე), უდურს (წუ), ბუდუხურს (წუნ), არკულს (წუნ)...

ჩაჩნური სუო, სო, ყაბარდ. სხე, აფხაზური სარა ს-ს გვიჩვენებს თავიკიდურად: იგი დამიაუცილებელი ცალკე ოდენობა ჩანს და ხსენებულ დ-ს ფონეტიკურად არ უნდა უკავშირდებოდეს (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ხსენ. გამოკვლ. გვ. 501 და შემდ., გვ. 556 და შემდ. ვიდრე 581).

5. ჰიდური ერგატივი, სადაც უდონო ვარიანტებიც გვაქვს, შეიძლება იმის საბუთად ვცნოთ, რომ დ- ძირეული არაა:

ი-ლ'ა (მე) უ-ლ'ა (შენ).

6. მრავლობითის სახელობითში ორივე პირისთვის საერთოა -ჟ ბოლოსართი: მრავლობითობის სუფიქსი ეს უნდა იყოს. ივ. ჯავახიშვილი ან ჟ-ს უკავშირებს ჟიუ-ნაცვალსახელის ძირს (ჟ)!. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსი აღარ გვექნებოდა: მუნ (შენ) მუჟ (თქვენ) მხოლოდ ამ ბოლოკიდური ბგერით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

7. სახელობითის ბოლოკიდური -ნ (დუნ, მუნ) აგრეთვე ძირეული არ უნდა იყოს, როგორც ეს ნაჩვენები აქვს ივ. ჯავახიშვილს (იხ. ხსენ. გამოკვლ. გვ. 504).

8. ნიუ-ნეჟ, ნუჟ-ნოჟ, მუჟ-მოჟ ასიმილაციის შედეგია.

ეგევე ითქმის სხვა ვარიანტების შესახებაც: ჰიდ. დე-დიე, დჟე-დჟე; ქარ.: დიჟი-დიჟე... მუჟოჟ-მუჟოჟი-მუჟოჟე.

ამ მხრივ სპეციფიკური დუნ და მუნ ნაცვალსახელთა ბრუნებისას არაფერია.

9. არსებითი მორფოლოგიური სხვაობა მელავენდება ერგატივისა და მიცემითის წარმოებაში:

ერგატივის სუფიქსად გამოყენებულია -ცა, -ლ'ა (||-შაა), -დ; სახელდობრ:

ა) ცა ხუნძახ.-ქირკელში გვაქვს მხოლოდობითშიც, მრავლობითშიც: დი-ცა — დუ-ცა; ნეჟე-ცა || ნელ'ა-ეცა—ნოჟოცა.

ბ) ლ'ა (ლ'ა) გააჩნია როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში ანწუ-ხურს, ანდალალ-ყარახის უბანს (ქუხ-ს ულ რათლ-ქარადა): დილ'ა — დულ'ა; ნიჟელ'ა || ნელ'ელ'ა -მუჟელ'ა)...

გ) ლ'ა-ს იყენებს მხოლოდობითში, დ-ს მრავლობითში ჰიდური და ქარული: ჰიდ. დილ'ა — დულ'ა; ნეჟე-დ || ნელ'ე-დ — ნუჟე-დ.

ქარ. დიჰაა — დუჰაა; ნიჟელ- || ნიჰელ-დ — მოჟო-დ...

¹ იხ. ხსენ. გამოკვლევა, გვ. 505.

1. ხუნძახ-ჭირკ:

მხოლოდითი:

სახელ, შიუ, შიგ, შიბ

ერგატ. ლ'ი-ცა სუნ-ცა

ნათეს. ლ'ი-ლ სუნ-დ-ულ

მიცემ. ლ'ი-გ-ე სუნ-დ-უ-გ-ე

მრავლობითი:

შალ

ლ'ი-ცა

ლ'ი-ლ

ლ'ი-გ-ე

2. სუდრათლ:

შუე, შუგი, შუბი

ლ'ი-დ სუნ-დ-უ-დ || სუნდულ(?)

ლ'ი-ლი სუნ-დ-უ-ლ

ლ'ე-გ-ე სუნდ-უ-გ-ე

შუგი, შუგი, შუბი

ლ'ი-დ შუნდული

ლ'ი-ლი შუნდული

ლ'ე-გ-ე შუნდული

3. ჰუხ:

შალი

ლ'ი-დ სუნდულ(?)

ლ'ი-ლი

ლ'ე-გ-ე

4. ჰარა (წულდა):

სახელ. შო, შიგ შიბ

ერგატ. ლ'ი-დ შიბალ'

ნათეს. ლ'ი-ლ შიბალ'-ულ

მიცემ. ლ'-ე შიბალ'-ე

მრავლობ.

შალ

ლ'ი-დ

ლ'ი-ლ

ლ'ე

5. ჰარა (წულდა):

შუე, შუგ, შუბ

ჰიდ || ჰიდი

ჰიდლ

ჰიდი

შუე, შუგი, შუბ

ლ'ი-დ სუნდულ

სუნდულ

სუნდულ'

კატეგორია:

შიუ შიგ შიბ

ლ'ი-დ სუნდულ

6. ანწუხური:

სახელ. შიუ, შიგ შიბ

ერგატ. ლ'ი-ი-დ სუნდ-უ-დ

ნათეს. ლ'ი-ი-ლ სუნდ-უ-ლ

მიცემ. ლ'ი-ბ-ე სუნდ-ი-ბ-ე

დ) არის ისეთი აულები, სადაც მრავლობითში ერგატივი არც ერთი ამ საშუალებით არ იწარმოება: ნიე || ნილ—ნუე- ნაცვალსახელებს ერგატივი არა აქვთ;—ერგატივის ნაცვლად სახელობითია ხმირებული; ასეა, მაგალ., კეპერ-ში (იხ. ქვ. გვ. 45), ყაპიბ-ში; აქ ეს დადასტურებული გვაქვს; სხვაგანაც არის ასეთი შემთხვევა მოსალოდნელი¹.

საინტერესოა, რომ კეპერში მხოლოდობითი -ცა-ს იყენებს:

დიცა — დუცა

10. ანწუხური მიცემითი აქაც ბ-იან ფორმებს გვაჩვენებს (იხ. ზემოთ დაუ, დაჰ, დაბ-ის ბრუნება):

დ-ი-ბე—დუ-ბ-ე; ნეფე-ბ-ე || ნელე-ბ-ე—მუფე-ბ-ე...

11. ერგატივისა და მიცემითისაგან განსხვავებით ნათესაობითი ერთ-ფეროვანია: ყველგან—რ გვაქვს ნიშნად გამოყენებული:

დ-ი-რ—(ჩემი)—ნეფე-რ || ნელე-რ (ჩენი).

დუ-რ—(შენი)—ნოფო-რ (თქვენი).

ამიტომ განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ში ფ ნ ე რ ი ს ცნობა: პირველისა და მეორე პირის ნათესაობითი -რ-ზე ბოლოვდება, მაგრამ „ღიალექტურად მის ნაცვლად ლ-ც ისმისო“ (იხ. მისი „Versuch über das Awarische“, SPB. 1862, § 83, გვ. 19).

კითხვითი ნაცვალსახელები (იხ. გვ. 39) ფუძეს იცვლიან ერგატივიდან მოყო-
ლებული: ში-უ ში-ა (ვინ) ში-ბ (რა)

ლ'ი-ცა

სუნ-ცა...

1. სახელობითში გამოყენებული ძირეული ში- უნდა იყოს მიღებული შუ-საგან, როგორც ამას მოწმობენ სულ რ ა თ ლ ი ს, ჭ უ ხ ი ს ა და ჭ ა რ ა დ ი ს ვარიანტები:

შუ-ვ(ი)—შუა(ი)—შუბ(ი)... (იხ. სქემა).

2. ერგატივის სუნ—ფუძეში ძირეული სუ უნდა იყოს: ნ, ალბათ, იმავე ღირებულებისაა, როგორც პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებში; შდრ: დ-უნ-ნ—მ-უნ-ნ—ს-უნ-ნ.

3. ძირეული სუ ჭუბ-სულრათლ. შუ-ს ფონეტიკური ვარიანტი ჩანს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ჭუხურში ერგატ.-ნათეს.-მიცემითის—შუ-ნ-დ-თუ იგი მეორეული მოვლენა არაა (შდრ. ჰიდური: შიბ—ერგ. შიბალ'—ნათ. შიბალ'ულ—მიც. შიბალ'ე, სადაც ერთი და იგივე ფუძეა თავიდან ბოლომდის გამოყენებული. მოვლენა უდაოდ მეორეულია!).

4. ქართული შუე || შეა || შებ ე-ს გვაძლევს

ე - ი: შიუ ← შეუ...

¹ ჰიდელი მთქმელი მარწმუნებდა—ერგატივი სახელობითით იცვლება მრავლობითში ჩვენ-თანო. მაგალითი რომ აღმოჩნდა საჭირო, ვერ კი მოიგონა; ანზის ტექსტის ჰიდურად თარგმნისას კი იხმარა ნილ' წა ბაქინა „ჩვენ (სახელ.) ცეცხლს („ცეცხლი“) ვანთებთ“... ნუე წა ბაქინა „თქვენ ცეცხლს ანთებთ“... ნილ', ნუე სახელობითია; მათ ნაცვლად ზუნძური ერგატის ხმარობს.

5. ბრუნვის ნიშნების მხრივ კითხვითი ნაცვალსახელები თითქმის იმავე სურათს ქმნიან, როგორც პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, ოღონდ უფრო გამარტივებულს:

ა) ერგატივში- ცა-ს ენაცვლება დ (|| დი); -ცა გვაქვს ხუნძახურ-პირკეულში: ლ'იიცა—სუნ-ცა... დ—სულრათლში, ქუხში, ჰიდში, ჰარსა და ანწუხში:

ლ'იიდ — სუნდუდ [შუნდუდ(ი)]...

არსადა ჩანს — (ა)-ლ'ი- სუფიქსი, თუ ჰიდურ შიბალ'ის არ მივიღებთ მხედველობაში.

ბ) ჰარადულს მეტყველებაში. აგრეთვე აულ კეჰერში სუნდუდ-ის ნაცვალად სუნ-დ გვაქვს: ეს უნდა ყოფილიყო ერგატივის მარტივი სახე: სუნდ-უდ განმეორებითი წარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

6. როგორც მესამე პირის ნაცვალსახელთან, ისე კითხვითს ნაცვალსახელებში მეორე კლას-კატეგორიის ნიშანი მოკლებულია საკუთარ ფორმას: საზიარო ფორმა აქვს სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში; თუ მესამე პირის ნაცვალსახელთან ეს საზიარო ფორმა იყო მესამე გრამატიკული კლასისა, აქ იგი პირველი კლასისაა.

ორივე ფაქტი ერთსა და იმავეს უნდა მოწმობდეს: მეორე გრამატიკული კლასი გამოყოფილია მაშინ, როცა პირველი და მესამე უკვე მოიპოვებოდა.

სხვაწიარად რომ ვთქვათ: ხუნძურში თავდაპირველად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ძირითადი კლას-კატეგორია, ადამიანისა და ნივთისა, ვინ და რა—კლას-კატეგორიები.

პირველის ბიფურკაცია სქესის ნიშნის მიხედვით მეორეული მოვლენა ჩანს¹.

1. უკუქცევითი ნაცვალსახელები (იხ. გვ. 42) ხუნძახურ-პირკეულში, აგრეთვე ანწუხურში, სამ გრამატიკულ კლასს განასხვავებენ მხოლოდ სახელობითში: ჟიუ—ჟიჲ—ჟიზ; სხვა ბრუნვებში საერთო ფორმა აქვთ.

ჰიდურსა და ჰარულში კი პირველ ორ კლასს საზიარო ფორმები აქვს, მესამეს—საკუთარი.

ჰიდ.: ჟენდ — ჟუნდ...

ჰარ.: ჟენიდ — ჟუნიდ...

ამ მხრივ ჰარულსა და ჰიდურს ამ ნაცვალსახელში ისეთივე გეზი აქვს აღებული, როგორც კითხვითს ნაცვალსახელებში.

2. ჟიუ—ნაცვალსახელის თავკიდური ჟ ხუნძახ-პირკეულს გარდა ჰიდურშიც გვაქვს, ჰარულშიც; ანწუხურში მას ჲ ენაცვლება: ჰიუ—ჰი—ჰიზ; ეს ვარიანტი უნდა იყოს ამოსავალი პირველისათვის:

ჟიუ — ჰიუ...

3. ბრუნვათა დაბოლოების მხრივ ამ ნაცვალსახელში აღსანიშნავია:

¹ დაწვრილებით ამის შესახებ—ცალკე გვექნება საუბარი.

უკვანძვითი ნაცვალსახეისი ბრუნება

1. ხუნძახ-პირკ:

მხოლოდითი:

- სახელ. ქი-უ, ქი-ა, ქი-ბ
- ერგატ. ქინცა
- ნათეს. ქინ-ღი-რ
- მიცემ. ქი-ნ-ღ-ი-ა-ე

მრავლობითი:

- ქალ ქო-უ, ქო-ა
- ქოლოცა ქენ-ღ
- ქოლო-რ ქენე-რ
- ქოლო-ა-ე ქენ-ე

- ქალ
- ქუღ-ე-ღ
- ქუღ-ე-რ
- ქუღ-ე

4. აწუხუხირი:

- სახელ. აი-უ, აი-ი, აი-ბ
- ერგატ. აინ-ელ
- ნათეს. აინ-ელ
- მიცემ. აინ-ე-ბ-ე

- აალ
- უღ-ე-ლ
- უღ-ე-რ
- უღ-ე-ბ-ე

- ქი-უ, ქი-ა, ქი-ბ
- ქენ-ე-ღ
- ქენ-ე-ლ
- ქენ-ე-ა

- ქალ
- ქა-ზ
- ქა-ზ-უ-ლ
- ქა-ზ-ი

2. ბიღური:

3. პირული:

ა) რ და ლ-ს მონაცვლეობა ნათესაობითში:

ხუნძ.-ჭირკ.: ჟინდი-რ და ჰარ.: ჟენელ

ჰიდ.: ჟენერ. ანწ.: ჰინელ...

ბ) -ცა. -ღ. -ლ'ს ფორმანტების მონაცვლეობა ერგატივში:

ხუნძახ.-ჭირკ. ჟინ-ცა—ჟოდო-ცა

ჰიდ.: ჟენ-ღ — ჟუნ-ღ — ჟუდე-ღ

ჰარ.: ჟენე-ღ — ჟუნუ-ღ — ჟა-ზ

ანწუხ.: ჰინე-ღ— ჟდე-ღ'...

ამ ფორმანტების განაწილება არსებითად ისეთივეა, როგორც პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისას.

გ) ანწუხური ამ ნაცვალსახელშიც თანამიმდევრულად იძლევა ბ-იან ფორმას - მიცემითში:

ჰინე-ბ-ე — ჟდე-ბ-ე.

ანწუხურში, ამრიგად, ყველა განხილული ნაცვალსახელი მიცემითში -ე დაბოლოების წინ ბ-ს გამოგვივლენს.

სამი ძირითადი ბრუნვიდან ყველაზე მეტი ვარიანტი ერგატივს აღმოაჩნდა; მისი ფორმანტებია: -ცა, -ლ'ა, -ღ.

ეს აფიქსები საზოგადო სახელებთანაც ფართოდაა გამოყენებული; სახელ-დობრ:

-ცა იხმარება ხუნძახურ-ჭირკეულში აღამიანთა სახელების ბრუნებისას: საჭიდ — საჭიდი-ცა, შამილ — შამილი-ცა, ლენინ — ლენინი-ცა, ფუშქინ — ფუშქინი-ცა...

გარდა ამისა. ეს დაბოლოება გამოყენებულია მესამე კლას-კატეგორიის სახელთა ბრუნებისას:

ბო „ჯარი“ — ბოცა

ჩუ „ცხენი“ — ჩოცა

წაე „თხა“ — წაეცა

ნუს' „დანა“ — ნოს'ოცა

ბაყ „მზე“ — ბაყუცა

ბაწ „მგელი“ — ბაწიცა

ქეთო „კატა“ — ქეთოცა...

მესამე კლას-კატეგორიის სახელებში -ცა-ს პარალელურად -აღ'ს დაბოლოებაც აწარმოებს ერგატივს:

ბო — ბოღაღ'ა

წაე — წაეღაღ'ა...

ხუნძახურ-ჭირკეულში -აღ'ს დაბოლოების გამოყენების არც თანდათანობით ფართოვდება -ცა-ს ხარჯზე: ახალ შეთვისებულ სახელთა მაგალითზე ცხადად ჩანს. რომ -აღ'ს- სუფიქსიანი წარმოება უფრო აქტუალურია; მართლ-ოდენ ამ დაბოლოებით იხმარება სიტყვები, როგორცაა: ქოლხოზაღ'ა, სო-ცილიზმაღ'ა, სოფუზაღ'ა, ფართიმაღ'ა...

-ცა დაბოლოება რომ უფრო ძველია, ეს აღნიშნული აქვეს ჯერ კიდევ ა. შიფნერს¹, არქაულ ბრუნებას უწოდებს მას ლ. ეირკოვიც (იხ. მისი Грамматика аварского языка, გვ. 90).

ყველგან, სადაც ხუნძახურ-ჭირკეულში -ცა დაბოლოებაა არსებით სახელებშია ერგატივისათვის ნახშიარი, ჰიდური, კარული, ანწუხური, კუხურ-ქარადული -დ ფორმანტს მიმართავს:

საჭიდი-დ, შამილი-დ, ლენინი-დ, ფუშქინი-დ

ჩო-დ, წაე-დ, ბო-დ...

როგორია შეფარდება -ცა-სა და -დ- ფორმანტს შორის? ხუნძახურ-ჭირკეულ საზოგადო სახელთა ბრუნების ანალიზი ადასტურებს, რომ -დ ფორმანტი უფრო ძველია, როგორც ერგატივის ნიშანი, ვინემ -ცა ფორმანტი².

მაშ, რით აიხსნება -დ ფორმანტის პარალელურად -ლ'-ს გამოყენება:

კუხ-სულრათლ-ქარადის: დილ'-ა-დულ'-ა-ნეეელ'-მუეელ'

ანწუხური: დილ'-ა-დულ'-ა-ნეეელ'-მუეელ'

აქ მხოლოობითშიც, მრავლობითშიც -ლ'-ა აფიქსია.

ჰიდსა და კარში მრავლობითში -დ- გვაქვს, მხოლოობითში--ლ':ა:

ჰიდ.: მრავლ. ნეეელ--ნუეელ მხოლ.: (დ)ილ'-ა---(დ)ულ'-ა

კარ.: „ ნიეელ--მოეოდ „ დიჰაა--დუჰაა.

ნაცვალსახელში ძველ ვითარებას მოველოდით: მოთხრობითის წარმოებაში კი მან ლამის არის საზოგადო სახელებს გაუსწროს! საზოგადო სახელებში ერგატივი იმავე კუხში, კარადაში, ანწუხში (მრავლობითის) ლ'-ა-თი არ იწარმოება: -ჴ და (დ) აფიქსია გამოყენებული.

მიზეზი მარტივია: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში ერგატივი შედარებით ახალი წარმოებისა უნდა იყოს, ბუნებრივია თუ აქ ენამ საწარმოებლად გამოიყენა ყველაზე მოდერნისტული აფიქსები (სულრათლ, კუხ, კარადა, ანწუხ...)³.

მანამდის სახელობითი და ერგატივი გარჩეული არ უნდა ყოფილიყო, ე. ი. სახელობითი იხმარებოდა როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან რეალური სუბიექტის ბრუნვად.

ამიტომაც, რომ აქ არც... -ლ'-ა. არც -დ (და მით უფრო -ცა) არ გადაყვება ნათესაობითისა და მიცემითის წარმოებისას; -ცა, მართალია. საერთოდ; არსად გადაყვება. ბრუნების პროცესში, მაგრამ -ლ'-ა ჩვეულებრივ შერჩება ფუძეს: ხუნძახ. კოლხოზა-ლ'-ა-ულ... ქოლხოზ-ა-ლ'-ა-ე...

სოციალიზმ-ალ'-ა-ულ... სოციალიზმ-ალ'-ა-ე...

ქათითალიზმ-ალ'-ა-ულ... ქათითალიზმ-ალ'-ა-ე...

შქოლ-ალ'-ა-ულ... შქოლა-ლ'-ა-ე...

¹ ...„die schärfere und wohl ältere Form *ca*“ იხ. „Versuch...“ § 73, გვ. 17.

² ეს საეტიკური მოხსენების საგანია.

³ ჯერ-ჯერობით ცნობილი ერთად ერთი გამონაკლისი ესაა სულრათლის მეტყველება. აქ საზოგადო სახელებშიც ლ'-ა ჩანს ერგატივში.

-დ სუფიქსიც კი ხშირად გადაყვება მიცემითსა და ნათესაობითში იმავე ანწუ-ხურში, რომელიც პიროვნების ნაცვალსახელებში ერგატივის -ლ'-ას არ შეუ-ნარჩუნებს ფუძეს.

რომ ზემოხსენებული ვარაუდი არ უნდა იყოს უსაფუძვლო, ჩანს იქიდან, რომ აქა-იქ დღემდის შენახულა შემთხვევები ერგატივის სახელობითით შეცვ-ლისა; ასეა, მაგალითად, კეჭერიში, სადაც მრავლობითი ამ ნაცვალსახელ-თაგან ერგატივს არ აწარმოებს, ე. ი. სახელობითი ასრულებს ერგატივის ფუნქციას.

ამაზე ერთგვარი ზებირი მითითება ჰიდელმა მთქმელმაც მომცა (იხ. ზე-მით გვ. 40. შენიშვნა).

ამგვარად, ნიჟ || ნილ', -ნუჟ || -მუჟ. აგრეთვე დუნ, მუნ - სახელობითიც უნდა ყოფილიყო და მოთხრობითიც ისევე, როგორც ქართულში „მე“, „შენ“, „ჩვენ“, „თქვენ“, „ეინ“—ნაცვალსახელი (ანდა ქანურში—მუჟ-ნაცვალსახელი).

ასეთი მდგომარეობა დღემდის შეუნახავს ანდიურს: აქ დინ || დენ (მე) შინ || მენ (შენ) -სახელობითიცაა და ერგატივიც; ეს დინ და მინ ხომ იგივე ხუნძური დუნ და მუნ-აა, ოლონდ უ-ი. აღსანიშნავია, რომ ანდიურში იმავე ნაცვალსახელთა მრავლობითში უკვე იწყება ერგატივისა და სახელობითის დიფერენციაცია:

სახელ. იშილ (ჩვენ) - ბისილ (თქვენ)

ერგატ. იშიდი - ბისიდი: ერგატივში აქაც იგივე -დი სუფიქსია, რაც ქარულსა და ჰიდურს აქვს მრავლობითის ერგატივში.

ანდიურის მსგავსად ლოდობერიულშიც დინ (მე) -- მინ (შენ) მხოლოდობითში სახელობითიცაა და ერგატივიც; მრავლობითში სხვაობაა: სახ. იშიი — ბითე ერგ. იშე — ბითე...

მეორეული ჩანს დიფერენციაცია ტინდი-ენაშიც:

სახ. დე (მე) - შე (შენ) იშა (ჩვენ) -- ბისა (თქვენ)

ერგ. დი „ მი იშა — ბისი...

კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების ფაქტები მხარს უჭერს ზემოთქმულს. აქ დიფერენციაცია ადრე დაწყებული ჩანს, — ერგატივს მხოლოდობითშიც მოე-პოება -დ- ფორმანტი -ცა-ს პარალელურად.

დ-ს სიძველეს ხუნ-დ-ულ ფორმაც უნდა მოწმობდეს. გაურკვეველია ოლონდ, რას უნდა გამოეწვია ორმაგი წარმოება.

ალბათ, პირველადი -დ -ცა-ს დართვამდის უკვე იყო გამოყენებული: მდრ. სუნცა - მაგრამ:

სუნ-დ-ულ

სუნ-დ-უ-ა-ე... -ცა-ს წინ დ-ს არსებობა თუ არ ვივარაუდეთ, სუნდულ, სუნდუგ-ს ფორმებში -დ გაუგებარი იქნება.

სუნცა — სუნდულ სუნდუგ- ერთი იმ ფაქტთაგანია, რომელიც ცხადყოფს -ცა და -დ- აფიქსების ისტორიულ შემდგომადობას ხუნძურს ენაში.

ერთი და იმავე ოდენობის გამოყენებას სახელობითისა და ერგატივისა-თვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ერგატივის კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

ეს ფაქტი იმის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, რომ ეს ბრუნვა გაეუთანაბროთ მოქმედებითს: მისი ფუნქცია არ ამოიწურება მოქმედებითი ბრუნვის როლში გამოსვლით: ამის გარეთ რჩება ის, რაც მოქმედებითს არ უდრის- რეალური სუბიექტის აღნიშვნა. შინაარსით გარდამავალ ზმნასთან. აქ ერგატივი არ უდრის მოქმედებითს და, მაშასადამე, სათანადო ზმნას ვერ განემარტავთ ვნებითი გვარით.

ღუნ-მუნ ნაცვალსახელებში ბოლოკიდური ნ ძირეული არაა; შეუძლებელი არაა, ის ბრუნვის ნიშანი აღმოჩენილიყო. რომელი ბრუნვისა? ცხადია, იქნებოდა ერგატივისა ან სახელობითის; რომელი შესაძლებლობიდანაც არ ამოვიდეთ, ფაქტი ამ ორი ბრუნვის მოზიარებდალ გამოსვლისა განსაკუთრებით საგულისხმოა ხუნძური გარდამავალი ზმნის პასიურობის უარყოფის თვალსაზრისით.

შთაბეჭდილება მაინც ისეთია, რომ ეს ნ ბრუნვის ნიშანი არ უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ არის ცთუნება ეს -ნ და ერგატივის -დ ერთმანეთს გვერდით ამოუყენოს კაცმა. ეს -ნ უფრო დეტერმინანტს გავს (იმ რიგისა, როგორცაა ქართული მე-ნა, შე-ნა-ს-ნა)...

მაგრამ როგორადაც არ განემარტოთ ეს -ნ, ფაქტი ფაქტად რჩება ერგატივისა და სახელობითის ერთი და იგივე მონაცემები გააჩნია და ესაა მთავარი.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი III პ. ნაცვალსახელში -ულ სუფიქსია (დოს-ულ, დოზ-ულ...), -ულ || -ლ გვაქვს კითხვითს ნაცვალსახელში (სუნდ-ულ -ლ-ი-ლ), -ლ||-რ გვხვდება უკუქცევითში (იხ. ქარ. შენე-ლ, ვუნე-ლ. ვაზუ-ლ-წინამავალი -უ ერგატივთანაცაა; ანწუხ. აინე-ლ -ერთი მხრით, და ჰიდური: ვენე-რ, ვუნე-რ, ვუდე-რ: ხუნძახ-პირკ. ვინდი-რ, ვოდო-რ).

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში ყველგან -რ ფორმანტი გამოყენებული:

დი-რ (ჩემი) დუ-რ (შენი)

ნეფე-რ (ჩენი-ექსკლუზ.)-ნოფო-რ... || მუფე-რ... (თქვენი)

ნელა-რ (ჩენი-ინკლუზ.).

ამ რ-ს შესახებ შემთხვევა გვექონდა აღგვენიშნა: IV გრამატიკული-კლას-კატეგორიის გაქვავებული ნიშანი უნდა იყოს¹. წინათ ხუნძურშიც უნდა ყოფილიყო გარჩეული სხვა კლასებიც:

დი-უ ვაც -- ჩემი ძმა;

დი-ჟ დაც -- ჩემი და;

დი-ბ ჩუ -- ჩემი ცხენი;

დი-რ რუყ -- ჩემი სახლი². ახლა განურჩევლად ყველგან, დირ იხ-

მარება: დირ-ვაც, დაც, ჩუ, რუყ...

¹ ვგულისხმობთ წერტილს: „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“. წაკითხული იყო მოხსენებად ენიმკი-ში 1936 წლის 1ა.ა.; გამოქვეყნებულია ენიმკი-ს მოამბეში ტ. I, გვ. 96-105.

² დიბ ჩუ, დირ რუყ პირობითი მაგალითებია: IV კლასისად ხუნძურში რა სახელები ივარაუდებოდა, ჩვენ არ ვიცით. ის კი ვიცით, რომ ეს სახელები ამაჟამად III კლასშია მოქცეული; მაგალითიც აქედან ავიღეთ.

ოთხი კლასის ფორმები ნაცვალსახელებში „ჩემი“, „შენი“, „ჩვენი“, „თქვენი“ ამჟამად გარჩეულია ანდიურში: ანდიურში შემონახულია ის, რაც წინათ გვეკონდა ზუნძურში.

მაგრამ ეს ნორმალურად გვეჩვენება: ამ ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვა კუთვნილებითი ნაცვალსახელია—меня, тебя, mich, dich კი არ არის, არამედ мой, твой, mein, dein—და ბუნებრივიაო, თუ მათ კლას-კატეგორიის ნიშნები აღმოაჩნდებათო: მსაზღვრელი ზედსართავი ეთაიხმება საზღვრულის გრამატიკულ კლასსაო.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამგვარი შესაძლებლობა სხვა ნათესაობითსაც გააჩნია,—საზოგადო სახელისაგან ნაწარმოებ ნათესაობითს.

იმავე ანდიურში მამა-სიტყვას ნათესაობითში ოთხი ფორმა აქვს:

იმუჭ ეოც'ი --- მამის ძმა

იმუჟ აოც'ი --- მამის და

იმუბ კოტუ --- მამის ცხენი

იმურ ხუჩა --- მამის წიგნი (იხ. А. Дирр. Крат. грам-

мат. очерк антийского яз., გვ. 9).

კითხვა ისმის: -რ-ს მონაცვლე -ლ ზომ არ შეიძლება იმავე ფუნქციისად მივიჩნიოთ? -ლ (-ილ, -ულ, -ალ-ის სახით) საზოგადო სახელთა ნათესაობითს აწარმოებს. რა თქმა უნდა, შეუძლებელი სრულებით არაა, საერთოდ ნათესაობითის ფორმანტიში, გაქვევებული კლას-კატეგორიის ნიშანი დადასტურდეს. საკითხს მინც სპეციალური შესწავლა ესაქიროება.

მიცემითი ბრუნვის ნიშანია -ე; შეიძლება იგი დავიწროვდეს ი-დ, შეიძლება წინამაჟღერ ი-სთან ასიმილაციით დაიკარგოს კიდევ. მაგრამ ეს იქნება ფონეტიკური კონტექსტით განსაზღვრული ცვლილება, მორფოლოგიური ოდენობა ერთია. -ე, როგორც მიცემითის ნიშანი.

ამ ე-ს—მეტ-წილ დიალექტებში უძღვის -ა:

ლი-ა-ე (მე—მიცემ.)

ლუ-ა-ე (შენ „)

ნეჟე-ა-ე (ჩვენ „)

სუნდუ-ა-ე (რას?)

ლ'იი-ა-ე (ვის?)

ლოსი-ა-ე (მას)

ლოზი-ა-ე (მათ—მიც.).

რის მაქნისია ეს ა? ეს უნდა იყოს გაქვევებული კლას-კატეგორიის ნიშანი. ამას გვაფიქრებინებს ანწუხური ვარიანტები, სადაც ა-ს ადგილს იკვრს ბ, აგრეთვე კლას-კატეგორიის ნიშანი:

შღრ. ხუნძახურ-ქირკეული: ღი-ა-ე და ანწუხ. ღი-ბ-ე

ღუ-ა-ე „ „ ღუ-ბ-ე

ნეჟე-ა-ე „ „ ნეჟე ბ-ე

სუნდუ-ა-ე და „ „ სუნდი-ღ-ე

ლ'იი-ა-ე „ „ ლ'ი-ბ-ე

ა მიცემითის დაბოლოების წინ ხუნძახურ-ჭირკეულ საზოგადო სახელებში-გვაქვს, ადამიანთა სახელებშიც, ყველგან სადაც ერგატივში -ცა იხმარება:

სახ. წა (ცეცხლი); წე (თხა); ბო (ჯარი); ჩუ (ცხენი); ჭალი (ალი); ფატიმათ (ფატმან). მიცემ. წე-2-ე წე-2-ე ბო-2-ე ჩოფე ჭალი-2-ე ფატიმათ-ი-2-ე.

ანალოგიურ შემთხვევაში ანწუხური ყველგან ბ-ს ხმარობს:

სახ. კა (ცეცხლი); წაე (თხა); ბო (ჯარი) ჩუ (ცხენი); ფატიმათ... შამილ... მიც. ჭუდ-უ-ბ-ე... წაე(დ)ჯი-ბ-ე... ბო(დ)ჯი-ბ-ე... ჩო(დ)ჯი-ბ-ე... ფატიმათი-ბ-ე... შამილი-ბ-ე...

რას უნდა გამოეწვია ამგვარი კლას-კატეგორიის საჭიროება საზოგადო სახელებში? კერძოდ, რამდენად ბუნებრივია ადამიანთა სახელის ბრუნებისას მესამე გრამატიკული კლასის ნიშანი აღმოჩნდეს: შამილი-ბ-ე, ფატიმათი-ბ-ე...?

კლას-კატეგორიის ეს ნიშნები ამ სახელთა კლასით, რასაკვირველია, არაა გამოწვეული: ნაშინ ვაუგებარი იქნებოდა I და II კლასის სახელებთან III კლასის ნიშანი.

ეს ფორმანტები, ალბათ, იმ სახელთა კლასზე მიუთითებდა, რომლებიც ნიცემითთან იყვნენ გარკვეულს მიმართებაში. მაშინ, ცხადია, ჯ და ბ-ს გარდა ვ-ც უნდა ყოფილიყო გამოყენებული და რ-ც. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორცაა დიფე ვოტეულა ემენ—მე მიყვარს მამა.

ახლა R()-ის სახელობითი ბრუნვით გადმოცემული სახელის კლასი მხოლოდ ზმნაში აღინიშნება, წინათ ნაცვალსახელის მიცემით ბრუნვასთანაც უნდა გამოჩენილიყო იგი, ე. ი. უნდა გვქონოდა:

მე	მიყვარს		მამა
დი-ვ-ე	ვ-ოტეულა	ემენ	
დი-ჟ-ე	ჟ-ოტეულა	ებელ	დედა
დი-ბ-ე	ბ-ოტეულა	ჩუ	ცხენი
დი-რ-ე	რ-ოტეულა	ვაცალ	ძმები

ამგვარადვე უნდა ყოფილიყო საკუთარ სახელებთან:

- შამილი-ვ-ე ვ-ოტეულა ემენ
- შამილი-ჟ-ე ჟ-ოტეულა ებელ
- შამილი-ბ-ე ბ-ოტეულა ჩუ
- შამილი-რ-ე რ-ოტეულა ვაცალ...

ამ ოთხი სავარაუდო ფორმიდან შეგვჩა მხოლოდ

ორი: დი-ჟ-ე... შამილი-ჟ-ე—ხუნძახურ-ჭირკეულში, დი-ბ-ე... შამილი-ბ-ე—ანწუხურში.

არსად ჩანს, ჯერ-ჯერობით მაინც, დი-ვ-ე, დი-რ-ე, შამილი-ვ-ე, შამილი-რ-ე—ფორმები¹.

¹ ერთ ანწუხელთან, კადა-ქოლოელ ჩონჩოლა ბარქალოვთან ვ-იანი ვარიანტიც შეგვხვდა სპეციფიკურ გამოთქმაში:

„ბაბალუნ წა ნუნ დი-ჟ-ე“—ფატიმათიდ ბიშა... „დედობა გამიწიე მე,—ფატმანმა თქვა, „ბაბალუნ წა ნუნ დი-ვ-ე—საიდიდ ბიშა, „დედობა გამიწიე მე“—საიდმა თქვა. მაგრამ აქ ვ მუნქციით თავისებურია, იგი სხვა სახელთან დაკავშირებული ჩანს. თვით ფაქტივ ვერ შევა-მოწმეთ სხვა პირებთან: ეს არეწში ჩავიწურეთ, თიე-თებელჯოანიდან გამომგზავრების შმდ. (1939 წ.).

მაგრამ ამგვარი ფორმებიც რომ არსებობდა, ამის საწინდარია ანდიურში ოთხივე ვარიანტის ხმარება:

ღი-ვ-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედეუ(ვოცი) — „მე არ ვიცი სადაა ის“
(„ქმა“ — I კლ.)

ღი-ა-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედეა (აოცი) — „მე არ ვიცი, სადაა ის“ („და“ — II კლ.)

ღი-ბ-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედებ (კოტუ) — „მე არ ვიცი, სადაა ის“ (ცხენი — III კლ.)

ღი-რ-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედერ (ხუჩა) — „მე არ ვიცი, სადაა ის“ (წიგნი — IV კლ.)
(იხ. Крат. граммат. очерк анд. яз., გვ. 11).

როცა ამ კლას-ნიშნების გამომწვევი სახელები მრავლობითშია, კლას-ნიშნები უცვლელად რჩება ვ, ა, ბ, რ...

ანდიურს მეორე მიცემითიც აქვს: ამ უკანასკნელს ერთი ფორმა აქვს -ა-ნიშნით. ამ უკანასკნელის ურთიერთობა კლას-კატეგორიის ა-ნიშნთან ყურადღების ღირსია, მაგრამ ჩვენი მსჯელობისათვის აქ მის სადაუჯობის გარკვევა არაა საჭირო. საკმარისია კლას-ნიშნის მიცემითის ვითარების გათვალისწინება. ანდიურს ოთხივე კლასი აქვს, ხუნძურს მხოლოდ ორი. ისიც გაქვევებული ნაშთის სახით.

ანდიური ხუნძურის წინანდელი მდგომარეობის სურათს გვიხატავს.

ხუნძურში კლასების რიცხვის შემცირება ოთხიდან სამამდის კლას-კატეგორიათა ევოლუციის იმავე ხაზზე მდებარეობს, რომელმაც კლას-კატეგორიის ნათესაობითი (ნაცვალსახელებისა) და მიცემითი აქცია უკლას-კატეგორიის ნათესაობითად და მიცემითად.

ესაა კლას-კატეგორიათა განვითარების დამავალი ხაზი, რომელიც ანდიურთან შედარებით ხუნძურში ნათლად შეინიშნება და რომელიც დალისტნის სამხრეთ უბანში კლას-კატეგორია-დაკარგული კიურული ენის სახით წარმოვიდგება.

დასკვნითი დებულებები

1. ნაცვალსახელთა ბრუნებისას ისევე, როგორც სახელთა ბრუნებისას ხუნძურში, მთავარია სახელობითის გარდა ერგატივის, ნათესაობითისა და მიცემითი ბრუნვის ფორმები.

2. ერგატივის ფორმა I და II პ. ნაცვალსახელებში, აგრეთვე კითხვ. ნაცვალსახ. იძლევა ისეთ წარმოებას, რაც სხვა სახელებისათვისაც არ არის უცხო.

ეს მეორეული მოვლენა უნდა იყოს. პირვანდელი ვითარება წარმოდგენილია ანდიურსა და ზოგს ანდიურ დიალექტებში: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელს აქ საზიარო ფორმები აქვს სახელობითისა და ერგატივში.

3. სახელობითისა და ერგატივის საზიარო ფორმის არსებობა დამატებითი საბუთია გარდამავალი ზმნის ვნებითობის საწინააღმდეგოდ.

4. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ნიშანი ნათესაობითს ბრუნვაში სხვა არაფერია, თუ არ მეოთხე კლას-კატეგორიის ფორმა (ღი-რ—ღუ-რ).

ცხადია, ნათესაობითს ბრუნვაში უნდა ყოფილიყო გარჩეული დანარჩენი სამი კლასის ფორმებიც (ღი-უ, ღი-ა, ღი-ბ... ღუ-უ, ღუ-ა, ღუ-ბ), როგორც ეს

ამჟამადაც გვაქვს ანდიურში. ნაცვალსახელბშიცა და სხვა სახელბშიც: ნათესაობითი მიუთითებს იმ სახელის კლასზე, რომლის მსახლერელიც ის არის.

ანდიურში მოცემულია წინა საუფესური ხუნძურისა კლას-კატეგორიათა საკითხში.

5. მიცემითს ბრუნვაშიც დასტურდება გაქვავებული სახით კლას-კატეგორიის ნიშანი.

ანდიურში აქაც კლას-კატეგორიის მიხედვით ცვალებადი მიცემითი აქტუალური გრამატიკული წარმოებაა.

6. ნათესაობითისა და მიცემითის მიერ გავლილი გზა შეეფარდება იმ ძირითად ტენდენციას, რომელიც ხუნძურს ახასიათებს კლას-კატეგორიის საკითხში: ესაა კლას-კატეგორიათა რიცხვის შემცირება სახელებში, კლას-კატეგორიათა დაჩრდილვა ბრუნებაში.

АРН. ЧИКОБАВА

К СКЛОНЕНИЮ МЕСТОИМЕНИЙ АВАРСКОГО ЯЗЫКА

(РЕЗЮМЕ)

1. В склонении местоимений авар. яз. в качестве главных падежей выступают помимо именительного эргативный, родительный и дательный, причем местоим. III л., а также указательные местоимения форму эргатива используют в качестве *основ* для родит. и дательн. падежей, чего не наблюдается в мест. I и II лиц.

2. В местоим. I и II лиц эргатив является вторичным: тому порукой андийский язык, где в этих местоимениях не различаются именит. и эргатив (*именительный используется вместо эргатива*), а также пережиточно сохранившиеся факты *индальинского и кезерского* говоров авар. яз.

3. Замещение эргатива именительным лишний аргумент *против* концепции *пассивности* эргативной конструкции.

4. Флексия родит. падежа (-r) в местоим. I и II л. (di-r «мой», du-r «твой», peze-r «наш», pozo-r «ваш»...) исторически [не] что иное, как показатель IV класса, некогда наличного в аварском языке (см. статью автора: «К истории грам. классов в авар. яз.»—Изв. ИЯИМК, I, 1937, стр. 97—105).

По всей видимости в родит. п. различались формы и остальных трех классов: di-u, di-j, di-b, как то налицо и ныне в андийском яз.: флексия родительного пад. указывает на класс определяемого имени. В андийском языке предлежит исторический путь, пройденный грам. классами аварского языка.

5. И в дательн. пад. авар. яз. выделяются *окаменелые классные* форманты: -j—в литер. яз., -b—в аницухском диалекте авар. яз.: di-j-e, апц. di-b-e «мпе».

Классные формы дательного падежа—действующая норма андийского склонения.

6. В отживании классных форм аварского склонения проглядывает основная тенденция развития, сводящая *четыре* класса—к *трем* в аварских именах и глаголах.

3ლ. ზანჯიკა

ვიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურ ენაში*

1. მთის კავკასიურ ენათა უმრავლესობის საპირისპიროდ უღურ ენას გააჩნია პირის ნიშანთა ჩამოყალიბებული სისტემა. თუ სხვა კავკასიურ ენებში ზმნის ფორმათა ცვალებადობა გვაქვს კლას-კატეგორიის ნიშანთა მიხედვით. ანდა გვაქვს ჩანასახი პირის მაჩვენებელთა გაჩენის პროცესისა, უღურში ჩვენ ვხვდებით ზმნის ცვალებადობას პირების მიხედვით და სათანადო პირებისათვის სათანადო პირის აფიქსების გამოვლენას: ჩვენ გვაქვს ზმნის უღვლილება პირთა მიხედვით. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ზმნაში აღინიშნება მხოლოდ სუბიექტის (რეალური სუბიექტის) პირი.

იმავ დროს ნათელია პირის ნიშანთა კავშირი სათანადო პირის ნაცვალსახელებთან. პირის ნიშნები (resp. აფიქსები) უღურში წარმოადგენენ იმავე პირის ნაცვალსახელებს¹, ეს ნაცვალსახელები ზოგჯერ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიან, ზოგჯერ კი ისინი უცვლელი სახით არიან წარმოდგენილი ზმნაშიც. ასეთი ვითარება ნათელია 1 და 2 პირში, 3 პირში კი თავისებური და რთული ვითარება გვაქვს², მაგრამ ეს გარემოება არ არღვევს უღური პირის ნიშანთა ზოგად სისტემას. ამასთან უღვლილების ზოგადი პრინციპი და პირის აღნიშვნა არსებითად ერთგვარად არის წარმოდგენილი, როგორც ვართა-შნულსა, ისე ნიჯურ კილოში.

ზემოთქმულის მიხედვით უღურში ჩვენ გვექნება უღვლილების შემდეგი სურათი:

A. ვართაშნული კილო

«Inf.»: კ ა პ ბ ე ს უ ნ — დამალვა, დაქრობა (გარდამ. მნიშვ.)
კ ა პ ბ ა ქ ს უ ნ — „ „ (გარდაუფ. მნიშვ.)

* წაკითხულია მოხსენებად ენიშკი-ს კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე 27.XII.1938.

¹ შდრ. ნ. ტრუბეცკოი. Notes sur les désinences du verbe dans les langues tchib-tchénolesghiennes. «Bull. de la Soc. de Linguistique», t. XXIX, f. 3. Paris 1929, გვ. 162 შმდ. აღნიშნული წერილი შეიცავს საყურადღებო და იმავე დროს ფრიად სადავო საკითხებს, კერძოდ, თავისებურია პირის ნიშანთა ანალიზიც, რის შეახებ სხუაგან გვექნება საუბარი.

² იხ. ჩვენი „მხოლ. რ. მესამე პირის ნაცვალსახელოვ. -ნე || -ტუ უღურ ენაში“. «ენიშკი-ს მოამბე», ტ. X.

1. ა წ მ ყ ო

- a. ზუ კაპ-ზუ-ბესა || კაპზუფსა — მე ვმაღაე, ვაქრობო
 უნ კაპ-ნუ-ბესა || კაპნუფსა — მენ კმაღაე, აქრობო
 შეტინ კაპ-ნე-ბესა || კაპნეფსა — ის მაღაეს, აქრობსო
 მან კაპ-მან-ბესა — ჩეენ ვმაღაეთ, ვაქრობთ
 ვაან კაპ-ნან-ბესა — თქვენ მაღაეთ, აქრობთ
 შოტლონ კაპ-ყუნ-ბესა — ისინი მაღაენ, აქრობენ...

- b. ზუ კაპზუბაქსა — მე ვიმაღეზი, ვქრები
 უნ კაპნუბაქსა — მენ იმაღეზი, ქრები
 შონო კაპნეზაქსა — ის იმაღეზა, ქრება
 მან კაპმანზაქსა — ჩეენ ვიმაღეზით, ვქრებით
 ვაან კაპნანზაქსა — თქვენ იმაღეზით, ქრებით
 შონორ კაპყუნზაქსა — ისინი იმაღეზიან, ქრებიან...

2. ა ო რ ი ს ტ ი II

- ზუ კაპზუბე — მე დავმაღე, ჩავაქრე
 უნ კაპნუბე — მენ დამმაღე, ჩააქრე
 შეტინ კაპნებე — მან დამაღა, ჩააქრო
 მან კაპმანზე — ჩეენ დავმაღეთ, ჩავაქრეთ
 ვაან კაპნანზე — თქვენ დამმაღეთ, ჩააქრეთ
 შოტლონ (შოტროლონ) კაპყუნზე — მათ დამაღეს, ჩააქრეს...

«Inf.»: ბასკესუნ. დაწოლა (დასაძინებლად), დაძინება.

1. ა წ მ ყ ო

- ზუ ბასსუქსა (—ბასზუქსა) ვეწევი, ვიძინებ და ა. შ.
 უნ ბასნუქსა
 შეტინ ბასნექსა
 მან ბასმანქსა
 ვაან ბასნანქსა
 შოტროლონ (—შეტოლონ) ბასყუნქსა.

2. ა ო რ ი ს ტ ი I

- ზუ ბასსუქი (—ბასზუქი) დავწევე, დავიძინე და ა. შ.
 უნ ბასნუქი
 შეტინ ბასნექი
 მან ბასმანქი
 ვაან ბასნანქი
 შოტროლონ ბასყუნქი.

3. მ ყ ო უ ა დ ი I

ზუ ბასსუყო (— ბასჴუყო)—დავწეები, დავიძინებ და ა. შ.
 უნ ბასნუყო
 შეტინ ბასნუყო
 დან ბასანყო
 ვან ბასნანყო
 შოტწლონ ბასყუნყო.

ამგვარივე ვითარება გვაქვს ნიჯურშიც, ოღონდ შეინიშნება ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება, რაც პირის აღნიშვნის ზოგად წესს არა სცვლის. გვაქვს:

B. ნიჯური კილო

«Inf.»: ქარხესტუნ (—ქარხესდესუნ) —ვაცხოვრებ (გარდამავალი მნიშვ.), ქარხესუნ—ვცხოვრობ (გარდაუვალი მნიშვნ.).

1. აწმყო

ზუ ქარხეს-უს-ტა (— ქარხეს-ჴუ-სტა)—მე ვაცხოვრებ და ა. შ.
 ჴუნ ქარხეს-ღნ-სტა (— ქარხეს-ნუ-სტა)
 შოტინ ქარხეს-ეს-ტა
 დან ქარხეს-ჴან-სტა
 ვან ქარხეს-ნან-სტა
 შოტწლონ ქარხეს-ტუნ-სტა

ზუ ქარ-ღჴ-ხსა (— ქარ-ჴუ-ხსა) —მე ვცხოვრობ და ა. შ.
 ჴუნ ქარ-ღნ-ხსა (— ქარ-ნუ-ხსა)
 შოო ქარ-ე-ხსა
 დან ქარ-ჴან-ხსა
 ვან ქარ-ნან-ხსა
 შოროხ ქარ-ტუნ-ხსა

2. ა ო რ ი ს ტ ი II

ზუ ქარხესტეჴ (— ქარხესტეჴუ)— მე ვაცხოვრე და ა. შ.
 ჴუნ ქარხესტენ (— ქარხესტენუ)
 შოტინ ქარხესტენე
 დან ქარხესტეჴან
 ვან ქარხესტენან
 შოტწლონ ქარხესტეტუნ

ზუ	ქარხეზ—მე ვიცხოვრე და ა. შ.
ჰუნ	ქარხენ
შოო	ქარხენე
ჟან	ქარხეჟან
ვაზნ	ქარხენან
შოროხ	ქარხეტუნ.

ამ ნიმუშთა მიხედვით პირის ნიშანთა და პირის ნაცვალსახელთა ურთიერთობა უდურში ამგვარად წარმოგვიდგება¹:

ს ქ ე მ ა № 1.

რიცხვი და პირი	პირის ნაცვალსახელი		პირის ნიშანი	
	ვართაშ.	ნიჯ.	ვართაშ.	ნიჯ.
მხ. რ. 1 პ.	ზუ	ზუ	-ზუ- -ზ-	-გზ- (-ზუ) -ზ-
2 პ.	უნ	ჰუნ	-ნუ- -ნ-	-გნ- (-ნუ) -ნ-
3 პ.	შონო შეტინ	შოო შოტინ	-ნე-	-ე- -ნე-
მრ. რ. 1 პ.	ჟან	ჟან	-ჟან-	-ჟან-
2 პ.	ვაზნ	ვაზნ	-ვან-	-ვან-
3 პ.	შონორ შე- ტოლონ (შოტოლონ)	შოროხ შოტოლონ	-ჟუნ-	-ტუნ-

როგორც ჩანს, პირის ნიშანთა აღნიშვნა ძირითადად ერთგვარად ხდება ვართაშნულსა და ნიჯურ კილოში. განსხვავებას ადგილი აქვს მესამე პირში (მხოლოდითსა და მრავლობითშიც): ვართაშნულის -ნე- || -ჟუნ- აფიქსებს შეესატყვისება ნიჯური -ე- || -ნე² და -ტუნ-. ეს სხვაობა, საფიქრებელია, მორფოლოგიური ხასიათისა იყოს, და ცალკე სარკვევია, რა საფუძველს ემყარება იგი.

მესამე პირი ყურადღებას იქცევს აგრეთვე სხვა მხრივაც: იგი თავისებურებებს იჩენს 1 და 2 პირისაგან განსხვავებით და ეს თავისებურებანი მნიშვნელოვანნი არიან უღვლილების გასათვალისწინებლად უდურში. პირველ ყოვლისა, სუბიექტად გამოყენებული მესამე პირის ნაცვალსახელი ორი,—სახელობითისა და მოთხრობითის,—ფორმით გვხვდება. ეს განსხვავება დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე: სახელდობრ, ვართ. შონო, შონორ,

¹ შდრ. ა. შიფნერი. Versuch, გვ. 25 შმდ.; ა. დირი. Грамм., გვ. 48 შმდ.; ნ. ტრუბეტკოვი. Notes sur les désinences... «BSL» XXIX, 3, გვ. 162.

² ხმოვნით გათავებულ ფუძეს -ნე ერთვის, თანხმოვნით გათავებულს კი — ე. იხ. ჩვენი მხოლ. რ. მესამე პირის ნაცვალსახელოვანი -ნე || -ტუ უდურ ენაში“—ენიმე-ს მოამბე, ტ. X.

ნიჯ. შოო, შორახ გვაქვს გარდაუვალ ზმნებთან, ხოლო ვართ. შეტინ, შოტოლონ, ნიჯ. შოტინ, შოტოლონ კი გარდაუვალ ზმნასთან. ასეთი ხმარების საფუძველი ის არის, რომ გარდაუვალი ზმნა მოითხოვს სუბიექტს სახელობით ბრუნვაში, ხოლო გარდაუვალი ზმნა კი—მოთხოვითში. ზემოთ მოყვანილი ნაცვალსახელები გვაქვს ამის შესატყვისად სწორედ ხან სახელობითში და ხან მოთხოვითში. ეს განსხვავება არ აისახება 1 და 2 პირის ნაცვალსახელებში იმიტომ, რომ მათი ფორმები არაა საერთოდ განსხვავებული ამ ორ ბრუნვაში (სახელობითსა და მოთხოვითში).

მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა მესამე პირის სუბიექტი ერთგვარად აღინიშნება ზმნაში იმისდა მიუხედავად სახელობითშია თუ მოთხოვითში იგი, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს უღელილებისათვის.

მეორე საყურადღებო თავისებურება მესამე პირისა ის არის, რომ მისი პირის ნიშანი ბგერითად განსხვავებულია სათანადო ნაცვალსახელისაგან მაშინ, როდესაც 1 და 2 პირის ნიშანი მთლიანად ან ნაწილობრივ იმეორებს ნაცვალსახელის ფუძეს. თუ 1 და 2 პირის ნიშანთა წარმოშობის გათვალისწინება ადვილად შეიძლება, მესამე პირის ნიშანთა გენეზისი ცალკე კვლევას მოითხოვს. სახელდობრ გასარკვევია, რა ურთიერთობაა, მესამე პირის ნიშანთა (-წე || -უ... -ყუნ || -ტუნ) და შესატყვის ნაცვალსახელთა (შონო, შეტინ || შოო, შოტინ... შონორ, შოტოლონ || შორახ, შოტოლონ) შორის¹.

ამგვარია ზოგადად პირის კატეგორიის ვითარება უღურ ენაში. დამატებით უნდა ითქვას ისიც, რომ პირის ნიშნებში შეიძლება მოხდეს ფონეტიკური ცვლილებები, რაც, ცხადია არ შეცვლის მათ მორფოლოგიურ ფუნქციას და ვითარებას.

2. ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა იუღლება უღურში ზემოხსენებულ ნიმუშთა მსგავსად და გვაძლევს პირის ზემომოყვანილ ფორმებს. მაგრამ უღურში, კერძოდ, მის ვართაშნულ კილოში, ჩვენ გვაქვს ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელთა უღელილება პრინციპულად ემიჯნება უღელილების ჩვეულებრივ ტიპს. ეს თავისებური ზმნები, რეალურ (resp. მორფოლოგიურს) სუბიექტს მოითხოვენ მიკემით ბრუნვაში. ჯერხნობით ამ კატეგორიის ზმნათაგან უღურში დაძებნილია შემდეგი ზმნები²:

¹ აღნიშნულ საკითხს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს უღელილების სისტემის გასათვალისწინებლად უღურში. მესამე პირის ნიშანთა გენეზისს ჩვენ ვარკვევთ სხვაგან: იხ. ჩვენი „მხოლოდ რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელოვანი -წე-||-ტუ- უღურ ენაში“ ენოლოგიის მოამბე, ტ. X და „მრავლობ. რ. 3 პირის აფიქსები -ყუნ-||-ყო- უღურ ენაში“—აქვე, გვ. 75 შმდ.

² ზმნათა ეს კატეგორია იმ თავითვე შენიშნულია უღურის პირველი მკვლევრის—ა. შიფერის მიერ და შემდეგ ა. დირის მიერ: შდრ. ა. შიფერი. Versuch, § 100; ა. დირი. Gram., გვ. 48.

- | | | |
|--------------------------|-----|------------------------|
| 1. აბაბაქსუნ | — | „ცოდნა“ |
| 2. აქსუნ | — | „ხედვა“ |
| 3. ანდახბესუნ (მთ. 7, 3) | --- | „ფრძნობა“ („ვეგრძნობ“) |
| 4. ბაქსუნ | --- | „შეძლება“ |
| 5. ბუყსუნ | --- | „ყვარება, ნდომა“ |
| 6. იბაქსუნ | --- | „მოსმენა“ („მესმის“) |
| 7. ილარიბსუნ | --- | „ციეება“ („მაციეებს“) |
| 8. იხბესუნ | --- | „მოგონება, ფახსენება“ |
| 9. მიბსუნ | --- | „ციეება“ („მციეა“) |
| 10. ოტბესუნ | --- | „მრცხენია“ |
| 11. ქეჰი რ ლაჟტსუნ | --- | „წყენა“ |
| 12. ყიიბსუნ | --- | „შინება“ („შეშინია“) |
| 13. ჩალხესუნ | --- | „ცნობა“ („ვეიცნობ“)... |

ამ ზმნათა უღვლილების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტის პირის ნიშნები წარმოდგენილი გვაქვს შესატყვის ნაცვალსახელთა მიცემითი ბრუნვის ფორმით. რომ ნათელი იყოს ეს გარემოება, აქვე მოგვეყვს ნაცვალსახელთა ძირითად ბრუნვათა ფორმები¹:

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ე ი

სახელ.	ზუ	მე	უნ	„შენ“	შონო	„ის“
მოთხრ.	ზუ		უნ		შეტი	
ნათეს.	ბეზ-ი		ვი		შეტა	
მიცემ.	ზა		ვა		შეტუ	
„აკუზატ.“	ზახ		ვახ		შეტუხ	

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ე ი

სახელ.	ჟან	„ჩვენ“	ვაან-	„თქვენ“, შონორ	(--შე-ნო-ურ)	„ისინი“
მოთხრ.	ჟან		ვაან	შეტწლონ	შოტწლონ შოტლონ	
ნათეს.	ბეზ-ი		ვაჰ-ი	შეტწლოჟ	შოტწლოჟ შოტლოჟ	
მიცემ.	ჟა		ვაჰ	შეტწლო	შოტწლო შოტლო	
„აკუზატ.“	ჟახ		ვაჰხ	შეტწლოხ	შოტწლოხ შოტლოხ.	

ზემოხსენებულის მიხედვით ამ ზმნათა უღვლილება გვაძლევს შემდეგს სურათს:

„მჩ.“: ბუყსუნ ნდომა. ყვარება.

¹ შდრ. ა. შიფნერი. Versuch, გვ. 21; ა. დირი. Gram., გვ. 31.

1. ა წ მ ყ ო

ზა	ზუ	ბუზაყსა	•მე მიყვარს, მინდა და ა. შ.
ვა	უნ	ბუვაყსა	
შეტუ	შეტინ	ბუტუყსა	
და	დან	ბუდაყსა	
ვაა	ვაან	ბუვააყსა	ბუვაყსანან
შეტრლო	შეტრლონ	ბუყყოყსა.	

2. ა ო რ ი ს ტ ი II

ზა	ზუ	ბუზაყე	•მე შევიყვარე, ვისურვე და ა. შ.
ვა	უნ	ბუვაყე	
შეტუ	შეტინ	ბუტუყე	
და	დან	ბუდაყე	
ვაა	ვაან	ბუვააყე	ბუვაყენან
შეტრლო	შეტრლონ	ბუყყოყე	

«Inf.»: ყ ი ბ ს უ ნ - •შინება...

1. ა წ მ ყ ო

ზა	ზუ	ყოზაბსა	•მე მეშინია და ა. შ.
ვა	უნ	ყოვაბსა	
შეტუ	შეტინ	ყოტუბსა	
და	დან	ყოდაბსა	
ვაა	ვაან	ყოვააბსა	ყოვაბსანან
შეტრლო	შეტრლონ	ყოყობსა.	

2. ა ო რ ი ს ტ ი II

ზა	ზუ	ყოზაბე	•მე შემეშინდა და ა. შ.
ვა	უნ	ყოვაბე	
შეტუ	შეტინ	ყოტუბე	
და	დან	ყოდაბე	
ვაა	ვაან	ყოვააბე	ყოვაბენან
შეტრლო	შეტრლონ	ყოყობე.	

ზემომოყვანილის მსგავსი ფორმები ჩვეულებრივია და სათანადო ნიმუშები შესაძლებელია დაბეჭდილი ტექსტებიდანაც მოვიყვანოთ¹.

¹ შემოკლებანი:

1. ა. შ ი ფ ნ ე რ ი. Versuch=A. Schiefner. Versuch über die Sprache der Uden. St.-Petersburg, 1863.

2. ა. დ ი რ ი. Грамм. = А. Дирр. Грамматика удийского языка, Тбилиси 1903 (Сб. МОМПК, XXXIII, 1903).

3. R=ხლაპარი: «Рустак» (Сб. МОМПК, VI, 1888).

4. შთ., მრკ., ლ., იოზ.=მიუთითებს სათანადო თავებს უღური ოთხთავისას: Сб. МОМПК, т. XXX, 1902.

მაგალითად:

1. აბაბაქსუნ - 'ცოდნა:

ზუ ვახო ხაბარზუაყსა, შეტა ბახტინ თე ეკალ თე-ზ ა-აბა. ა. დირი. Γραμμ., 6313—მე შენგან გამოვიკითხავ, რადგანაც არა ვიცი რა...

ტე ვაღინალ ცირიკ, მანო ვაღინახო აბა-ტ-უ-ბაქე ბილიჯილოხო. მთ. 2, 16. -- იმ დრომდის, რა დროითგან შეიტყო (გაიგო) ბრძენთაგან...

თაქენან განენ აბაყა-ვაა-ბაქი ადღუნ ბახტინ. მთ. 2, 8—წადით, ყველგან შეიტყვეთ ბავშვის შესახებ...

ვაა თე-ტ-უ-აბაა შეტუხ, ეთარ ახრაბ შეტინ ბინეხი იჩ ბეაშუმუჯი ღარახ. მთ. 1, 25—და არ იცოდა იგი, თუ მან როგორ შობა ბოლოს თავისი პირველი შეილი...

შოტლო გორ-ყო-აბაბაქოჲ, აგანამ შოტლო ბა-გი-ნ-ქედ ვაღა—მათ ბევრი ეცოდინებოდათ, დრო რომ ჰქონოდათ...

ტე-ვახტა იროდენ ბილიჯილოხ ჰაპკინ კალფი, აბა-ტ-უ-ბაქი შოტლოხო ჯაბუნ აქესუნუნ ვაღინახ. მთ. 2, 7—მაშინ (იმ დროს) იროდმა საიდუმლოდ მოიხმო მოგვნი, შეიტყო მათგან ვარსკვლავის გამოჩენის დრო...

2. აქსუნ—ხედვა:

ზუ (ზა) ა-ზა-ქსა შელ ლაზნატუ ფაქ—მე ვხედავ კარგ ლაზაზ ბალს... ადამარქნ ფულმულონ ა-ტ-უ-ქსა. ა. დირი. Γραμμ., 50 18—ადამიანი თვალებით ხედავს...

ტელან ტეჩო თაცი, ა-ტ-უ-ქი შოტუ ყეფრი პაა ვიჩიმოხ. მთ. 4, 21—იქიდან იმ მხარეს წავიდა, დაინახა მან სხვა ორი ძმა...

საჯღაქაროხ შეტუხოხ თე ა-ყო-ქსა, აყუნესა. ა. დირი. Γραμμ., 63 22—ვაჭრებმა ისინი რომ დაინახეს, გაკვირდნენ...

ვაა კუა ბაესხოლან ა-ყო-ქი ადღახ მაგრაბახოლ. მთ. 2, 11—და სახლს შესვლისთანავე დაინახეს ბავშვი მარიამთან...

... ვაა მე ჯაბუნ-ალ, მატუხ-თე ა-ყო-ქე შოტლო ბელქელაქ. მთ. 2, 9—და ის ვარსკვლავიც, რომელიც [რომ] მათ დაინახეს აღმოსავლეთისკენ...

3. ანდახბესუნ—გრძნობა:

ამმა ქოთიკახ ვი ფინ ბოშ ბუოტუხ თე-ვა-ანდახბესა. მთ. 7, 3—მაგრამ ძელს შენ თვალში მყოფს ვერ ჰგრძნობა.

ტე ვახტა ისუსა ანდახ-ტ-უ-ბი იჩენ იჩ ბოშ, თე ქერიწე იჩხო ზორ. მრკ. 5, 30—მაშინ იესომ იგრძნო თავის თავში, რომ მისი ძალა გასვლია (წართმევია).

5. ჰ. შუხარდტი. Pass.=H. Schuchardt. Über den passiven Charakter des Transitivus in den kaukasischen Sprachen. «Sitzungsber. d. Akademie d. Wiss. Wien. Phil.-hist. Cl. CXXXIII Bd., 1. Abt., Wien, 1895.

6. როცა წყარო მითითებული არაა, მაშინ ყველგან ვემყარებით საკუთარ ჩანაწერებს სოფ. ოქტომბერში (საქ. სსრ) და სოფ. ვართაშენსა და ნიჯში (ახერბ. სსრ) უღღრზე მუშაობისას 1937 და 1938 წელს.

ნიმუშები მოგვყავს ქართული ტრანსკრიფციით მაშინაც კი, როცა ასეთები ამოღებული გაქვს სხვა ავტორთა შრომებიდან.

4. ბ ა ქ ს უ ნ¹—შედლება, 'können':

შუკალა-ა ლთ ე-ტ უ-ბ ა ქ ო ფეს. ა. დირი, Грамм., 5418 —არავისაც არ შეუძლია თქმა...

თე ზუ ბ ა ქ ა-ზ ა გ რ ლ ო რ ქ რ მ ა გ-ბესუნა. ა. დირი. Грамм., 5416—17 —არ შემიძლია ბევრი დახმარება...

თე-ტ უ-ბ ა ქ ო კ ა პ ბ ა ქ ე ს შ ა პ რ ა ნ, მანო თე ჩურფინე ბურლო ლახო. მთ. 5,14 —არ შეუძლია დამალვა (დაფარვა) ქალაქს, რომელიც დგას მთის ზემოთგან (მთაზე)...

შეტაბახტინ თე თე-ვა-ბ ა ქ ო ს ა ფოფუნუხ-ყან ე მაწიბეს, ე მაინბეს. მთ. 5,36 —არადგანაც რომ არ შეგიძლია ერთი ბეწვისაც არც გათეთრება, არც გაშავება...

5. ბ უ ყ ს უ ნ —ნდომა, ყვარება:

ზა გ რ ლ ო რ ' ბ უ-ზ ა-ყ ს ა ბ ე ზ ს ი ლ ო ლ ო ბ. ა. დირი. Грамм., 5025 —მე ძალიან მიყვარს ჩემი შვილები...

ქ ა ტ ი ნ ბ უ-ტ უ-ყ ს ა, ვახსა აშ უკანე. ა. დირი. Грамм., 5415 —მაგას უნდა, შენ რალაც (ერთი საქმე) გითხრას...

შეტაბახტინ თე იროდენ ბ უ-ტ უ-ყ ს ა ა ღ ლ ა ხ ფურუკანე. მთ. 2, 13 —რადგანაც იროდს უნდა, ბავში მოსძებნოს...

ა გ ნ ა ნ ვ ა ზ ბ უ-ყ ა მ-გ ა ე წ ა ბ უ ყ ა ლ ტ ლ ო. მთ. 5, 46 —თუ თქვენ გეყვარებათ თქვენი მოყვარულნი...

მა ბოლოაფა, მან ბ უ-მ ა-ყ ს ა ბ ა ს კ ე ს უ ნ. ა. დირი. Грамм., 766 —ნუ ყვირი, ჩვენ გვინდა ძილი...

ფ ა შ მ ა ლ ე ნ ლ ა რ ა გ რ ლ ო რ მე გ ა ნ დ ი ნ ა ხ ბ უ-ტ უ-ყ ი. ა. დირი. Грамм., 664, —მეფის შვილს ძლიერ უყვარდა ეს მსახური...

ზუ ბუსა-ზუ, სა კიწი ბ უ-ზ ა-ყ ს ა, შუმ უქაზ. ა. შიფნერი. 47, I, 6 —მე მშიერი ვარ, მინდა ერთი ბეწვა პური ვქამო...

6. ი ბ ა ქ ს უ ნ —სმენა, გაგონება:

ნ ყ წ ი ნ ე ზუ კ ა ლ ზ უ ე ხ ა ი, უ ა ნ თ ე-ვ ა ზ-ი ბ ა ქ ი. ა. დირი. Грамм., 6328 —გუშინ მე გიძახდით, მაგრამ თქვენ არ გაიგონეთ...

ი-ტ უ-ბ ა ქ ი, თე არხელაენ ფასჩალულენებესა იუდუნ კულლუ. მთ. 2, 22 —ესმა (გაიგონა), რომ არქელაოზ მეფობს იუდეელთა ქვეყანაში („მიწაზე“)...

ი-ტ უ-ბ ა ქ ს ა, თე იჩულო ბაბა კაჰინებაქე. ა. დირი. Грамм., 657 —ესმით, რომ მათი მამა დაბრმავდა...

ზა ი ბ ა ქ ე-ზ ა, თე ვი ბაბა აზარუ-ნე. ა. შიფნერი, 49, V, 7 —მე გავიგონე, რომ შენი მამა ავად არის...

7. ყ ი ზ ბ ს უ ნ —ზინება (მეშინია):

ი ო ს ი წ, ლარ დავიდი! მ ა-ყ ა-ვ ა-ყ ი ზ ბ ი მ ა რ ი ა მ ა ხ ვ ი ჩ უ ბ ლ ო ხ ა ყ ს უ ნ ა. მთ. 1, 20 —იოსებ, ძეო დავითისაო! ნუ გეშინია მარიამის, შენი ცოლის, მოყვანა...

¹ ჩვეულებრივი უღვლილებით ბ ა ქ ს უ ნ აღნიშნავს „ყოფნა, გახდომა“-ს, გერმ. werden-ს: მაგალითად: შონო შელ-ლე-ბ ა ქ ს ა (— შელ-ნე-ბ ა ქ ს ა) —ის კარგად ხდება (ჩება)...

ყიხ -ტუ-ბი ტია თაისუნა. მთ. 2, 22 ---შეეშინდა იქით წასვლა...

მ. ჩალხესუნ — 'ცნობა' (ეცნობ; მეცნობა):

ფასქალენ ეხენ: ეტინ-ეა-ჩალხესა? R, 14 14 მეფე ეუბნება: „რით სცნობ?“

ჰამეთარ იჩლო ბუჰპარლობო ჩალ-ეაა-ხო იჩლობ. მთ. 7, 20—სწორედ ამგვარად მათ ნაყოფთაგან შეიცანით ისინი...

მე იშუ ზახ ჩალ-ტუ-ხსა —ეს კაცი მე მიცნობს...

ამრიგად ჩანს, რომ ამ ზმნათა პირის ნიშნები წარმოადგენენ სათანადო ნაცვალსახელთა მიცემით ბრუნვას, რაც სრულის უეჭველობით მტკიცდება 1 და 2 პირისათვის, ხოლო რამდენადმე ნათელია აგრეთვე მესამე პირისათვისაც. გვაქვს:

ს ქ ე მ ა № 2

რიცხვი და პირი	პირის ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში	პირის ნიშნები
მხოლ. რ. 1 პ.	ზა	-ზა- -ზ-
2 პ.	ვა	ვა -ვ-
3 პ.	შეტუ	-ტუ-
მრავლ. რ. 1 პ.	ჟა	-ჟა
2 პ.	ვაჟ	-ვაჟ- -ვა- -ნან
3 პ.	შეტალო შოტალო	-ყო-

მხოლოდობითის მესამე პირში პირის ნიშნად გამოყენებულია -ტუ- ფორმანტი, რომელიც შედის შესატყვისი ნაცვალსახელის მიცემითის ფორმაშიც (იგი გვაქვს აგრეთვე ზედსართავთა და რიცხვით სახელთა მიცემითში) ¹.

გასარკვევი რჩება მხოლოდ მრავლ. მესამე პირის -ყო- ელემენტი ², რომელიც შესატყვისის ნაცვალსახელს არ უკავშირდება, მაგრამ ეს ერთი ფორმანტი ვერ არღვევს უღვლილების სისტემის მთლიანობას (ამასთან შეიძლება ეივარაუდოთ, რომ აქაც მიცემითი ბრუნვა უნდა გექონდეს).

¹ იხ. ჩვენი „მხოლ. რ. 3 პ. ნაცვალსახელოვანი -ნე-||-ტუ- უღურ ენაში“: აგრეთვე ა. შიფნერი. Versuch. § 67, გვ. 20.

² იხ. ჩვენი „მრავლობითი რ. მესამე პირის აფიქსები -ყუნ-||-ყო- უღურ ენაში“: აქვე, გვ. 75. ა. შიფნერი საერთოდ ამ ნიშნებისა და, კერძოდ, ყო-ს შესახებ ამბობდა: „Die Zeitwörter, welche den Dativ der Person erfordern, fügen das Personalpronomen ზა, ვა und für die dritte Person ტუ, im Plural aber ჟა, ვაჟ und für die dritte Person ყო (ყო § 11) entweder ein oder lassen es nachfolgen“: Versuch, § 100, გვ. 26. აღსანიშნავია, რომ აქ ლაპარაკია უფრო პირის ნაცვალსახელ ეგ ბზე, ვიდრე პირის ნიშნების შესახებ. ამანე ქვემოთ ვეძებთ საუბარი (იხ. გვ. 69).

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სინტაქსური ურთიერთობა თანამედროვე უღვრში აღარ არის მტკიცედ წარმოდგენილი: ნორმა მერყეობას იჩენს და ჩვეულებრივ თვითონ სუბიექტი აღარ დაისმის მიცემითს ბრუნვაში: იგი უკვე დაისმის მოთხრობითში. ამიტომ გვაქვს პარალელური ფორმები. ამის საფუძველზე პირის ნიშანთა შეცვლაც შეიძლება გვექონდეს, მაგრამ მაინც სპორადულად. სისტემატურად იცვლება პირის ნიშანი მრავლობითის მეორე პირში, რასაც ფონეტიკური ვითარება უნდა უწყობდეს ხელს.

სახელლობრ, განსხვავება მხოლოდობითსა და მრავლობითს შორის მყარდება ხმოვნის მიხედვით (მხოლ.: -ვა-, მრავლ.: -ვაჲ-); მრავლობითში ფორმანტი გვაქვს ხორხისმიერი ხმოვანი. მაგრამ ამგვარი ხმოვნების მდგომარეობა არაა მტკიცე, ხორხისმიერობა იკარგება, და ამის გამო მრავლობითის ფორმა ემსგავსება მხოლოდობითისას. ამიტომ განსასხვავებლად დამატებით ერთვის ჩვეულებრივი პირის ნიშანი: -ნან: ბუ-ვაჲ-ყსა — ბუ-ვა-ყსა — ბუ-ვა-ყსა-ნან.

ამ ერთი შემთხვევის გამოკლებით, ამგვარი უღვლილება მკვიდრად არის დღეს-დღეობით უღვრის ვართაშულ კილოში. მაშინაც კი, როდესაც სუბიექტი აღარ დაისმის მიცემითში, ის დაისმის მოთხრობითში, პირის ნიშნები წარმოდგენილია მაინც მიცემითის სახით.

3. საყურადღებოა ამგვარი უღვლილების ვითარებასთან დაკავშირებით ის, რომ უღვრში ჩვენ გვაქვს ერთი ზნა, რომელიც უღვლილებაში პირის ნიშნებს გვაძლევს ნათესაობითის ფორმით: ეს არის „ქონება || ყოლა“ ზნა, რომელ შინაარსსაც გადმოგვცემს ფუძე „ბუ“ (ეს ფუძე დეფექტურია: იხმარება მხოლოდ აწმყოსა და ნამყო უწყვეტელში).

ჩვეულებრივ იგი მისდევს საერთო უღვლილებას, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ასეთი თავისებური ფორმები გვაქვს:

«Inf.»: უმულ-ბაქსუნ—იმედის ქონა:

1. აწმყო

ბენი	უმულ-ბეზ-ბუ	—	იმე იმედი მაქვს და ა. შ.
ვი	უმულ-ვე-ბუ		
შეტად	უმულ-ტად-ბუ		უმულ-ტა-ბუ
ბეში	უმულ-ბეშ-ბუ		უმულ-ბუ-ნე
ეაფი	უმულ-ეაფ-ბუ		უმულ-ბუ-ნე
შეტრლოდ	უმულ-ყო-ბუ		უმულ-ბუ-ნე...

მაგალითად:

მე ჩობანი ბა-ტა-ქეჲ სა ჩუბუხ, სა ღარ, იწ წი რუსტამ. R, 72 — ამ მწყემსს ჰყავდა ერთი ცოლი, ერთი შვილი, მისი სახელი — რუსტამი...

ქარვანონ მეტუხ ხაბარ-რე-აყსა: „ვი იშე ზორ მანო განუ-ტადჲ“. R, 182 — მოხუცი მას ჰკითხავს (ეკითხება): „შენ ქმარს ძალა რა ადგილს აქვს?“

იოანი იჩი ბუ-ტად ფართალ ბუშე ფოფნუხო. მთ. 3, 4 — იოჰანეს თვითონ ჰქონდა ტანისამოსი აქლემის ბეწვისგან...

შეტაბახტინ თე შოტლოა ბუ-ყო-ა გრგნა ფასჩალლულ. მთ. 5, 10—რად-
განაც [რომ] მათ აქესთ ცის მეუფება...

შეტა ბაბაი უჭეე ტატ თე-ტა-ბუ. ა. შიფნერი, § 148 —მის მა-
მას ფუტკარი არა ჰყავს (აქეს)...

შეტულოი სა ფის ხაა-ყო-ბუ. ა. შიფნერი, § 148 —მათ ერთი ავი
(ცული) ძალლი ჰყავსო...

ამ ფორმებთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე თითქოს მოულოდ-
ნელი ფორმები, რომელთაც ერთი შედგენილი ზმნა იჩენს:

«Inf.»: ქეხ-მანდესუნ —ხელთ შერჩენა...

ა ლ რ ი ს ტ ი II

ქეხ - ბეზ - მანდე	—ხელთ შერჩაა
ქეხ - ვი - მანდე	—: „ შერჩაა
ქეხ - ტა - მანდე	—: „ შერჩაა
ქეხ - ბეშ - მანდე	—: „ შერგერჩაა
ქეხ - ვეჰ - მანდე	—: „ შერგრაათა
ქეხ - ყო - მანდე	—: „ შერჩაა.

მნიშვნელოვანია ამ ფორმათა შორის მრავლ. მეესამე პირი, რომელშიც
ჩვენ გვაქვს მიცემით-სუბიექტიანი ზმნების -ყო- ნიშანი (ნათესაობითის მაგივ-
რად). ეს გარემოება შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ ამ ზმნის უღვლილებას
კავშირი აქვს მიცემით-სუბიექტიან ზმნათა უღვლილებასთან და მათი უღვლი-
ლების წარმოშობას საერთო ფსიქოლოგიური საფუძვლები უნდა ჰქონდეს¹.

უნდა დაეუშვათ, რომ ამ ზმნასაც უძველეს პერიოდში ჰქონდა მიცემით-
სუბიექტიანი ზმნების უღვლილება, ხოლო შემდგომ მოგვეცა ახალი ფორმები.
ამ ვარაუდს მხარს უჭერს ნიჯური კილოს მონაცემები, რასაც ქვემოთ განვი-
ხილავთ².

4. მიცემით-სუბიექტიან ზმნათა უღვლილების სისტემას ართულებს ის
გარემოებაც, რომ მათ შესაძლებელია ჰქონდეთ პარალელური ფორმები, რომ-
ლებშიაც მიცემითი ბრუნვის ადგილს იჭერს უღვლილის მკვლევართაგან აკუ-
ზატ ივად მიჩნეული ბრუნვის ფორმები.

მაგალითად:

«Inf.»: აბაბაქსუნ. —ცოდნა:

1. ჰ. შუხარდტი ანალოგიურ შემთხვევაში ხედავდა კონტამინაციურ ფორ-
მებს; მას ვათვლილწინებული აქვს მარტო მეესამე პირის ფორმა და ამბობს: „Eine noch
eigenthümlichere Kontamination, nämlich zwischen possessivem Genetiv und Dativ liegt vor
in: შეტულოი სა ფის ხაა-ყო-ბუ—'sie haben einen bösen Hund', eig. 'ihrer ein böser Hund-
ihnen-ist' Sch. § 148"—ჰ. შუხარდტი. Pass., გვ. 34.

² იხ. აქვე, გვ. 66. შმდ.

ა. ა წ მ ყ ო

ზა	აბა ზახ	—მე ვიცი
ვა	აბა ვახ	—შენ იცი
შოტუ	აბა ტუხ აბატუ	—მან იცის
და	აბა ძახ	—ჩვენ ვიცით
ვაა	აბა ვაახ	—თქვენ იცით
შოტროლო	აბა ყო	—მათ იციან...

ბ. ნ ა მ ყ ო უ წ ყ ვ ე ტ მ ლ ი

ზა	აბა ზახი	—მე ვიცოდი და ა. შ.
ვა	აბა ვახი	
შოტუ	აბა ტუა	
და	აბა ძახი	
ვაა	აბა ვაახი	
შოტროლო	აბა ყოა.	

«Ипф.»: იღარიბსუნ —მაცივებს.

ზუ თე-ზა-ბუყსაჲ, თე იღარიბაჲახი —მე არ მინდოდა, რომ მაცივებდეს (ე. ი. ეცივებინა) და ა. შ.

ზუ	თე-ზა-ბუყსაჲ,	თე უნ იღარიბავახი
"	"	" თე შოტუ იღარიბატუა
::	"	" თე და იღარიბაძახი
"	"	" თე ვაა იღარიბავაახი
"	"	" თე შოტროლო იღარიბაყოა...

მსგავსი ფორმები აქა-იქ დასტურდება ნაბეჭდ ტექსტებშიც, თუმცა ძალიან იშვიათად. მაგალითად:

აბავახ ზაკონლოს: მა ყაჰპაღლუბა. მარკ. 10, 19 —იცი კანონები: არა ისიძყო...

ვაა ფულმულონ-ალ ბეილაღლან, ვაა ნუთ აკალვაახ. მთ. 13, 14.—თვალებითაც უყურებთ (შეხედავთ), და ვერ (არ) დაინახავთ...

ჩობანენ ეხნე: —თე, ზუ ბაქალ-თე-ზახ —მწყემსი ამბობს: —„არა, მე ვერ შევძლებ...“

იღარიღოხ აშბეს ბაქალ-თე-ზახ (|| ბაქალ-თეზა) —სიცხეში მუშაობას ვერ შევძლებ...

ეს პარალელური ფორმები მნიშვნელობითს განსხვავებას არ ქმნიან; ორივე ფორმა თანაბრად იხმარება: აბავა || აბავახ —შენ იცი... როდესაც ამგვარ პარალელობაზე ყურადღება მივაქცევინეთ უღური ენის წარმომადგენლებს, პასუხად მივიღეთ ერთგვარი ცდა მისი არსებობის გამართლებისა. სახელდობრ, ივ. სილიკაშვილი, რომელთანაც ჩვენ ვმუშაობდით სოფ. ოქტომბერში, აღნიშნავდა, რომ „აბაზახ“ და მსგავსი ფორმები მაშინ არის საჭირო, როცა დამტკიცებით, დაბეჯითებით გვინდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი:

„აბაჟა“ იქნება—ფიცი საერთოდ, ხოლო „აბაჟახ“ — ფიცი ნამდვილად, დაბეჯითებით. რამდენად მართებულია ასეთი ახსნა, ამას სჭირდება შემდგომი კვლევა.

უფრო ადვილი უნდა იყოს ამ მორფოლოგიური მოვლენის ახსნა მიცემითისა და ე. წ. აკუზატივის ურთიერთობის გათვალისწინებით. სახელდობრ, ე. წ. აკუზატივი უდურში უნდა წარმოადგენდეს იმავე მიცემითს, მხოლოდ სრული მიცემითის დაბოლოებით, და მაშინ ნათელი იქნება მათი გამოვლენა ერთგვარ სინტაქსურ ურთიერთობაში¹. ამგვარი ვარაუდის შესაძლებლობას ამტკიცებს ნიჯური კილოს მონაცემები ამ საკითხების შესახებ.

5. მიცემით-სუბიექტიან ზმნათა უღვლილება უდურის ნიჯურ კილოში საერთოდ აღარ გვაქვს. იქ ზმნა იძლევა ჩვეულებრივი უღვლილების ფორმებს, ანდა ზმნა ნიჯურში შეცვლილია ახალი ფუძით, რომელიც აგრეთვე მისდევს ჩვეულებრივს უღვლილებას. ამგვარად, ნიჯურში ჩვენ გვაქვს პირის ნიშანთა უნიფიკაცია: პირის ნიშნები გადმოცემულია სათანადო ნაცვალსახელთა სახელობით-მოთხრობითი ბრუნვის ფორმით. ამის საფუძველი კი ის არის, რომ ეს ზმნები სუბიექტს აღარ მოითხოვენ მიცემითს ბრუნვაში. ეს გარემოება ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთაგანია, რომლის მიხედვითაც ნიჯური კილო განსხვავდება ვართაშნული კილოსაგან.

გვაქვს:

«Inf.»: ავაბაქსუნ;—ცოდნა:

1. ა წ მ ყ ო

ზუ	ავა ზუ	—მე ვიცი და ა. შ.
ჰუნ	ავა ნუ	
შოტინ	ავა ნე	
ჯან	ავა ჯან	
ეან	ავა ნან	
შოტრლონ	ავა ტუნ.	

2. ა ო რ ი ს ტ ი II

ზუ	ავაბაქეზ (— ავაბაქეზუ)	—მე შევიტყვეო და ა. შ.
ჰუნ	ავაბაქენ (— ავაბაქენუ)	
შოტინ	ავაბაქენე	
ჯან	ავაბაქეჯან	
ეან	ავაბაქენან	
შოტრლონ	ავაბაქეტუნ.	

¹ იხ. ჩვენი „აკუზატივის გენეზისისათვის უდურ ენაში“. «ენიმიკის მოამბე», ტ. V—VI, გვ. 137—152.

«Inf.»: იბაქსუნ —სმენა, მოსმენა:

1. ა წ მ ყ ო

ზუ	იზბაქსა	—მე მესმის, ვისმენ და ა. შ.
ჰუნ	ინბაქსა	
შოტინ	ინებაქსა	
ძან	იძანბაქსა	
ვაან	ინანბაქსა	
შოტროლონ	იტუნბაქსა.	

2. ა ო რ ი ს ტ ი II

ზუ	იბაქეზ	—მე გავიგონე და ა. შ.
ჰუნ	იბაქენ	
შოტინ	იბაქენე	
ძან	იბაქიძან (— იბაქეძან)	
ვაან	იბაქენან	
შოტროლონ	იბაქეტუნ	

3. მ ყ ო ფ ა დ ი II

ზუ	იბაქალზუ	— მე გა- ვიგონებ და ა. შ.
ჰუნ	იბაქალნუ	
შოტინ	იბაქალე	
ძან	იბაქსაღძან	
ვაან	იბაქალნან	
შოტროლონ	იბაქალტუნ.	

მაგალითად:

- შოტინ შაატ-ე-ავა უდინ მუზა—ძან კარგად იცის უღური ენა...
- შოტინ ყია-ნე-ფსა თაძსუნა —იგი შიშობს წასვლას...
- შოტინ ავა-თე-ნე უდინ მუზა —ძან არ იცის უღური ენა...
- შოტინ ბა-ნე-ქო აკესტეს —ძას შეუძლია ჩვენება (დანახვება)...
- შოტინ აკე-ნე კოჟა —ძან დაინახა სახლი...

ვართაშნულის მიცემით-სუბიექტიანი „ბუყსუნ“ ზმნას (იხ. აქვე, გვ. 59) ნიჯურში შეესატყვისება „ჩურესუნ“ ფუძე, რომელიც აგრეთვე ჩვეულებრივად იუღვლება.

«Inf.»: ჩურესუნ —ნდომა, ყვარება:

ა წ მ ყ ო

ზუ	ჩურესსა (—ჩურესსა)	—მე მინდა, მიყვარს და ა. შ.
ჰუნ	ჩურენსა	
შოტინ	ჩურესა	
ძან	ჩურაძანსა	
შოტროლონ	ჩურტუნსა	

მაგალითად:

- შოტინ ჩურესა თაღანე კოძა—ძას უნდა (სურს), წავიდეს სახლში...
- შოტროლონ ჩურტუნსა, თაღატუნ კოძა—ძათ უნდათ, წავიდნენ სახლში...
- შოტინ თე-ნე-ჩურესა, თანგა თაღანე ზა—ძას არ უნდა, ფული მომცეს მე...

მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ ნიჯურში ნაშთის სახით ჩვენ შემორჩენილი გვაქვს მიცემით-სუბიექტიანი უღვლილება. სახელლობრ, „ქონე-ბაჟი“ ზმნაში ჩვენ გვხვდება პირის განსხვავებული ნიშნები¹.

გვაქვს:

1. ა წ მ ყ ო

ბეზ	კოჟე-ზახ-პუ (—ზახ-ბუ) —მე სახლი მაქვს, და ა. შ.
ვი	კოჟე-ვახ-პუ
შოტად	კოჟე-ტუხ-პუ
ბეშ	კოჟე-მახ-პუ
ეაფ	კოჟე-ვახ-პუ
შოტროდ	კოჟე-ტუხ-პუ.

2. ა ო რ ი ს ტ ი II

ბეზ	კოჟებაქეზახ		ბაქენე	—მე სახლი მქონდა, და ა. შ.
ვი	კოჟებაქევახ		ბაქენე	
შოტად	კოჟებაქეტუხ		ბაქენე	
ბეშ	კოჟებაქე მახ		ბაქენე	
ეაფ	კოჟებაქევახ		ბაქენე	
შოტროდ	კოჟებაქეტუხ		ბაქენე	

3. ა წ მ ყ ო

ბეზ ვახუნ	აღითზახპუ	—მე შენთან სიტყვა მაქვს
ვი ზახუნ	აღითბუჟახ	—შენ ჩემთან სიტყვა გავს
შოტად	ვახუნ აღითტუხპუ	—მას შენთან სიტყვა აქვს
ბეში	ვახუნ აღითმახპუ	—ჩვენ თქვენთან სიტყვა გვაქვს
ეაფი ეაფ	მახუნ აღითვახპუ	—თქვენ ჩვენთან სიტყვა გაქვთ
შოტროდ	ვახუნ აღითტუფოხპუ	—მათ თქვენთან სიტყვა აქვთ...

4. ა წ მ ყ ო

ბეზი	ბუზახ	კოდა	სა ჩუთ	ქალ	—მე მყავს შინ უღელი კამეჩი
ვი	ბუვახ	სა	ვიჩი		—შენ გყავს ერთი ძმა
შოტად	ბუტუხ	კოდა	სა	არაბა	—მის მყავს (აქვს) შინ ერთი ურემი
ბეში	ბუმახ	შაპარა	კოჟე		—ჩვენ გვაქვს ქალაქში სახლი
შოტროდ	ბუტოფოხ	აფზე	გა		—მათ აქვთ სოფელში ბაღი...

¹ ამ ზმნის შესახებ იხ. აქვე, გვ. 61 შუდ.

5. ნ ა მ ყ ო უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ბენი	ტე ვახტ	ბუზახი	სა ვიჩი	—მე მაშინ (იმ დროს) მყავდა ძმა
ვი	" "	ბუვახი	" "	—შენ მაშინ გყავდა ძმა
შოტად	" "	ბუტუხი	" "	—მას მაშინ ჰყავდა ძმა
ბეში	" "	ბუაახი	" "	—ჩვენ მაშინ გვყავდა ძმა
ეაჭი	" "	ბუვაახი	" "	—თქვენ მაშინ გყავდათ ძმა
შოტროდ	" "	ბუტოაოახი	" "	—მათ მაშინ ჰყავდათ ძმა.

6. ა წ მ ყ ო

ბენი	იმპეი-ზახ - პუ	იმპეინებუ	—მე მამითალი მყავს და ა. შ.
ვი	იმპეი-ვან - პუ	იმპეინებუ	
შოტად	იმპეი-ტუხ- პუ		
ბეში	იმპეი-აახ- პუ		
ეაჭი	იმპეი-ვაახ- პუ		
შოტროდ	იმპეი-ტოაოახ- პუ.		

შდრ. ვართაშნული:

ა წ მ ყ ო

ბენი	იმაჯი-ბეშ-ბუ	—მე მამითალი მყავს და ა. შ.
ვი	იმაჯი-ვი-ბუ	
შეტად	იმაჯი-ტა-ბუ	
ბეში	იმაჯი-ბეშ-ბუ	
ეაჭი	იმაჯი-ეაფ-ბუ	
შოტროდ	იმაჯი-ჟო-ბუ.	

მაგალითად:

ზაქარად ბუ-ტუხ-ი სა ჩუტუხ, იზ წი დეთარ —ზაქარას ჰყავდა ცოლი, მისი სახელი ეთერი...

შოტად პოედელა თახულ თე-ტუხ-პუ —მას საკმარისი მოსავალი (კირნახული) არ აქვს...

ვი გოქამ ჩაოდე რ-ვახ-პუ —შენ მშვენიერი სახე გაქვს...

წარმოდგენილ ფორმებში პირის ნიშნებად გამოიყოფა: -ზახ-, -ვან-, -ტუხ-, -აახ-, -ვაახ-, -ტუხ- || -ტოაოახ-...

საყურადღებოა ის, რომ აქ მოცემული გვაქვს ნაცვალსახელის ე. წ. აკუ-ზატეის ბრუნვის (შიფნერიო—აფექტივის) ფორმა, სწორედ იმგვარადვე, როგორც ეს გვხვდება ვართაშნულში მიცემით-სუბიექტიან ზმნათა პარალელურ ფორმებში, შესატყვისი ნაცვალსახელი კი გვაქვს ნათესაობით ბრუნვაში. როგორც ვართაშნულში¹. ამ ფორმათა გამოვლენა ნიჯურში უეჭველობით ამტკიცებს იმას, რომ ვართაშნულში არსებული მეორე რიგის ფორმება მიცემით-

¹ იხ. აქვე, გვ. 63 შმდ.

სუბიექტიან ზმნებში (-ზახ-, ვახ-...) შემთხვევითნი კი არ არიან, არამედ სრულიად კანონზომიერად წარმოადგენილნი. შეიძლება დაეუფავი- ის, რომ ეს ფორმები ისტორიულად უძველესნი უნდა იყვნენ. ამ უძველესი ვითარების გაქვეყნებული ნიმუში ჩვენ შემორჩენილი გვაქვს ნიჯურში ამ ერთ ზმნასთან.

მეორე მხრივ საყურადღებოა ის, რომ ე. წ. აკუზატივის ფორმა ნიჯურში საერთოდ თითქმის აღარ გვხვდება სახელებში, იგი მხოლოდ ნაცვალსახელებშია შემორჩენილი ზოგჯერ. მაგრამ ეს ფორმები მტკიცედ არიან დაცული ამ ზმნის ფუძესთან. ისინი რომ ისტორიულად მკვიდრი მონაცემებია, ამას ისიც უნდა ამტკიცებდეს, რომ ფუძეში სისტემატურად გვაქვს ასიმილაცია ზმნის ფუძის „ბ“ თანხმოვნისა ფორმანტის „ხ“ თანხმოვანთან: ზახ + ბუ — ზახბუ...¹.

ნიჯურის ვითარება გვიდასტურებს აგრეთვე იმასაც, რომ ვართაშნულში მოცემული ნათესაობით-სუბიექტიანი უღვლილება მეორეული მოვლენაა: თავდაპირველად აქაც უნდა გვიკონოდა მიცემით-სუბიექტიანი ზმნა, როგორც ეს შემორჩენილი გვაქვს ნიჯურში. ამ დასკვნას აძლიერებს მრავლობითის 3 პირის -ყ-: აფეჟი, რომელიც მიცემით-სუბიექტიან ზმნათა კუთვნილებას წარმოადგენს და რომელიც დაცულია ნათესაობით-სუბიექტიან ზმნათა სათანადო ფორმაშიც.

6. ამგვარია ფაქტიური ვითარება ამ თავისებური უღვლილებისა უღურის ორივე კილოში. აღნიშნული მოვლენა, სახელდობრ, რეალური სუბიექტის მიცემითში დასმა, საერთოდ დიდი ხანია, რაც შენიშნულია და ეს მოვლენა დამასასიათებელია თითქმის მთლიანად კავკასიურ ენათა სამყაროსათვის (გვაქვს აგრეთვე სხვა ენებშიც, მაგრამ ამას აქ არ ვეხებით). ჯერ კიდევ 1856 წ. ა. შიფნერი მიუთითებდა წოვა-თუშურისათვის: „ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომელნიც აღნიშნავენ არა რაიმე მოქმედებას, არამედ უფრო აღქმას, გრძობას, სურვილს. საჭიროებას, შესაძლებლობას, სიყვარულს გამოხატავენ, და მათგან ნაწარმოები ანდა მათგან მიღებული რთული ზმნები (შედგენილი ზმნები) უკავშირდება მიცემითს ბრუნვას“².

სვავის ვითარება გვაქვს თითქმის ყველა კავკასიურ ენაში და სათანადო ლატერატურაში ეს ყველგან აღნიშნულია. მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი ვითარება ჩვენ გვაქვს ზმნათა გარკვეულ ჯგუფში, რომლის წევრებიც გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენენ თავისი შინაარსის, მნიშვნელობის მიხედვით. სახელდობრ, ესაა მეტ-წილად ე. წ. *verba sentiendi*. ამ გარემოებას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ თავისებურების ჩამოყალიბებისათვის: ასეთი

¹ იხ. ჩვენი „აკუზატივის გენეზისისათვის უღურ ენაში“, «ენიკის მოამბე», ტ. V—VI, რომელშიც სპეციალურად განხილულია მიცემითი ბრუნვისა და «აკუზატივის» ურთიერთობა.

² ა. შიფნერი. *Versuch über die Thusch-Sprache*, § 247, გვ. 70: „Eine Anzahl von Zeitwörtern, die keine Handlung, sondern vielmehr eine Wahrnehmen, Fühlen, Wollen, Brauchen, Können, Lieben ausdrücken und die von ihnen abgeleiteten oder mit ihnen zusammengesetzten Verba werden mit dem Dativ verbunden“.

ვითარება გვაფიქრებინებს, დაუშვათ თავისებური ენობრივი ფსიქოლოგიის არსებობა იმ დროისათვის, როდესაც ზემოხსენებული უღელილების სისტემა ყალიბდებოდა.

უღურშიც, ამგვარად, ამ ზმნებთან ჩვენ გვაქვს მიცემითი გადმოცემული რეალური სუბიექტი. მაგრამ უღურის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ეს ვითარება თავის მორფოლოგიურ ასახვას პოულობს ზმნაში: უღურში ჩამოყალიბებულია ამგვარი რეალური სუბიექტისათვის ცალკე პირის ნიშანთა სპეციფიკური სისტემა. ჯერ კიდევ უღურის პირველმა საუფლიანმა მკვლევარმა ა. შიფნერმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და აღნიშნა: „ის ზმნები, რომელნიც პირის მიცემით ბრუნვას თხოულობენ, ირთავენ წინ ან ბოლოში პირის ნაცვალსახელებს (ხაზი ჩვენია) ზა, ვა და მესამე პირისთვის ტუ-ს, მრავლობითში კი ჟა, ვაჟ და მესამე პირისთვის ყო (ყო § 11)-ს; მაგალითად, ბუყსუნ—უვარება, მხოლ. აწყყო: 1. ბუყასა, 2. ბუყასა, 3. ბუტყუსა, მრავლობ. 1. ბუჟაყსა, 2. ბუჟაყასა, 3. ბუყოყსა“¹.

ა. შიფნერმა მართებულად გამოყო ეს მორფოლოგიური ელემენტები (-ზა, -ვა, -ტუ, -ჟა, -ვაჟ, -ყო), მაგრამ მას თითქოს ისინი არ მიაჩნია პირის ნიშნებად: ის მათ სთვლის „პირის ნაცვალსახელებად“ („Personalpronomen“).

ა. შიფნერს გათვალისწინებული ჰქონდა ეს ზმნები მხოლოდ ვართაშული კილოს მიხედვით და ისიც რამდენადმე არა სრულად; სრულებით არ არსებობდა გარკვეული წარმოდგენა ნიჯური კილოს ვითარების შესახებ. ნიჯური კილოს მონაცემები კი მეტად საყურადღებოა როგორც ამ ზმნათა ისტორიის გასათვალისწინებლად უღურში, ისე სხვა ენებში მსგავსი მოვლენების შესასწავლადაც.

უღურ ენას სხვა კავკასიურ ენებთან ერთად ეხებოდნენ სხვა მკვლევრებიც. 3. შუხარდტი, ა. დირი—სპეციალურად, — ი. მეშჩანინოვი, ივ. ჯაქაჩიშვილი და სხვა. ეს ავტორები კერძოდ განიხილავენ მიცემით-სუბიექტიან ზმნებსაც. ყველა ამ მკვლევართა დასკვნები არსებითად ემყარებოდა ა. შიფნერის მონაცემებს და ზოგ შემთხვევაში მის მოსაზრებასაც.

იმავე დროს ამ ზმნათა აგებულების შესახებ გამოთქმულია საყურადღებო თეორიული ხასიათის მოსაზრებები, მაგრამ მათ შესახებ მსჯელობა და მათი კრიტიკული შეფასება მიზანშეწონილი იქნება ამ თავისებურ ზმნათა პრობლემის განხილვისას ზოგადად კავკასიურ ენებში.

აქ შესაძლებელია მხოლოდ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ჯერ კიდევ 3. შუხარდტმა მიაქცია ყურადღება ა. შიფნერის მიერ დადასტურებულ ფორმას აკსუნ — ზედვა ზმნისას, რომელშიც პირის ნიშანი წარმოდგენილია არა მიცემითი ბრუნვის, არამედ სახელობით-მოთხრობითის შესატყვისი ფორმით; 3. შუხარდტს ეს ნიშანი მიაჩნია რეალური ობიექტის

¹ ა. შიფნერი. Versuch, § 100, გვ. 26 (გერმანული ტექსტი იხ. აქვე, გვ. 60).

ნიშნად. იგი ამბობს: „მეტად საოცარია განსაკუთრებით: ბეზ ფეხ ეკალ თენე-აქსა — ჩემს თვალში მე არაფერს ვხედავ, შიფნ., 49,3, სადაც რეალური ობიექტი კონიუნქტიურ ნაცვალსახელშიც გამოჩნდება, ხოლო სუბიექტის მიცემითის მაგივრად აფექტივი გვევლინება“¹.

მსგავსი მაგალითები შესაძლებელია დავიპოვოთ აქა-იქ სხვაგანაც.

მაგალითად:

ბელსაყუნ, თე ქურ გოლრ ბულალუნე, ეკალ თენე-აქესა. R, 11,7: —ხედუნენ, რომ ორმო ძალიან ღრმაა, არაფერი არ იხედება (ჩანს)...

ევახ თე შეტინ ფიქირებე მიტუხ, მე ბიხოლო ფარიშტა აქკეცი (- აქნეცი) შეტუ ნეპე ბოშ, ვაჰ ფინე. მთ. 1,20 —როცა მან ეს იფიქრა, ეს ღეთის ანგელოზი გამოუჩინდა (ეჩვენა) მას ძილში და უთხრა...

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ «ბაქსუნ» ზმნაც ორგვარ ფორმებს იძლევა ამ ზმნის ორი მნიშვნელობის შესაბამისად: როცა ეს ზმნა აღნიშნავს — შეძლება-ს, მაშინ გვაქვს მიცემით-სუბიექტიანი უღვლილება (იხ. აქვე, გვ. 59), ხოლო როცა ამ ზმნას აქვს თავისი პირველადი მნიშვნელობა — ყოფნა, გახდომა, მოხდენა —, მაშინ ჩვეულებრივი.

ამრიგად, პირის ნიშანი ამ შემთხვევებში წარმოდგენილია სახელობით-მოთხრობითი ბრუნვის შესატყვისად: აკ-ნე-ცი, მოსალოდნელი კი იყო მიცემითის შესაბამისად: ა-ტუ-კი. თვითონ სუბიექტიც ყველგან სახელობით ბრუნვაშია. არაა სწორი კ. შუხარდტის მოსაზრება, რომ ზმნაში თითქოს ასახულია ობიექტი. მის მიერ მოყვანილ მაგალითშიაც ასახულია სუბიექტი (ეკალ — არაფერი), მაგრამ არა მიცემით ბრუნვაში, არამედ სახელობითში. რაც შეეხება «აფექტივის» ფორმას (ბეზ ფეხ — ჩემ თვალს[ში]), რომელიც სუბიექტის ბრუნვად არის მიჩნეული, იგი ნამდვილად გარემოებას უნდა წარმოადგენდეს (მიცემითი ბრუნვით გადმოცემულს)².

მაგრამ მიუხედავად ამგვარი ახსნისა, მაინც რჩება ერთი და იმავე ზმნის ორი ფორმა და ამ გარემოებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ მიცემით-სუბიექტიან ზმნათა აგებულების გასათვალისწინებლად. ეს ზმნა გვიჩვენებს უღურის განვითარების იმ საფეხურს, როცა იწყებოდა ზმნის უღვლილების დიფერენციაცია, პირის ნიშანთა სხვადასხვაგვარი აღნიშვნა. ეს დიფერენციაცია, როგორც წესი, ჩატარდა ზმნათა მიხედვით, რაც დღევანდელს უღურშიც დადასტურებულია: ერთი ზმნა მხოლოდ სახელობით ბრუნვას შეიწყობს, ხოლო მეორე — მიცემითს (გვაქვს პირის ნიშანთა სათანადო გამოხატვა). მაგრამ შესაძლებლობა იყო პირის ნიშანთა ასეთი გარჩევა ერთსა და იმავე ზმნაშიც მომხდარიყო. საფიქრებელია, დიფერენციაცია წარმართებოდა სუბიექტური და ობიექტური უღვლილების ჩამოყალიბების ხაზით, რაც თავის მხრივ მოგვეცემდა ზმნის ორპირიანობას (ამ თვალსა-

¹ კ. შუხარდტი. Russ., გვ. 33.

² იხ. ჩვენი „აქუხატივი“. განუხისისათვის უღურ ენაში. «ენიმიკის მოამბე», ტ. V—VI. გვ. 145.

ზრისით საყურადღებოა ქართული და ქართველური ზმნის ვითარების გათვალისწინება). უღურში ეს პროცესი დასაწყის სტადიაზე შეჩერდა. ნიჯურ კილოში ჩვენ საპირისპირო პროცესიც კი გვაქვს: მიცემით-სუბიექტიანი ზმნების უღვლილება საერთო სისტემას ემორჩილება.

ამგვარ ვითარებასთან დაკავშირებულია კავკასიურ ენათა აგებულების საყურადღებო საკითხები (კერძოდ ზმნის აგებულების საკითხები), მაგრამ მათი განხილვა ამ წერილის მიზანს არ შეადგენს: ეს საკითხები მოთხოვენ ცალკე ანალიზს შედარებით-ისტორიული თვალსაზრისით.

დასკვნითი დებულებები

1. სხვა კავკასიურ ენათა საპირისპიროდ უღურ ენას აქვს პირის ნიშანთა ჩამოყალიბებული სისტემა, პირის ნიშნები არსებითად (3 პირის გამოკლებით) წარმოადგენენ იმავე პირის ნაცვალსახელებს, რომლებიც ამჟამადაც ჩვეულებრივ ხმარებაშია უღურში.

2. პირის ნიშანთა აღნიშვნის თვალსაზრისით უღურში გვაქვს ზმნათა ორი ჯგუფი: პირველი (უმრავლესობის შემცველი) ჯგუფის ზმნები—სახელობით-მოთხრობითი სუბიექტით—პირის ნიშნებს წარმოგვიდგენენ ნაცვალსახელის სახელობითის ფორმით (-ჟუ-, -ნუ-, -ნე-, -ან-, -ნან-, -უუნ-), ხოლო მეორე ჯგუფისა—მიცემითი ბრუნვის ფორმით (-ზა-, -ვა-, -ტუ-, -აა-, -ვაა-, -უო-). ეს უკანასკნელი ზმნები სუბიექტს (resp. რეალურ სუბიექტს) მართავენ მიცემით ბრუნვაში და მათ ვუწოდებთ მიცემით-სუბიექტიან ზმნებს.

ბრუნვათა გენეზისისა და გარდამავალი ზმნის ბუნების გასარკვევად პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სუბიექტი ერთგვარი ნიშნით გამოიხატება ზმნაში იმისდა მიუხედავად, სახელობითში დაისმის იგი, თუ მოთხრობითში.

3. მიცემით-სუბიექტიან ზმნებს თავისი სინტაქსური და მორფოლოგიური ნიშნები შენარჩუნებული აქვთ უღურის ვართაშნულ კილოში: ნიჯურში მიცემით-სუბიექტიანი ზმნები გვაძლევენ ჩვეულებრივი სახელობით-მოთხრობით-სუბიექტიანი ზმნების სინტაქსურსა და მორფოლოგიურ თვისებებს.

4. უღურში გვაქვს ერთი ზმნის ფუძე ბუ—ყოფნა, 'ქონება', 'ყოლა'. რომელიც სრულიად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს: ვართაშნულში იგი მოითხოვს სუბიექტს ნათესაობითს ბრუნვაში და პირის ნიშანიც წარმოადგენილია ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, გარდა მრავლობ. 3 პ. ფორმისა, რომელშიც გვაქვს მიცემითი ბრუნვის ფორმა, ნიჯურში—სუბიექტი აგრეთვე ნათესაობითს ბრუნვაშია, პირის ნიშნები კი—ნაცვალსახელის ე. წ. აკუზატივის ფორმით, რომელიც ჩვენ მიგვაჩინა მიცემითის ფორმად (ზაზ-ბუ —*ზაზ-ბუ, ვაზ-პუ —*ვაზ-ბუ...). ნიჯურის ვითარება გვაყარადღებინებს იმას, რომ ნათესაობით-სუბიექტიანი უღვლილება მეორეული წარმოშობისაა: თავდაპირველად ბუ ზმნაც მიცემით-სუბიექტიანი უნდა ყოფილიყო ვართაშნულშიც.

5. უღვლილების სისტემაში ორი რიგის ფორმათა გამოვლენა მნიშვნელოვანია ზმნის აგებულების გასათვალისწინებლად უღურ ენაში (საერთოდ, კავკასიურ ენებშიც). უღურში დადასტურებული გვაქვს ზმნის უღვლილების სისტემის ჩამოყალიბების პროცესის ის დასაწყისი საფეხური, როცა ისახებოდა თავისებური ობიექტური უღვლილება (საერთოდ, ჰირის ნიშანთა დიფერენციაცია): მიცემითი ბრუნვით გადმოცემული სუბიექტი იმდროინდელი ენობრივი ცნობიერების მიხედვით შესაძლებელია გრამატიკულ ობიექტად წარმოვიდგინოთ. ამ პრობლემას თავისებური მნიშვნელობა აქვს ე. წ. კავკასიურ ენათა «პასიური კონსტრუქციის» ზოგადი პრობლემისათვის.

В.Л. ПАВЛОВИДЗЕ

ГЛАГОЛЫ С СУБЪЕКТОМ В ДАТЕЛЬНОМ ПАДЕЖЕ В УДИНСКОМ ЯЗЫКЕ*

(РЕЗЮМЕ)

1. В противоположность некоторым кавказским языкам в удинском языке мы имеем определенную систему личных показателей. Личные показатели (за исключением 3-го лица) суть те же личные местоимения, которые и самостоятельно употребляются в современном удинском языке.

2. С точки зрения обозначения лиц в удинском языке мы имеем две группы глаголов: глаголы первой группы — с именительным-эргативным субъектом — выявляют личные показатели в форме именительного падежа местоимений (-ბუ -bu, -ნუ -nu, -ნე -ne, -აბ -ap, -ბან -ban, -უბ -ub), глаголы же второй группы — в форме дательного падежа (-ზა -za, -ვა -va, -ტუ -tu, -აა -aa, -ვაა -vaa, -ყო -qo). Эти последние глаголы управляют субъектом (resp. реальным субъектом) в дательном падеже и мы называем их глаголами с субъектом в дательном падеже.

С точки зрения генезиса падежей и выяснения природы переходных глаголов принципиальное значение имеет то обстоятельство, что субъект обозначается в глаголе одним и тем же аффиксом, несмотря на то, что он передается именительным или эргативным падежом.

3. Глаголы с дательным субъектом сохранили свои синтаксические и морфологические признаки только в варташенском диалекте удинского языка. В идишском диалекте эти глаголы выявляют общие синтаксические и морфологические признаки глаголов с именительным-эргативным субъектом.

4. Кроме этого в удинском языке имеется одна глагольная основа -ბუ -bu — «быть, иметь», которая выявляет некоторую особенность: в варташенском диалекте

* Доложено на заседании Отдела Кавказских языков ИЯИМК им. Н. Я. Марра, 27.XII.1938 г.

шепском диал. этот глагол требует субъекта в родительном падеже и личные показатели представлены в глаголе именно в форме родительного падежа соответствующих местоимений, в идишском же—реальный субъект ставится также в родительном падеже, а личные показатели выявляются в форме т. н. аккузатива, каковую форму мы считаем формой дательного падежа (ზებ-ჰუ — ზებ-ბუ зах-რი — зах-ბუ—‘я имею’, ვებ-ჰუ — ვებ-ბუ ვახ-რი — ვახ-ბუ—‘ты имеешь’ и т. д.).

Данные идишского диалекта заставляют предположить, что спряжение с родительным падежом вторичное явление: исторически основа ბუ hu также являлась глаголом с дательным субъектом.

5. Выявление в системе спряжения двойного рода форм имеет значение для выяснения структуры глагола в удинском языке (и, вообще, в кавказских языках). В удинском засвидетельствована та ступень в развитии системы спряжения, когда оформлялось своеобразное объективное спряжение (вообще происходила дифференциация личных показателей): субъект в дательном падеже мы можем представить — с точки зрения тогдашнего языкового сознания—грамматическим объектом.

Проблема эта имеет определенное значение для разрешения общей проблемы о «пассивной конструкции» в кавказских языках.

VI. PANTCHPIDZÉ

LES VERBES AVEC LE SUJET AU DATIF EN OUDINE*

(RÉSUMÉ)

1. Contrairement aux certaines langues caucasiques on a en oudine un système défini des indices personnels. A l'exception de la 3^{me} personne ces indices sont les mêmes pronoms personnels qui s'emploient indépendamment dans l'oudine moderne.

2. Au point de vue de la désignation des personnes on a en oudine deux groupes de verbes: ceux du 1^{er} groupe—avec un sujet nominatif-ergatif—montrent les indices personnels sous la forme du nominatif des pronoms (-ზუ -zu, -ნუ -nu, -ნე -ne, -ჯან -jan, -ნან -nan, -ყუნ -qun), ceux du second groupe les montrent sous la forme du datif (-ზა -za, -ვა -va, -ბუ -bu, -ჯა -ja, -ვაე -vae, -ყა -qa). Ces derniers régissent le sujet (resp. le sujet réel) au datif et nous les appelons „verbes avec le sujet au datif“.

Au point de vue de la genèse des cas et pour élucider la nature des verbes transitifs l'essentiel est que le sujet est désigné dans le verbe par le même affixe sans distinction pour le nominatif ni pour l'ergatif.

* Rapporté à la séance de la Section des Langues Caucasiques de l'Institut Marr, 27.XII.1938.

3. Les verbes avec leur sujet au datif n'ont retenu leurs marques syntaxiques et morphologiques que dans le dialecte vartachène de la langue oudine. Dans le dialecte nidge ces verbes montrent les signes communs syntaxiques et morphologiques des verbes avec le sujet nominatif-ergatif.

4. Ce qui plus est nous avons en oudine un seul thème verbal ბუ bu —'être, avoir' qui montre une certaine particularité: dans le vartachène ce verbe exige son sujet au génitif et les indices personnels sont représentés justement sous la forme du génitif des pronoms correspondants, tandis que dans le nidge le sujet réel est mis également au génitif mais les indices personnels se trouvent sous la forme du soi-disant accusatif, laquelle forme nous tenons pour celle du datif (ზახ-პუ—*ზახ-ბუ zax-pu—zax-bu—ქ'აი ვახ-პუ—*ვახ-ბუ vax pu —*vax-bu—'tu as' etc.).

Les données du dialecte nidge nous font supposer que la conjugaison avec le génitif est un phénomène secondaire: historiquement le thème ბუ bu apparaissait aussi comme verbe avec le sujet au datif.

5. La manifestation dans le système de la conjugaison des formes de double espèce a sa valeur pour l'explication de la structure du verbe en oudine (et par là dans les langues caucasiennes). La langue oudine nous atteste ce degré dans le développement du système de la conjugaison où la conjugaison objective sa forme à elle avec la différenciation des indices personnels: nous pouvons nous figurer—au point de vue de la conscience linguale d'alors—le sujet au datif comme objet grammatical.

Ce problème a sa valeur, à elle aussi, pour la solution du problème général de la «construction passive» dans les langues caucasiennes.

მლ. ზანჩვიძე

მრავლობითი რიცხვის მესამე პირის აუფისები

„ჟუნ- || -*ჟო- უღურ ენაში“

როგორც ცნობილია, ზმნის ფორმებში პირის ნიშნებად გამოყენებულ ფორმანტები უღურში გენეტურად უკავშირდება სათანადო პირის ნაცვალსახელებს. ეს კავშირი ნათელია 1 და 2 პირში: განსხვავებას ჰქმნის მცირეოდენი ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები. თავისებურებას გვაძლევს 3 პირი, რომლის ფორმანტთა კავშირი ნაცვალსახელოვან ფუძეებთან დღეს ნათელი აღარ არის. ამათგან მხოლოდობითი რიცხვის -ნე- || -ტუ-, როგორც ირკვევა, ისევ ნაცვალსახელოვანი წარმოშობისაა, თუმცა დღევანდელს უღურში ეს ფუძეები ნაცვალსახელოვანი მნიშვნელობით ცალკე აღარ გვხვდება: ამგვარი შინაარსი მათ შერჩენილი აქვთ მხოლოდ ზმნაში¹. ძნელი გასარკვევეი ხდება მრავლობითის 3 პ. -ჟუნ- || -ჟო- ფორმანტების რაობა და გენეზისი. ირკვევა, რომ ამ ფორმანტებს თითქოს არ უნდა ჰქონდეთ კავშირი პირის ნაცვალსახელებთან. უღური ენის შესახებ არსებულ ლიტერატურაში არც ყოფილა ცდა, რომ ამ ფორმანტთა გენეზისი აეხსნათ; უმთავრესად გვქონდა მათი გამოყენების აღწერითი დახასიათება.

როგორია ამ ფორმანტების ფუნქცია?

1. უღურ ზმნაში აღინიშნება მხოლოდ სუბიექტი²; -ჟუნ- || -ჟო- აფიქსები გამოხატავენ სუბიექტის მრავლობითობას მესამე პირში. ეს აფიქსები მხოლოდ ვართაშნული კილოს კუთვნილებას წარმოადგენენ, ნიჯურში კი სხვაგვარი ვითარება გვაქვს, რასაც ქვემოთ შევხებით. -ჟუნ- (ვართაშნულში) გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი სახელობითს ან მოთხრობითს ბრუნვაშია. ზმნის უღვლილების პროცესი კი ამგვარად წარმოგვიდგება ვართაშნულში: «Inf.»: ქ ა რ ხ ე ს უ ნ—(ცხოვრება).

* წაითხულია მოხსენებად ენაშკის კავკასიურ ენათა განყოფ. სხდომაზე 7.X.1939.

¹ იხ. ჩენი: „მხოლოდობითი რიცხვის 3 პირის ნაცვალსახელოვანი -ნე- || -ტუ- უღურ ენაში“. ფენაშკის მოამბეუ ტ. X. აგრეთვე ნ. ტრუბეტკოვი. Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéchénolesghiennes. BSL, XXIX, 3. Paris 1929, გვ. 153 შმდ.

² იხ. ა. შიფნერი. Versuch, გვ. 25 შმდ., ა. დირი. Грамм., გვ. 48 შმდ. და ჩენი „მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურ ენაში“, აქვე, გვ. 51 შმდ.

ა წ მ ყ ო

ზუ	ქარზუნსა	დან ქარაანხესა
უნ	ქარრუნსა (—ქარნუნსა)	ვან ქარანხესა (—ქარანხესა)
შონო	ქარრუნსა (—ქარნუნსა)	შონორ ქარ-ყუნ-ხესა...

ა ო რ ი ს ტ ი I

ზუ	ქარზუხი	დან ქარაანხი
უნ	ქარრუხი (—ქარნუხი)	ვან ქარანხი (—ქარანხი)
შონო	ქარრუხი (—ქარნუხი)	შონორ ქარ-ყუნ-ხი...

მაგალითად:

შონორ გოლო ქანსი ბ-ყუნ-ქარხე ... ისინი ძალიან ღარიბად ცხოვ-
რობდენ...

ჩობანლონ აკესხოდან, კალყუნეხა იწულო ტოლოლო, თაყუნდესა
შუმ, მუქანაყ—მწყემსებმა დანახისთანავე დაუძახეს თავისთან, მისცეს
პური, რძე...

ყვარი იაყენ თაყუნცი იწლო ოლქინა. მთ. 2, 12 ... სხვა გზით წავიდენ
თავის ქვეყანაში...

-ყო- ფორმანტი გვაქვს ზმნათა ერთ ჯგუფში; ეს ზმნები რეალურ სუ-
ბიექტს მოითხოვენ მიცემით ბრუნვაში. ასეთ ზმნათა რიცხვი მცირეა უღურში
და მათი უღვიღლების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ პირის ნიშნად
მათში გვევლინება შესატყვისი ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში (თვითონ
სუბიექტი თანამედროვე უღურში შეიძლება აღარ იყოს მიცემითში. არამედ
მოთხრობითშიც გვქონდეს¹). გვაქვს ფორმები:

«Inf.»: ბუყსუნ --ნდომა, ყვარება.

ა წ მ ყ ო

ზა ზუ	ბუზაყსა	და დან ბუაყსა
ვა	ბუვაყსა	ვაა ბუვაყსა
შოტუ შეტინ	ბუ-ტუ-ყსა	შოტროლო შოტროლონ ბუ-ყო-ყსა.

ა ო რ ი ს ტ ი I

ზა ზუ	ბუზაყი	და დან	ბუაყი
ვა	ბუვაყი	ვაა	ბუვაყი
შოტუ შეტინ	ბუტუყი	შოტროლო შოტროლონ	ბუ-ყო-ყი

მაგალითად:

სრულქპარლობ შეტუხ თე აყჟსა, აყყუნესა. ა. დირი, Грамм., 6322
ევაკრები მას რომ ჰხედავენ, უკვირთ...

¹ იხ. ჩვენი „მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურ ენაში“, აქვე, გვ. 57 შმდ.

ეს კუა ბაეხსოლან აყოკი ადლახ მაძრამახოლ. მთ. 2, 11.—და სახლში შე-
სვლისთანავე დაინახა ბავშვი მარიამთან...

ევახ თე იყო ბაქსა, იჩულო ლარ იშაა დაყენ-ნე-თაყე. ა. დირი,
Γραμμ., 63, 8.—როდესაც (რომ) ესმათ, რომ მათი შვილი ახლო გზით
წავიდა...

2. უღურის ნიჯურ კილოში ეს ფორმანტები აღარ გვხვდება. -ყუნ- აფიქ-
სის შესატყვისად ნიჯურში გვაქვს -ტუნ-. იგივე -ტუნ- შეესატყვისება -ყო- აფიქს-
საც, რადგანაც ნიჯურში მიცემით-სუბიექტიან ზმნათა უღვლილება, საერთოდ,
აღარ დასტურდება¹. ერთ ზმნაში, რომელსაც მიცემით-სუბიექტიანი უღვლი-
ლების ნაშთი შემოუნახავს, -ყო-ს შეესაბამება -ტოაოახ || ტოოხ, რომელიც ამ-
გვარად უნდა იყოს მიღებული: -ტოაოახ — -ტოლოხ — -ტე-უხ-ახ²...

მაგალითად:

ბუთუმ სა ხაშე ბომ გირტუნსა იჩაე ააზე...—ყველა ერთ თვეში შეი-
კრიბა თავის სოფელში...

ბიასინ ბუთუნ ქულჯანტულენ არცეტუნე, შაჰათ ჰაზირრუხ -ტოაოახ-ჰუა...

ეს -ტუნ-, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა მიგვეჩნია -ყუნ- აფიქსის ფო-
ნეტიკურ სახეცვლილებად: -ყუნ- — -ტუნ- ... უკანანისმიერთა შენაცვლება წინა-
ენისმიერებით, საერთოდ, კავკასიურ ენებში დადასტურებულია, კერძოდ, თი-
თქოს უღურშიც გვხვდება: ვართ. კილინ კაშა—ნიჯ. ტილინ კაშა—ნიკი³
(შდრ. ქართ. კიმოთე || ტიმოთე...). მაგრამ უფრო მართებულად უნდა
მივიჩნიოთ მისი მორფოლოგიურ საფუძველზე ახსნა: -ტუნ- ფორმანტში
უნდა გვექონდეს ვართაშნულის მიცემით-სუბიექტიანი ზმნების -ტუ - აფიქსის
მონათესავე ფუძე. ამ უკანასკნელ აფიქსში კი ჩნდება პირველადი ნაცვალსა-
ხელოვანი -ტე - მიცემით ბრუნვაში გაფორმებული³. თავისებურებას ის
ჰქმნის ამ შემთხვევაში, რომ ეს -ტე- ფუძე ნიჯურში გამოყენებულია ყველა
ზმნისათვის მრავლობით რიცხვში. უნდა ვივარაუდოთ, რომ თვითონ იგი წარ-
მოადგენს მრავლობითის ფორმას: ტუნ — *ტე - უნ... როგორია მისი წარმოება
ანდა რა აღნიშნავს მასში მრავლობითობას, ეს საკითხი ამჟამად ნათელი
არაა (იგი ცალკე კვლევას თხოულობს).

3. ზემოაღნიშნული -ყუნ- II -ყო- აფიქსები, როგორც ვთქვით, შენიშნული
იყო უღური ენის მკვლევართა მიერ. ჯერ კიდევ ა. შიფერი აღნიშნავდა:
„მესამე პირისათვის ზმნასთან ჩვენ გვხვდება ნე დაბოლოება, ... მრავლობითში“

¹ იხ. ჩვენი „მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურ ენაში“, აქვე, გვ. 64 შმდ.

² ამ ფორმაში ბოლო -ახ ბრუნვის ნიშნია, -უხ კი ჩვეულებრივი მრავლობითობის აფიქსი.
ხდება ფონეტიკური ცვლილება, კერძოდ „ხ“ → „ლ“ (გამჟღერებით), რომელიც შემდეგ იკარ-
გება ორ ხმოვანს შორის (ღ-ს ამგვარი დასუსტება და დაკარგვა ანასიათებს საერთოდ ნიჯურს).
იხ. ჩვენი „უღური ენა და მისი კილოები“, «ენიშკი-ს მოამბე» IV, 3, გვ. 309—10. რაც შეეხება
ტე-ს, ის წარმოადგენს 3 პ. პირიულ ნაცვალსახელს, როგორც ეს სხვა ადგილას არის გარკვე-
ული: იხ. ჩვენი—„მხოლ. რ. 3 პირის ნაცვალსახელოვანი -ნე- II -ტუ- უღურ ენაში“, «ენიშკი-ს
მოამბე» ტ. X, გვ. 261 შმდ.

³ იქვე, გვ. 265—6.

კი ფორმა ყუნ, რომლის მაგივრად ნიჯურ კილოში ტუნ იხმარება¹. შემდგომ კი იგი განაგრძობდა: „ისეთ ზმნებთან, რომელნიც მიცემითს თხოულობენ, ჩვენ ვხედავთ მხოლოდობითში ზედსართავთა ნიშანს ტუ-ს, მრავლობითში ყო(ყო)-ს, რომელიც მრავლობითის ღო ნიშნის პარალელური ფორმა უნდა იყოს (§§ 25, 62)“². უკანასკნელ შემთხვევაში -ყო- დაკავშირებულია -ღო- აფიქსთან სახელებში, მაგრამ ეს დაკავშირება, როგორც ვნახავთ, არ უნდა იყოს მართებული. სხვაგვარი ახსნა კი ამ ფორმანტა რაობის შესახებ უდურის მკვლევართ არ წარმოუდგენიათ.

რას უნდა წარმოადგენდეს -ყუნ- || -ყო- აფიქსები ვართაშნულში? მათი რაობის გარკვევა მხოლოდ უდური ენის მონაცემთა მიხედვით ძნელდება, რადგანაც უდურში მათ არ მოეპოვება რაიმე ეტიმოლოგიურად მათთან დაკავშირებული ფუძე (resp. ძირი). ამდენად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს აფიქსები წარმოადგენენ ნასესხებ მონაცემებს. მაგრამ მათი გამოყენება უღვლილების სისტემაში უფრო საეარაუდოდ მიგვაჩნევენებს იმას, რომ ისინი უდურის ძირითად კუთვნილებას შეადგენენ. მათი ამგვარი გამხოლოება უნდა აიხსნას უცხო ენათა გავლენით უდურზე, რამაც თითქმის განადგურება გამოიწვია უდურის ლექსიკისა და მორფოლოგიური ელემენტებისაც. რჩება ამის გამო მეორე გზა: უდურის ეს აფიქსები შეეუბირისპიროთ სხვა კავკასიურ ენათა მონაცემებს.

ამ მხრივ ამგვარი ვითარება გვაქვს. უკანაენისმიერი თანხმონები სხვადასხვა ხმოვნით საკმარისად გვაქვს წარმოდგენილი კავკასიურ ენებში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ამ მხრივ სახელთა მრავლობითობის სუფიქსი -უხ თვით უდურში, რომელიც ირიბ ბრუნვებში იძლევა -ულ || -ლ სახეობას (მომდენო ბრუნვის ნიშნის ხმოვნის გავლენით).

მაგალითად:

მხოლ. რ	მრავლ. რ.
სახელ. ადამარ—ადამიანი	ადამარ-უხ
მოთხრ. ადამარენ	ადამარ-ლ-ონ (-*ადამარ-უხ-ენ)
სახელ. ღარ—შილი	ღარ-მ-უხ
მოთხრ. ღარენ	ღარ-მ-ულ-ონ (-*ღარ-მ-უხ-ენ).

ამ -უხ || -ულ || -ლ ფორმანტის დაკავშირება უშუალოდ -ყუნ- || -ყო ფორმანტთან შესაძლებლად არ მიგვაჩნია, რადგანაც ამგვარი ფონეტიკური გადასვლა (ხ || ლ—ყ ან პირუკუ...) თანამედროვე უდურის ფარგლებში დადასტურებული, თითქოს, არ არის... ხოლო თუ ასეთი კავშირი აღმოჩნდება სა-

¹ ა. შიფნერი, Versuch, § 77: „Für die dritte Person finden wir beim Verbum die Endung **ნე**, ... im Plural aber die Form **ყუნ**, statt welcher in der Mundart von Ntdš **ტუნ** gebräuchlich ist“.

² იქვე, § 78: „Bei den Zeitwörtern, welche den Dativ erfordern, sehen wir im Singular den Adjectivcharakter **ტუ**, im Plural **ყო(ყო)**, das wohl eine Nebenform des Pluralcharakters **ღო** sein dürfte (§§ 25, 62)“.

ბოლოოდ მათ შორის, უნდა ვივარაუდოთ სხვაგვარი, უფრო რთული¹ ურთი-
ერთობა.

რაც შეეხება სხვა კავკასიურ ენებს, საყურადღებოა ის, რომ მრავლობი-
თის ფორმანტებში შესაძარებლად გამოსადეგი მასალა არა გვხვდება არც და-
ლისტნის ენებში და არც ჩაჩნურ ჯგუფში, ე. ი. სწორედ იმ ენებში,
რომლებთანაც უღური ტერიტორიალურად უფრო ახლოა და ნათესაური კავ-
შირითაც უფრო ახლოს უნდა იდგეს². ამგვარი შესაძარებელი მრავლობითის
ფორმანტები ჩვენ გვაქვს, ერთი მხრივ, აფხაზურ-ადიღურ ენებში, ხოლო
მეორე მხრივ, ქართულ ენებში. ქართველური ენების გზით უღური კავ-
შირს აბამს კავკასიური ენების დასავლურ ჯგუფთან. სახელდობრ, ჩვენ გვაქვს
მრავლობითობის აფიქსები: სახელებში: აფხაზურში ქუა, ყაბარდოულში ხე,
საერთო ჩერქეზულში ხა, ხა(-ერ)³; აფხაზურშივე გვაქვს ქ ფორმანტი ზმნაში—
ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად:

მაგალითად:

- ი-ზ-ბლუ-ეიტ — იმ ვწვაე
- იზ-ბლ-ქუ-ეიტ — იმ ვწვაე ბევრ საგნებს⁴.

ამ ფორმანტებთან უშუალო კავშირში უნდა იყოს სვანურ ზმნაში დადა-
სტურებული სუბიექტის 3 პ. -ხ:

- „იშხუნიხ- — ინახავენ,
- იკელხ- — იღებენ...“

და 2 და 3 პ. ობიექტის მრავლობითობის სუფიქსი „ხ“:

- „ჯალაბტ-ხ — ფიყვარსთ,
- ხალაბტ-ხ — უყვარსთ“⁵

მაგრამ უფრო საყურადღებოა ამ მხრივ ქართულში დადასტურებული
ყუ ნაწილაკი, რომლის შესახებაც მოიპოვება არნ. ჩიქობავას სპეცი-

¹ ა. შიფნერ ი. Versuch..., § 78. ა. შიფნერს კერძოდ -ლო მიანიხ მთლიან ფორ-
მანტად; ნაძვლილდ იგი შედგენილი მონაცემია და მიღებულია გარკვეული ფონეტიკური ცვლი-
ლებების შედეგად: -ლო- — -ლხ- ა. იხ. ჩვენი „სახელთა ბრუნებისათვის ქუღურ ენაში“. «ენიმ-
კის მოამბე», I, გვ. 134.

² დალისტნისა და ჩაჩნური ჯგუფის ენებში ჩვენ გვაქვს მრავლობითობის ბევრი ფორ-
მანტი: თანხმუნები რ, ლ, ნ, ბ, მ, დ, ტ, თ, სხვადასხვა ხმოვნით და ხმოვანი ე. უღურის -ურ
მრავლობითის ფორმანტი ამათთან უშუალო კავშირში უნდა იყოს. შდრ. ა. დი რ ი, Einführ.,
გვ. 162—340.

ტაბასარანულში მითითებით ნაცვალსახელში გვაქვს რალაც მსგავსი ფორმანტი: დუმუ—
‘ის’, დუ-ურე—‘ისინი’, მაგრამ ამ ფორმანტის რაობა ნათელი არაა. შდრ. ა. დი რ ი. Einfüh-
rung, გვ. 270.

³ ა. დი რ ი. Einführung, გვ. 40—41.

⁴ იქვე, გვ. 49.

⁵ ე. თოფური ა. სვანური ენა. I. ზმნა, გვ. 15 შმდ.

ალური გამოკვლევა¹. როგორც ცნობილია, -ყე ნაწილაკი აღნიშნავს უპირ-ველეს ყოვლისა მიცემითით გადმოცემულს ლოგიკურ (რეალურ) სუბიექტს, რომელიც გრამატიკულად ობიექტს წარმოადგენს, ხოლო შემდგომ სახელობითით გადმოცემულ სუბიექტსაც². ორსავე შემთხვევაში მის მრავლობითობის აღნიშვნის ფუნქცია აქვს.

თუ ზემოჩამოთვლილ ენათა განხილულ ფორმანტებს შევედარებთ უღერის სათანადო მრავლობითობის ფორმანტებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ უღერში ორი რიგის მონაცემები გვაქვს: სახელთა მრავლობითის -უნ || -ულ || -ლ ფორმანტები უშუალოდ უნდა უკავშირდებოდნენ სვანურ-აფხაზურ-(ჩერქეზულ)-ადიღეურ ფორმანტებს³; ხოლო მეორე -ყუნ- || -ყო- თვალსაჩინოდ ამჟღავნებს რალაც კავშირს ქართულ ენაში, უპირატესად კილოებში, დადასტურებულ -ყე ნაწილაკთან. აქვე უნდა აღვიაროთ, რომ როგორც ქართ. -ყე, ისე უღერი -ყუნ - || -ყო- სათანადო კორელატს ვერ ვპოულობენ კავკასიურ ენათა ცნობილს მრავლობითი რიცხვის ჩვეულებრივს ფორმანტებში. -ყე ნაწილაკისა და -ყუნ || -ყო-ფორმანტების გენეზისი ამიტომ სხვა მიმართულებითაა საძიებელი.

საწინააღმდეგოდ, კავკასიურ ენათა უმრავლესობა არა გვაქვს ჯეროვნად შესწავლილი, მით უმეტეს არაა გათვალისწინებული მათი ისტორია ცალ-ცალკე და შემდეგ ერთობლივად. ამიტომ ზემოხსენებულ ფორმანტთა გენეზისის გარკვევაც ძნელდება. აქ შესაძლებელია გარკვეული ვარაუდის დაშვება, რომლის დადასტურებაც დასჭირდება შემდგომი კვლევა.

ყურადღებას იქცევს ამ მხრივ ორი რიცხვითი სახელის აღმნიშვნელი ძირი კავკასიურსა და კერძოდ ქართველურ ენებში. ივ. ჯავახიშვილის შრომაში: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“⁴, —სხვათა შორის, გარჩეულია ეს ფუძეც და შემდეგი დასკვნებია მოცემული: ლეგურსა და ალბანურში „ორის ძირეული ბგერა თავდაპირველად „ყ“ ყოფილა და კ, ლ, კ, კ, ან ჯ შენაცვლების გზით არის გაჩენილი“ (ხს. შრ., გვ. 365). ამასთანავე ჩაჩნურშიც ორის აღსანიშნავად გამოიყოფა „ყა“ ფუძე (რეფ. ძირი, გვ. 298). ხოლო აფხაზურ-ადიღეურ ენათა ჯგუფისათვის ასეთი დასკვნა გვაქვს: „2-ის სახელის ყველა ამ ენების ძირად ამგვარად მხოლოდ ყო, ანუ ყუ არის მისაჩნევი“ (გვ. 293).

დასასრულ, ამავე შრომაში ივ. ჯავახიშვილი ქართველურის შესახებ ამბობს: „გულდასმითმა კვლევა-ძიებამ, მაშასადამე, დაგვარწმუნა, რომ ისტორიულ ხანაში ცნობილი ორის გარდა, წინათ და უძველეს ხანაში ამ რიცხვის გამოსახატავად ყური და ყორი ყოფი-

¹ არნ. ჩიქობავა. -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით. წილწილელი I—II, გვ. 32 შშდ.

² იქვე, გვ. 39 შშდ.

³ 3. შუხარდტს აქვს ცდა სვანურ-აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმანტთა შეპირისპირების ქართ. -ყე ნაწილაკთან; იხ. *McLanges Charles de Harlez*, გვ. 280. ვიმოწმებთ არნ. ჩიქობავას მიხედვით: *op. cit.*, გვ. 67.

⁴ ტფილისი, 1937.

ლა, რომ, საერთოდ, ორობის გამომხატველი ძირი ქართვე-
ლურსაც ჟო ჰქონია...“ (გვ. 403. ხაზი ავტორისაა,—გ. ფ.).

ამ დასკვნათა გათვალისწინებით, შესაძლებელია დავუშვათ, რომ უდური
-ჟუნ- II -ჟო- და ქართ. -ჟე ნაწილაკი დაკავშირებული არიან ამ ზოგად კავ-
კასიურ ორობის აღმნიშვნელ ფუძესთან. ამ ფორმანტებმა რომ სიმრავლის აღ-
ნიშვნის ფუნქცია მიიღეს, ეს შეგვეძლო აგვეხსნა სემანტიკური ცვლილებით:
‘ორობის მნიშვნელობამ მოგვცა ‘მრავალი’-ს გაგება გარკვეულ ისტორიულ
ხანაში. ამგვარი რამ ზოგადი თვალსაზრისით შეუძლებელი არ უნდა ყოფი-
ლიყო. ამასთან შესაძლებელია კერძობითი მაგალითიც დაიძებნოს მნიშვნე-
ლობის მსგავსი ცვლილების საილუსტრაციოდ ¹.

თვით უდური -ჟუნ- II -ჟო- ამ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა ასეთი შედგე-
ნილობისა: ფუძე ჟუ- გაფორმებულია ერთ შემთხვევაში სახელობით ბრუნ-
ვაში -ნე- — ნ ელემენტით (უნდა ვიფიქროთ დეტერმინანტი: *ჟუნ-ე — ჟუნ),
ხოლო მეორე შემთხვევაში მას ერთვას მიცემითი ბრუნვის -ა ნიშანი და გვაქვს:
*ჟუ +ა — ჟო. ამგვარ შედგენილობასთან შეფარდებულია მათი გამოყენებაც:
-ჟუნ- გვაქვს სახელობით-მოთხრობით-სუბიექტიან ზმნებში, -ჟო კი—მიცემით-
სუბიექტიან ზმნებში.

ამასთან დასტურდება მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ მრავლობითის შესაძვე
პირში ჩვენ გვაქვს მხოლოდ მრავლობის ნიშანი, პირის ნიშანი კი არა².
ამდენადვე -ჟუნ- II -ჟო- აფიქსებს კავშირი არ ექნებათ პირის ნაცვალსახელებთან.

¹ იხ., მაგალითად, Н. Н. Поппе. Монгольские числительные. «Языковедные про-
блемы по числительным», I, გვ. 97 შნდ.

² არნ. ჩიქობავამ გამოარკვია, რომ ქართულში (და ქართველურშიც) შესაძვე პირის
სუბიექტის ნიშნები ზმნის მხოლოდობითში აქვს, მრავლობითში კი—არა“. მასვე წარმოდგენი-
ლი აქვს უდური ენის ისტორიისათვისაც მნიშვნელოვანი დებულება: „მრავლობითის
სუფიქსების დამკვიდრება ზმნაში წინ უსწრებდა შესაძვე პირის სუ-
ფიქსის გამოყენებას (მხოლოდობითში), შესაძვე პირის სუფიქსი ზმნაში
შედარებით ყველაზე ახალი ფორმაციისაა: მას წინ უსწრებს არათუ
სხვა პირთა ჩამოყალიბება, არამედ მრავლობითის გაფორმებაც“
(ხაზი ავტორისაა,—გ. ფ.); იხ. არნ. ჩიქობავა, შესაძვე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი
ქართველურ ენებში. «ენიკის მოამბე», ტ. V—VI, 1940. გვ. 15—16.

დასკვნითი დებულებები

1. პირის ნიშნები, უღერში მეტ-ნაკლები სხვაობით წარმოადგენენ იმავე პირის ნაცვალსახელებს (მხლ. 3 პირში მითითებით ნაცვალსახელებს), სათანადოდ გაფორმებულს რეალური სუბიექტის ბრუნვაში. გამონაკლისს წარმოადგენს მრავლ. რიცხვის 3 პირი, რომლის აფიქსები: -ყუნ- || -ყო- არ უკავშირდება დღევანდელი ნაცვალსახელების ფუძეებს.

2. -ყუნ- || -ყო- აფიქსები ახასიათებს მხოლოდ უღერის ვართაშნულ კილოს: -ყუნ- იხმარება მაშინ, როცა რეალური სუბიექტი მოთხრობით-სახელობითს ბრუნვაშია, ხოლო -ყო- — როცა რეალური სუბიექტი მიცემითშია. ნიჯურ კილოში -ყუნ-ს შესატყვისება -ტუნ-, რომელიც არ უნდა წარმოადგენდეს -ყუნ-ის ფონეტიკურ სახეცვლას, არამედ დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობა უნდა იყოს: მასში უნდა გვექონდეს -ტე-უნ- — ტუნ). იგივე -ტუნ- გვაქვს ნიჯურში -ყო-ს შესატყვისადაც, რადგანაც ნიჯურში რეალური სუბიექტი მიცემითში განსხვავებულად აღარ აღინიშნება ზმნაში.

3. -ყუნ- || -ყო- აფიქსები ფუნქციონალურად და გენეტურად უკავშირდება ზოგიერთი კავკასიური ენების (აფხაზ., ჩერქეზ. და სხვა...) მრავლობითის ფორმანტებს (სახელებში და ზმნაში), აგრეთვე ქართულში (კილოებში და ძველ ქართულშიც) დადასტურებულ -ყე ნაწილას.

4. -ყუნ- || -ყო- აფიქსებს კავშირი არ აქვს 3 პირის აღნიშვნასთან, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ მრავლობითის აფიქსებს; მათში მოცემული უნდა გვექონდეს მრავლობითობის აღმნიშვნელი ფუძე „ყუ“, რომელიც სახელობითში გაფორმებულია -ნე--ნ დეტერმინანტით: *ყუნ-ნე — ყუნ, ხოლო მიცემითში -ა ბრუნვის ნიშნის დართვით გვაძლევს -ყო-ს: *ყუ + ა — ყო.

5. ყუ- ფუძე ეტიმოლოგიურად შესაძლებელია დავეუკავშიროთ ორი-ს აღმნიშვნელ კავკასიურ ენათა საზოგადო ყა- || ყუ- || ყო- ფუძეს, (როგორც მას აღადგენს ივ. ჯავახიშვილი). უნდა ვივარაუდოთ სემანტიკური გადაწყვეთა: ორი — მრავალი...

ВЛ. ПАНЧИНДЗЕ

АФФИКСЫ ТРЕТЬЕГО ЛИЦА МНОЖЕСТВЕННОГО ЧИСЛА

-ჟუნ- || -ჟო- -ჟუნ- || -ჟო- В УДИНСКОМ ЯЗЫКЕ*

(РЕЗЮМЕ)

1. Личные показатели в удинском языке с некоторыми фонетическими изменениями являются личными местоимениями в падеже реального субъекта. Исключения составляют аффиксы 3 лица множественного числа -ჟუნ- || -ჟო- -ჟუნ- || -ჟო-; эти последние не увязываются с современными местоименными основами.

2. Эти аффиксы характеризуют только варташенский диалект удинского языка: -ჟუნ- -ჟუნ передает реальный субъект в именительном или в эргативном пад., -ჟო -ჟო—реальный субъект в дательном пад. В ниджском диалекте аффиксу -ჟუნ- -ჟუნ соответствует -ტუნ- -ტუნ; этот последний должен представлять самостоятельный морфологический элемент: мы должны иметь в нем указательное местоим. ტე te, оформленное с суффиксом -უნ- -უნ (*te-უნ → ტუნ).

Тот же -ტუნ- -ტუნ соответствует и аффиксу -ჟო -ჟო, так как реальный субъект в дательном пад. в ниджском диалекте не выражается особым показателем.

3. Аффиксы -ჟუნ- || -ჟო- -ჟუნ- || -ჟო- генетически увязываются с аффиксами множественного числа (в именах и глаголах) некоторых кавказских языков (абхазского, адыгейского и др.), а также с частицей -ჟე -ჟე в грузинском языке (в диалектах и в др.-грузинском).

4. Аффиксы -ჟუნ- || -ჟო- -ჟუნ- || -ჟო- генетически не являются формантами 3-го лица, они являются показателями лишь множественного числа. В них мы должны иметь основу ჟუნ- ჟუნ, оформленную в именительном пад. детерминантом -*ბე → -ბ -*ნე → -ნ: *ჟუნ-ბე → ჟუნ *ჟუნ-ნე → ჟუნ, а в дательном пад. падежным окончанием -> ა: *ჟუნ-ა → ჟუნ *ჟუნ-ა → ჟო...

5. Этимологически основа ჟუნ- ჟუნ должна увязываться с общей основой ჟა || ჟა || ჟო- ჟა || ჟა || ჟო- (И. А. Джавахишвили) в кавказских языках для обозначения числительного 'два': в этом случае мы имели бы семантическое развитие: 'два' → 'много' ('множество').

* Доложено на заседании Отдела Кавказских языков ИЯИМК им. акад. Н. Я. Марра 7.Х.1939 г.

გიორგი როგავა

პოლიპერსონალიზმი ქვემო-ადილეური ენის ზმნებში

ქვემო-ადილეური ენის ზმნა პოლიპერსონალურია (მრავალპირიანი).

ზმნის პირთა რაოდენობას განსაზღვრავენ ზმნასთან შეწყობილი მხოლოდ ისეთი სახელები. რომლებიც ზმნას სამსავე პირში უჩენენ სათანადო ნიშანს (დადებითსა თუ უარყოფითს). ქვემო-ადილეური ზმნა ჩვეულებრივ შეიძლება იყოს მაქსიმუმ ოთხპირიანი. არის აქ შესაძლებლობა, რომ ზმნამ ოთხზე მეტი სახელი შეიწყოს ნიშნებით, ოღონდ ასეთი ფორმები უფრო თეორიულადაა შესაძლებელი, ვინემ პრაქტიკულად ხმარებულნი.

პირის ნიშნები ზმნაში პრეფიქსებია (როგორც ქართულს ზმნაში—ობიექტური პირის ნიშნები). პირის ნიშანთა მხოლოდ პრეფიქსალური წარმოება დამახასიათებელია, საერთოდ, აფხაზურ-უბიხურ-ადილეური ენებისათვის. ადილეური ზმნა სუფიქსებით წარმოადგენს მხოლოდ რიცხვის ნიშანს.

მეტ წილ შემთხვევაში სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები ზმნაში წარმოდგენილია ძირითადად ერთი და იმავე ნიშნით. ისინი რიგში ადგილის მიხედვით განირჩევიან ერთი-მეორისაგან. სახელდობრ:

ა) ერთპირიან ზმნაში სუბიექტური პირის ნიშანი დგას ფუძის წინ. მაგალითად. ხა-თხა იმე ვწერო (თხა—ფუძეა, ს₁—S₁ ნიშანი). თუ ერთპირიანი ზმნა წინდებულანია, პირის ნიშანი დაისმის წინდებულის წინ. მაგ., ს₂-ქა-ქ₂ მე გავდივარ (ქ₂—ფუძეა, ქა—წინდებული, ს₂—S₂ ნიშანი).

ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნაში ფუძის წინ პირველ ადგილს იჭერს ირიბი ობიექტის ნიშანი, მას წინ უძღვის სუბიექტური პირის ნიშანი. მაგალითად, ს-ა-ბ-ბ-ბ-ბ₂ მე მას ვებრძვი (ბ-ბ-ბ-ფუძეა, ა-ბ-ბ-ბ₂ ნიშანი, ს—S₁ ნიშანი).

წინდებულან ორპირიან გარდაუვალში წინდებული მოექცევა სუბიექტისა და ობიექტის ნიშნებს შორის. მაგ., ს₂-შ-ა-ბ-ბ-ბ₂ მე მას ვებრძვი (სადმე).

გ) სამპირიან გარდაუვალ ზმნაში (მაგ., ავილოთ ზმნა სასხვისო ქცევით ნაწარმოები ორპირიანი გარდაუვალისაგან) ფუძის წინ პირველ ადგილს იჭერს ირიბი ობიექტის ნიშანი, მეორე ადგილს—მაქცევარი, მესამეს—ირიბი ობიექტის (მოქმედება-განკუთვნილი პირის) ნიშანი, მეოთხეს—სუბიექტური პირის ნიშანი. მაგალითად, ს₂-ფ-ა-ა-ბ-ბ-ბ₂ „მე შენთვის მას ვებრძვი“ (ბ-ბ-ბ-ფუძეა, ა-ბ-ბ-ბ₂ ნიშანი, ა-ა-მაქცევარი, ფ-ბ-ბ₂ [მოქმედება-განკუთვნილი პირის] ნიშანი, ს₂—S₁ ნიშანი).

დ) გარდამავალ ზმნებში გარდაუვალი ზმნების საწინააღმდეგო თანამიმდევრობითაა სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები განლაგებული. სახელდობრ:

ა) ორპირიან გარდამავალში ფუძის წინ პირველ ადგილს იჭერს სუბიექტის ნიშანი, მეორეს—პირდაპირი ობიექტის ნიშანი. მაგ., ს₂-ტ₂-უბ₂ტ₂ „მე შენ მიქერ“ (უბ₂გ₂ტ₂-ფუძეა, ტ₂—S₂ ნიშანი, ს₂—პირ. ო₂ ნიშანი).

წინდებულიან ორპირიან გარდამავალში წინდებული მოექცევა პირის ნიშანთა შორის. მაგ., ს₂-შ₂-ტ₂-უბ₂ტ₂ „მე შენ დამიქერ (სადმე)“.

ბ) სამპირიან გარდამავალში ფუძის წინ პირველ ადგილს იჭერს სუბიექტის ნიშანი, მეორეს—ირიბი ობიექტის ნიშანი, მესამეს—პირდაპირი ობიექტის ნიშანი. მაგ., უ-რ-ი-თ₂შ₂ „შენ მას ის მიგცემს“ (თ₂შ₂—ფუძეა, ი-—S₂ ნიშანი, რ-—რ. ო₂ ნიშანი, უ—პირ. ო₂ ნიშანი) და ა. შ.

უმრავლეს შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ქვემო-ადილურ ზმნას რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის პირებისათვის გააჩნია საზიარო ფორმანტები. მაგრამ რამდენსამე შემთხვევაში რეალურ სუბიექტსა და რეალურ ობიექტს გააჩნიათ თავიანთი საკუთარი ფორმანტებიც (ამის შესახებ—ქვემოთ).

ის სახელები, რომელთა პირი ზმნაში აღინიშნება, ქვემო-ადილურში დგას ორ ბრუნვაში: სახელობითში—ჩ სუფიქსით (მრავ. რიცხვში—ხა-რ) და მიცემითში—შ სუფიქსით (მრავ. რიცხვში მხ || ხა-მ || ხა-მხ).

სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი გამოხატავს სუბიექტურ პირს გარდაუვალ ზმნასთან, ხოლო გარდამავალ ზმნასთან, —უთუოდ ზმნის ინვერსიის გამო,—პირდაპირ ობიექტს.

მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი გამოხატავს გარდაუვალ ზმნასთან ირიბ ობიექტს, ხოლო გარდამავალთან, ირიბი ობიექტის პარალელურად—სუბიექტურ პირსაც, რეალურ სუბიექტს.

ამაირად, ქვემო-ადილურში სახელობითსა და მიცემით ბრუნვაში დასმული სახელები იმავე ფუნქციების მქონეა გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებთან, რა ფუნქციებიც აქვს ქართველურ ენებში გარდამავალ ზმნასთან შეწყობილ სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში დასმულ სახელებს დრო-კილოთა I და III სერიებში. კონსტრუქცია ადილური გარდამავალი ზმნისა პირების მხრით ისეთივეა, როგორცაა კონსტრუქცია ქართული გარდამავალი ზმნისა დრო-კილოთა მესამე სერიაში.

ქვემო-ადილური ენის ზმნათა ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სუბიექტური პირის ნიშანთა ცვლა დროების მიხედვით. პირველსა და მეორე პირებში ეს ცვლა ძირითადად ფონეტიკური ხასიათისაა, ხოლო მესამე პირში—მორფოლოგიური ხასიათისა.

დროების მიხედვით სუბიექტური პირის ნიშანთა ცვლას იძლევა ყველა გარდამავალი ზმნა და ერთი სახის ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნაც. ორპირიანი ან სამპირიანი გარდაუვალი ზმნების პირის ნიშნები დროების მიხედვით სტაბილურია.

ამ თავისებურებით ქვემო-ადიღური ენის ზმნა (ყაბარდოულისაჲ) საკრძნობლად განსხვავდება თავის მოძმე ენების — უბიხურისა და აფხაზურისა¹ — ზმნისაგან და ემთხვევა ქართველურ ენათა ზმნას.

შენიშვნა: ქართველურ ენათა ზმნებში დროების მიხედვით პირის ნიშანთა ცვლა მორფოლოგიური ხასიათისა გვაქვს მხოლოდ მესამე პირში (როგორც ქვემო-ადიღურში). მაგალითად, წერ-ს, აქებ-ს (აწმყო); წერ-ა, აქებ-ა (უწვეტილი); დაწერ-ა, შეაქ-ო (წყვეტილი).

სუბიექტურ პირთა ნიშნებზე (პირის ნიშანთა მცვლელ ზმნებში) გავლენა აქვს იმას, ზმნის ფუძე მარტივია თუ ნაწარმოები (რომელიმე სიტყვის მაწარმოებელი აფიქსით).

მარტივი ფუძე გააჩნიათ წართქმითი ფორმის ზმნებს მხოლოდ აწმყო დროში. მაგალითად, სწ-ლ ა ე ა ე მ ფ მ უ შ ა ო ბ. სწ-უ ბ ზ თ ზ ო ვ ი ქ ე რ მ ე მ ა ს და ს ხ ვ ა. დანარჩენი დროების ფუძე კი ნაწარმოებია. მაგალითად, ს ზ-ლ ა ე ა-ლ ო ვ ი მ უ შ ა ე ე (ნ. სრული), ს-უ ბ ზ თ ზ-ლ ო მ ე ის დ ა ე ვ ი ქ ი რ ე (ნ. სრული), ს-უ ბ ზ თ ზ მ თ ო მ ე მ ა ს დ ა ე ვ ი ქ ე რ (მყოფადი) და სხვა.

ანწინარად, აწმყო დრო აქ უპირისპირდება ყველა დროს, ნაწარმოები ფუძის მქონე დროებს. ქვემოთ, ნაწარმოები ფუძის მქონე დროებიდან მაგალითებისათვის მოვიყვანთ ზმნას უმთავრესად ნამყო სრულის ფორმაში.

მარტივი ფუძის მქონე დროში (აწმყოში) ზმნას (პირის ნიშანთა მცვლელს) I და II სუბიექტური პირის ნიშნები წარმოდგენილი აქვს ს რ უ ლ ი სა ხ ი თ, ხოლო ნაწარმოები ფუძის მქონე დროებში — შე კ უ მ შ უ ლ ი სა ხ ი თ. გარდამავალ ზმნაში ადგილი აქვს ფორმანტის სრულ შეკუმშვას, ე. ი. სრულ გაუხმოვნებლობას, ხოლო ერთპირიან ზმნაში კი ა ხ მ ვ ა ნ ი (მოკლე-ა) ვიწროვდება ა ხ მ ვ ე ნ ა მ დ ის (ირაციონალურ ხმოვნამდის).

ამასთანავე, პირის ნიშანთა მცვლელ ერთპირიან ზმნებში აწმყო დროში მესამე სუბიექტური პირი დადებითი ფორმითაა წარმოდგენილი (მწ- || მ ა- პ რ ე ფ ი ქ ს ი თ), ხოლო ნამყოს ჯგუფში იგივე მესამე სუბიექტური პირი წარმოდგენილია უარყოფითი ფორმით (ნულ ნიშნით). მაგალითად, მწ-ლ ა ე ა მ უ შ ა ო ბ ს (აწმყო), — ლ ა ე ა ლ ა ი მ უ შ ა ე ა (ნ. სრული).

გარდამავალ ზმნებში კი მესამე სუბიექტური პირის ნიშანი აწმყოსა და ნამყოს ჯგუფში განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი მარტოოდენ მხოლოდობით რიცხვში. მაგალითად, ა ხ-ბ ზ ე ქ რ ის ის მ ა ს (აწმყო); ა-ბ ზ ლ დ ა ქ რ ა მ ა ნ ის (ნ. სრული).

მრავლობით რიცხვში სუბიექტური პირი ყველა დროში (იმავ გარდამავალ ზმნებში) ა- პ რ ე ფ ი ქ ს ი თ აა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი. მაგალითად, ა-ბ ზ ლ ო მ თ დ ა ქ რ ე ს ის (ნ. სრული), ა-ბ ზ ე ის ი ნ ი ქ რ ი ა ნ მ ა ს (აწმყო).

¹ აფხაზური ზმნის პირის ნიშანთა შესახებ წერს უსლარი: „Числа, лица и роды определяются местоименными характеристиками, которые в свою очередь совершенно независимы от изменения времени“ (იბ. Абхазский язык, გვ. 16—17). უბიხურ ზმნებშიც, რამდენადაც ეს ჩანს დიუმეზილის, დირისა და მეშაროშის მაწარმოებიდან, პირის ნიშნები დროების მიხედვით უცვლელად რჩება.

წარმოვადგინოთ სუბიექტური პირის ნიშანთა მცვლე-
ლი ზმნები აწმყოსა და ნამყო სრულში სუბიექტური წყო-
ბით:

ერთპირიანი გარდაუვალი: ორპირიანი გარდამავალი:

ა წ მ ყ ო:

მხოლ. რიცხვი

1 სწ-ლაქვ	„მე ვმუშაობ“	სწ-ბზვ	„მე მას ვპრო“
2 უწ-ლაქვ	„შენ მუშაობ“	უწ-ბზვ	„შენ მას პრო“
3 მწ-ლაქვ	„ის მუშაობს“	მწ-ბზვ	„ის მას პროს“
(წტყვ-რ მწ-ლაქვ	„კაცი მუშაობს“),	(წტყვ-მ მწ-ბზვ	„კაცი პროს მას“),
	მრავ. რიცხვი		

1 თწ-ლაქვ	„ჩვენ ვმუშაობთ“	თწ-ბზვ	„ჩვენ მას ვპროთ“
2 სიწ-ლაქვ	„თქვენ მუშაობთ“	სიწ-ბზვ	„თქვენ მას პროთ“
3 მწ-ლაქვ-ხ	„ისინი მუშაობენ“	ა-ბზვ	„ისინი მას პროიან“
(წტყვ-ხწ-რ მწ-ლაქვ-ხ	„კაცები მუშაობენ“).	(წტყვ-მწ ა-ბზვ	„კაცები პროიან მას“).

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი:

მხოლ. რიცხვი

1 სგ-ლწქალ	„მე ვიმუშავე“	ზ-ბზლწ	„მე ის დავპრო“
2 უ-ლწქალ	„შენ იმუშავე“	ბ-ბზლწ	„შენ ის დავპრო“
3 ლწქალწ	„მან იმუშავეა“	გ-ბზლწ	„მან ის დავპრა“
(წტყვ-რ ლწქალწ	„კაცმა იმუშავეა“),	(წტყვ-მ გ-ბზლწ	„კაცმა დავპრა“),
	მრავ. რიცხვი		

1 თგ-ლწქალ	„ჩვენ ვიმუშავეთ“	დ-ბზლწ	„ჩვენ ის დავპროთ“
2 სიგ-ლწქალ	„თქვენ იმუშავეთ“	ზი-ბზლწ	„თქვენ ის დავპროთ“
3 ლწქალწ-ხ	„მათ იმუშავეს“	ა-ბზლწ	„მათ ის დავპრეს“
(წტყვ-ხწ-რ ლწქალწ-ხ	„კაცებმა იმუშავეს“).	(წტყვ-მწ ა-ბზლწ	„კაცებმა დავპრეს“).

დიუმიეზილი აწმყო ჯგუფში ათავსებს ნამყო უსრულსაც (im-
parfait). თითქოს ქვემო-ადიდეური ზმნა ნამყო უსრულშიც იმავე სუბიექტური
პირის ნიშნებს წარმოადგენდეს, რასაც წარმოადგენს აწმყოში (მარტივი ფუ-
ძის მქონე დროში). მოვიყვანოთ დიუმიეზილის ნაშრომიდან ეს ადგილი:
„L'abz. a dans ce groupe un présent sans suffixe (les thèmes consonantiques
recevant seulement une voyelle finale, de timbre variable un futur immé-
diat en -(ə)n, un imparfait en-(ə)t: rac. ლყუ „voir“: se-leყუ „je (le) vois“,
s-ლყუნ „je vais le voir, je verrai“, se-ლყუთ „je voyais“¹.

¹ „Études comparatives sur les langues caucasiennes du nord-ouest“, გვ. 174.

ზემონათქვამში ორი შეცთომაა დაშვებული:

1. se-ლევტ ფორმა შეცთომით არის მოცემული. აქ სუბიექტური პირის ნიშნად უნდა იყოს არა se (სნ) პრეფიქსი, არამედ ს- პრეფიქსი (გაუხმოვნე-ბელი), s-ლევტ.

2. თვით s-ლევტ (სხვა დიალექტებით ს-ლ'აღეშთ) არის არა imparfait-ს ფორმა, არამედ მყოფადისა.

1. პირთა ნიშნები ერთპირიან ბარდაუშვალ ზმნებში

ერთპირიანი ზმნები აწმყო დროში პირთა ნიშნების წარმოდგენის მიხედვით შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. პირველ ჯგუფში მოვაქციოთ ისეთი ერთპირიანი ზმნები, რომელთაც მესამე პირში აქვთ დადებითი ნიშანი—მწ || მა პრეფიქსი. მაგალითად, მწ-ლაქვ ფუშაობს, მა-ქან მიდის, მა-ბწწ ჭკრის და სხვა.

2. მეორე ჯგუფში დარჩება ყველა ისეთი ზმნები, რომელთაც მესამე პირში ექნებათ უარყოფითი ნიშანი—ნულ-ნიშანი. მაგალითად,—ქაწქე უადის,—წჯჯე კაცი არის და სხვა.

ამასთანავე, პირველი ჯგუფის ერთპირიანები I და II პირთა ნიშნებს წარმოადგენენ სრული სახით, მაგალითად, სწ-ლაქვ ფუშაობს, თწ-ლაქვ ფუშაობს, სიწ-ლაქვ ფუშაობს; ხოლო მეორე ჯგუფის ერთპირიანები I და II პირთა ნიშნებს წარმოადგენენ შეკუმშული სახით, მაგალითად, სჯ-ქაწქე გავდივარ, თქ-ქაწქე გადიხარ, თჯ-ქაწქე გავდივართ, სიჯ-ქაწქე გადიხართ.

პირველ ჯგუფში მოექცევა ყველა უწინდებულ (მარტივი) ზმნა როგორც ძირითადი, ისე დინამიკური ნასახელარი.

მეორე ჯგუფში შევა: ა) ყველა წინდებულისანი ზმნა და ბ) სახელის პრედიკატიული ფორმა.

წარმოვადგინოთ ორივე ჯგუფის ერთპირიანი ზმნები ყველა ფორმით აწმყოსა და ნამყოსი:

ბინველი ჯგუფისა

მეორე ჯგუფისა

ა) უ წ ი ნ დ ე ბ უ ლ ო

ბ) წ ი ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი

ა წ მ ყ ო :

მხოლ. რიცხვი

1 სწ-ლაქვ	ფუშაობს	სწ-ქან	მივდივარ	სჯ-წჯჯე	კაცი ვარ	სჯ-ქაწქე	გავდივარ
2 თწ-ლაქვ		თწ-ქან		თქ-წჯჯე		თქ-ქაწქე	
3 მწ-ლაქვ		მა-ქან		წჯჯე		ქაწქე	

მრავლ. რიცხვი

1 თწ-ლაქვ		თწ-ქან		თჯ-წჯჯე		თჯ-ქაწქე	
2 სიწ-ლაქვ		სიწ-ქან		სიჯ-წჯჯე		სიჯ-ქაწქე	
3 მწ-ლაქვ-ხ		მა-ქან-ხ		წჯჯე-ხ		ქაწქე-ხ	

ნ ა მ ე ო :

მხოლ. რიცხვი

1 სუ-ლწქალ ფიმუშავე	სუ-ქიალ წაველი	სუ-წყღელ ყაცი ვიყავი	სუ-ქანქელ გაველი
2 უ-ლწქალ	უ-ქიალ	უ-წყღელ	უ-ქანქელ
3 ლწქალწ	ქალწ	წყღლწ	ქანქლწ

მრავ. რიცხვი

1 თუ-ლწქალ	თუ-ქიალ	თუ-წყღელ	თუ-ქანქელ
2 სიუ-ლწქალ	სიუ-ქიალ	სიუ-წყღელ	სიუ-ქანქელ
3 ლწქალწ-ხი	ქალწ-ხი	წყღლწ-ხი	ქანქლწ-ხი.

პირველი ჯგუფის ზმნებს, როგორც ვხედავთ, მესამე პირის ნიშნად მოუღის მწ-პრეფიქსი. თუ ზმნის ფუძე ერთმარცვლიანია და ფუძისეულ ხმოვნად მოუღის მოკლე ა(წ), მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ექნება მჰ-პრეფიქსი. მაგალითად, მჰ-ქან იმლისი, მჰ-თხან იწერს (საერთოდ), მჰ-ბზან იქრის (საერთოდ) და სხვა. დანარჩენ შემთხვევაში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ასეთ ზმნებს ექნებათ მწ-პრეფიქსი, მაგალითად, მწ-ლაქან იმუშაობს, მწ-ბებე იფრინავს, მწ-ჯაგუ ითმავობს, მწ-ხოუ იბერდება და სხვა.

მწ- და მჰ-პრეფიქსები, ცხადია, მხოლოდ ფონეტიკურად არიან ერთიმეორისაგან განსხვავებული.

ყველა შემთხვევაში მესამე პირის მრავლობითობის საწარმოებლად ერთპირიან ზმნებს მოუღის -ხი სუფიქსი. მაგალითად, მწ-ლაქან იმუშაობს, მწ-ლაქან-ხი იმუშაობენ, მჰ-ბზან იქრის, მჰ-ბზან-ხი იქრიან და სხვა...

როგორც ჩანს, ერთპირიანი ზმნების ორ ჯგუფად დაყოფას აზრი აქვს მხოლოდ აწმყო დროისათვის. სხვა დროებში ყველა ერთპირიანი ზმნა ერთნი ირად წარმოადგენს პირის ნიშნებს, სახელდობრ, მეორე ჯგუფის ზმნათა მსგავსად. წარმოვადგინოთ ერთპირიანი ზმნების პირის ნიშანთა სქემა:

პირველი ჯგუფისა მეორე ჯგუფისა

ა წ მ ე ო შ ი

მხოლ. რიცხვი

1 სწ	სუ
2 ჭწ	უ
3 მწ მა	—

მრავ. რიცხვი

1 თწ	თუ
2 სიწ	სიუ
3 მწ მა _____(-ხი)	_____(-ხი)
სხვა დროებში	

მხოლ. რიცხვი |

1 სუ
2 უ
3 —

მრავ. რიცხვი

1 თუ
2 სიუ
3 — (-ხი)

II. პირთა ნიშნები ორპირიან გარდაუვალ ზმნებში

პირთა ნიშნების თანამიმდევრობა: სუბიექტური პირის ნიშანი [+ წინდებული] + ირიბი ობიექტის ნიშანი + ზმნის ფუძე.

სუბიექტურ პირთა ნიშნები

სუბიექტურ პირთა ნიშნებად ორპირიან გარდაუვალ ზმნას მოუღის იგივე, რაც მეორე ჯგუფის ერთპირიან ზმნებს. შედარებისათვის:

ორპირიანი გარდაუვალი ერთპირიანი II ჯგუფისა

(სუბიექტური წყობით)

მხოლ. რიცხვი

- | | | | |
|-------------------------|---------------------|----------------------|-------------|
| 1 ს ₂ -შპპან | მე მას ვუშლი (ხელს) | ს ₂ -ქპპკ | მე გავდივარ |
| 2 უ-შპპან | მენ მას უშლი | უ-ქპპკ | მენ გადიხარ |
| 3 შპპან | ის მას უშლის | ქპპკ | ის გადის |
- (ქალნ-რ ლაგზუ-მ¹ შპპან ყმაწვილი მოხუცს უშლის) (ქალნ-რ ქპპკ ყმაწვილი გადის)
მრავ. რიცხვი

- | | | | |
|-------------------------|------------------|----------------------|----------------|
| 1 თ ₂ -შპპან | ჩვენ მას ვუშლით | თ ₂ -ქპპკ | ჩვენ გავდივართ |
| 2 ხოგ-შპპან | თქვენ მას უშლით | ხოგ-ქპპკ | თქვენ გადიხართ |
| 3 შპპან-ხ ₂ | ისინი მას უშლიან | ქპპკ-ხ ₂ | ისინი გადიან |
- (ქალნ-ხ₂-რ ლაგზუ-მ¹ შპპან-ხ₂ ყმაწვილები მოხუცს უშლიან) (ქალნ-ხ₂-რ ქპპკ-ხ₂ ყმაწვილები გადიან).

ნამყოს ჯგუფში სუბიექტურ პირთა ნიშნები გარდაუვალ ზმნებს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, არ ეცელებათ.

ობიექტურ პირთა ნიშნები

ობიექტურ პირთა ნიშნების წარმოდგენის მიხედვით ორპირიანი გარდაუვალი ზმნები იყოფა ორ ჯგუფად:

ა) პირველ ჯგუფში შევა ისეთი ზმნები, რომელთაც მესამე ობიექტური პირი წარმოდგენილი აქვთ დადებითი ნიშნით, მაგალითად, ს-აა-ბანუ მე მას ვებრძვი, ს-აა-ცაქან მე მას ვკბენ, ს-აა-სიან მე მას ვსვამ; ს-აა-ბანუ მე მათ ვებრძვი, ს-აა-ცაქან მე მათ ვკბენ და სხვა.

მესამე ობიექტური პირის ნიშნად აქ მოუღის მხოლოდობით რიცხვში აა-პრეფიქსი, ხოლო მრავლობითში—აა-პრეფიქსი.

ბ) მეორე ჯგუფში შევა ისეთი ზმნები, რომელთაც მესამე ობიექტური პირი წარმოდგენილი აქვთ უარყოფითი ნიშნით, ნულ ნიშნით. მაგალითად, ს₂-შპპან მე მას ვუშლი (ხელს), ს₂-ცნფან მე მას ვეხმარები და სხვა.

მეორე ჯგუფის ორპირიანი გარდაუვალი ზმნების ფუძე ყველა შემთხვევაში კომპოზიტური სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, ს₂-ცნფან ზმნის ფუძე შეიძლება დაეწალოს ასე: ცნ--ჩელი+ფან--წინ, ცხვირი, +ცნ--ხელი. ასეთი ზმნების კაუზატიური ფორმით წარმოების შემთხვევაში კაუზატიურობის ღ-

¹ ღს-თი გადმოცემთ მკვეთრ ლატერალს.

პრეფიქსი თავსდება ფუძის უკანასკნელი ელემენტის წინ, ე. ი. ფუძე იწლებს: შემადგენელ ელემენტებად, მაგალითად, სკ-შპჰან მე მას ვუშლი ხელს, კაუზატიურ ფორმაში—შკ-სან-ლ-ჰან მე მას ხელს შევაშლეინებ; სკ-სან-ლ-ჰან მე მას ვეხმარები; კაუზატიურ ფორმაში—სან-ლ-ჰან მე მას ვაძულებ დაეხმაროს და სხვა.

პირველი ჯგუფის ზმნათა ფუძეები კი ამჟამად არ იწლებს, მაგალითად, ან-ბანჯ ის მას ებრძვის, კაუზატიურ ფორმაში - ან-ლ-ბანჯ ის აძულებს მას ებრძოლოს, ან-ცან ის მას კბენს, კაუზატიურ ფორმაში - ან-ლ-ცან ის აძულებს მას უკბინოს და სხვა.

ამას გარდა, მეორე ჯგუფის ორპირიანი გარდაუვალი ზმნა, რომ შედგენილფუძიანია ყველა შემთხვევაში, ამას ადასტურებს ის, რომ იგი არც ერთ შემთხვევაში არ გეხვდება ერთმარცვლიანი ფუძით. პირველი ჯგუფის ორპირიანი გარდაუვალი ზმნა კი ერთმარცვლიანი ფუძით—მასობრივი მოვლენაა. მაგალითად, ს-ან-სიჰ მე მას ესვამ, ს-ან-ჟ მე მას ვუცდი და სხვა...

წარმოვადგინოთ ორივე ჯგუფის ორპირიანი გარდაუვალი ზმნები ობიექტური წყობით:

პირველი ჯგუფისა: მეორე ჯგუფისა:

მხოლ. რიცხვი

- | | | | | |
|---|-----------|---------------|-----------|---------------------|
| 1 | კ-სან-ცან | ის მე მკბენს | კ-ს-შპჰან | ის მე მიშლის (ხელს) |
| 2 | კ-ჟან-ცან | ის შენ გკბენს | კ-ფ-შპჰან | ის შენ გიშლის |
| 3 | ან-ცან | ის მას კბენს | შპჰან | ის მას უშლის |
- (პან-ბ აჯან-მ ან-ცან ძალი მელას კბენს) (კალან-რ ლეჯუ-მ შპჰან ყმაწვილი მოხუც უშლის).

მრავ. რიცხვი

- | | | | | |
|---|-----------|-----------------|------------|-----------------|
| 1 | კ-თან-ცან | ის ჩვენ გვკბენს | კ-თ-შპჰან | ის ჩვენ გვიშლის |
| 2 | კ-სიჰ-ცან | ის თქვენ გკბენთ | კ-სი-შპჰან | ის თქვენ გიშლით |
| 3 | ან-ცან | ის მათ კბენს | ან-შპჰან | ის მათ უშლის |
- (პან-რ ბაჯან-მ ან-ცან ძალი მეღიებს კბენს) (კალან-რ ლეჯუ-მ ა-შპჰან ბაეშვი მოხუცებს უშლის).

შედარებიდან ჩანს, რომ ამ ორი ჯგუფის ზმნებს შორის ღიდი განსხვავებაა თვით პირველი და მეორე პირების ობიექტურ ნიშანთა წარმოდგენის მიხედვითაც, სახელდობრ:

სადაც მესამე ობიექტური პირი წარმოდგენილია დადებითი ნიშნით (I ჯგუფის ზმნები), პირველი და მეორე პირის ირიბი ობიექტის ნიშნები ორსავე რიცხვში წარმოდგენილია სრული (შეუკუმშავი) სახით, ხოლო სადაც მესამე ობიექტური პირი წარმოდგენილია უარყოფითი ნიშნით (II ჯგუფის ზმნები), პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები წარმოდგენილია შეკუმშული სახით. აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ერთპირიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის მიმართ: ერთპირიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის დადებითი ნიშნით წარმოდგენის შემთხვევაში პირველი და მეორე სუბიექტური პირის ნიშნები წარმოდგენილია შეუკუმშავი სახით; ხოლო მესამე სუბიექტური პირის უარყოფითი ნიშნით წარმოდგენის შემთხვევაში იგივე პირველ და მეორე სუბიექტურ პირთა ნიშნები შეკუმშული სახითაა წარმოდგენილი (იხ. გვ. 89).

მეორე ჯგუფის გარდაუვალ ორპირიან ზმნებში პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები სრული გაუხმოვნებლობის გამო ფუძის თავკიდურ ბგერებთან ასიმილაციით იღებენ განსხვავებულ ფონეტიკურ სახეცვლილებას, სახელდობრ:

მხოლ. რიცხვში:

1 ს || ზ

2 ფ || ბ || პ

მრავ. რიცხვში

1 თ || დ || ტ

2 სი || ზი.

საყურადღებოა მრავლობითი რიცხვის II პირის პიროვნებითი ნაცვალსახელის (resp. ზმნის II პირის ნიშნის) შედგენილობა. ამ პიროვნებითი ნაცვალსახელის ფუძისეული თანხმოვანი ლაბიალიზებული ბგერაა. მხოლოობითში კი ფუძისეული თანხმოვანია ბაგისმიერი (უმარცვლო) ჟ ბგერა (ჟწ). შესაძლებელია სიწ თქვენის შედგენილობაში შედიოდეს ჟწ -შენ. ე. ი. სიწ შეიძლება იყოს შედგენილი ფუძე. ასეთივე მდგომარეობაა ქვემო-ადილეურის სხვა მონათესავე ენებშიც.

მაგალითად, აფხაზურში მხოლ. რიცხვის II პ. ნაცვალსახელია ჟა(რა) || ბა(რა)—შენ, მრავლ. რიცხვის II პ. ნაცვალსახელია შაა(რა); უბიხურში მხოლ. რიცხვის II პ. ნაცვალსახელია ა-(ყ-აა), მრავლ. რიცხვისა ა^o(ი)-(ყ-აა-აა)²; ყაბარდოულში II პ. ნაცვალსახელია ჟწ(-რ), მრავლ. ჟწ(-რ). ამნაირად, სამსავე ენაში მრავლობითი რიცხვის II პ. ნაცვალსახელებში ჩანს მხოლ. რიცხვის II პ. ნაცვალსახელის ელემენტი.

ბ) მესამე პირის ნიშნები დაკავშირებით ნაცვალსახელებთან.

ქვემო-ადილეურში მესამე პირის ნიშანთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვინემ პირველის ან მეორე პირისა. ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულშიც.

ქვემო-ადილეურში მესამე პირის ფორმანტებია:

მხოლ. რიცხვში: მწ || მა, აწ-ჯ, ი, რ (ნულ პრეფ.).

მრავლ. რიცხვში: მწ || მა(-ხა), ა, აა, არ (ნულ პრეფიქსი-ხ სუფიქსით).

1. მწ || მა ფორმანტებში (ვარიანტებში) ძირითადი, პირველადი უნდა იყოს მწ (მოკლე ხმოვან ა-თი), რადგანაც: ა) სხვა ფორმანტები ძირითად სახეს მოკლე ა-თი წარმოადგენენ, მაგალითად, სწ, უწ, თწ. სიწ, აწ; ბ) მწ ფორმანტი თავისი პირველადი, პრონომინალური შინაარსით (ე. ი. დამოუკიდებლად არსებობის დროს) არ შეიძლებოდა ფართო ა-თი ყოფილიყო დაბოლოებული, რადგანაც ა-თი დაბოლოებული სახელი ადილეურმა ენებმა არ იციან.

¹ -ჩ ელემენტი, სუფიქსი პიროვნებით ნაცვალსახელებს თან ახლავს აფხაზურ-უბიხურ-ადილეური ენებიდან ორსავე ადილეურ ენასა და აფხაზურსაც. -ჩ ფორმანტი ამ ენების ნაცვალსახელებში ისეთივე ნაწილი უნდა იყოს, როგორცაა -ჩ სუფიქსი ქართულ პირიქებით ნაცვალსახელებში (შენ-წ, ჩვენ-წ, თქვენ-წ, მე-წ).

² ტრანსკრიფცია დიჟმეზილისაა.

საყურადღებოა, რომ მესამე პირის მწ ნიშნის ფონეტიკურ კანონს არ ემორჩილება I და II პირის ფორმანტები. უკანასკნელები (სწ, ჭწ, თწ, სიწ) სუბიექტის როლში ძირითად ხმოვანს -ა-ს კუმშავენ დროების მიხედვით (სწ- სჯ II ს). მწ- ფორმანტი კი ზმნის ფორმის მიხედვით განიცდის არა შეკუმშვას, არამედ გაფართოებას. მწ-ლაჟა ზმუშაობს; მაგრამ მა-ჟა მიდის. მა-კაწ ფორმაში მახვილი ეცემა მწ ფორმანტს და ფუძისეული წ-ს მეზობლობაში იგი ფართოვდება. I და II პირის ნიშნები ფორმანტის წ ხმოვანს ასეთ შემთხვევაში არ ცვლიან. მაგალითად, სწ-კაწ და არა სხ-კაწ; ჭწ-კაწ და არა ჭა-კაწ და სხვა.

მწ(მა) სუბიექტური მესამე პირის ფორმანტი შეიძლება დაეუკავშიროთ მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელის მგ-ს (მგ-რ)—უს (ახლოს მდებარე) ან მჭწ-რ ის (შორს მდებარე, მაგრამ ხილული).

შენიშვნა: ჩვენებითი ნაცვალსახელი მჭწ-რ II მგ-რ ის (შორს მდებარე, ხილული) უნდა იშლებოდეს შემდეგნაირად: მგ+ჭწ-რ, სადაც მგ --- ჩვენებას გამოხატავს, ჭწ II ჭგ—მეორე პირის ნაცვალსახელს (პიროვნებითს), ე. ი. ჩვენება საგანზე, რომელიც შენთან (მეორე პირთან) ახლოს არის (შეადარეთ ქართულ ჩვენებით ნაცვალსახელებს იგი III პირთან, ე-გ-ე—II პირთან, კუთხ. ა-გ-ი I პირთან).

რომ მართლაც მჭწ-რ ჩვენებითი ნაცვალსახელი შედგენილია, კომპოზიტია, და არა მარტივი ფუძის მქონე სიტყვა, ამას ადასტურებს მჭწ-რ ფორმის პარალელურად მგ-რ ფორმის არსებობა (იმავე შინაარსით), ე. ი. მგ ელემენტის მოკვეციოთ. ამასთანავე, მჭწ კომპლექსი ადილუური ენებისათვის (პირველადი) უჩვეულოა. მ ბგერას სხვა ლაბიალური ბგერა არ ეწყობა.

ეგვივე მგ ჩვენებითი ნაცვალსახელი უნდა იყოს გამოყენებული განსაზღვრებისა და ბრუნვის სუფიქსად სახელებში. მაგალითად, წგწ-მ დასწთუ ეკაცს ვაძლევ მას, წგწ-მწ დასწთუ ეკაცებს ვაძლევ მას.

მგ აქ ანალოგიურია ქართულში მოთხრობითი ბრუნვის მან სუფიქსისა (კაც-მან), რომელიც წარმოშობით არის იგივე პიროვნებითი ნაცვალსახელი.

აქვე შეიძლება გამოვთქვათ მგ ჩვენებითი ნაცვალსახელის შესახებ შემდეგი მოსაზრება: შესაძლებელია ადილუური ენების მგ ნაცვალსახელი იდენტური ოდენობა იყოს ქართველურ ენების მა-ნ მჟ-ნ ნაცვალსახელებისა. ქართულში, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მა-ნ ნაცვალსახელი გამოყენებულია მოთხრობითი ბრუნვის აფიქსად. ამასთანავე, ქართველურ ენებში მოქმედებითი გვარის მიმღეობა (აწმყო დროისა) იწარმოება მ(ა)- პრეფიქსით (-ელ, -ალ, -არ... სუფიქსებთან ერთად). მაგალითად: მ-ქრ-ელ-ი, მ-ა-რჩენ-ალ-ი, მეგრ. მა-გვილ-ა-რ-ი (მკვლელი), მა-ძირაფ-ალ-ი (მნახველი) და სხვა. აქტიური მიმღეობის მაწარმოებელი მ(ა)- პრეფიქსი ქართველურ ენებში იმავე პრონომინალური წარმოშობის უნდა იყოს.

ასე რომ, მგ II მა ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოყენებული აქვს ადილურსა და ქართველურ ენებს სახელებისათვის ბრუნვის ნიშნად, მაგალითად: ქვემო-ადილურში წგწ-მ, წგწ-მწ II წგწ-საწ-მ (მრავ. რ.); ქართულში: კაც-მან; ზმნე-

ბისათვის კი ადილეურ ენებს ეგვევ ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოყენებული აქვს პირის ნიშნად ერთპირიან ზმნაში, მაგალითად, მა-დნ უერავს და ქართულურ ენებს მოქმედებითი გვარის მიმღობის მაწარმოებლად, მაგალითად, მ-ყრაფი, მეგრ. მა-ყვილარი (მკვლელი).

მა-პრეფიქსი სიტყვის მაწარმოებლად ადილეურ ენებსაც უნდა ჰქონდეს გამოყენებული. მაგალითად, ქვემო-ადილეურ სიტყვა მაჭა-ში (დღე) ძირეულ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ ჭა (ჭე), რაც ნიშნავს სინათლეს, ნათელს, მა-უნდა იყოს მაწარმოებელი პრეფიქსი. ასევე, ქვემო-ადილეურ სიტყვაში მაჭა (მცირე) ძირეულია ჭა (ჭე), ნიშნავს უმცროსს, მა-აქაც სიტყვის მაწარმოებელია.

უკანასკნელი სახის სიტყვები, ე. ი. მა-პრეფიქსით მაწარმოები სახელები ქვემო-ადილეურსა და ყაბარდოულ ენებში საკმაოდ მოიძებნება.

2. რ-ფორმანტს ზმნაში რამდენიმე ფუნქცია გააჩნია:

ა) რ-პრეფიქსი ირიბი ობიექტის ნიშანია სამპირიან თუ ოთხპირიან გარდამავალ ზმნაში, როცა სუბიექტი დგას მესამე პირში. მაგალითად, რ-მა-თუ მას მას ის ძღვეს, რ-მა-ჰნ-ლათუ მას მასზე მას შენ მიაცემინებ.

ბ) იძულებული პირის, იმავე ირიბი ობიექტის, ნიშანია სამპირიან თუ ოთხპირიან გარდამავალ ზმნებში, როცა სუბიექტი მესამე პირითაა წარმოდგენილი. მაგალითად, სნ-რ-მა-ლანყან მას ჩემზე მას ის ათქმევინებს; რ-რ-მა-ლანყან მას მასზე მას ის ათქმევინებს.

გ) რ-იარალის სახელის ნიშანია, მაგალითად, ჯანლმუმ რ-ი-თულ ფანქრით მან დაწერა ის.

დ) რ-პრეფიქსი გამოხატავს ადგილის გარემოებას (მასში). მაგალითად, ქალარ მაჯამამ რ-მა-ლანთხან ის ყმაწვილს სკოლაში აწერინებს.

ე) რ(რ)-აფიქსით იწარმოება სხვადასხვა სახის მიმღობანი.

ეგვევ -რ აფიქსი ქვემო-ადილეური ენის სახელებში გამოყენებულია განსაზღვრებისა და ბრუნვის (სახელობითის) მაწარმოებლად, მაგალითად, წეჭ-რ მაჭა ყაცი მიდის.

რ-აფიქსის სრული სახე უნდა იყოს რა-, რაც შემონახულია ქვემო-ადილეურში გარდაუვალ ზმნასთან იარალის სახელის გამოსახატავად, მაგალითად, ს-რა-თხან მე მით ვწერ.

შენიშვნა: რა-აფიქსი უფუნქციოდ გვხვდება ამჟამად ქვემო-ადილეური ენის შთესულურ დიალექტში, მაგალითად, რა-კალან წავიდა, რა-ჩალან ვაიქცა და სხვა. ამათ პარალელურად იხმარება კეალან, ჩალან იმავე მნიშვნელობით. ცხადია, რა-კალან, რა-ჩალან ფორმებში თავისი შინაარსი ექნებოდა ოდესღაც რა-პრეფიქსს: წავიდა მით, ვაიქცა მით.

საერთოდ, რა აფიქსს ადილეურ ენებში დიდი გამოყენება აქვს. იგი იხმარება აგრეთვე სახელების კავშირდაც, ქართულიც ნაწილაკ-კავშირის ფუნქციით. მაგალითად, ბაჯან-რან ჰან-რან მელა და ძაღლ, მელაც, ძაღლიც.

ეგვევ -რან აფიქსი აწარმოებს რიგობით რიცხვით სახელებს, მაგალითად, აფან-რან იპირველი, მატანან-რან მეორე, მათჯან-რან მესამე და სხვა...

ყველა ამ ფუნქციების მქონე რწ || რჯ || რ აფიქსს უთუოდ ერთი წარმოშობილობა აქვს და მისი პროტოტიპი სახელი უნდა ყოფილიყო რომელიმე ნაცვალსახელი. ასეთი ნაცვალსახელი ამჟამად არც ერთ ადილურ ენას არ აქვს შემონახული. შეიძლება ასეთი სახელი არც კი იყო ადილური წარმოშობისა. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ადილურმა ენებმა საერთოდ არ იციან სიტყვა, სახელი რ თავიკიდური ბგერის მქონე.

რწ) აფიქსი სხვა კავასიურ ენებშიც უნდა იყოს ჩვენების, განსაზღვრის როლში გამოყენებული. არნ. ჩიქობაეას ზეპირი ჩვენებით ქართველური ენების -რ სუფიქსი, მაგალითებში: აგე-რ, ეგე-რ, მეგრ. ამა-რ(ი), ემე-რ(ი) საერთო კუთვნილება უნდა იყოს ადილურ ენებთან.

რწ || რჯ || რ აფიქსის ადგილმდებარეობა სახელებსა და ზმნებთან საესებით ისეთივეა, როგორც მწ || მ აფიქსისა. სახელდობრ:

ზმნასთან რწ || რჯ || რ აფიქსი მუდამ პრეფიქსად ა გამოყენებული, ხოლო სახელებთან (მიმღობასთანაც) გამოდის მუდამ სუფიქსად.

უფრო საინტერესოა ზმნის პირთა პრეფიქსების რწ || რჯ || რ და მწ || მას მიმართება სახელების ბრუნვათა სუფიქსებთან. სახელდობრ: -მწ || -მ სუფიქსით გაფორმებული ირიბი ობიექტის სახელის წარმომადგენლად ზმნაში გამოდის რ-პრეფიქსი, ხოლო, პირიქით, -რ სუფიქსით გაფორმებული სუბიექტის სახელის წარმომადგენლად ზმნაში ჩნდება მწ-|| მას- პრეფიქსი.

შევეამოწმოთ მაგალითებით:

კალამ ფს.ასს.წ-მ თხელ'ურ რ-ი-თელ ყმაწვილმა გოგონახ წიგნი მისცა. აქ ზმნისეული რ- პრეფიქსი დაკავშირებულია ირიბ ობიექტთან (მიცემით ბრ. დასმულ სახელთან), რომელიც -მ სუფიქსით არის გაფორმებული.

კალწ-რ მას-თხან ყმაწვილი წერს. მაგალითში კი, პირიქით, ზმნისეული მწ-პრეფიქსი დაკავშირებულია სუბიექტის სახელთან (სახელ. ბრუნვაში დაყენებულთან), რომელიც -რ ფორმანტითაა გაფორმებული.

3. მწ- პრეფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, საზიაროა სუბიექტისა და ირიბი ობიექტისათვის. სუბიექტის ფუნქციით მწ-ს უპირისპირდება მრავლობითში ა- პრეფიქსი, ხოლო ირიბი ობიექტის ფუნქციით, მას- პრეფიქსი.

მწ- პრეფიქსი ირიბი ობიექტის ფუნქციით, გარდა ზმნებისა, გვხვდება აგრეთვე სახელებშიც. მაგალითები, მწ-ჯაპან სასწავლებელი (მწ-მას(ში)+ჯაპ-სწავლა + პწ-ადგილი), მწ-ტანწ || მწ-ტანწ მერე; შემდეგ (მწ-მას(ზე) + ტაწ ---ორი + ნწ -? ე. ი. მერე, მას შემდეგ), და სხვა.

სუბიექტური პირის ფუნქციით მწ- პრეფიქსი მხოლოდ აწმყოში არის გამოყენებული. ნამყოს ჯგუფში მის ადგილს იჭერს გ-|| ი- პრეფიქსი.

მწ- პრეფიქსი სუბიექტისა და ირ. ობიექტის ფუნქციით, ცხადია, ერთი წარმოშობისაა. მისი პროტოტიპი სახელი (ნაცვალსახელი) ამჟამად ადილურ ენებს არ შემოუნახავთ. ნ. იაკოვლევი მას (მწ- პრეფიქსს) უკავშირებს აფხაზურ ნაცვალსახელს მარა-ს (მესამე პირის პიროვნებით ნაცვალსახელს).

4. გ-|| ი- პრეფიქსები გამოხატავენ ყოველთვის რეალური სუბიექტის პირს ნამყოს ჯგუფში.

ნ. იაკოვლევი ამ პრეფიქსებს, სრულიად სამართლიანად, უკავშირებს კუთვნილებით ნაცვალსახელებს, რომლებიც პრეფიქსად მოუდის საზღვრულ სახელებს. ზმნისეული გ- პრეფიქსის შესაბამისად ნ. იაკოვლევის მიაჩნია გ კუთვნილებითი ნაცვალსახელი, გამოხატველი ორგანული კუთვნილებისა; ხოლო ზმნისეული ი- პრეფიქსის შესატყვისად თვის ქონებრივი კუთვნილების გამოხატველ ი- კუთვნილებით ნაცვალსახელს¹.

შენიშვნა: ქვემო-ადიდურში ტერმინ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ნაცვლად უფრო მართებული იქნება ვინმართ კუთვნილებითი აფიქსი, რამდენადაც ასეთი ელემენტები ცალკეულ, დამოუკიდებელ სიტყვას კი არ წარმოადგენენ, არამედ გამოდიან სიტყვის აფიქსებად, უკეთ სიტყვის, სახელის პრეფიქსად, მაგალითად, წყა-მ ი-უნ წაცის სახლი, წყა-მა აა-უნ წაცების სახლი და სხვა.

ნ. იაკოვლევის მოსაზრების სასარგებლოდ ჩვენ შეიძლება მივუთითოთ შემდეგს გარემოებაზე:

ზმნისეული პრეფიქსები გ- || ი- შეწყობილია მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელთან (-მ || -მ სუფიქსიანთან), მაგალითად. წყა-მ გ-ჟაღ წაცმა თქვა, წყა-მ რ-ი-თღ წაცმა მისცა. ასევე კუთვნილებითი ნაცვალსახელი გ || ი შეწყობილია იმავე მიცემით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელ სახელთან, მაგალითად. ქოლსოზ-მ იჩამზხარ კოლმეურნობის ძროხები (ი გამოხატავს ქონებრივ კუთვნილებას); წყა-მ გ-ფარ წაცის ცხვირი (გ გამოხატავს ორგანულ კუთვნილებას).

ზმნისეული პრეფიქსი გ-|| ი- და კუთვნილებითი ნაცვალსახელები გ || ი ერთგვარად ეთანხმებიან სახელებს რიცხვში. მაგალითად, წყა-მ გ-ჟაღ წაცმა თქვა, წყა-მ ა-ჟაღ წაცებმა თქვეს, წყა-მ რ-ი-ჟაღ წაცმა უთხრა, წყა-მ ა-ჟაღ წაცებმა უთხრეს.

აქ გ- || ი- პრეფიქსებს მრავლობითში ცვლის ა- პრეფიქსი.

წყა-მ გ-ფარ წაცის ცხვირი, წყა-მ ა-ფხანარ წაცების ცხვირები, წყა-მ ი-უნ წაცის სახლი, წყა-მ აა-უნ წაცების სახლი.

ამ შემთხვევაში ნაცვალსახელოვან პრეფიქსს გ-ს მრავლობითში ცვლის იგივე ა- პრეფიქსი, ხოლო ნაცვალსახელოვან ი- პრეფიქსს ცვლის აა- პრეფიქსი.

5. აა- და ა- პრეფიქსები გამოხატავენ ზმნაში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობას. აა- პრეფიქსი ყოველთვის ირიბ ობიექტს გამოხატავს, ა- კი ირიბ ობიექტსაც და რეალურ სუბიექტსაც (გარდამავალ ზმნასთან).

ა- პრეფიქსის ფუნქცია მხოლოდ მრავლობითობის გამოხატვა უნდა იყოს (როგორც ქართულში -ან, -ენ სუფიქსებისა, მაგ., დგა-ან-ან, ან მეგრ. ხე-ნან-ახედან). მართლაც, ირიბი ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებლად რ- პრეფიქსს წინ ემატება ა- პრეფიქსი. მაგალითად, რ-ა-თუ მას მას ის აძლევს, მაგრამ ა-რ-ა-თუ მას მათ ის აძლევს. აა, აფიქსის შედგენილობაში უნდა ვივარა-

¹ იხ. მისი „Краткая грамматика алтгейского (крякского) языка“. 1930 წ., გვ. 84.

უდოთ მრავლობითობის აფიქსი ა. აა უნდა იყოს მიღებული ასე: მესამე პირის ირიბი ობიექტის ნიშანი აა- პლუს მრავლობითობის ა- ნიშანი (აა+ა=აა).

ყაბარდოულში მრავლობითობის ა აფიქსი ირიბი ობიექტის აა ნიშანს მოუღდის წინ, ა+აა-აა. მაგალითად, ს-აა-ფლ'ას, აე მას შევხედუე: ს-აა-ფლ'ას, აე მათ შევხედუე.

ყაბარდოულში მრავლობითობის ა- პრეფიქსი მესამე პირის აა- პრეფიქსს მოსდევს მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელი სუბიექტურ პირს გამოხატავს. მაგალითად, აა-დ მას ის კერავს, მიგრამ აა-დ მას ისინი კერავენ.

ნ. იაკოვლევი აა- და ა- პრეფიქსებს (ზმნისეულს) უკავშირებს, შესაბამისად გ- და ი- პრეფიქსებისა, კუთვნილებით ნაცვალსახელებს. აა- ზმნისეული პრეფიქსი უკავშირდება ქონებრივი კუთვნილების აა- ნაცვალსახელს, ხოლო ა- ზმნისეული პრეფიქსი უკავშირდება ორგანული კუთვნილების ა ნაცვალსახელს.

მრავლობითი რიცხვის -ხ სუფიქსს (-ხა) უკავშირებენ სვანური ზმნის მესამე პირის მრავლობითობის -ხ სუფიქსს და ყე- ნაწილაკს ქართულში (პ. შუხარდტი, „Georgische gr.“ 28; ნ. მარი „Из поэмы в Абхазии“ გვ. 322; არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ [წელიწდეული] გვ. 68; ვ. თოფურია, „სვანური ენა“. გვ. 9).

-ხ ზმნისეული სუფიქსის პირვანდელი სახე -ხა შემონახულია სახელის მრავლობითობისათვის წყა-ხა-რ კაცები.

ამნაირად, ხა აფიქსი საზიაროა ქვემო-ადილეურში სახელისა და ზმნის მრავლობითობისათვის.

ზმნისეული მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსი მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელთანაა დაკავშირებული. ამიტომ მას (-ხა-ს) ექნება ორი ფუნქცია: გარდაუვალ ზმნებთან გამოხატავს სუბიექტური პირის მრავლობითობას, მაგალითად, წყა-ხა-რ მაქა-ხა კაცნი მიდიან, ხოლო გარდამავალ ზმნასთან გამოხატავს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას. მაგალითად, წყა-ხა-რ სლ'ალო-ხა კაც-ნი ენახენ-.

ანალოგიურ ფუნქციას ატარებს ქართულში -ნ, -ენ, -ან მრავლობითობის ფორმანტები. მაგალითად, კაც-ნი მიდი-ან, კაც-ნი ვ-პოვენ-.

მრავლობითობის -ხა სუფიქსის პროტოტიპი სახელი ადილეურ ენებში არ ჩანს, საექვოა ლოპატინსკის მიერ მოცემული ხ(ა) სუფიქსის ეტიმოლოგია. ლოპატინსკი წერს ხ(ა) სუფიქსის შესახებ: „Хе произошло от числительного Хы (хы) шесть и означает множество“ СМОМПК, 1891 წ., ნაკვ. XII, გვ. 40.

ნ. იაკოვლევსაც ადილეური ენების მრავლობითი რიცხვის -ხა ფორმანტი ლოპატინსკისათვის გამოჰყავს რიცხვით სახელ ხგ-საგან (იხ. მისი „Краткая грамматика кабардино-черкесского языка“ 1938 წ., გვ. 135).

X. ჰართველური ენების ზმნათა მრავალპირიანობის საკითხისათვის

ქვემო-ადილეური ზმნის მრავალპირიანობასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება აქვე შევხვით ქართველურ ენათა ზმნის მრავალპირიანობის საკითხს.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მრავალპრიანი ზმნა აფხაზურ-უბიხურ-ადილური ენების პირალელურად გააჩნია ქართველურ ენებსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველური ენები და, კერძოდ, ქართული ენა ცნობილია მაქსიმალურად სამპირიანად, სამპირიანად მორფოლოგიური თვალსაზრისით.

როგორც დასაწყისში აღენიშნეთ, ზმნა იმდენი პირის მქონეა, რამდენი სახელიც, სამსავე პირში მმართველი, შეეწყობა მას. ამ თვალსაზრისით რომ მიუღდგეთ ქართველური ენების ზმნას, დავრწმუნდებით, რომ აქ პირიანობით შეწყობილ სახელთა რაოდენობა არ აღემატება ორს. მესამე პირი კი მორფოლოგიურ პირად არ წარმოიდგინება. იგი შეიძლება სინტაქსურ პირად ჩავთვალოთ.

ყოველი რელატიური ზმნა ქართველურ ენებში მხოლოდ ორ მორფოლოგიურ პირს აღნიშნავს დადებითი თუ უარყოფითი ნიშნებით, მაგალითად. „და-მ-იკირა-ა მან მე ის“ ზმნის ფორმაში წარმოდგენილია ნიშნებით სუბიექტური პირი (მან) და ირიბი ობიექტის პირი (მე). „წა-უ-ლო-მან მას ის“ ფორმაში ნიშნით წარმოდგენილია სუბიექტური პირი (ა-სუფიქსით) და ირიბი ობიექტის პირი (ნულ პრეფიქსით); ირიბ ობიექტს აქ აქვს დასაპირისპირებელი ფორმები წა-გ-ი-ლ-ო, წა-მ-ი-ლ-ო.

პირდაპირი ობიექტი აქ მხოლოდ სინტაქსურადაა წარმოდგენილი. ასეთ ზმნებში (ე. წ. სამპირიანებში) პირდაპირი ობიექტი წარმოიდგინება მხოლოდ მესამე პირის შინაარსით. პირველსა და მეორე პირებში პირდაპირი ობიექტი აქ არ დადგება. უაზრობაა ქართულში ასეთი გამოთქმა: „დამიკირა მან მე შენ“ (შენი თავი)“, ან „დაგიკირა მან შენ მე“ (ჩემი თავი)“.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ზმნა შეიძლება იყოს იმდენი პირის მქონე, რამდენი წყობაც გააჩნია მას. „დამიკირა მან მე ის“ ზმნას აქვს ორი წყობა: სუბიექტური (დაუჭირე, დაუჭირე, დაუჭირა; დაუჭირეთ, დაუჭირეთ, დაუჭირეს) და ირიბ-ობიექტური (დამიკირა, დაგიკირა, დაუჭირა; დაგვიკირა, დაგიკირათ, დაუჭირა). პირდაპირ-ობიექტური წყობა ამ სამსახელიან ზმნას არ ექნება. ამიტომაც სამსახელიანი ზმნა „დაუჭირა მან მას ის“ უნდა ჩავთვალოთ ორპირიანად. ორსახელიან ზმნას „დამიკირა მან მე“ ექნება ორი წყობა: სუბიექტური (დაუჭირე, დაიჭირე, დაიჭირა; დაუჭირეთ, დაიჭირეთ, დაიჭირეს) და პირდაპირ-ობიექტური (დამიკირა, დაგიკირა, დაიჭირა; დაგვიკირა, დაგიკირათ, დაიჭირა); უკანასკნელიც ორპირიანია.

შენიშვნა: როცა ზმნის წყობათა რაოდენობით ვსაზღვრავთ ზმნის პირთა რაოდენობას, მხედველობაში არ გვაქვს ისეთი ორპირიანი ზმნები, რომლებიც პირდაპირ ობიექტს I და II პირებში არ გადაიტანს თავისი განსაკუთრებული შინაარსის გამო. მაგალითად, ზმნა „ხნავს ის მას“ არ აწარმოებს ობიექტურ წყობას. არ იხმარება ასეთი ფორმები: მ-ხნავს, გ-ხნავს, გე-ხნავს, გ-ხნავთ, რადგანაც სახნავე ობიექტი-მიწა, მიწლორი-არ შეიძლება რეალურად იყოს არც პირველსა და არც მეორე პირში. ასეთი ობიექტი არ შეიძლება

იყოს არც მოსაუბრე და არც მსმენელიც, ე. ი. ადამიანი. ის მხოლოდ მესამე პირად წარმოიდგინება.

ხნავეს ზმნის ტიპისაა იფიქრა მან ის, იმღერა მან ის, თქვა მან ის და სხვა.

ასეთი ზმნები ანალოგიით სხვა გარდამავალი ორპირიანებისა (ორივე წყობის მქონე ზმნებისა), ჩაითვლებიან ორპირიანებად.

თვით ისეთი სამსახელიანი (სამპირიანი) ზმნებიც კი, როგორცაა მომცა, მომაკერა და სხვა, რომელთაც სამივე წყობა გააჩნიათ, მორფოლოგიურად მხოლოდ ორი პირითაა წარმოდგენილი. ავიღოთ მომცა და მომაკერა ზმნა სამივე წყობით.

სუბიექტური წყობით

მხოლ. რიცხვი			მრავ. რიცხვი		
	S	ირ. ო პ. ო		S	ირ. ო პ. ო
1 მი-ვ-ეცი	მე	მას ის	1 მი-ვ-ეცი-თ	ჩვენ	მას ის
2 მი-ეცი	შენ	მას ის	2 მი-ეცი-თ	თქვენ	მას ის
3 მი-ს-ცა	მან	მას ის	3 მი-ს-ცეხ	მათ	მას ის

ირიბ-ობიექტური წყობით

მხოლ. რიცხვი			მრავ. რიცხვი				
	ირ. ო	S	პ. ო		ირ. ო	S	პ. ო
1 მო-მ-ცა	მე	მან	ის	1 მო-გვ-ცა	ჩვენ	მან	ის
2 მო-გ-ცა	შენ	მან	ის	2 მო-გ-ცა-თ	თქვენ	მან	ის
3 მი-ს-ცა	მას	მან	ის	3 მი-ს-ცა	მათ	მან	ის

პირდაპირ-ობიექტური წყობით

მხოლ. რიცხვი			მრავ. რიცხვი				
	პ. ო	S	ირ. ო		პ. ო	S	ირ. ო
1 მი-მ-ცა	მე	მან	მას	1 მი-გვ-ცა	ჩვენ	მან	მას
2 მი-გ-ცა	შენ	მან	მას	2 მი-გ-ცა-თ	თქვენ	მან	მას
3 მი-ს-ცა	ის	მან	მას	3 მი-ს-ცა	ისინი	მან	მას

როგორც ვხედავთ, აქ თითოეულ წყობაში წარმოდგენილია მორფოლოგიურად მხოლოდ ორი პირი. სუბიექტური პირი წარმოდგენილია ყველა წყობაში, ხოლო ირიბ-ობიექტური წყობით წარმოდგენილია ირიბი ობიექტი ნიშნებით და უგულებელყოფილია პირდაპირი ობიექტი, ხოლო პირდაპირ-ობიექტური წყობით წარმოდგენილია ნიშნებით პირდაპირი ობიექტი და უგულებელყოფილია ირიბი ობიექტი.

ქართული ზმნა მიმცა-ს ტიპისა, მართალია, სამგვარ წყობას აწარმოებს, მაგრამ თითოეულ ობიექტურ წყობაში გამოირიცხულია მეორე ობიექტის პირიანობა.

მიმცა ტიპის ზმნა მორფოლოგიური თვალსაზრისით სამპირიანი იქნე-
ბოდა, რომ დასაშვებია იყოს ასეთი ფორმის არსებობა: [მი-მ-ხ-ც-ა] მან მე
მას, [გ-მ-აკელეინებ-ს] შენ (შენს თავს) მე ის, [მო-მ-გ-ტაც-ა] მე
(ჩემი თავი) შენ მან და სხვა.

მაგრამ ასეთი ფორმები ქართულისა და საერთოდ ქართველურ ენებისა-
თვის უცხოა. შეუძლებელია სწორედ იმიტომ, რომ ქართულ ზმნას გააჩნია პირთა
ნიშნების ორი სისტემა, ორი წყობა. სუბიექტური (დროების მიხედვით
განსხვავებული) და ობიექტური. ობიექტურ პირთა სისტემა ქართულში ამჟამად
ჟაქტობრივად თითქმის ერთია პირდაპირისა და ირიბისათვის. ობიექტის ნიშ-
ნებით გადმოცემულია ხან ირიბი ობიექტი და ხან პირდაპირი. ორპირიან გარ-
დამავალში ობიექტური ნიშნები პირდაპირი ობიექტისაა, ორპირიან გარდაუვალ-
ში კი—ირიბი ობიექტისა. ე. წ. სამპირიან ზმნებში კი, ობიექტურ ნიშნებს ჩვე-
ულბრევ ეუფლება ირიბი ობიექტი. პირდაპირი ობიექტი კი არ არის ნიშნით
წარმოდგენილი სამპირიანი ზმნების დიდ უმრავლესობაში (ყველა ნაწარმოებ
სამპირიანებში). მხოლოდ რამდენსამე სამპირიან ზმნაში (მიმცა ტიპისა) შეუ-
ძლია პირდაპირ ობიექტსაც ნიშნების წარმოდგენა. ოღონდ, როგორც ზემოთ
ენახეთ, ასეთ შემთხვევაში უნიშნოდ რჩება ირიბი ობიექტი. მიმცა-ტიპის
ზმნებში ირიბი ობიექტის პირის ნიშნებით წარმოდგენა გამორიცხავს პირდა-
პირი ობიექტის პირიანობას და, პირიქით, პირდაპირი ობიექტის პირის ნიშნით
წარმოდგენა გამორიცხავს ირიბი ობიექტის პირიანობას.

ქვემო-ადილეურში კი, როგორც ენახეთ, ირიბი ობიექტის პირიანობა არ
გამორიცხავს პირდაპირი ობიექტის პირიანობას და, პირიქით, პირდაპირი ობი-
ექტის პირიანობა არ გამორიცხავს ირიბი ობიექტის პირიანობას, რადგანაც
პირდაპირ ობიექტს აქ თავის ნიშანთა სისტემა გააჩნია და ირიბს—თავისი.

ქვემო-ადილეური სამპირიანი ზმნის სგ-რ-ი-თულ მე მას მან მიმცა, უ-მ-ხ-თულ
შენ მას მე მიგეცი, სგ-უ-ი-თულ მე (ჩემი თავი) შენ მან მოგცა და სხვების ბა-
დალი ქართველურმა ენებმა არ იცის.

ქვემო-ადილეური ზმნის პირთა ნიშნების გენეზისის განხილვამ დაგვანახვა,
რომ ისინი ყველა ნაცვალსახელობრივი წარმოშობისა არიან. სხვა ენებშიც
მხოლოდ ასეთი წარმოშობა უნდა ჰქონდეს ზმნის პირთა ნიშნებს (როგორც
ამას აგლუტინაციის თეორიის მიმდევრები ამტკიცებდნენ). ოღონდ, სხვა ენებში
ასე ნათლად არ ჩანს პირის აფიქსთა პრონომინალური წარმოშობილობა ფო-
ნეტიკური თუ სხვაგვარი ცვლილებების გამო.

კერძოდ, ქართველურ ენებში მხოლოდ ერთი შემთხვევა შეიძლება დავასა-
ხელოთ, სადაც ნაცვალსახელსა და პირის აფიქსს შორის კავშირი ცხადად ჩანს.
ეს არის პირველი ობიექტური პირის მ-პრეფიქსი და მე (მა, მი) პიროვნებითი
ნაცვალსახელი.

პირველი სუბიექტური პირის ვ- აფიქსიც პირველი ობიექტური პირის მ-
აფიქსის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ სასეკვილივებად არის მიჩნეული. არნ. ჩი-
ქობავე წერს ვ-პრეფიქსის მ-პრეფიქსთან მიმართების შესახებ: „ეკვი არ
არის, რომ ვ და მ პრეფიქსი ერთი და იმავე ფონეტიკური მასალის სხვადასხვა
სახეა“ („მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში“, გვ. 210).

მართლაც, უეჭველად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ოდესღაც ქართველურ ენებშიც ერთი და იმავე ნიშნით ყოფილიყო წარმოდგენილი სუბიექტური და ობიექტური პირები. ამ ნიშანთა (აფიქსთა) ფუნქციები აქაც (ქართველურ ენებშიც) ადგილმდებარეობის მიხედვით იქნებოდა გარჩეული.

ამ მოსაზრების გამოთქმა უფრო თამამად შეიძლება პირველი და მეორე პირის აფიქსების მიმართ. მართლაც, პოლიპერსონალური ზმნის მქონე ენებში პირის ნიშანთა წარმოდგენის მხოლოდ ასეთი სისტემაა მოსალოდნელი გარკვეულ საფეხურამდის. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ პირის აფიქსთა პროტოტიპად, საერთოდ, ენებში გვევლინება ნაცვალსახელები. ამათში, პირველი და მეორე პირის აფიქსთა პროტოტიპი—პიროვნებითი ნაცვალსახელი—ყველა ენაში განსაზღვრული რაოდენობითაა (მაგალითად, ქართულში—მე, შენ, ჩვენ, თქვენ). პირველი და მეორე პირის პიროვნებით ნაცვალსახელებს იშვიათად ექნებათ პარალელური ფორმები.

კერძოდ, ქართველურ ენებში I და II პირის აფიქსთა წარმოშობილობა კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან შეუძლებელი იქნებოდა. თვით კუთვნილებითი ნაცვალსახელები ქართულში პიროვნებითი ნაცვალსახელის ფუძისაგანაა ნაწარმოები. მაგალითად, შენ-ი, ჩვენ-ი, თქვენ-ი, ჩემი.

ამნაირად, აქედან უნდა გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა: თუ წყარო, საიდანაც I და II პირის სუბიექტური და ობიექტური ნიშნები წარმოიშვა, ერთი და იგივეა (I და II პირთა პიროვნებითი ნაცვალსახელი), გარკვეულ საფეხურამდის ყველა პოლიპერსონალური ზმნის მქონე ენას, და აქედან ქართულსაც, ერთი და იმავე ნიშნით უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი სუბიექტიცა და ობიექტიც ზმნაში.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქვემო-ადილურ ზმნას, მსგავსად ქართველურ ენების ზმნისა, გააჩნია რამდენიმე სახის მეტსამე პირის ნიშანი მხოლოდობითში: მწ-, ჯ-, ი-, მწ-, რ-პრეფიქსები; მრავლობითში: მწ-(ხ), ა-, და-, არ-პრეფიქსები. საჭიროება მესამე პირის რამდენიმე ნიშნით წარმოდგენისა უდავოდ გააჩნია პოლიპერსონალური ზმნის მქონე ენებს, რადგანაც ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება თავი მოიყაროს მესამე პირმა რამდენიმე, მაშინ როდესაც პირველი ან მეორე პირი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ზმნის ერთ ფორმაში მხოლოდ ერთი. ამასთანავე, მესამე პირის აფიქსები ქვემო-ადილურში, როგორც ვნახეთ, მიღებულია ჩვენებითისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან. ასეთი ნაცვალსახელებით კი ქვემო-ადილური საკმაოდ მდიდარია.

Г. В. РОГАВА

ПОЛИПЕРСОНАЛИЗМ В ГЛАГОЛАХ НИЖНЕ-АДЫГЕЙСКОГО ЯЗЫКА

(РЕЗЮМЕ)

Полиперсонализм (многоличность)—главная особенность глаголов нижне-адыгейского языка, как и других представителей абхазско-убыхско-адыгейской группы языков.

В ряду кавказских языков полиперсонализмом характеризуются глаголы и картвельских языков.

Количество личных форм глагола определяется только теми именами, которые сочетаясь с глаголами, представлены в нем личными аффиксами всех трех лиц (положительно или отрицательно).

Глагол может иметь столько лиц, сколько различается в нем строев. У одноличного глагола имеется лишь один субъективный строй; у переходного двухличного может быть два строя—субъективный и строй прямого объекта; у переходного трехличного может быть три строя—субъективный, строй косвенного объекта и строй прямого объекта и т. д.

В нижне-адыгейском языке глагол обычно может представить до четырех лиц, а потенциально—до шести лиц.

Многоличные глаголы в нижне-адыгейском языке могут быть с простыми и производными основами.

Из многоличных глаголов простые основы имеют обыкновенно двухличные глаголы. Трехличные глаголы с простыми основами встречаются в единичных случаях (напр. sə-r-y^a-tə 'меня ему он отдает', r-y^a-tə 'то ему он говорит' и т. д.

Подавляющее большинство трехличных глаголов и глаголы с четырьмя и, следовательно, более лицами имеют производные основы.

Основными производителями многоличных глаголов в нижне-адыгейском языке являются префикс каузативности γ^a, префикс версии f'(f), ზჷ, префикс совместного действия d^a. С нарастанием этих префиксов соответственно увеличивается и количество лиц.

Префикс каузативности γ^a может удваиваться.

Аффиксы (префиксы) субъекта и объектов в нижне-адыгейском яз. по многих случаях одни и те же, и, как известно, в переходных и непереходных глаголах они различаются лишь порядком последовательности: в непереходных глаголах первое место занимает субъективный префикс, в переходных же—префикс прямого объекта, что и объясняется, вероятно, инверсией глагола.

Образцы многоличных (полиперсональных) глаголов:

1. Двухличные:

а) непереходный

$S_2 O_1^{ind.}$

wə-s^u-ž^u 'ты меня ждешь',

б) переходный:

$O_2^d S_1$

wə-s^u-s^u 'тебя я веду'.

2. Трехличные:

а) непереходный:

$S_2 O_1^{ind.} O_3^{ind.}$

wə-s-f-y^u-b^uпə 'ты для меня с ним борешься',

б) переходный:

$O_2^d O_3^{ind.} S_1$

wə-g-y^u-tə 'тебя ему он отдает'.

3. Четырехличные:

sə-g-y^u-w^u-y^uтə 'меня ему его ты заставляешь отдать'.

Грамматически мыслимы „пятиличные“ и „шестиличные“ формы, но это суть искусственные образования: они хоть и будут понятны, но не встречаются ни в письменной, ни в устной речи.

Сравнивая полиперсонализм адыгейского языка с полиперсонализмом картвельских языков, можно прийти к следующему выводу: глаголы картвельских языков можно считать максимально двухличными, поскольку в глаголе одновременно могут быть представлены только два личных аффикса: субъекта и одного из объектов (прямого или косвенного). Например, в глагольной форме m-itxɣ-a maп me is 'сказал он мне то'—аффиксами представлены только субъект maп (суф. -а) и косвенный объект me (преф. m-). Прямой объект не представлен аффиксом, не может изменяться по лицам (ставится лишь „в третьем“ лице).

Наоборот, в глагольной форме m-i-m-s-a maп me mas 'отдал он меня ему' аффиксами представлены только субъект maп (суф.—а) и прямой объект me (преф. m-); тут косвенный объект mas не отображается в глаголе.

В ниже-адыгейском глаголе имеется шесть систем личных аффиксов (префиксов) отличающихся друг от друга в I и во II лицах един. и множ. числа *фонетически* (отсутствие или присутствие в формантах огласовки), а в третьем лице—*морфологически*.

Все личные аффиксы в адыг. яз., как легко можно заключить, местоименного происхождения. Связь с местоимениями настолько тесна, что Л. Люлье в адыгейском глаголе считал возможным личные префиксы признавать за независимые слова, местоимения, т. е. ады-

гейский глагол он признавал неимеющим грамматических лиц, аперсональным.

Личные аффиксы I и II лиц восходят к личным местоимениям. Количественная ограниченность личных местоимений (I и II лица) ограничивает разнообразие личных аффиксов (I и II лица).

Особенно богат ниже-адыгейский язык (как и картвельские языки) аффиксами III лица, развившимися от указательных и притяжательных местоимений (Н. Ф. Яковлев).

Интересно сопоставить глагольный префикс III лица субъекта m^1 - ($ma-$), напр., в глаголе $m^1-laž^a$ 'работает', с суффиксом косвенного падежа (дательного падежа) $-m$ ($-m^a$), напр., в имени $čəb-m$ 'человек' в косвенном падеже). В обоих случаях аффикс $-m$ ($-m^a$) восходит к указательному местоимению $mə$ 'это'.

А с другой стороны, префикс косвенного объекта $g-$, напр., в глагольной форме $g-i tə$ 'то ему он отдал', увязывается с суффиксом прямого падежа (им. падежа) $-g$, напр., в имени $čəb-g$ 'человек'. В обоих случаях g аффикс одного происхождения.

Таким образом, один и тот же аффикс $m(\alpha)$ обозначает в глаголе субъект, а в имени, наоборот, — косвенный объект; другой аффикс $-g$ в глаголе обозначает косвенный объект, а в имени — субъект.

ზიოჯი როჯაჯა

შიშინა აფრიკატეზი ჟვემო-ადილეურში *

ქვემო-ადილეურ ენაში არის ორი რიგის შიშინა აფრიკატები: ა) რბილი აფრიკატები: ჯ-ჩ-ჭ და ბ) მაგარი აფრიკატები: ჯჟ-ჩჟ-ჭჟ. რბილი ჯ-ჩ-ჭ ემთხვევა ქართველური ენების ბგერებს—ჯ-ჩ-ჭ-ს.

მაგარი შიშინა აფრიკატებიდან მტლერი (ჯჟ) ქვემო-ადილეურში შემონახულია თითო-ოროლა სიტყვაში. ასეთია: ლ'წქიან ჯჟ იმუხლი, ჯწწწ ჯჟ იხეტილე. ჭჟ და განსაკუთრებით ჩჟ საკმაოდ ხშირად გვხვდება.

მაგარი და რბილი შიშინა აფრიკატების არსებობა ქვემო-ადილეურში შეპირობებულია ორი რიგის შიშინა სპირანტების არსებობით. ქვემო-ადილეურში შ-ჟ სპირანტების პარალელურად მოიპოვება მაგარი შჟ-ჟჟ (ისეთივე, როგორცაა რუსული ш-ж). აქედან, რბილი სპირანტი შ-ჟ შედის რბილი შიშინა აფრიკატების შედგენილობაში, ხოლო მაგარი სპირანტი შჟ-ჟჟ — მაგარი შიშინა აფრიკატების შედგენილობაში.

ამგვარად:

ჯ	შედგება	დ+ჟ	ჯჟ	შედგება	დ+ჟჟ
ჩ	"	თ+შ	ჩჟ	"	თ+შჟ
ჭ	"	ტ+შ	ჭჟ	"	ტ+შჟ

ცხადია, აფრიკატების ასეთი დაშლის მიზანია მათში შემავალი კომპონენტების განხილვა და არა ის, თითქოს აფრიკატი საერთოდ იყოს წარმოქმნილი ბგერათა მექანიკური შეერთებით (თუმც ამის თითო-ოროლა შემთხვევაც არის ქვემო-ადილეურში; ამის შესახებ—ქვემოთ).

ორი რიგის შიშინა აფრიკატების არსებობის დამოკიდებულება ორი რიგისავე შიშინა სპირანტების არსებობაზე საერთო მოვლენაა აფხაზურ-უბიხურ-ადილეურ ენებში. ამ ჯგუფის ენებსა და დიალექტებში ორი რიგის შიშინა აფრიკატებს ვხვდებით მხოლოდ იქ, სადაც არის ამავე აფრიკატების კომპონენტი— ორი რიგის სპირანტებიც. სახელდობრ: ქვემო-ადილეური ენის შაფსულურმა დიალექტმა არ იცის ამაყამად მაგარი შიშინა სპირანტი შჟ-ჟჟ, აქ მათ შესატყვისად ყველგან რბილი სპირანტებია; მაგალითად, ქვემო-ადილეური (აბძახურ-ქემგურ-ბუჯცღულური დიალექტებით) შიჯ 'ცხენი' შაფსულური დიალექტით

* წაკითხულია მოხსენებად ენიშვი-ის კავკას. ენათა ჯანყოფ. სხდომაზე 7.IV.1939.

იქნება შგ; ქვემო-ადილეური ფაჲ (ციგა, მარხილი—შაფსულურად იქნება ფჲ; ამდენადე, შაფსულურმა დიალექტმა არ იცის მაგარი შიშინა აფრიკატი ჯგ-ჩგ-ჭგ. ქვემო-ადილეური ჭგჯგ—მიწა, შაფსულურად იქნება ჭგგგ, ქვემო-ადილეური ჩგჯღჯღ, ხე, შაფსულურად—ჩგჯღჯღ, ქვემო-ადილეური ლ'წქაინჯგ ოუხლი, შაფსულურად—ლ'წქაიჯგ და სხვა.

შაფსულურ დიალექტს მისდევენ ყაბარდოული (ბასლენური დიალექტის გამორიცხვით) და უბიხური ენები. არც ყაბარდოულსა და არც უბიხურში (რამდენადაც ამ უკანასკნელს ვიცნობთ დირის, დიუმეზილისა და მაშაროშის ნაშრომებით) არ მოიპოვება მაგარი შიშინა სპირანტი შგ-ფგ და ამასთანავე არც მაგარი შიშინა აფრიკატი ჯგ-ჩგ-ჭგ.

ქვემო-ადილეურ ენას (აბძახურ-ბეედულურ-ქემგურ დიალექტებით) მაგარი შიშინა აფრიკატებისა და შაშინა სპირანტების საკითხში საესებით ემთხვევა აფხაზური ენა. აფხაზურს გააჩნია რბილი სპირანტების შ-ფ-ს პარალელურად მაგარი ფგ-შგ. მაგალითად, ჳშგშგ (ლობე), აფგგგა ბარი, და ამდენადე რბილი ჟ-ჩ-ჭ-ს პარალელურად მაგარი ჯგ-ჩგ-ჭგ სიტყვებში: აჯგგშგ ჩიორი, აჩგჯ (ცხენი), აშგგშგ შეშა.

ამავე საკითხში (ორი რიგის შიშინა სპირანტებისა და აფრიკატების არსებობის საკითხში) ქვემო-ადილეურისა და აფხაზურის გვერდით დგას ყაბარდოული ენის ბასლენური დიალექტი. ბასლენურმა დიალექტმაც იცის რბილი და მაგარი შიშინა სპირანტები და გააჩნია რბილი და მაგარი აფრიკატებიც.

ამნაირად, აფხაზურ-უბიხურ-ადილეურ ენებსა და დიალექტებში ორი რიგის შიშინა სპირანტ-აფრიკატები იცის სამმა ერთეულმა: 1. ქვემო-ადილეურმა ენამ (აბძახურ-ბეედულურ-ქემგური დიალექტებით), 2. ყაბარდოული ენის ბასლენურმა დიალექტმა და 3. აფხაზურმა ენამ; მარტო ერთი რიგის სპირანტ-აფრიკატები კი იცის სამმა ერთეულმა: 1. ყაბარდოულმა ენამ, 2. უბიხურმა ენამ და 3. ქვემო-ადილეური ენის შაფსულურმა დიალექტმა.

ჩვენი მიზანია აქ, შესაძლებლობის ფარგლებში, შევეხოთ ქვემო-ადილეური ენის ორავე რიგის შიშინა აფრიკატების წარმოშობის საკითხს.

გ. ახვლედიანი ქართული აფრიკატების წარმოშობის შესახებ წერს: „ისტორიულად დადასტურებულია წარმოშობის სირთულით მხოლოდ ც და ჩ; დანარჩენები ნაწილობრივ მიღებულად ჩანან აფრიკატიზაციის საფუძველზე, ხოლო ნაწილობრივ ქართულში იმთავითვე არსებულად. თავისთავად ცხადია, რომ ც და ჩ აგრეთვე შეიძლება ნაწილობრივ ისტორიულად წარმოქმნილიყო, როგორც შერწყმის. ისე აფრიკატიზაციის საფუძველზე, და ზოგიც პირვანდელი იყოს ქართულში“ (იხ. „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, 1938 წ., გვ. 129).

ამნაირად, გ. ახვლედიანი ქართული აფრიკატების წარმოშობის სამ შესაძლებლობას აღნიშნავს: I. ბგერათა შერწყმით მიღებულები, II. აფრიკატიზაციით მიღებულები და III. იმთავითვე არსებულები.

ქვემო-ადილეური აფრიკატების წარმოშობის შესახებაც ისეთივე ვარაუდია წასლოდნელი. მაგრამ აქ შეიძლება ერთგვარ სხვაობასაც, საკმაოდ საგრძნობს, ქონდეს ადგილი:

I. შერწყმით მიღებული აფრიკატის მაგალითი ქვემო-ადილეურში გვაქვს აათო-ოროლა შემთხვევაში, ესაა ჩ აფრიკატი, ქართულის მსგავსად.

II. აფრიკატიზაციით მიღებული შიშინა აფრიკატები ქვემო-ადილეურში ასობრივი მოვლენაა.

III. სადაეოა მხოლოდ პირვანდელი, იმთავითვე არსებული აფრიკატების არსებობა. აქ რისამე გადაქრით თქმა ძნელიცაა და სახიფათოც. გვგონია კი, რომ ადილეურ ენებში შიშინა აფრიკატები პირვანდელი არ ენდა იყოს. ორივე რიგის აფრიკატები ადილეურში უნდა იყოს მიღებული არალაბიალიზებული ხშულ-მსკდომის გ-ქ-კ-სა და ღ-თ-ტ-ს აფრიკატიზაციით.

ამას გვაფიქრებინებს შემდეგი:

I. ქვემო-ადილეური შიშინა აფრიკატების შესატყვისად დიალექტებსა და მონათესავე ენებში არსებობს, როგორც გარკვეული სისტემა, ჯერ კიდევ გაუაფრიკატებელი ხშულ-მსკდომი ბგერები;

II. თვით ერთსა და იმავე ენობრივ ერთეულში (დიალექტში) გვხვდება ერთსა და იმავე ძირში, გააფრიკატებულის პარალელურად, ხშულ-მსკდომიც;

III. ქვემო-ადილეურის ორივე რიგის აფრიკატები გვხვდება მხოლოდ არალაბიალური რიგისა, მაშინ როდესაც სხვა თანხმონებისათვის დამახასიათებელია არალაბიალურთა გვერდით, ლაბიალიზებულიც.

ჩვენ ზემოთ საექვოდ ჩავთვალეთ ადილეურ ენებში შიშინა აფრიკატების პირვანდლობა (იმთავითვე არსებობა). მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვიხმართ ტერმინს „პირვანდელი აფრიკატი“. ვიგულისხმებთ ამაში ისეთ აფრიკატებს, რომელნიც ორსავე ადილეურ ენაში და მათს დიალექტებში წარმოდგენილია შესატყვისად აფრიკატებით ან შიშინა სპირანტებით. ვფიქრობთ, რომ ასეთი აფრიკატებიც მიღებულია ხშულ-მსკდომის აფრიკატიზაციით. ოღონდ შორეულ წარსულში, უთუოდ ადილეურის ფუძე-ენაში.

რბილი შიშინა აფრიკატები ქვემო-ადილეურში წარმოშობის არქაულობის მიხედვით დაიყოფა ორ ჯგუფად:

I. ახალი წარმოშობისა გ-ქ-კ-ს აფრიკატიზაციით და II. ძველი წარმოშობისა.

მაგარი შიშინა აფრიკატები კი ყველანი უძველესი წარმოშობისაა. როგორც რამდენიმე მაგალითიდან ჩანს, ასეთი აფრიკატები უნდა იყოს მიღებული წინაენისმიერი ღ-თ-ტ-სა და უკანაენისმიერი ჩ-ქ-კ-საგან.

ახალი წარმოშობის რბილი აფრიკატები ქვემო-ადილეურისა გამოიცნობა წაფსულური დიალექტისა და ყაბარდოული ენის ფაქტებთან შედარების ნიადაგზე. სახელდობრ: ქვემო-ადილეურის აბძახურს, ბყედულურსა და კემგულურ

დიალექტებში ხშულ-მსკდომის (გ-ქ-კ-ს) აფრიკატიზაციით მიღებულ ბგერებს შეაფასურებში შეესატყვისება იგივე ხშულ-მსკდომი გ-ქ-კ-ს, ხოლო ყაბარდოულში — ძირითადად იგივე ჯგ-ჩ-ჭ აფრიკატები, პარალელურად გ-ქ-კ-ს.

შენიშვნა: ყაბარდოულ ენაში არა გვაქვს პირველადი შიშინა აფრიკატები ჯგ-ჩ-ჭ. ჯგ-ჩ-ჭ აფრიკატები სულ ახლო ხანში განუვითარდა ყაბარდოულს გ-ქ-კ-ს აფრიკატიზაციით. როგორც დიდს ყაბარდოში, ისე მცირე ყაბარდოსა და ჩერქეზთა ავტონომიური ოლქის ჩერქეზების მეტყველებაში ჯერ კიდევ ჯგ-ჩ-ჭ-ს პარალელურად ისმის მათი წინა სახე გ-ქ-კ-ს. გიულდენშტედტიცა და კლაპროთის ჩანაწერებში ყველგან მოცემულია გ-ქ-კ გაუაფრიკატებელი სახით. ეს აიხსნება უთუოდ იმით, რომ იმ ხანებში ან სრულებით არ იყო დაწყებული აფრიკატიზაციის პროცესი, ანდა ეს პროცესი მეტად შეუმჩნეველად მიმდინარეობდა. უფრო მეტიც: ლოპატინსკის დროსაც შედარებით მკრთალი სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი გ-ქ-კ ხშულ-მსკდომების აფრიკატიზაცია. ლოპატინსკისაც ყველგან წარმოდგენილი აქვს გ-ქ-კ.

რაც შეეხება ლულიეს, ქვემო-ადიღურის მიმართ მასაც ყველა შემთხვევაში ფიქსირებული აქვს გ-ქ-კ გაუაფრიკატებელი სახით. ეს აიხსნება იმით, რომ ლულიეს მასალები ემყარება ნათხვავაჯურ თქმას, რომელიც შედის შეფსულურ დიალექტში. უკანასკნელს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამადაც შერჩენილი აქვს ხშულ-მსკდომი გ-ქ-კ-ს გაუაფრიკატებელი სახით.

გადავიდეთ ცალკეული შიშინა აფრიკატის განხილვაზე.

აფრიკატები ჯგ-ჟ

ჯ რ ბ ი ლ ი

ა) პირველადი

პირველადი რბილი ჯ გვხვდება სიტყვებში:

ქვემო-ად. კიაჯჯან-სოფელი, შაფს. დიალ. კიაჯჯან, ყაბარ. ყიაჟან

ქვემო-ად. ნებჯჯან || ნებჟჟან || ასაკი, შაფს. დიალ. ნებჟჟან

ქვემო-ად. ბაჯჯან-შელა, ტურა, შაფს. დიალ. ბაჯჯან, ყაბარდ. ბაჟან, აფხაზ.

ზბგა-შგელი, უბიხ. ბაჯჯან-ტურა, ბაჯჯან-შელა (fuchs), აბაზ. ბაგა || ა-ბაგა და სხვა.

ქვემო-ადიღურის ასეთ ჯგ-ს ყაბარდოულში შეესატყვისება უ სპირანტი.

უკანასკნელი მავალითიდან (ბაჯჯან-შელა) ირკვევა, რომ ქვემო-ადიღური ჯ და ყაბარდოული უ არ არის ამ ენებში პირველადი მოვლენა. აფხაზურ ზბგა-ა-ბაგა და უბიხურ ბაგა-ში შენახულია ჯგ-ჟ-ს წინა სახე -- ხშულ-მსკდომი გ. ამ შემთხვევაში ადიღურ ენებში ხშულ-მსკდომი გ გადასულა ჯგ-ჟ აფრიკატ-სპირანტში, მსგავსად რომანული ენებისა. შეადარ. ლათინური გ ფრანგულში უ-სა და იტალიურში ჯგ-ს.

ბ) ჯ ნ ასესხებ სიტყვებში

ძველთაგანვე ნასესხებ სიტყვებში ჯ აფრიკატი ქვემო-ადიღურში რჩება ჯგ-დევ, ხოლო ყაბარდოულში სუბსტიტუციის კანონით გადადის უ-ში. ასე რომ, აქაც კანონიერი შესატყვისობა დგება ქვემო-ადიღურსა და ყაბარდოულს შორის: ჯგ-ჟ.

მაგალითები:

ქვემო-ადილეური ჯორ ჯვარი, ყაბარდ. ჟორ (ქართული ჯვარი).

ქვემო-ად. ჯუაფ ავასუხი, ყაბარდ. ჟუაფ (არაბული).

ქვემო-ად. ჯან ეშმაკი, ყაბარდ. უან (არაბული).

ქვემო-ად. ჯანთ დამოთხე, ყაბარდ. უანთ (არაბული).

ქვემო-ად. ჯიბ ჯიბე, ყაბარდ. ჟიფ (სპარსული) და სხვა.

სხვა ენიდან უნდა იყოს ნასესხები ადილეურ ენებში მარჯვ (ყაბარდ. მარ-
ეწ)—დახმარების გაწევის შეძახილი.

აფხაზურშიც ეგევე სიტყვა ამავე მნიშვნელობითაა.

გ) ჯ აფრიკატიზაციით მიღებული

დიდი რაოდენობა რბილი ჯ აფრიკატისა ქვემო-ადილეურში გვხვდება გ
ხშულ-მსკდომის აფრიკატიზაციით მიღებული.

მაგალითები:

ქვემო-ად. ჯან ჩალათი, შატს. დიალ. გაან, ყაბარდ. ჯანნ || გაანნ.

ქვემო-ად. ჯაგი ცეკვა, ქორწილი, შატს. დიალ. გაგი, ყაბარდ. ჯაგი || გაგი.

ქვემო-ად. ჯაჯი წითხულობს, შატს. დიალ. ჯაჯი, ყაბარდ. ჯაჯი || ჯაჯი.

ქვემო-ად. ჯაჯი ობობა, შატს. დიალ. ჯაჯი, ყაბარდ. ჯაჯი || ჯაჯი, აბაზ. ჯაჯი.

შენიშვნა: ქვემო-ადილეური ჯაჯი (შატს. დიალ. ჯაჯი) არის უთუოდ
კომპოზიტური წარმოება. შედგება ორი ფუძისაგან: ჯა+ჯი, სადაც პირველი
ფუძე ჯა აღნიშნავს ბევრს, მრავალს, ხოლო მეორე ჯი || ჯი — კულს, ბოლოს,
წვერს. ე. ი. ჯაჯი || ჯაჯი იქნება „მრავალი კული“, „მრავალკული“. ჯაჯი || ჯაჯი ყა-
ბარდოულში გვხვდება საწინააღმდეგო რიგითაც: ჯა+ჯა, ე. ი. „კულმრავალი“,
კომპოზიტში ჯაჯაჯი, ნიშნავს ობობას ქსელს. სადაც ჯა || ჯა კულია, ჯა—მრავა-
ლი, ხოლო ჯა — ბადე. ე. ი. ჯაჯაჯი იქნება კული+მრავალი+ბადე, „კულმრავალას
ბადე“. ჯაჯაჯი-ის პარალელურად ყაბარდოულში არის ჯაჯაჯი ფორმაც, ე. ი.
„მრავალკული ბადე“.

აქვე შეიძლება შევეხოთ ჯაჯი მელა სიტყვის ეტიმოლოგიასაც. ჩვენი აზ-
რით, ჯაჯი მელა იმავე წარმოშობისაა, რაც ჯაჯი || ჯაჯი ობობა. ჯაჯი უნდა
იწლებოდეს ასე: ჯა თანამედროვე ადილეურ ენებში ნიშნავს „მრავალს“,
„ბევრს“, მაგრამ დასაშვებია, შორეულ წარსულში „დიდის“ შინაარსის მატა-
რებელიც ყოფილიყო, ხოლო ჯა || ჯა აღნიშნავს „კულს“. ე. ი. ჯაჯი (მელა) იქნება
დიდი+კული, დიდიკული, ხოლო ჯაჯი || ჯაჯი (ობობა) მრავალკულია.
სემანტიკური თვალსაზრისით ეს საესებით დასაშვებია, ოღონდ აქ შეიძლება
ეკვის შეტანა იმაში, რომ ქვემო-ადილეურ ჯაჯი (მელას) და ჯაჯი (ობობას) ჯ
აფრიკატს ყაბარდოულში განსხვავებული შესატყვისობა გააჩნია. პირველი სი-
ტყვის ჯ აფრიკატს ყაბარდოულში შესატყვისება უ სპირანტი—ჯაჯი (მელა),
ხოლო მეორე სიტყვის ჯ-ს შესატყვისია იგივე ჯ აფრიკატი—ჯაჯი (ობობა).
ამის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: ჯაჯი (მელა) კომპოზიტის გ ელემენტ-
ში გ ხშულ-მსკდომი უნდა იყოს გააფრიკატებული და გასპირანტებული ადი-
ლეურ ენებში უთუოდ შორეულ წარსულში, ხოლო იმავე გ ელემენტის გ ხშულ-
მსკდომი სიტყვაში ჯაჯი (ობობა) ახლო ხანებშია გააფრიკატებული.

რომ მართლაც დასაშვებია ასეთი ვარაუდი, ამას მოწმობს მეორე ანალოგიური შემთხვევა: ქვემო-ადილეური ფაქს ნიშნავს „უ ლ ე ა შ ს“. იშლება ასე: ფაქს—ცხვირი; და ქს—წვერი, კუდი, ბოლო, ე. ი. ც ხ ვ ი რ ი ს წ ვ ე რ ი, ც ხ ვ ი რ ი ს კ უ დ ი.

მეორე სახელი ფაქს¹ (შაფს. დიალ. ფაკს) ნიშნავს „წვერს“. იშლება ასე: ფაქს იბირი და ქს (კს) კუდი, ბოლო, ე. ი. პირის კუდი. ორსავე სახელში არის ერთი და იგივე ელემენტი ქს || კს, ოღონდ ფაქს || ფაკს (ულვაში) სიტყვის კს ფუძეში კს ხშულ-მსკდომი უნდა იყოს ძველიდანვე გაათრიაკატებული და გასპირანტებული ადილეურ ენებში. ყაბარდოულში ქვემო-ადილეური ქს შესატყვისია ჭ ყელხშული სპირანტი (ფაქს ულვაში); ხოლო ფაკს || ფაქს (წვერი) სიტყვის კს ელემენტში ხშულ-მსკდომი კს ახლახან არის გაათრიაკატებული. ყაბარდოულშიც ამ სიტყვაში იგივე ბგერებია წარმოდგენილი, რაც ქვემო-ადილეურში (ფაქს || ფაკს).

ამნაირად, როგორც ვხედავთ, შეუძლებელი არ ყოფილა ადილეურ ენათა კომპოზიტებში ერთი და იმავე ფუძის ბგერა შეიცვალოს სხვადასხვა ეპოქაში და ისიც სხვადასხვაგვარად.

აქედან შეიძლება ქართული მგელი (მგ...ძირით), მეგრ. ნგერი || გერი, აფხ. ა-ზგა, აბაზ. ბაგა || ა-ზაგა, უბიხ. ბაგა || ბაჯა, ქვემო-ად. ბაჯან, ყაბარდ. ბაჟან ერთი წარმოშობისა იყოს: დაშლით დიდ+კუდა.

მაგარი აფრიაკატი ჯგ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაგარი ჯგ ქვემო-ადილეურში გვხვდება ძალზე იშვიათად: ლაქაანჯგ მუხლი და აბანჯგ იხეტიალე.

ორსავე მაგალითში ჯგ-ს წინასახე ჩვენთვის გაურკვეველია.

ქვემო-ად. ლაქაანჯგ (მუხლი), შაფს. დიალ. ლაქაანჯგ, ყაბარდ. ლაგაანჯგ უთუოდ იშლება ასე: ლაქა || ლაგა ტერფო და ჩვენთვის გაურკვეველი: ჯგან || ჯან. ასევე გაურკვეველია აბანჯგ სიტყვაში ჯგ ელემენტის, როგორც ფუნქცია, ისე წინასახე.

აფრიაკატები ჩ—ჩხ

ჩ რ ბ ი ლ ი ა ფ რ ი ა კ ა ტ ი

ა) პ ი რ ვ ე ლ ა დ ი

- პირველადი ჩ ქვემო-ადილეურში გვხვდება სიტყვებში:
- ქვემო-ად. ჩანჩქ ძროხა, შაფს. დიალ. ჩანჩქ, ყაბარდ. ჟან
- ქვემო-ად. ფჩანჩ თხა, შაფს. დიალ. ფჩანჩ, ყაბარდ. ბჟან
- ქვემო-ად. ჩგლან ძოფელი, შაფს. დიალ. ჩგლან, ყაბარდ. ფგლან
- ქვემო-ად. ჩგჟან შორი, შაფს. დიალ. ჩგჟან, ყაბარდ. ფგჟან

¹ ქვემო-ადილეური სიტყვების ფაკს და ფაქს-ს ეტიმოლოგია დაკავშირებით ადილეურიდან მეგრულში გადმოსული სიტყვისა ბჟაჟე (წვერი), ეკუთვნის ს. ჯანაშიას.

ქვემო-ად. ჩწჴ ლამე, შაფს. დიალ. ჩწჴ, ყაბარდ. ჟწშ და სხვა.

როგორც ვხედავთ, ქვემო-ადილეური რბილი ჩ-ს (ყრუს) შესატყვისად ყაბარდოულში არის მეღერი სპირანტი ფ.

ბ) ჩ მიღებული ქ ხშულ-მსკდომის აფრიკატიზაციით

ა) ადილეურ სიტყვებში:

ქვემო-ად. ჩჴ წნელი, შაფს. დიალ. ქჴ, ყაბარდ. ჩჴ || ქჴ.

ქვემო-ად. ჩწწჴ თიკანი, შაფს. დიალ. ქწწჴ, ყაბარდ. ჩწწ || ქწწ.

შენიშვნა: ქვემო-ადილეური სიტყვა ჩწწ || ქწწ განსაზღვრული ფორმით ჩწწრ || ქწწრ შესულია მეგრულში. შეად. მეგრული ქაცარ-ი (თიკანი). ამჟამად სიტყვიდანაა გვარებიც: მაქაცარია, ქაცარავა. ამ სიტყვას მეგრულში შეეძლო შესვლა როგორც ქვემო-ადილეურიდან, ისე ყაბარდოულიდანაც.

ქვემო-ად. მათჩქან || მათხქან ახველებს, შაფს. დიალ. მათხქან. ამჟამად, ქვემო-ადილეურში მათჩქან ფორმის პარალელურად შემონახულია მათხქან ფორმაც. ქვემო-ადილეურის ყველა დიალექტში, შაფსულურის გამოკლებით, როგორც ხემოთ აღვნიშნეთ, უკანანისმიერი ხშულ-მსკდომი გ-ქ-ჴ-ქ-გადასულია შესაბამის აფრიკატებში—ჯ-ჩ-ჭ. მათჩქან-ს პარალელურად არსებულ მათხქან ფორმაში ქ-ს დარჩენა გაუაფრიკატებლად, გამოწვეულია წინა თანხმოვნის გავლენით.

ბ) ნასესხებ სიტყვებში

ქვემო-ად. ჩგრწ -ქირა (სპარსული), შაფს. დიალ. ქჴგრწ, ყაბარდ. ჩგრწ||ქჴგრწ

ქვემო-ად. ჩწრწწ ალუბალი (თურქული), შაფს. დიალ. ქწრწწ.

ყაბარდოულში ეს სიტყვა არ გვხვდება. მის მაგიერ იხმარება ქართულიდან შესული „ბალი“.

ქვემო-ად. მანჩქმ, ექიმი (არაბული), შაფს. დიალ. მანჩქმ, ყაბარდ. მანჩქმ || მანქჴმ.

ქვემო-ად. სთჩჩწ -ქიქა (რუსულიდან), შაფს. სთჩქან, ყაბარდ. სთჩჩწ||სთჩქან.

ქვემო-ად. ჩწჩ მხიარული (არაბული), შაფს. დიალ. ქწჩ, ყაბ. ჩწჩ||ქწჩ და სხვა.

ბოლო ხანებში ნასესხებ სიტყვებში, განსაკუთრებით რუსულიდან შესულებში, ქ რჩება უცვლელად. მაგალითად, უქაჴ (укаж), ჴწქაჴ (закаж) და სხვ. ამნაირად, თანამედროვე ქვემო-ადილეური და ყაბარდოულიც ისევე ხელახლა იძენს სულ ამას წინათ დაკარგულ ხშულ-მსკდომ ქ თანხმოვანს.

ც) ე. წ. საერთო-კავკასიურ სიტყვებში

ქვემო-ად. ჩწთჴ ქათამი, შაფს. დიალ. ქწთჴ, ყაბარდ. ჴწლ || გწლ.

ქვემო-ად. ჩწთჴჴ ქატა, შაფს. დიალ. ქწთჴჴ, ყაბარდ. ჴწლგჴ || გწლგჴ.

როგორც ვხედავთ, ჩ აფრიკატი ორსავე მაგალითში მიღებულია ქ ხშულ-მსკდომის აფრიკატიზაციით.

ეგების, საერთო-კავკასიური სიტყვა იყოს ქვემო-ადილეური ჩწწ—მქრელი, დანა. ყაბარდოულად ჟწწ. შეიძლებოდა ეს სიტყვა ჩაგვეთვალა წმინდა ადი-

ღეურად, რამდენადაც აქ არის ადიღეური ენებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერი ბგერითი შესატყვისობა: ქვემო-ად. ჩან—ყაბარდ. უან, ჩ-ჟ, ოლონდ ქართულ-სომხური დანა || დანაკ-თან სემანტიკურ-ფონეტიკური სიხსლოვის გამო გამოვეყვით თითქოს საერთო-კავკასიურ მონაცემად.

d) ჩ, მიღებული ბგერათა შერწყმით

შერწყმით მიღებული რბილი ჩ-ს მაგალითი გვაქვს მხოლოდ შაფსულურ დიალექტში, ისიც ნასესხებ სიტყვაში—ფაჩანჰე (სპარსული ფად-შაჰ). თ და შ-ს შეერთება აქ იძლევა ჩ-ს. ამძახურ-ბჟედულურ-ქემგვიურ დიალექტებში ამავე თ და შ-საგან მიღებულია მაგარი ჩხ—ფაჩანჰე.

ყაბარდოულში სპარსული ფად-შაჰ წარმოდგენილია მეტაფიზისით—ფაშანჰე, რადგანაც ყაბარდოულმა არ იცის თშ კომპლექსი, და მათი შერწყმით კი ჩ აფრიკატის მიღება შეუძლებელი იყო შიშინა აფრიკატის საერთოდ უქონლობის გამო.

მაგარი აფრიკატი ჩხ

მაგარი ჩხ ქვემო-ადიღეურში გვხვდება საკმაოდ ხშირად.

ქვემო-ად. ჩხჯან დამინება, შაფს. დიალ. ჩჯან, ყაბარდ. ჟჯინ.

ქვემო-ად. შაჩან მირბის, შაფს. დიალ. შაჩან, ყაბარდ. შაჟან.

ქვემო-ად. ფჩან კარი, შაფს. დიალ. ფჩან, ყაბარდ. ბჟა (შეად. ქვემო-ად.

ფჩან || ფჩან ქართულ ბჟე-ს).

ქვემო-ად. ჩხჯაჯ, ზე, შაფს. დიალ. ჩჯაჯ, ყაბარდ. ჟჯა და სხვა.

როგორც ჩანს, ქვემო-ადიღეურ მაგარ ჩხ-ს ყაბარდოულში შეესატყვისება იგივე ჟ სპირანტი, რომელიც იმავე დროს რბილი ჩ-ს შესატყვისიცაა.

ჩხ მაგარი აფრიკატის წინასახე უნდა ყოფილიყო ხშულ-მსკდომი თ-ღ. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი:

ქვემო-ადიღეური შაჩან მირბის სიტყვაში ძირია ჩან, შა -პირის ნიშანი; ამავე ძირით (ჩან) ნაწარმოებია ლაჩან სიტყვა, ნიშნავს „მისდევს უკან“ სადაც ჩან „რბენას“ გამოხატავს, ხოლო ლაჩან—„ფეხს“, ე. ი. ლაჩან იქნება „ფეხს უკან რბენა“, „გამოკიდება“. ლაჩან-ს პარალელურად იხმარება ლა-ღა, ირიბი ობიექტის პრეფიქსით ან-ლაღა ნიშნავს „შეირბენს“. იხმარება აგრეთვე მეორე პარალელური ფორმა ლაჩან—ნიშნავს „ბტის“, „დახტის“.

ამნაირად, ჩან, ღა, თჯ აქ ერთი და იგივე ძირი უნდა იყოს, რბენის შინაარსის მატარებელი.

ლა-ღა || ლაჩან შეიძლება დაეუყავშიროთ ყაბარდოული ლაჩან ფრინავს. ლაჩან „ფეხი“ და თან-„ირბინე“].

ჩხ მაგარი ნ ინფიქსითურთ, ქვემო-ადიღეურ სახელებში გვხვდება უქონლობის, არქონების—სუფიქსად--ჩხ(ან). ასეთ შემთხვევაში ყაბარდოულში ჩხ-ს შეესატყვისება მისი კანონზომიერი ყრუ შიშინა სპირანტი შ.

მაგალითები:

ქვემო-ადიღეური შჯე „ცხენი“, შჯე-ჩჩე „უცხენო“, ყაბარდ. შჯე-ნშან.

ქვემო-ად. ქაძცგ ბორბალი, ქაძცგ-ნჩს უბორბლო, ყაბარდ. ვაძძგ-ნშშ.

ქვემო-ად. აკვლ ქკუა, ქკვიანი, აკვლგ-ნჩს უქკუო, ყაბარდ. ჰაყვლგ-ნშშ. და სხვა.

-და- სუფიქსის სახით იგი დაცულია აფხაზურში: შდრ. ნაპჯ-და უბელო.

შენიშვნა: ნ ინფიქსი არ ახლავს უქონლობის -ჩს(წ) სუფიქსს სიტყვაში ლ'ანჩან დაბალი. საყურადღებოა ამ სიტყვის ეტიმოლოგია: აქ -ჩან უქონლობის სუფიქსია, ფუძედ კი აღებულია ლ'აღ(წ) — მაღალი. ფუძისეული ლ დაყრუვა -ჩს სუფიქსმა, ლ'აღ+ჩან — ლ'ან+ჩან, ე. ი. ლ'ანჩან იქნება არა-მაღალი (დაბალი).

თვით სიტყვა ლ'აღ, ჩვენი აზრით, იშლება ასე: ლ'ან ფეხი და ლ'ან უნდა იყოს სიმაღლის შინაარსის გადმომცემი. ამას მხარს უჭერს მეორე სახელის დაშლა: ქვემო-ადილეური ფაღან ნიშნავს 'ამაყს', 'ზვიადს', 'ამპარტავანს'. იშლება ასე: ფან ('ცხვირი' ლან — სიმაღლის, აწეულობის შინაარსის გადმომცემი. ფაღან სიტყვა-სიტყვით იქნება: ცხვირაწეული, ცხვირმაღალი (შდრ. ქართული ქედ-მაღალი).

შესაძლებელია ადილეურ ლან-ს უკავშირდებოდეს ქართული აღ წინდებული-არქონების სუფიქსის —ჩს(წ)-ს —პარალელურად ქვემო-ადილეურის რამდენსავე სიტყვაში გაქვეავებული სახით გვხვდება ამავე უქონლობის ფუნქციით ჯ-ჯან სუფიქსი, შაფს. დიალ. გ-გან. მაგალითად. ქვემო-ადილეური ლ'არგ-შაფჯ 'სუსტი, არაძლიერი', ნაწარმოებია ლ'არგჰს 'ძლიერი' პლუს არქონების სუფიქსი ჯ(წ), ე. ი. ლ'არგჰაფჯ სიტყვა-სიტყვით იქნება 'არაძლიერი', 'ძლიერების უქონელი'.

ქვემო-ად. ბჰაჯან, შაფს. დიალექტში ბჰაჯან, ყაბარდოული ბჰაჯან || ბჰა-ჯან, უბიხური ბჰაჯა ნიშნავს 'ბოროტს', 'საშინელს', 'ცუდი ენის პატრონს'. შიზეიანს და სხვა. უნდა იშლებოდეს ასე: ბჰან -ენა და -ჯან||-ჯან — უქონლობის სუფიქსი.

ქვემო-ად. თანფლ'აჯ, შაფს. დიალექტით თანფლ'აჯ, ნიშნავს ცუდ შესახედავს (неодобрание). თანფლ'ან ნიშნავს 'სახეს, შეხედულებას, ხოლო ჯ უნდა იყოს უქონლობის სუფიქსი, ე. ი. უსახო, ცუდი სახის მქონე.

ჩვენი აზრით, ქვემო-ადილეურის უქონლობის სუფიქსი ჯან || ჯან (გაქვეავებული სახისა) უთუოდ უკავშირდება უბიხურ გა სიტყვას, რომელიც ნიშნავს დანაკლისს, ნაკლოვანებას, უქონლობას (მეშაროში გა-ს თარგმნის Mangel, Fehler. იხ. მისი ნაშრომი, გვ. 336).

რბილი აფრიკატი ჰ

ა) პირველადი

პირველადი რბილი ჰ ყაბარდოულთან შესატყვისობის მიხედვით ყველა ერთი ტიპისაა; სახელდობრ: ქვემო-ადილეური პირველადი ჰ-ს შესატყვისი ყაბარდოულში არის ყელზნული სპირანტი ჰ.

მაგალითები:

ქვემო-ად. ჰალნ უმანვილი, შაფს. დიალ. ჰალნ, ყაბარდ. ჰალნ.

ქვემო-ად. შაჰჰნ სტუმარი, შაფს. დიალ. შაჰჰნ, ყაბარდ. შაჰჰნ.

ქვემო-ად. შაჰჰნ მცირე, შაფს. დიალ. შაჰჰნ, ყაბარდ. შაჰჰნ.

ქვემო-ად. უჰჰჰნ ქრა, მკა, შაფს. დიალ. უჰჰჰნ, ყაბარდ. უჰჰჰნ.

ქვემო-ად. ჰანს საყვარელი, შეყვარებული, შაფს. დიალ. ჰანს, ყაბარდ. ჰანს.

ქვემო-ად. ჰანჰ გარდაცვლილის ქონება, მემკვიდრეობა, შაფს. დიალ. ჰანჰ, ყაბარდ. ჰანჰ.

В VII веке н. э. абхазская речь непосредственного контакта с грузинской речью не имела: занская речь (мегрельская, чанская) разделяла их. Но опосредствование заимствования таким путем, как выше указано, приходится исключить; следовательно, преверб мог проникнуть в грузинский язык лишь в процессе непосредственного общения абхазских племен с грузинскими племенами с родной грузинской речью значительно раньше VI века н. эры. Такой же давности заимствование суффикса -ᄁ- -ᄃ- абхазским языком из морфологического фонда картвельских языков, как то видно из истории значения суффиксов, исторически связанных с суф. -ᄁ- -ᄃ- .

Дело историков решить, где это имело место, но что это имело место, тому порукой языковой факт, „древний и правдивый свидетель истории“.

Аналогичные вопросы, хоть и менее сложные, встают в связи с некоторыми заимствованиями в чанской речи.

Ряд превербов налицо и в мегрельском и в чанском диалектах, некоторые (напр. -ᄃ- -ᄃ-) попадают в мегрельской речи, но отсутствуют в чанском диалекте, это легко поддается объяснению: многовековой контакт мегрельской речи с абхазской, при отсутствии аналогичных связей с чанской речью, повидимому, делает это заимствование понятным.

Но как быть с теми случаями, когда абхазский преверб налицо лишь в чанском диалекте — -ᄃ(ᄃ)- -ᄃ(ᄃ)- ? Чанское заимствование тут видимо, протекало самостоятельно, в непосредственном общении с абхазской лингвистической средой.

Мы не задаемся целью решить, где и как это происходило: не такому предварительному сообщению, решать сложные вопросы исторической географии и этнографии.

Цель нашего сообщения значительно скромнее: суммируя критически проверенные результаты наблюдений других авторов, а отчасти и собственных разысканий, фиксировать внимание специалистов и картвельских языков, и абхазского языка на проблеме сложного исторического взаимоотношения языков братских народов,—абхазского и грузинского,—проблеме достаточно актуальной, как с лингвистической, так исторической точек зрения для того, чтобы она могла стать предметом монографического исследования.

აბხ. ჩემობაჲა

ჰორმოლოგიური შემხედრები აფხაზურისა ქართველურ ენებთან

(ჩემობაჲა)

1. ქართველურ ენათაგან ზანურს (ქანურსა და მეგრულ დიალექტებს) ახასიათებს პრევერბთა განსაკუთრებული სიუბე და თანდებულიან ბრუნვათა შედარებითი სიმცირე (შდრ. მეგრ. ოთახუს მი-ლა-ხე და ქართ. ოთახ-ში ზის; მეგრ. წყარს დი-ნო-ხე—ქართ. წყალში ზის...).

2. პრევერბები და თანდებულები ერთი და იმავე წარმოშობისაა; ამდენადვე თანდებულების უქონლობა სახელებთან შეიძლება აგვინაზღაუროს პრევერბებმა ზმნაში.

შემთხვევითი როდია. რომ ზოგ კავკასიურ ენაში (მაგალ., ხუნძურში, ლაქურში...). თანდებულიანი ბრუნვები მრავლად გვაქვს, ზმნას კი პრევერბები სულ არ გააჩნია; სხვა ენებში (მაგალ., აფხაზურში) სახელებთან თანდებულები იშვიათად მოგვეპოვება, ზმნაში კი ფართოდაა წარმოდგენილი პრევერბები.

3. შედგენილობის მიხედვით პრევერბი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. რთულ ქართულ პრევერბებში მეორე შემადგენელ ელემენტად, როგორც ცნობილია, გვაქვს მო- (სპორადულად: და-); ა-ვიდა, გა-ვიდა, შე-ვიდა, წა-ვიდა, ჩა-ვიდა... ა-მო-ვიდა, გა-მო-ვიდა, შე-მო-ვიდა, წა-მო-ვიდა, ჩა-მო-ვიდა. (გა-და-ვიდა), გა-დ-მო-ვიდა...

მეგრულსა და ქანურში კი რთულ პრევერბთა მეორე შემადგენელ ელემენტად გვევლინება: -და-, -შა-, -წა-, -ლა-, -ნა-, -თა-, -კა-.

4. ამ რთული პრევერბების -წა-, -თა-, -ლა-, -კა- (რთული კვ-ლა-) წარმოდგენილია აფხაზურ ზმნაში; ზოგ მათგანს (მაგ., -წა-ს) აფხაზურშივე მოეპოვება ეტიმოლოგიური ახსნაც.

ხსენებულ ნაწილაკთა მნიშვნელობა მეგრულსა და ქანურში—აფხაზურში ამავე ნაწილაკთა მნიშვნელობასთან შედარებით -ზოგჯერ ერთგვარ სხეობა-

საც იძლევა, მაგრამ ეს გამოწვეულია ამ ნაწილაკების გამოყენებით რთულ პრევერბებში და, მაშასადამე,—პრევერბის პირველი შემადგენელი ნაწილით.

5. ნაწილაკები -თა-, -ლა-, -კა-, -კვ-ლა- ქართულ პრევერბებში არა ჩანს; -თა- ნაწილაკი ჭანურშიც არაა, იგი მხოლოდ მეგრულში დასტურდება.

რაც შეეხება წა-ს, იგი ქართულშიც გვაქვს უძველესი ქართული ძეგლებიდან მოყოლებული; მაგრამ ქართული ენის ძირითად ფენას იგი არ უნდა ეკუთვნოდეს: ამას გვაფიქრებინებს მისი გამოყენების დამახასიათებელი ზოგი გარემოება, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ წა-ს ეტიმოლოგია აფხაზურშია მოცემული.

პრევერბები -წა-, -თა-, -ლა-; -კა-, კვ-ლა აფხაზურ ენობრივ წრეს განეკუთვნება.

აფხაზურშივე ეძლევა ახსნა მე- პრევერბის მონაცვლე -ნ- (-ნა-) პრევერბს ჭანურში.

6. მორფოლოგიური შეხვედრები აფხაზურისა ქართველურ ენებთან პრევერბებით არ ამოიწურება. ასე, მაგალ., -ჯს აფიქსი აფხაზურის სახელებში უკავშირდება ანალოგიურ აფიქსს (იხ. მეგრ. -ას ზმნისართად გაყოფნებულ ზედსართავეებში: მალ-ას „მალე“, „მალი-ად“, მანგარ-ას „მაგარად“ და სხვ.).

-ჯს სუფიქსი ქართველური ენებიდან შეთვისებული -ას სუფიქსია.

7. ზემოხსენებული მორფოლოგიური შეხვედრები შესაძლებელი იყო მხოლოდ მკიდრო და ხანგრძლივი კონტაქტის პირობებში, რამაც ზმნური და სახელისეული საწარმოებელი ელემენტების შეთვისება მოგვცა.

რამდენადაც ამ ელემენტთა შორის წარ- პრევერბი ჯერ კიდევ ძველ ქართულში გვაქვს, აუცილებელია ვივარაუდოთ ხსენებული კონტაქტი შორეულ წარსულში, ყოველ შემთხვევაში VI საუკუნეზე ადრე (ჩვ. წელთაღრიცხვ.).

3. თოჯინა

ჩაიბიკული კლასები და მათი მსკონენტები ლაკურ ენაში

1. ლაკური ენა სახელთა განაწილებას რეალურ სქესებად და გრამატიკულ კლასებად ახერხებს სულ ოთხი საშუალებით; ესენია: 1. ბუნებრივი სქესის გასარჩევი სიტყვის ხმარება, 2. ფორმაცვალებადი მასუბსტანტიული სუფიქსის დართვა, 3. ბრუნვის დაბოლოების შეცვლა და 4. კლასთა უწყების გამოყენება.

პირველ საშუალებას მრავალი ენა მიმართავს; მათ შორის ისეთებიც. —მელთათვისაც სრულებით უცნობია გრამატიკული სქესის კატეგორია. ასეთია მანდაც ქართველური ენები, სადაც მამრობითი და მდედრობითი სქესის რჩებათა გასარჩევად ან სხვადასხვა სახელია ნახმარი, ან სახელს დაერთვის *-ძე* და *ასული* (ანუ დასავლურ დიალექტებში *-ფხე* და მეგრულში *-ხე*), *ქალი* და *კაცი*, *მამალი* და *დედალი*, *ძუ* და *ხვადი* და სხვა; მაგ., ერთმანეთს უბრუნობენ: ნეზვი და ტახი (ლორი), ნერბი და ვერძი (ცხვარი—საბაას ნიშით)... ჯიბლაძე და ჯიბლაიფხე (მეგრ. ჯიბლჲხე), ქვრივი ქალი და ქვრივი ვიცი, ძუ ლომი, ხვადი კატა..., მეგრულში: ქომოლსქუა 'ვაჟიშვილი' და ოსურსქუა 'ქალიშვილი', მუმული ჯოლორი 'მამალი ძალი' და დადული ჯოლორი, ანუ ვუა ჯოლორი, ხოლო ჭანურში: ზურა ლაკი 'დედალი ძალი, ძუენა...'¹

ამ მხრივ სრულს ანალოგიას იძლევა ლაკური. აქაც ერთმანეთს მოპირისპირედ გამოდის ან ცალ-ცალკე სახელები, როგორც, მაგ., *წუქუ* 'დედალი თხა' და *კეცა* 'მამალი თხა, ბოტი'... ან საერთო სახელს დაერთვის მსაზღვრელი სიტყვები—ცხოველები სათვის: ბურხანი (ბურხანისა) 'მამალი' და ცკუ (ცკუსა) 'დედალი', ხოლო ადამიანისათვის: *ჩუ* 'კაცი'² და *შუარ* 'ქალი'; მაგ.: *თუქუ* 'ვირი'—*ბურხანი(სსა)* თთუქუ 'მამალი ვირი' და *ცკუ(სსა)* თთუქუ 'დედალი ვირი, კაცი'

ელწუნ 'ჯორი'—*ბურხანი(სსა)* ვილწუნ 'მამალი ჯორი' და *ცკუსა* ვილწუნ 'დედალი ჯორი, კაცი'

ქურქუჩუ 'ყოლაგაყრილი' და ქურქუშუარ 'ქმარგაყრილი'

ჰალმანჩუ 'ამხანაგი' (კაცი) და ჰალმანშუარ 'საყვარელი' (ქალი)...

* წავითხულია მოხსენებად კავკასიურ ენათა განყოფილების სსდომხე 1936 წლის ნოემბერში.

¹ ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) яз., გვ. 015—016, § 9; მ. მარი, Грамматика чанского (лакского) яз., გვ. 8, § 5, 6.

² ტრძელ ხმოვნებს წერილობით არ გამოხატავენ და ჩვენც გამოეტოვებთ მაგალითებში.

ჩუ და შუარ (შუარსსა) ხშირადაა გამოყენებული არსებითსა და ზედსართავ სახელებთან, განსაკუთრებით კი—მიმღებობთან. ზოგჯერ მიმღებობთან **ღუშ** ფოგო, ქალიშვილი:ც გეხვდება; მაგ.:

ქახხუჩუ მეზობელი კაცი და ქახხუშუარ მეზობელი ქალი
ვირიჩუ ამამაცი

კულჩუ მცოდნე (კაცი) და კულშუარ მცოდნე (ქალი), შდრ. კულღუნ
მცოდნე ქალიშვილი

იკააჩუ¹ მყოფი (კაცი) და იკააშუარ(სსა) მყოფი (ქალი) და სხვა მრავალი. ჩანს, ადამიანისა და ცხოველთა ბუნებრივს სქესობრივ დაყოფას ლაკური ენაც გამოხატავს სიტყვაწარმოების მეოხებით. ეს წმინდა სექსუალური კლასიფიკაცია სემასიოლოგიური ხასიათისაა და არა გრამატიკული სქესის თუ კლასის ბუნებისა. ამდენად აქ სპეციფიკური არაფერია.

მეორე საშუალებასაც ბევრი ენა იცნობს. იგი ემყარება სუფიქსების გამოყენებას. ლაკურში ესაა -შა და -მურ. ესენი დაერთვიან ზედსართავეებს, რიგითს რიცხვით სახელებს, კუთვნილებითს ნაცვალსახელებსა და მიმღებობებს. -შა სუფიქსიანი სახელი ან სუბსტანტივია ან ატრიბუტივი და ორსავე შემთხვევაში ეგუება მხოლოდ მამაკაცს—გონიერ არსებას; -მურ სუფიქსიანიც იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ უკავშირდება ნივთსა და მდებარებითი სქესის ადამიანს - ქალს—„არაგონიერ“ არსებას; მაგ.:

აბტრლმა მწითური (კაცი) და აბტრლმურ მწითური (გოგო, ქალი...)

ჭაჭიმა ყვითელი (კაცი) და ჭაჭიმურ ყვითელი (ქალი, ნივთი...)

ცალჩინმა პირველი (კაცი) და ცალჩინმურ პირველი (ქალი, ნივთი...)

ზუზიმა მუშა (კაცი) და ზუზიმურ მუშა (ქალი და სხვა)

შაშაშა მხარშავი (კაცი) და შაშაშმურ მხარშავი (ქალი და სხვა) და სხვა მრავალი. ეს ფორმები ნაწილობრივ მოგვაგონებს რუსულს *первыи* და *первая*, *первые*-ს, *второйи* და *второйа*, *второйе*-ს, და ხშირად დამოუკიდებელი არსებითი სახელის გარეშე. იხმარება... ეს კლასიფიკაცია მორფოლოგიური ნიშნების სხვაობას ემყარება და ამდენად გრამატიკული კლასის ბუნებისად უნდა ვცნოთ.

მესამე საშუალება, ირკვევა, სპეციფიკურია ლაკურისათვის. ამის მიზეზვითაც საგნები იყოფა ორ კლასად: ერთია -- „მამაკაცის“ -- გონიერთა კლასი და მეორეა -- „ქალისა“ და ნივთის -- „არაგონიერთა“ კლასი (ამ მხრივ სავსებით ეთხვევა მეორეს). ოღონდ სპეციფიკურობა მდგომარეობს გაფორმებაში: ბრუნვის დაბოლოების ცვლაში. ჩვენებითი ნაცვალსახელები და -შა სუფიქსიანები „მამაკაც“თან დაკავშირებით ნათესაობით ბრუნვაში გამოივლენენ --ალ ბოლოსართს. ხოლო იგივე ნაცვალსახელები და -მურ სუფიქსიანები „ქალისა“ და ნივთის სახელებთან დაკავშირებით --ილ სუფიქსს მხოლ. რიცხვში და --ულს--მრავლობითში. აღსანიშნავია, რომ მრავლობითში „ქალის“ კლასი გამოეყოფა ნივთისა და გაჰყვება „მამაკაცის“ კლასს. მაგ.:

¹ აა წარმოთქმის ეა-დ.

სახ.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი

ვა უს- ვანალ-ამის- (კაცისა) ვანილ-ამის- (ქალისა და სხ.)
 მუ ზე- (II პ. ახლოს) მუნალ-შავის- (კაცისა) მუნილ-შავის- (ქალისა და სხ.)
 თა ის- თანალ-იმის- (კაცისა) თანილ-იმის- (ქალისა და სხ.)
 ასევეა: კია ის- (ზევით რომ არის). გია ის- (ქვევით რომ არის); კიანალ
 ის- (კაცისა)—კიანილ-იმის- (ქალისა და სხ.)... ცუ ლთეთი: ცუალ ლთეთი- (კა-
 სისა)—ცუალ ლთეთი- (ქალისა და სხ.)...

აუღ. სახ.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი

ვა უსენი- ვადნალ-ამათი- (კაცთა, ქალთა) -ვადნულ-ამათი- (ნიეთთა)
 მუ ზენი- (II პ. ახლოს) მინალ-შავათი- (.. ..) -მინულ-შავათი- (..)
 თა ისინი- თადნალ-იმათი- (.. ..) -თადნულ-იმათი- (..)
 და სხე.

ამგვარადვე იცვლება -მა და -მურ სუფიქსიანი სახელები:
 ნა. ცალჩინმანალ-პირველისა- (კაცისა) და ცალჩინმუნილ-პირველისა- (ქალისა
 და სხ.)...

ამათ მისდევს ოდენობითი რიცხვითი სახელებიც; მაგ.: ხხრმა-ზუთი- (კაცი):
 ნა. ხხრმანალ-ზუთისა- (კაცისა) --ხხრმანილ-ზუთისა- (ქალისა, ნიეთისა)...

კლასთა სხვაობა აქაც მორფოლოგიური ნიშნებით გადმოიცემა და
 მუნალ-გრამატიკული კლასის ხასიათისაა.

მეოთხე საშუალება უფრო დამახასიათებელია ლაკურისა და მთის კავ-
 კასიურ ენათა მთელი რიგისათვის (ჩაჩურ-ინგუშურ-ბაცბურისა, ხუნძურისა,
 ჯარგულისა, არკიულისა და სხვათათვის). ჩვეულებრივად იგი გულისხმობს ორ
 და მეტ კლასებად დანაწილებას და თითოეული კლასისათვის საგანგებო მაჩვე-
 ნებლის თუ მაჩვენებლების (ექსპონენტების) გამოყენებას პრეფიქსისა. ინფიქსისა
 აუ სუფიქსის სახით. კლასიფიკაციის ამ სისტემას გარკვეული პრინციპი უდევს
 საფუძვლად.

2. ოთხივე ეს საშუალება აღნიშნული აქვს პ. უსლარს თავის „ლაკურ
 ენაში“¹. მეოთხე საშუალება კი საკმაოდ გულდასმით აქვს მას შესწავლილი
 და გარკვეულ დასკვნებსაც იძლევა: სახელდობრ: ლაკურში ოთხი კატეგო-
 რია და არა სქესი.

პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან მხოლოდ მამრობითი სქესის
 კონიერი არსებანი: აღიზინა-კაცია, უსსუ-ქმა. ფფუ-ქამა, რრქ-ზინი. არს-ძე,
 ვეიშვილი, ჩუ-ქამაკაი, ლას-ქმარი, ზუზალა-მუშა. უდარნიქ-დამყრელი.
 ქმისარ-კომისარი და მისთ.

¹ Этнография Кавказа. Языковедение. IV. Языки и диалекты. Тифлис, 1890. გვ. გვ.
 47-48, 52, 77, 93, 67... §§ 43, 51, 74, 93, 63.

ლაკური ენის შესწავლა პ. უსლარმა დაიწყო 1863 წელს ნოემბერში. როგორც ეს
 აღნიშნა მისი მოძიებრიდან მიუნხენში 1864 წ. მასში უკვე დაწერილი ჰქონდა „ლაკური
 ენაზე“ 1865 წელს ხაფსუბუღი მან ეს გრამატიკა დააღიარა. 1890 წელს დაი-
 ტყდა სემოთ აღნიშნული სათაურით.

მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან მხოლოდ მდებარეობითი სქესი. გონიერი არსებანი და ისიც გათხოვების შემდეგ: შმარსსა ქალი, ნინუ დღეა: სსურმუხსუჲ უმა ქალი... მაგრამ უალინ პატარძალი IV კატეგორიისა¹.

მესამე კატეგორიას განეკუთვნებიან: დუშ ქალიშვილი, სსუ და... ცხოველები, ფრინველები, მწერები: ბარწ მგელი, ოლ ძროხა, ნიც ხარა: აჟარი შამალი, ჯაწ ქალია (ხალკუ ობობა კი IV კლასში შედის)... ხოლ-სხვა საგნები განაწილებულია III და IV კატეგორიათა შორის.

მეოთხე კატეგორიას განეკუთვნება აბსტრაქტული სახელები: ავეუ და -შივეუ (უსლარიო -აბუ და -შიბუ) დაბოლოებიანები: დავუ მუშაბი: ჩავეუ სიყვარული, ღანწივეუ სიახლოვე... სხვადასხვა ნივთები:

III კატეგორიისა:

ბარ ტბა, ზუნთთუ შთა...
წაუ შარილი, დუსსი სპილენძი...
მაზ უნა, ბაკ თაეი...

IV კატეგორიისა:

ნეს შდინარე, არ უაკე...
დიკ ხორცი. მახ რკინა...
ვიკი ყური, ქა ხელი...

საფუძველი სახელთა დაჯგუფებისა ოთხ კატეგორიად არ ჩანს. მიუხედავად ამისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირეოდენ დიალექტურ სხვაობებს (როგორც, მაგ.. ორკ ბავშვი, ბიჭი უსლარიო III კატეგორიისა, დუმუჭრ დიალექტი კი --I კატეგორიისა. ხოლო დაბადებამდე მესამისა...), სრულიად მწყობრ სისტემასთან გვაქვს საქმე. საყურადღებო ის არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შემოსულმა მრავალმა ინტერნაციონალურმა და რუსულმა სიტყვამ წარმოთქმის მხრივ ნაირ-ნაირი ცვლილება განიცადა. მაგრამ კატეგორიების მიხედვით საეცებით შეუტოვებლად განაწილდნენ. მაგ.: ქქალხუზ, შემდეგ ქქოლხუზ, ქქოლხოზ თავიდანვე გაჰყვა IV კატეგორიას, რაჟუნ, შემდეგ რაჟონ—III კატეგორიას და ასე მრავალი. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ახალი სიტყვის ამა თუ იმ კატეგორიისადმი განეკუთვნებისას ანალოგიითაა მომზად გარკვეულ როლს: თრაქთურ, თრაქტორ ტრაქტორი IV კატეგორიისად იმიტომ იქცა, რომ მისი „წინაპარი“ საგანი და სახელი ეარას სახუნელი, ქუთან გუთანო ამავე კატეგორიისა; ასევე აბტამობილ, ავთომობილ სიტყვა განეკუთვნა იმავე IV კატეგორიას, რომელსაც ეკუთვნოდა შრავა ურე-მი... (საინტერესოა მიკვლევა იმისა, თუ როგორ ხდება დაჯგუფება სახელთა. როცა მათ „წინაპარი არა ჰყავთ“). აზროვნების ფსიქოლოგიისათვის ეს საგულისხმო ფაქტია.

¹ ქორწილში ჩემ მიერ წარმოთქმული წინადადება „უალინ ნაა ბურ“ პატარძალი მამლის მაშინვე შემისწორეს: „უალინ ნაა ღურ“ უნდაო და განმარტეს: პატარძალმა ხელი მოაწერა და, მაშასადამე. ღურ (და არა ბურ) უნდა ეიხმაროთო (შდრ. უსლარი, ხსენ. ნაზრ, გვ. 10, შნშ).

კატეგორიათა მაჩვენებლები ამოკრებილი აქვს პ. უსლარს სახელებსა, მასა და ზმნისართებში და ასეთ სქემას იძლევა:

I კატეგორიის მაჩვენებლებია მხ-ში	—	ვ. უ	მრ-ში ბ. უ
II " " " "		დ. რ	ბ. უ
III " " " "		ბ. უ	ბ. უ
IV " " " "		დ. რ	დ. რ ¹

პ. უსლარი ემყარებოდა მხოლოდ ერთ დიალექტს და ამდენად ლაკური დიალექტური ვარიაციების გაუთვალისწინებლობის გამო ყველა ექსპონენტი ერთად არაა აღნუსხული. აგრეთვე ისტორიული პერსპექტივის უქონლობის გამო შენიშნული მოვლენები სათანადოდ არაა კვალიფიცირებული.

ამ შენიშვნაში ჩვენ გამოვდივართ სალიტერატურო-ენის მონაცემებიდან. ვერძოდ. ლუმბეჟური დიალექტისა, რომელიც საფუძვლად უძვეეს სალიტერატურულ ენას.

3. კატეგორიათა ანუ კლასთა მაჩვენებლები გვევლინება თითქმის ყველა დიალექტების ნაწილში. უწინარეს ყოვლისა, ზმნისა და ნაწინარ ფორმებში აბსოლუტურად და მიმდებარეობაში. ინფინიტივში. შემდეგ ზედსართავებსა, რიცხვით სხვებსა, ნაცვალსახელებსა, ზმნისართებსა, კავშირსა და ობიექტულებშიც კი. უანასკელ სუბსტანტივებში გაქვევებული სახით.

ექსპონენტები მიუთითებენ ერთპირიან ზმნებსა და ნაწინარ ფორმებში. მხ-შია. სუბიექტზე, ხოლო ორპირიან ზმნებსა და მისგან ნაწარმოებ აბსოლუტურ-მიმდებარეობებში მხოლოდ ობიექტზე.

კლასთა ნიშნები აფიქსებია. ისინი წარმოგვიდგებიან პრეფიქსების, ინფიქსებისა და სუფიქსების სახით. კარბობს პირველი ორი. ხშირია შემთხვევა, რომ ერთ ფორმაში ორი ნიშანია პრეფიქსი და ინფიქსი ერთისა და იმავე საგნის მაჩვენებელი.

გვერე ექსპონენტები სავსებით ექვემდებარება იმ ფონეტიკურ პროცესებს, რომლებიც მოქმედია ლაკურ ენაში ამჟამად: თვითონაც ემსგავსებიან, განმსგავსებიან ან ერწყმიან ფუძისეულ ბგერებს და თავის მხრითაც ცვლიან მათ.

ვიინიდან პ. უსლარის სქემის თანახმად პირველი სამი კატეგორია (I, II და III) მრავლობით რიცხვში ერთიანდება და საერთო მაჩვენებელს ბ-ს ჰქონიათავს. ასევე მხოლოდობით რიცხვში II და IV კატეგორია ერთ ნიშანს იყენებს (დ-ს ან რ-ს), ამიტომ. სქემის გამარტივების მიზნით, მრავლ. რიცხვზე აქ არ იქნება მსჯელობა და II და IV კლასი ეროად განიხილება.

¹ ეს სქემა უცვლელად მიღებული აქვს, ერთი მხრით, ფონ ეტკერტს, შიფნერის მიწვევით, თავის წიგნში „Die Sprachen des kaukasischen Stammes. Wien, 1895, გვ. 150—151, და მეორე მხრით, უნდალუდ ა. დირს, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928, გვ. 238. ამდენად ამ შრომებში ახალი არაფერია.

4. ა) ხმოვნით დაწყებული ზმნებისა და მისგან ნაწარმოები ფორმების აბსოლუტური უმრავლესობა და აგრეთვე ზოგიერთი ზედსართავი პრეფიქსებად დაირთავს კლასთა ნიშნებს—III კლასისათვის ბ-ს, II და IV კლასისათვის დ-ს, ხოლო პირველ კლასს თავსართი არა აქვს; მაგ.:

I კლ.	III კლ.	II და IV კლ.
იზაჲ	ბიზაჲ	დიზაჲ 'დგება'
ურ	ბურ	დურ 'არის'
იკაჲსსა	ბიკაჲსსა	დიკაჲსსა 'მყოფი'
უხსსა	ბუხსსა	დუხსსა 'ძველი და სხვა'

ბ) ყველა ზმნის ნამყო დროის ფორმებსა და აბსოლუტივ-მიმლოებებში, აგრეთვე ზოგიერთ ზედსართავ სახელში ინფიქსად გვევლინება კლასთა ექსპონენტები--I და III კლასისათვის --ვ-, II და IV კლასისათვის --რ-. ხმოვნით დაწყებულები პრეფიქსებსაც დაირთავენ: ვიღებთ ორმაგ ნიშანს, ერთმანეთისაგან ფონეტიკურად განსხვავებულს, ერთისა და იმავე საგნის მაჩვენებლად; მაგ.:

ლავგუნნი¹ (I და III კლ.) ლარგუნნი (II და IV კლ.) 'წავიდა' (-ვ- -რ- სუბიექტისა)

ჩივჩუნნი 'დაწერა იგი' (I და III კლ.)--ჩირჩუნნი 'დაწერა იგი' (II და IV კლ.: ნიშნები ობიექტზე მიუთითებს)

ლავგსსა 'წასული' (კაცი, გოგო... I და III კლ.)--ლარგსსა 'წასული' (ქალი და სხ. II და IV კლ.: ნიშნები სუბიექტისა)

შავგხსსა 'მოხარშული' (III კლ.)--შარხსსა 'მოხარშული' (IV კლ.: ნიშნები ობიექტისა)...

ორმაგი ნიშნები (პრეფიქს-ინფიქსები) დაერთვის ხმოვნით დაწყებული ზმნის ნამყოს ფორმებსა და ზოგიერთ ზედსართავს:

I კლ.	III კლ.	II და IV კლ.
ივზუნნი	ბივზუნნი	ღირზუნნი 'ადგა' (კლასის მაჩვენებლები სუბიექტისა)
ივკუნნი	ბივკუნნი	ღირკუნნი 'მოკლა იგი' (კლასის ნიშნები ობიექტზე მიუთითებს)
ივკსსა	ბივკსსა	ღირკსსა 'ნამყოფი, ვინც იყო' (კლასის ნიშნები სუბიექტისა) და სხვა.

საგულისხმო ისაა, რომ კლასის ნიშნებიან მიმლოებებსა და ზედსართავებს თავისუფლად დაერთვის ჩვენთვის ნაცნობი -მა და -მურ ბოლოსართები; მაგ.:

ლავგმა 'წასული' (კაცი: I კლ.)--ლავგმურ 'წასული' (გოგო: III კლ.) და ლარგმურ 'წასული' (ქალი და სხ.: II და IV კლ.), შდრ. ლავგსსა. ლარგსსა. ივკმა 'ნამყოფი' (I კლ.)--ბივკმურ (III კლ.) და ღირკმურ (II და IV კლ.), შდრ. ივკსსა, ბივკსსა. ღირკსსა...

¹ ავ წარმოითქმის ოვ-ის სახით.

I და III კლასის -ვ- ინფიქსი ემორჩილება ლაკურისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ წესს: იგი ერწყმის წინამავალ ძირისეულ უ ხმოვანს და აგრძელებს მას (რასაც წერილობით არ გამოხატავენ ხოლმე) და თვითონ კი უჩინარდება. მაგ.:

შუენნი—*უვეკუენნი 'მოვიდა' (კაცი: I კლ.)—ბუკუენნი—*ბუვეკუენნი 'მოვიდა' (გოგო: III კლ.), მაგრამ: ღურკუენნი 'მოვიდა' (ქალი და სხვა: II და IV კლ.); ნიშნები სუბიექტისაა

და ასე: უჩჩუენნი—*უეჩჩუენნი (I კლ.), მაგრამ: ღურჩჩუენნი (II და IV კლ.) 'გაძღა', ბუქუენნი—*ბუექუენნი 'შეკამა ის' (III კლ.), მაგრამ: ღურქუენნი 'შეკამა ის' (IV კლ.); ნიშნები ობიექტისაა.

მიმღობებესა და ზედსართავებშიც ეგევე პროცესია:

უჩჩუსსა—*უეჩჩუსსა (I კლ.), ბუჩჩუსსა—*ბუეჩჩუსსა (III კლ.), მაგრამ: ღურჩჩუსსა (II და IV კლ.) 'გამძლარი' და სხვა.

უქსა—*უესსა (I კლ.), ბუქსა —* ბუესსა (III კლ.), მაგრამ ღურქსა (II და IV კლ.) 'ქმნილი' და სხვა ბევრი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. უსლარის მიერ გამოყოფილი ინფიქსი -უ-, ვითარცა I და III კლასის მაჩვენებელი, ჩვენ ვერ დავადასტურებთ ვერც ლუმუჭურ კილოში და ვერც იმ დიალექტში, რომელიც პ. უსლარის კვლევის ობიექტი იყო; თუმცა სხვა ფორმები ამ კილოს წარმომადგენლებმა სავსებით დაამოწმეს, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გექონდეს მცთარსმენილ უსთან: ინფიქსი -ვ- წყვილბაგისმიერი ბგერაა და ზოგჯერ უს-ს შთაბეჭდილებას ქმნის¹.

გ) გრამატიკულ კლასთა ექსპონენტები სუფიქსებიცაა გარკვეულ მეტყველების ნაწილებთან: ნაცვალსახელებთან, რიცხვით სახელებთან, ზედსართავებთან, ზმნისართებთან და თანდებულთან. მაჩვენებლებად გამოყენებულია ვ, ზ, რ (სმოენიანად—ვა, -ზა, -რა) ნიშნები, რომლებიც ლაკურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შედეგად ნაირსახეობებს იძლევიან; სახელდობრ:

1. ლუმუჭური სხვა დიალექტებისგან იმითაც განსხვავდება, რომ სისტემატურად ცვლის ძირისეულ თუ ფორმანტისეულ ზ ბგერას ვ-დ; მაგ.: ხაბარ 'ამბავი'—ლუმუჭ. ხავარ. პრაბა 'ურემი'—ლუმ. პრაეა... სუფიქსი -აბუ 'ობა'—ლუმ. აფუ; ჩჩაბუ 'სიყვარული'—ლუმ. ჩჩაეუ... ამ პროცესს ექვემდებარება -ზ ექსპონენტიც: ლუმუჭურში იგი ვ-დ არის წარმოდგენილი.

2. ლუმუჭურშივე I კლასის -ვ, ვითარცა სუფიქსი, სრულებით არ ჩანს რიცხვით სახელებთან და ძალიან ხშირად—თანხმოვნით დასრულებულ ნაცვალსახელებთან, სხვა დიალექტებში კი ის ჩვეულებრივი თანმხლებია მათი.

3. -ზ ნიშანი, ზოგჯერ -ვ-ც, იმსგავსებს ფუძისეულ -ნ-ს ლუმუჭურში და აქცევს -მ-დ, შემდეგ კი თვითონვე ზ ემსგავსება მას და იქცევა მ-დ. აქ თითქოს საურთიერთო ასიმილაცია ხდება.

¹ ერთად-ერთი შემთხვევა, უ-ს რომ I კლასის ნიშნად გვაფიქრებინებს, არის უსსუ 'ძმა', რომელიც უპირისპირდება სიტყვას სსუ 'და'.

4. -რ ექსპონენტი რ, ლ, ნ ბგერებთან შეხვედრისას დ-დ იქცევა სხვა დიალექტებში, ხოლო ლუმბუტურში რ-სთან მეზობლობაში იმავე დ-ს გვაძლევს, ლ, ნ ბგერებს კი სავსებით დაემსგავსება და პირველთან ლ გვექნება და მეორესთან—ნ.

5. ზოგიერთ ნაცვალსახელთან და ზმნისართთან III კლასის მაჩვენებელი ბ და IV კლასისა—რ გაგემინატდება და იძლევა ბბ (ლუმბუქ. ფფ) და რდ რეულექსს.

მოვიყვანოთ მაგალითები თანამიმდევრობით:

1. ბ — ვ:

ნაცვალსახ.: ნავა (I კლ.), ნაბა (III კლ.) და ნარა (II და IV კლ.)—ლუმბუქ. ნავა (I და III კლ.) და ნარა (II და IV კლ.) შე თვითონ¹.

ასეა სხვა პირთა ნაცვალსახელებიც: ინავა, ინაბა (ლუმ. ინავა), ინარა თვითონ შენ, თავა, თარა თვითონ ის და მისთ.

ზედსართავი: აქვსსა (I), ბაკვსსა (III), ლაქრსსა (II, IV)—ლუმბუქ. აქვსსა (I), ბაკვსსა (III), ლაქრსსა (II, IV) უქონებო კაცი, მარტობელი, შიშველი.

2. I კლასის ვ არ ჩანს და ბ — ვ:

რიცხვითი სახ.: I კლ.	III კლ.	II და IV კლ.	I კლ.	III კლ.	II და IV კლ.
ცავა	ცაბა	ცარა	ცადა ¹	ცავა	ცარა ურთი
კივა	კიბა	კირა	კიდა	კიოვა	კიირა ორი
მუყვა (მუყა)	მუყბა	მუყრა	მუყა	მუყვა	მუყრა ოთხი და ასე შემდეგ

3 და 4. ბ იმსგავსებს ნ-ს და რ განიცდის ცვლილებებს:

შანვა (—შამა)	შანბა	შანლა	შამა	შამმა	შანნა სამი
		*—შანრა	—*შანვა	—შანბა	—*შანრა

ზედსართავი: რნსსა	რნბსსა	რნღსსა	რნსსა	რმმსსა	რნწსსა
		—*რნრსსა		—რნბსსა	—*რნწსსა
					უქნარა
და ასე: ვუნასსა	ვუნბასსა	ვუნღასსა	ვუნსსა	ვუმმსსა	ვუნწსსა
		—*ვუნრასსა		—ვუნბასსა	—*ვუნწსსა
					დიდი და სბ.

მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როცა -მა და -მურ ერთის: ვუნამა ვუნბამურ ვუნღამურ—ლუმბუქ. ვუნამა ვუმმამურ—ვუნწამურ დიდი...

თანდებული:

-ნაბ	-ნაბა	-ნლაბ	ლუმბუქ. ნაბ	-მმაბ	-ნწაბ:
კირაინაბ	კირაინაბა	კირაინლაბ	კირაინაბ	კირაიმმაბ	კირაინწაბ
		—*კირაინრაბ		—კირაინმაბ	—*კირაინწაბ

კედლის მიმართულებით, კედლებზე¹

¹ ა. ხმოვანთგასაყარია.

ეგვი თანდებული გეხედება ზმნისართებში:

აღუნაჲ ააღუნაჲ ააღუნდაჲ—ააღუნაჲ ააღუმაჲ ააღუნაჲ
 --*ააღუნრაჲ --ააღუმაჲ --*ააღუნრაჲ¹
 'ზევით' და სხ.

4. რ — ლ:

არულა არულა არულა არულა არულა არულა
 --*არულრა --*არულრა

ვილა ვილა ვილა ვილა ვილა ვილა
 --*ვილრა --*ვილრა 'თვით'
 შალა შალა შალა შალა შალა შალა
 --*შალრა --*შალრა 'მთელი'
 და სხ.

5. რ — რდ, ბ -- ბბ. ლუმუქ. ფფ:

რევა რევა რევა რევა რევა რევა
 --*რევა --*რევა 'თვით'
 შავა შავა შავა შავა შავა შავა
 --*შავრა --*შავრა 'შინ' და სხ.²

თავი რომ მოვეყაროთ ყველა აფიქსს, ხმარებულს გრამატიკული კლასის წინადასეთ სქემას მივიღებთ:

I კლ. III კლ. II და IV კლ.
 - ვ ბ, ვ, ბბ დ, რ, რდ

ლ უ მ უ ქ უ რ შ ი:

- ვ ბ, ვ, მ, ფფ დ, რ, ნ, ლ, რდ

ჩანს. ლუმუქური უფრო მდიდარია კლასის მაჩვენებლებით სხვა დიალექტებთან შედარებით.

მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული გზადაგზა, ეს რიცხვმრავლობა ექსპონენტთა ფონეტიკური პროცესების შედეგია: სახელდობრ: III კლასის მ ჯა ბბ/ფფ მიღებულია ბ-საგან და IV კლასის ნ, ლ, რდ რეფლექსია რ ნიშნისა. რჩება I კლასისათვის ---, ვ. III კლ. ბ, ვ და II და IV კლ. რ, დ.

ამათგან I კლასის ძირითადი მაჩვენებელია ვ. იგი ამჟამადაც კარგადაა შემონახული ინფიქსად და ლუმუქურს გარდა სხვა დიალექტებში -სუფიქსად: ეგვი ვ უნდა გვექონოდა პრეფიქსად ხმოვნით დაწყებულ ფორმებშიც, როგორც ამას გვიჩვენებს მთის კავკასიური ენები: ხუნძური. ჩაჩნური, არქიული და სხვა. მაშასადამე, აღდგენილი სახე ზმნისა თუ ზედსართავისა ასეთი უნდა ყოფილიყო:

¹ იცვლება მოქმედი პირის მიხედვით. თუ ის პირი, ვინც მიემართება, I კლასს განეკუთვნება, მაშინ -ნა ა იხმარება... იხ. პ. უსლარი, ხსენ. შრომა, გვ. 37, c და ავტორის წერილი: ზრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში: საქ. სახ. მუხუფმის მოამბე, ტ. X-B, გვ. 334, მწმ. 1.

² ლუმუქურის საპირისპირო მავალიები ამოღებულია პ. უსლარის წიგნიდან.

ვიზნრა (I კლ.: კაცი), ბიზნრა (III კლ.: გოგო) და დიზნრა (II და IV კლ.: ქალი...)
 ვეჩსსა „ „ „ ბუჩსსა „ „ „ და დუჩსსა „ „ „ „
 და სხვა მრავალი, მაგრამ ახლა ვ- თუ არ დაერთვის და გვაქვს იზნრა, უჩსსა...
 ეს მეორეული მოვლენაა და არა—პირველადი.

III კლასის პირვანდელი მაჩვენებელია ბ და მხოლოდ ბ: ვ მეორეულია. ეს კარგად ჩანს ლუმუქურში, რომლის სუფიქსი -ვ-, საერთო წესის თანახმად წარმომდგარია -ბ-ა-საგან და უქანასენელი მშვენიერადაა დაცული სხვა დი-
 ლექტებში (იხ. გვ. 176, 1-2). რაც შეეხება -ვ- ინფიქსს. იგი ამჟამად ექსპონენტია I და III კლასისა; ამდენად ითავსებს ორ ნიშანს: -ვ-ს (I კლ.) და ბ-ს (III კლასისას), მაშასადამე. უძველესი ფორმები ასე წარმოგვიდგება: ვივკრა (ამჟამად ივკრა: I კლ. 'შე კაცი ვიყავი') და ბიბკრა (ამჟამად ბივკრა: III კლ. 'შე გოგო ვიყავი'). თუ რამ გამოიწვია III კლასის ბ ნიშნის შეცვლა -ვ-დ ინფიქსად გამოყენებისას, ახსნას საჭიროებს.

II და IV კლასის მაჩვენებლები დ და რ ამჟამად ასეა განაწილებული: დ პრეფიქსია. რ კი ინფიქსი ან სუფიქსი. თუ სადმე დ გვხვდება ბოლოსართად. ის რ-ს მონაცემია დისიმილაციის შედეგად (იხ. გვ. 176, 3-4). საერთოდ. თუ დავუშვებთ. რომ ნიშნის პრეფიქსობა მისი სიძველის მაუწყებელია. მაშინ პირველად ექსპონენტად დ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ამ ვარაუდს ძალზე ასუსტებს ის გარემოება, რომ ლაკურში დღესაც მოქმედებს რ. ვითარცა პრეფიქსი. იგი გვხვდება დამოუკიდებლად ან დ-ს პარალელურად ზმნებსა და ინფინიტივებში. აგრეთვე გაქვავებულ სუბსტანტივებში: მაგ.:

I კლ. იშშუნ	III კლ. ბიშშუნ	II და IV კლ. რიშშუნ :დაქრა, კრილობის მიყენება
ითან	ბითან	დითან : რითან :დატოვება
უჰან	ბუჰან	დუჰან : რუჰან :დაქერა...

(პ. უსლარი, გვ. 13--14, 234).
 რიკ 'ცული' (იხ. გვ. 180).

არსებით სახელებში:

ლუმუქურში არის ტენდენცია რ-ს შეცვლისა დ ნიშნით. პ. უსლარის მაგალითებს რიზან 'ადგომა', რუხხან 'შესვლა' და ზოგიერთ სხვას მასწორებინებდნენ დიზან. დუხხან... ფორმებად.

ჩანს, პრეფიქსობის მხრივ თანაბარუფლებიანია დ და რ. ამათგან პირველად ექსპონენტად რ მიგვაჩნია. მის სასარგებლოდ ლაპარაკობენ, როგორც ფონეტიკური შესაძლებლობანი, ისე სხვა მთის კავკასიურ ენათა მონაცემები: სახელდობრ: 1. რ-სგან შეიძლება მივიღოთ დ (იხ. გვ. 176), ა (არნ. ჩიქობავა) და ლ; პირიქით. დ ვერ მოგვემს ვერც რ/ლ-სა და ვერც ა-ს. ყველა ესენი კლასის ნიშნებია სწორედ რ-ს მონაცვლე; მაგ. ა გვაქვს ჩაჩურში, ხუნძურში, ანდაურში... ა და ლ ხეარშიულში. დ და რ ენაცვლებიან ერთმანეთს ლაკურში. რიცხვის მიხედვით რუთულურში... და 2. დ, ეი-

...კლასის მაჩვენებელი, სრულებით არ იცის რიგმა მთის კავკასიურმა ენებში. როგორცაა: ხუნძური, ანდიური, ბოთლიხური, ხეარშიული, დიდოური და სხვა.

ამგვარად, ლაკურში პირველადი ექსპონენტები I კლასისა უნდა ყოფი-
ყოფიყ, III კლასისა—ბ და II და IV კლასისა—რ¹.

5. გრამატიკული კლასის ნიშანი სხვა ენათა მსგავსად (მაგ., ხუნძური) აქვთ სახელსაც დაერთოდა ლაკურში, მაგრამ დღეს ის მხოლოდ შეხორ-
ქმელის სახით ვეხვდება. მათი გამოყოფა ხერხდება ისტორიულ-შედარებითი
კრიზისის მომარჯვებით. პირველად მას ყურადღება მიაქცია პ. უსლარმა.
ლაკური დაკ მან შეუპირისპირა ჩაჩნ. დუოგ. ხუნძ. რაკ. აფხ. აგუ და
... გულ სიტყვებს და აშკარა გახადა ლ-ს კლასის ნიშნობა. ნ. მარისა და
... გავახიშვილის კვლევა-ძიების შედეგად ასეთ მაგალითთა რიცხვი
... არაა.

ასანაიშნავია, რომ ზმნისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები ჩვეუ-
ლური IV კლასის მისდევნ და. ცხადია, სზოვნით დაწყებულთ სათანადო ნი-
შნის ექნებათ; მაგ.: დაფუ მუშაობა მიღებულია ა-საგან; იგი გვაქვს ზმნაში:
... შრა, დრა უაკეთებ. ინფინიტივში ან, ზან, დან ქანა... მაშასადამე, და-
... ლ IV კლასის ექსპონენტი. თუ ზმნას ან მისგან ნაწარმოებ ფორმებს
... ერთი და იგივე ობიექტი. ან ერთისა და იმავე კლასის ობიექტები ახ-
... ვს, მას კლასის მაჩვენებელი არ ეცვლება და შთაბეჭდილება რჩება. თითქოს
... პირული ნაწილიაო. ასეთია, მაგ., ზუქქინ კითხვა. ზუქქაჲ კითხლობს,
... ზუქქე შკითხველი... ზ III კლასის ნიშანია, რადგანაც ობიექტები—... უ წიგნი.
... და ჩაიან წერილი III კლასს განეკუთვნებიან. სამაგიეროდ, დუქქინ
... წელი, დუქქაჲ ურ სწავლობს; დუქქაჲუ სწავლა, ყინა და სხვა ბუქქინ-თან
... ერთო ძირის შქონეა. მაგრამ IV კლასისაა. ასევე დუქქან ქაჲა, დუქქაჲ
... ზმს, დუქქარა სავმელი... IV კლასის ლ-ს შეიცავს. იგი შეიძლება შეიცვალოს
... მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ III კლასის საკმელს დაეასახელებთ; მაგ.: ბუქქაჲ
... ზმში ქაჲს კარტოფილს და სხვა. ამ გზითვე შეიტყობა კლასის ნიშნები
... მსგავს მაგალითებში:

ჯარჯო შინ მოსაეღიანი წელიწადი. შდრ. რკოსსა აღიშინა მოსული კაცი,
ბრჯან შეძლება, მოჲ; დოჲ შესაძლებლობა...

ჯეტინ რუტინ დასხმა, რუტა დაასხი (წყალი და სხ.); თუ სათანადო ობიექ-
ტი მოინახა, ითქმის ბუტინ...

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თედაპირველი ბუნება
... მთავრობა, 1937, გვ. 254-256. ავტორი ასკენის, რომ I კლასის, ე. ი. „მამრობითი სქესის
... ნიშნი თითქმის ყველა ენებს... ერთი და იგივე ჰქონდათ; გ, უ ანდა უ“, III კლასისა—ბ თან-
... ენი და IV კლასისა—ლ და რ, რომელთაგან „თავდაპირველ ნიშნად... შესაძლებელია მხო-
... ლედ ყოფილიყო, რომლის შენაცვლებასაც რ წარმოადგენს“ (გვ. 256).

² სხუნ. შრომა, გვ. 234; მისივე Агхъагъаиш II, №. 127: შდრ. თ. გონიაშვილი, ლექ-
... ვარი შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან: ენციკლის მოამბე, V-VI, 592.

დაქუ საწყაევი; დოლი წარმომდგარია ზმნის ძირისაგან; ინტინიტივი აქ: ზაქინ, დაქინ გაყოფა; დაქავეუ გაყოფა; აქი, ზაქი, დაქი ნახევარ-და სხ. (პ. უსლარი, 264).

დნ შუა, დანივ შორის, დნისხ შუაში. შდრ. ბაბიზინ ნახევრად გაესება (იქ: 265) და სხვა.

სახელებში ყურადღებას იქცევენ:

დარჯვრ სიცივე, დარჯვრ ღურ ცივა... დ-ს ექსპონენტობას რ-ს გარდა მისკ: ნაწარმოები ფორმები უჩვენებს: აჯვენ ან. ზაჯვენ ზან. ჯაჯვენ დან გაყოფა; აჯვრასსა, ბაჯვრასსა, დარჯვრასსა ცივი: აჯვრონ თუთ მამინაცვალ (-ცივი მანა)...

ბუცად ღუშ საცოლე. დანიშნული ქალიშვილი. „მოსაყვანი ქალიშვილი“, ბუცად რრქ საქმრო. დანიშნული ვაჟი. „მოსაყვანი ბიჭი“... ბ III კლასის ნიშანია. ამას ამტკიცებს: შშარსსა! ღუცინ ცოლის მოყვანა. ცოლ. შერთვა... თვითონ უცინ, ბუცინ, ღუცინ აწონას ნიშნავს და ამდენჯ სემასიოლოგიურადაც საინტერესოა. მეორე მხრით. რრქ ამ შემთხვევაში III კლასისად ჩანს და ეს უთუოდ მიუთითებს მის ადრინდელ მდგომარეობაზე.

რიკ ცული. ლეზგ. დაქუ. ჩან. დივ: ცხადია. რკლასის ნიშანია. რიკ IV კლასის განეკუთვნება (თ. გონიაშვილი. ხსენ. შრომა. 582. შწწ.).

რუკ უღელი. ჩ.ჩნ. ღუყ... აქაც რ IV კლასის მაჩვენებელია (იქვე, 581-2). დიკ ზორცი, ლეზგ. დაქ... აშკარაა. დ იმავე IV კლასის ნიშანია და სხ: (ამგვარი მაგალითების ამოწურვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს).

საგანგემოდ აღსანიშნავია ის. რომ ღუშ უგოგო. ქალიშვილი. ამგამა: III კლასისთვის განეკუთვნილი. ქართველურ და შთის კავკასიურ ენათა შონაკემებთან შედარებისას გამოიყოფს დ თავსართს, —ნიშანს IV კლასისას; შდრ: ლაკ. ღუშ. ლეზგ. რუშ. ჯეჭური და თაბასარან. ჩიშ. ბუღუხ. რიყ. ხუნძ. ას... ქართ. ას-ული. სიან. ას-უშ და სხვა! აქ საგულისხმოა კლასის ნიშნის გამოვლინება კი არა, არამედ ლაკურში ღუშ ქალიშვილის სოციალური მდგომარეობის შეცვლა (შდრ. გვ. 172, შწწ.). ჩანს. ის IV კლასიდან III-ში გადავიდა. მოსალოდნელია ასეთი მაგალითი სხვაც მოიძებნოს.

6. გამოიკვია. რომ ლაკურში სამი ძირითადი ექსპონენტი: ე I კლასისა, ბ III კლასისა და რ IV კლასისა. II კლასის ნიშანი არ აღმოაჩნდა. მხოლოდობითში ის იყენებს IV კლასის მაჩვენებელ რ-ს და მრავლობითში... I და III კლასის ბ-ს. გარდა ამისა, ამ კლასს სულ მდებარეობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა განეკუთვნება: შშარსსა ქალი. ნინუ დედა. ჰალმან-შშარ საყვარელი; სსურმუხსხუ ყმა ქალი...? ამათგან: შშარსსა მრავლობითში

¹ ნ. მარი. Непечатный источник истории кавказского шира, 314: ივ. ჯავახიშვილი, ხსენ. შრომა, 164.

² ჯალნთან ერთად წიქური 'პატარძალი' IV კლასისა: მრავლობითშიც დ-ს აქვთ მაჩვენებელი.

ძრის იცვლის: ჯამი 'ქალები' და ეგების ამას ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ მრ.-ში ბ ნიშნს მოითხოვს; ჰალშახშუშარ იმავე შუარ'სხსა' სიტყვას შეიცავს: ნინუ მრავლობითში იმავე სუფიქსს დაირთავს, რასაც—ფფუ 'ამა': ნინუკლუ 'დედები'—ფფუკლუ 'მამები' და ამით ხომ არ აიხსნება ბ ნიშნის გამოყენებაო—იტყოდა კცი, მაგრამ მაშინ აუხსნელი დარჩებოდა ხსურმუნსაჲუ, ერთი მხრით, და მეორე მხრით, მრავლობითი რიცხვის ჩვენებას მნიშვნელობა არა აქვს თუნდაც იმით, რომ I კლასის სახელებიც III კლასის ბ ნიშანს იყენებენ. საერთოდ, ჯადგენილია, რომ მრ.-ში კლასთა რიცხვი უფრო ნაკლებია, ვიდრე მხ.-ში, და III და IV კლასის მაჩვენებლები ჩვეულებრივ საზიაროა ყველა კლასისათვის¹. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ლაკურში II კლასი მეორეული ჰოვლენაა². იგი გამოყოფილია სხვა კლასისაგან და თავის სოციალური მდგომარეობის გამო მიკუთვნებულია IV კლასს.

ამგვარად, 1. ლაკურში ისტორიულად სამი ძირითადი კლასი უნდა ყოფილიყო: I. გონიერი არსების—ადამიანის კლასი, II. 'არაგონიერი' არსების არაადამიანის კლასი და III. ნივთის კლასი. სოციალური მდგომარეობის გადაფასებისა და საკლასიფიკაციო პრინციპთა აღრევის გამო კლასთა რიცხვი გადიდდა. I კლასი გაიყო ორად: 'გონიერი არსების მამრობით სქესად' და 'გონიერი არსების მდედრობით სქესად', III და IV კლასის ობიექტებმაც ადგილი იცვალეს.

2. ლაკური ენა გრამატიკული კლასების სამს ძირითად ნიშანს იცნობს; ესენია: I კლასისა—ვ, III კლ.—ბ და II და IV კლ.—რ. დანარჩენი მაჩვენებლები—III კლ. ვ, მ, ბბ/ფფ და II და IV კლასისა—დ, ნ, ლ, რდ მეორეული წარმოშობისაა, შედგება ფონეტიკური პროცესებისა: მ, ბბ/ფფ წარმომდგარია ბ-საგან, დ, ნ, ლ, რდ—რ-საგან.

¹ არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, — ვნიმკი-ს ნომბე, I, გვ. 100.

² არნ. ჩიქობავამ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში წამოაყენა დებულება II კლასის მეორეული წარმოშობის შესახებ კავკასიურ ენებში.

В. Т. ТОПУРЕЛ

ГРАММАТИЧЕСКИЕ КЛАССЫ И ИХ ЭКСПОНЕНТЫ В ЛАКСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

1. Из установленных П. Усларом четырех *категорий* первичными грамматическими классами можно признать I, III и IV классы, а вторичным—II класс. К I классу относятся разумные существа мужского пола (адимина 'человек', ппу 'отец', уссу 'брат' и т. д.); к III классу—неразумные живые существа обоего пола—животные, птицы, насекомые (за исключением хяцу 'паук' и др.), а также некоторые „неодушевленные“ предметы; к IV—абстрактные имена существительные и „неодушевленные“ предметы; ко II классу—разумные существа женского пола (нину 'мать', шарсса 'женщина' и т. д.).

2. Классные показатели обнаруживаются в виде аффиксов (префиксов, инфиксов и суффиксов), как в именах—прилагательных, числительных, местоимениях, так и в глаголах, наречиях, послелогам и даже в союзах.

3. На основании анализа привлеченных диалектных и литературных материалов лакского языка выделяются в качестве экспонентов:

I класса—	v
III „	—b, v, m, bb/pp
IV „	—d, r, n, l, rd

II класс не имеет своего экспонента; им использованы в ед. числе показатели IV класса, а во мн. числе—III класса.

4. Путем сопоставления классных показателей горских¹ кавказских языков устанавливается, что первичными экспонентами в лакском языке являются:

I класса—	v
III „	—b
IV „	—r, а остальные классные показатели v, m, bb/pp; d, n, l, rd—результат фонетических изменений (ассимиляции, диссимиляции и т. д.).

ქ. ლოთათიძე

ზნუნების საკითხი აფხაზურში*

აფხაზური ბრუნების შესახებ ორი ძირითადი თვალსაზრისი არსებობს. ერთი მათგანი თვლის, რომ აფხაზურს ბრუნება ახასიათებს, მეორე კი ამ უკანასკნელს აფხაზურისათვის დამახასიათებლად არ მიიჩნევს.

აფხაზური ენის სტრუქტურის პირველი მეცნიერული ანალიზი პ. უსლარმა ჩაუკეთა. მასვე აქვს გამოთქმული მოსაზრება ბრუნებათა არსებობის შესახებ ანკნაში. ის წერს: „Таковыя (იგულისხმება падежные флексии—ქ. ლ.) несомненно существуют в абхазском языке; быть может, даже вшлом падежей не уступает он языку тушскому...“ (იხ. მისი, Абхазский язык.—Этнография Кавказа I, გვ. 80—81).

იგი ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე, რომ ბრალდებითი ბრუნვა ისე, როგორც სხვა კავკასიურ ენებს, არც აფხაზურს გააჩნია. აღნიშნავს ასევე, რომ ნათესაობითი ბრუნვისათვის არა გვაქვს ბრუნვის ნიშანი და ეს ურთიერთობა გამოხატულია ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების საშუალებით (იქვე, გვ. 82). რომ მიცემითს არა აქვს ბრუნვითი დაბოლოება (იქვე, გვ. 83). სამაგიეროდ. ესლარი გამოჰყოფს მაინც ოთხამდე ბრუნვას. ესენია:

1. იარაღობითი ანუ ინსტრუმენტალისი (მოქმედებითი), ნაწარმოები -ლა-თი: ნაპჯ-ლა- „ხელით“:

2. უქონლობისა (над. лишения) casus caritativus, -და-ს საშუალებით გამოხატული: ჩა-და- „უპურო“, „უპუროდ“;

3. სათანაო с. comitativus, -ი' (-ჰ) კავშირით გამოხატული: სარჯ-ჰ საბგ-ჰ—„მე-და მამაჩენი-|და|“;

4. Factitivus, რომელიც ნაწარმოებია -ხ სუფიქსით: აბჯ-ს „მამად“. მართალია, ესლარი ამ ბრუნვებს გამოჰყოფს. მაგრამ პირველ სამზე უწერია: „გამოიხატება ამა და ამ ნაწილაკის დართვით“-ო. უკანასკნელი ფორმის შესახებ კი იგი შენიშნავს: „სახელები იღებენ ნაწილად ბრუნვითს ფლექსიას“-ო (იქვე, გვ. 84).

3. ესლარის აქ წარმოდგენილ მოსაზრებებს იზიარებენ შიფნერი. დირი და სხვ.

* წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე 1939 წ. 27 მაისს.

6. მარი აფხაზურისათვის მიიჩნევეს ორგანული კანკლედობის არსებობას და იმ საერთო ტენდენციასთან დაკავშირებით. მისი აზრით, რომ აფხაზურმა შეზღუდა და დაკარგა სუფიქსური წარმოება პრეფიქსულის გაძლიერების ხარჯზე (რაც ძნელი დასაჯერებელია ქ. ლ.). უნდა შესცვლოდა მას ამ კანკლედობის ხასიათიც. ენაში ამა მორფოლოგიური კატეგორიის შესავსებად ახალ საშუალებებს მიმართაო. მას სრულიად უღაოდ მიაჩნია ბრუნვითი სისტემის არსებობა აფხაზურში და მაწარმოებელ ელემენტთა ნასესხებობა იაფეტური ენებიდან. თანამედროვე მდგომარეობა აფხაზურისა, მისი აზრით, მეორეულია და სრულს ანალოგიას პოულობს ფრანგულისა და ინგლისურის აწინდელ ნათესაობითი ბრუნვის აღწერათად. de. ი-ის საშუალებით—წარმოებასთან.

6. მარის მოსაზრებაში აფხაზურის მიმართ დიდ გავლენას ამჟღავნებს ქართველური (მაშინდელი მისი ტერმინოლოგიით „იაფეტური“) ენებისათვის დამასასიათებელი მდგომარეობა. ქართულის ანალოგიითაა, რომ მას უხდება ვარაუდის დაშვება ბრუნვათა გაცილებით მეტი რიცხვის არსებობის შესახებ აფხაზურში, ვინემ ამას სხვები მიიჩნევენ. ის ცალკეულ ბრუნვათა მაწარმოებლებსაც ცოცხლად შემორჩენილად პოულობს თანამედროვე აფხაზურში და „იაფეტურისა“- უკავშირებს.

თავის სპეციალურს წერაღშიაც „Орудивный и исходный падеж в кабардиноском и абхазском“,—თავად ამ ბრუნვებს. მართალია, არ განიხილავს, მაგრამ სათაურიდანაც და საერთო მსჯელობიდანაც ჩანს, რომ ასეთი კატეგორიის არსებობა მისთვის სადაო არ არის. თუმცა კი გაურკვეველი რჩება, რას ვარაუდობდა იგი „исходный падеж“-ში.

ივ. მეშჩანინოვის მოსაზრებით, აფხაზურს სუსტად განვითარებული ბრუნვა მინც აქვს. შეიძლება გამოიყოს კიდევ რამდენიმე „ბრუნვა“². ასეთად ის თვლის:

1. იარაღობითს (ინსტრუმენტალისს).

2. ბრუნვას, რომელიც რადმე გარდაქცევას გამოხატავს. იგივე *Factitivus*-ს და

3. უქონლობის ბრუნვას³.

დასასრულ 6. იაკოვლევის ყაბარდოული ენის გრამატიკაში („Краткая грамматика кабардино-черкесского языка“ 1938 წ.), ორი ბრუნვა—ინსტრუმენტალისი და გარდაქცევითი (превратительный) უღაოდაა დასახელებული აფხაზურისთვისაც (გვ. 128). უმართებულოდაა მათ მაწარმოებლად გამოყოფილი ალა ერთი მხრივ— და ას—მეორე მხრივ. დღევანდელი აფხაზური, ყოველ შემთხვევაში, ამ წინახმოვნიან სახეობებს მხარს არ უჭერს.

მეორე თვალსაზრისი, რომ აფხაზურს ბრუნვები არ გააჩნია (გარდა ერთი გარდაქცევითი ბრუნვისა), ლექციებზე გაუტარებია ს. ჯანაშიას, ხოლო

¹ იხ. მისი, „К вопросу о положении абхазского языка среди яфетических“ §5-7

² საყურადღებოა, რომ თვით ავტორი იძულებულია აქ „ბრუნვა“ ბრტყალებში ჩასვას

³ იხ. მისი, „Новое учение о языке“ 1936 წ., გვ. 165.

წერილობით გამოთქმული აქვს არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერების სახელმძღვანელოში“¹.

ვინაიდან წერილობით არც ამ თვალსაზრისის დასაბუთება ყოფილა მოქმედი და საკითხი კი სადაოდ ითვლება. საკიროა იგი უფრო გამოწველივით წყაბილოთ.

ბრუნვა ნხოლოდ და მხოლოდ სახელური კატეგორიაა. ყოველს ენაში. მზღვნიაც კი ის არსებობს. ამ უკანასკნელი ბრუნის მისეღვით ხდება სახელსა და ზმნის მორფოლოგიური დაპირისპირება.

ჩა არის დამახასიათებელი ბრუნვისათვის?—აა თუ იმ ბრუნვისათვის და მსათებელი უნდა იყოს გარკვეული მორფემის არსებობა სახელთან და აგრეთვე. მათეარია, მისი არსებობით უნდა მქარდებოდეს გარკვეული სინტაქსური რთერობა ან სახელისა სახელთან. ან უნთავრესად. სახელისა ზმნათთან.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ბრუნების საკითხს აფხაზურში. შევესურათს მივიღებთ:

1. სახელობითი ბრუნვა არავითარი ფორმის სახით არ არის გამოხატული აფხაზურში: საგნის სახელწოდება გადმოიცემა სიტყვას ფუძით (წინ მას ზოგალობის ა- ბრეფიკი მიერთვის). ის მკვლევრებიც კი, რომლებიც ბრუნვათა არსებობას აფხაზურში მხარს უჭერენ. ამ ბრუნვას, ჩეულესარიც, არც გამოყოფენ.

ერთად ერთი ნ. მარი თყლის, რომ აფხაზურს სახელობითი ბრუნვის ნიშანი უნდა ჰქონოდა. მაგრამ, ისევე, როგორც სვანურში. აფხაზურშიც ვაყარა ამ ბრუნვის ნმოენითი სახეო. შემდეგ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ უნდა ეს სმოენითი სახე სახელობითი ბრუნვისა დასუსტებულად წარმოვგვნილი იყოს ჯ დაპოლოების მქონე სიტყვებშიო, მაგ. აძტ („წყალი“) და სხე დასძენს ორ საწინააღმდეგო მოსაზრებას: ისიც შეიძლებაო. რომ ჯ აქ უნდას შინაგანი ხმოენის დასუსტების შედეგად მიღებული იყოს, ან კიდევ, ი იყოს რომელიმე სხვა ბრუნვის დასუსტებული სახეობაო. ჩენ გვგონია, რომ მის მიერვე გამოთქმული პირველი საწინააღმდეგო დებულება უფრო შეეფერება საქმის ვითარებას და ხსენებული ბრუნვის ნიშნის ძიება უშედეგო მოცანას უნდა წარმოადგენდეს.

სინტაქსურად კი სახელობითი ბრუნვის გაგების მოცემა დაკავშირებულია მნაში პირის ნიშნებთან².

2. ასევე არ ჩამოუყალიბებია აფხაზურს ნათესაობითი ბრუნვა. მსალურელ-სასაზღვრის ურთიერთობა გამოიხატება ნაცვალსახელოვანი ნაწილაკებით. რომლებიც პრეფიქსებად მიერთვიან სასაზღვრ სახელს, მაგ., „ქალის ღანე“—აფმუეს ღ-ჭ-მჩ, „კაცის ღონე“—აბაწა რ-მჩ, „ცხენის ღონე“—აჩე(გ) ა-მჩ— და სხე.

აფხაზურში ბრუნვის არსებობის მომხრეებიც კი ამ ურთიერთობას ბრუნვად არ მიიჩნევენ.

¹ არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება I, პრობლემატიკული ნაწილი. თბილისი, 1939 წ. § 50.

² ეს და მსავსი საკითხები განვიღვლილი გვაქვს ცალკე.

3. არც მიცემითის გაგებას გადმოგვეცემს აფხაზური სახელი. რასაც მიცემითი ბრუნვა გამობატავს სხვა ენაში. აფხაზურში მას კისრულობს ზნა resp. ამ ზნაში განლაგებული პირიელი ნაწილაკები, მაგ., „მე მას (ქალს) ვსცემე“ იქნება-- „სარა ლარა ს-ლ-გ-სტ“. ქართული მიცემითის - მას შინაარსი გადმოგვცა აფხაზურ ზნაში წარმოდგენილმა -ლ-მ. ასე განსხვავებული იქნებოდა ეს სხვა პირთა მიხედვითაც. მაგ., „მას (არაგონიერს) მივეცი ის (რამე)“ იქნება: „ა-ა-სთედტ“. მიცემითის შინაარსის გადმოცემა ზნაში დამოკიდებული ხდება პირის ნიშანთა ნაირობასა და მათს ადგილმდებარეობაზე.

არც ამ ბრუნვის არსებობას აღნიშნავენ აფხაზურში.

4. მოთხრობითი ანუ ერგატივი აგრეთვე არ გააჩნია მას. ამაში პასუხისმგებლობა ისევ აფხაზურ ზმნას აწევს. იმ ურთიერთობის გამოხატვა, რომელიც სათანადო ენებში ნაიკსრი აქვს მოთხრობითს ბრუნვას, აფხაზურში ზმნას ევალება, resp. ზმნაში წარმოდგენილ პირიელ ნაწილაკებს. მაგ., „დათემა მოკლა კაცი“ აფხაზურად გამოვა: „ამშო ატოჯ დ-ა-შიტ“. დათვის მიერ „მკვლელობა“ ამ შემთხვევაში გადმოცემულია ა- პირის ნიშნით. განსხვავებული ნიშნები (ს-, უ-, ბ-, ლ-, ი-, ა-, ჰ(ა)-. შო-, რ-) იქნება გამოყენებული განსხვავებულ პირთათვის. არც ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ბრუნვის აფიქსთან არა გვაქვს საქმე.

ახლა განვიხილოთ ის ბრუნვები, რომელთაც ასახელებენ აფხაზურში. ესენია: იარაღობითი, საურთიერთო (სათანაო), უქონლობისა და გარდაქცევითი.

1. იარაღობითის ანუ ინსტრუმენტალისისათვის მაწარმოებლად აცხადებენ -ლა-ს და მართლაც

„ჩემი ხელით გავაკეთე ის (რალაც)“ იქნება: „ს ნაპკ ლა იყასწედტ“

„ჩემი ფეხით მოვედი“ „ს შეპაკ ლა საადტ“

„ჯოხით დავარტყი მას (კაცს)“ „ლ აბ ლა სისტ“

„დანით გავკერი ის (რალაც)“ - „ჰიჯ ბ ლა იფტსყედტ“ და სხვ.

საქმე ის არის. რომ აქ აღებულს მაგალითებში გვხვდება სახელები ან ა-ზე დაბოლოებულნი, ან არადა სახელები არა-ადამიანთა კლასისა მხოლოდობითს რიცხვში, რომელთა კუთვნილებითი ნაწილაკია ა-. ეს ა- მიერთვის ლა-ს და ა-ლა-ს მთლიანად მირთვა სახელზე და მისი ერთ სიტყვად აღქმა სიძნელეს არ წარმოადგენს—ს ნაპკ (ჩემი ხელი) - ს ნაპკ - ა - ლა (ჩემი ხელით), -მაგრამ როგორც კი მას ავიღებთ სხვა კლასთან თუ რიცხვთან დაკავშირებით, მაშინვე ვითარება შეიცვლება და ეს „ბრუნვის ნიშანი“ წარმოვედგება ცალკე გამოფორმებულ სიტყვად. მაგ., „მარჩ ი-ლა რუფსტ თოუპ“ — „მისით (კაცით) სული უდგათ“. „ახაპქუა რღლა ილბასგშეთიტ აწა“ — „ქვეებით ჩამოვადე ვაშლი“ და სხვ. თავში არავის მოუვა ამ შემთხვევაში ილა, რღლა სახელთან ერთად დაწეროს. სხვა გარემოებაც რომ არ იყოს, ესეც თავის მხრივ ხელს შეგვიშლიდა მისთვის ბრუნვის ნიშანი გვეწოდებინა.

ლა-ს ეკისრება აფხაზურში „ინსტრუმენტალობის“ გადმოცემა საერთოდ. მანაარსით იგი ჩვეულებრივია ზმნაშიაც. მაგ.:

„აქა დ-ა-ლა-ს-კრეტე“ ს. ჯანაშიას მიერ ჩაწერილ აძვიბეური ტექსტებიდან—„მას. (აღამ.)-მისით-(არა-აღამ.)-კადინებ“:
 „ხასა-ხემე წუოტ, აბას ახუჩქაა დ-ა-ლა-ყო სააქაქაშეთე“ -იქვე „აგერ სამი დღე-ღამეა. ბავშვებს რომ იმი-თ-(არა-აღამ.)-ვატუუებ და გამოვდივარ“.

უზრადლებას იპყრობს ის გარემოება. რომ თუ -ლა- ზმნაშია წარმოდგენილი მაშინ სახელზე მისი დართვა საჭირო აღარ არის.

იქნება:

სახელთან:

ზმნასთან:

ტრაქტორ-ლა სცალტეეტ		ატრაქტორ ს-ა-ლა-ცალტეეტ
ტრაქტორით მე-(მო)ვხანი		ტრაქტორი მე-მისით-ვხანი
ჩ-ლა დააეტ		აჩაჯ დ-ა-ლა-აეტ
ყენით იგი-(აღამ.)-მოვიდა		ცხენი იგი-(აღამ.)-მისით-მოვიდა
ჩ-ლა დცეეტ,		აჩაჯ დ-ა-ლა-ცეეტ
ცხენით წავიდა		ცხენი იგი-(აღამ.)-მისით-წავიდა
ჩ-ლა ისშიეტ		აბრ ბაჯუბა აქ ა-ლა-ს-შიეტ
ღანით იგი-(არა-აღამ.)-მე-დაეკალ		ეს დანა ძროხა მისით-მე-დაეკალი
მსაქქა რჯლა სააეტ		სმსაქქა ს-რჯ-ლა-აეტ
ჩემი ფეხები მათით მოვედი		ჩემი ფეხები მე-მათით-მოვედი
მსაქქა რჯლა დცეეტ		აჩაქქა დ-რჯ-ლა-ცეეტ
ცხენები მათით იგი-(აღამ.)-წავიდა		ცხენები იგი-(აღამ.)-მათით-წავიდა

და სხვ.

ზმნაში ლა-ს საშუალებით გამოხატული ინსტრუმენტალობის კატეგორიის არსებობას. რა თქმა უნდა, ბრუნვად ვერ მივიჩნევთ. ინსტრუმენტალობის კატეგორია არსებობს აფხაზურში და თანაბრად ახასიათებს, როგორც სახელს, ასე ზმნას. მეტიც ითქმის, ზმნასთან ის უფროა ფორმის სახით დაკავშირებული ჩართულია შიგ ზმნაში, ვიდრე სახელთან. სახელს ის ჯერ-ჯერობით ასე არ შეხორცებია რომ ბრუნვა შეექმნა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ატრაქტორ-ლა“ და მსგავს ფორმათა არსებობა „ატრაქტორ-ლა“-ს პარალელურად და სანაცვლოდ გარკვეულ ნაბიჯს ამ მიმართულებით უკვე წარმოადგენს.

ზოგ შემთხვევაში -ლა სახელს ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის გარეშე ერთის. მაშინ. მეტ წილად. ზმნისართს ვიღებთ. მაგ., ჩაგნ-ლა' „დღისით: უოხგნ-ლა „ღამით“; ნაპჯ-ლა „ხელით“ საზოგადოდ (შდრ. ს-ნაპ-ა-ლა „ჩემი ხელით“ — „ჩემი-ხელი-მით“), შაპჯ-ლა „ფეხით“ საზოგადოდ (შდრ. სშაპ-ა-ლა „ჩემი ფეხით“ — „ჩემი-ფეხი-მით“).

თუ ასეთი ვითარება გავრცელდება სახელთან საერთოდ ყველა ფორმაში და იგი (ლა) მოსალოდნელია ანაღათან ჩამოშორდება ზმნას. მაშინ კიდევ შეგვეძლება მას ბრუნვა შევარქვათ.

2. პ. უსლარის მიხედვით აფხაზურში არსებობს ბრუნვა სათანაო (casus comitativus). აქ ბრუნვა-ცნება მეტისმეტად ფართოდაა გაგებული. ასეთი ბრუნვა არც სხვა ენებისთვისაა ბუნებრივი, არა თუ აფხაზურისათვის. მასში წარმოდგენილია ჩვეულებრივი კავშირი. ოღონდ მისთვის ისაა დამახასიათებელი. რომ ეს კავშირი კავშირში შეშავალ ყველა წევრს (სახელს) დაერთვის, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა აფხაზურ-ადიღუური ენებისათვის. კავშირად აფხაზურში გამოყენებულია სახელებთან ი (ი.ე.). „ჩემი დედა და ჩემი მამა“ იქნება: „ს-ან-ი ს-აბ-ი“.

არც ამ ფორმის მიჩნევა შეიძლება ბრუნვად.

3. პ. უსლარი. მისი გავლენით იგი მეშჩანინოვი და სხვები სახელებზე უქონლობის ბრუნვას (casus caritativus). იგი საუკეთესო შემთხვევაში სიტყვაწარმოებაა და მეტი არაფერი. არაერთაბს ურთიერთობას არც ჰმნის ეს წარმოება არც სახელისა სახელთან და არც სახელისა ზმნასთან. გარდა ამისა ისევე. როგორც ლა-ს შემთხვევაში, ეს „უქონლობის“ გამოწატკლა და-ც ცალკე გამოდის ხოლმე. მაგ., „აბ ზაწკ ი-და უოჯ ღგმაძამ“ „ერთად ერთი მამის გარდა არაინ ჰყავს მას (კ.)“; „იჩქა რგ-და დგხტარ-თამ“ — „უ-თავისცხენებოდ არ ვარგა ის (კ.)“ და სხვ.

სხვა ენებშიაც ცნობილია მსგავსი წარმოება. მაგრამ ის ბრუნვად არ გამოუყვიათ. მით უმეტეს. ამის შესაძლებლობა არ არის აფხაზურში.

ზემოხსენებულ ფორმებს თუ ბრუნვად ჩავთვლიდით, უბოლოოდ შეგვეძლო გაგვემრავლებინა ბრუნვათა რიცხვი. რატომ არ უნდა იყოს მაშინ ბრუნვა აპწას — „ბატონსაივით“, აფ ჰიჯსგგ „ქალიც“ და სხვ. მრავალი. პირიქით, ეს წას, -გვ უფრო ამჟღავნებენ — სახელის ფუძესე დართვის წესით — აფქსობას.

4. დასასრულ, ბრუნვის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ე. წ. გარდაქცევითი ან ვითარებითი ფორმა. მას, მართლაც გააჩნია გარკვეული აფიქსი (-ბ) და სახელზე დართვის წესითაც ჩვეულებრივ ბრუნვის ფლექსიას მიაგავს. მრავლობითსაც, საკმაოდ იშვიათად, მაგრამ ავლუტინაციურად აწარმოებს იგი, რაც სრულიად მოულოდნელი იყო სხვა ფორმათა

1 ამას უთუოდ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ზმნისართებთან საჭირო იყო კუთვნილებით ნაცვალსახელოვანი ელემენტად არა-ადამ. კლასის მხოლოდობითი რიცხვის ა- აფიქსი რომლის მოკვეცაც შემდეგ სიძნელესაღარ წარმოადგენდა, რის გამოც -ლა-ს უშუალოდ შეეძლო ფუძეს დაკავშირებოდა და ერთი ფორმა შეექმნა.

ქაზხევეამი. მას არავითარი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები არ სჭირდება. ვე ვადმოგვეცემს ქართული გარდაქცევითი ბრუნვის როგორობის. ვითა-
ვების შინაარსს:

აპა-ს¹ დყაღმეტ - „ბატონად, მთავრად, მფლობელად იქცა“
დემს-ს დყასწეტ - „ძმად გაიხადე-- დავიმობილე“
გჷაყრა-ს იმან - „მწუხარებად. დარდად ჰქონდა მას (კ.)“
აპ დეჯუაფხეტ ფჷგს-ს (-ბწით. ტუქსტ.) „ბატონს მოეწონა
საცოლედ“

უს-ს ისგმანი? (იქვე) „საქმედ რა მაქვს?“

აფატრ ლაბაქჷ ლაბა-ს იწჷ...(- იქვე) „რკინის ჯოხები ჯოხად
დაიჭირეს რა...“.

ქჷუნაქ... ხაა-ს იკვარ (იქვე) „ერთმა ბიჭმა... დარდად გაიხადა“
აბჷქ დმაწაადტ ფს.გ.ხ.ტა-ს დამოუზი-ჰა (იქვე) „ბიჭი შეეპო-
ნხა. საშველად რა აქვსო, ე. ი.: რა ეპველებო“ და სხვ.

საგლობითში:

ჰასა-სგ - „ცოლებად“ (პასა- ცოლები). - აფხ. ზღაპრ. 1937 წ.
გვ. 109.

აპტა-ს იჰმანი აბართ რაქს „ბატონებად, მთავრებად ვინც
გვყავდნენ ესენი იყვნენ“ და სხვ.

მის ბრუნვად მიწნეისას ის გარეწობა უფროდ მიიპყრობს ყურადღებას.
ამ ასეთი წარმოება მეტად შეზღუდულია საერთოდ. სახელის ზოგი კატე-
გორისათვის (მაგ. ნაცვალსახელები). იგი სრულიად უცნობია. ამ შინაარსის
ე. ი. გარდაქცევითობის) გამოსახატავად სხვა საშუალებებიც მოეპოვება აფხა-
ზურს (ის. ქვევით). ზმნას, თავის მხრივ. შეუძლია ნაწილობრივ იგივე გაგება
მოეცეს სათანადო (-ხა, -ტი) აფიქსების გამოყენებით.

წარმოშობით ეს ფორმა, რომელსაც ე. წ. გარდაქცევითი „ბრუნე-
ბლევა, ჩენი აზრით, არის აგრეთვე სიტყვაწარმოებითი მოვლენა და ისეთ-
ხვე მდგომარეობას უნდა გვიხატავდეს. როგორსაც აფხაზურისავე ინსტრუმენ-
ტალის ფორმა.

იგი ვითარების ანუ როგორობის შინაარსის მატარებელი უნდა
ყოფილიყო.

ვითარებას ამ ელემენტით, გვეგონია, დღესაც კი აფხაზურში ზმნაც
გადმოგვეცემს და სახელიც. ოღონდ მცირეოდენი ვადახრა შინაარსში გვაფიქ-
რებინებს. თითქოს იგი სრულიად დამოუკიდებელი სახელური ფორმის მაწარ-
მოებელი-ღა იყოს.

დღევანდელს გარდაქცევითს ფორმაში ამოსავალ შინაარსად „მსგავსი“-ს,
„ნაირი“-ს ცნება უნდა ვივარაუდოთ. „აბტ-ს დყაღმეტ“ -- „ძმად გაიხადა“
ნიშნავს, მაშასადამე, „მამ(ის) ნაირ ან უკეთ მამა-ნაირ (მამის ნაირად).
ვითამამა გაიხადა“ და ისეთივე სიტყვაწარმოება იქნებოდა. როგორცაა აფხა-

1 -ს-ს დართვა საბელზე იწვევს ხოგადობის ა- პრეფიქსის წამოშორებას (ეს ჩვეუ-
ლებრივ მოვლენაა აფხაზურში სახელის ფორმის ცვლისას). ამიტომ, თუ ასეთ შემთხვევაში ა-
სიტყვის თავში შენარჩუნებულ იქნა (მაგ. აპა-ს), ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფუძის კუთვნილ-
ეა და არა ხოგადი ფორმის პრეფიქსი.

ზურისავე აბ-წას, სადაც წას ქართ. წეს-ს უდრის და, „მამის წესზე“ ან „მამასავით“-ს ნიშნავს.

იგივე ელემენტი (-ს) უნდა გვხვდებოდეს ზმნაში ვითარების გაღწევისას (კითხვითა და რელატიურს ფორმებში), ოღონდ, საერთოდ, აფხაზური ენისათვის მას ამ შემთხვევაში შხ-ს სახე ახასიათებს:

კითხვით-ვითარებითი ფორმები ზმნისა:

- დღ-შხ-ფცყეა „იგი (აღამ.) როგორ (ვით, რანაირად) წაიღებ?“
- დღ-შხ-ფცყოუ - „იგი (აღამ.) როგორ (ვით, რანაირად) არის?“

რელატიურ-ვითარებითი ფორმები ზმნისა:

- დღ-შხ-ტყოუ — „როგორც (ვითაც, რანაირადაც) არის ის (აღამ.)“
- ი-შხ-ტდფო „ „ „ „ კამს იგი (კ.) მას (არა-აღამ.)“
- ი-შხ-ტზბო — „ „ „ „ ვხედავ მას (არა-აღამ.)“
- ი-შხ-ტყასწო — „ „ „ „ ვაკეთებ მას (არა-აღამ.)“

მართალია, ერთგვარ უხერხულობას ქმნის სახელთან ვითარების გამოხატველი -ს სუფიქსის ზმნის ვითარების გამოხატველ შხ-პრეფიქსთან დაკავშირება. მათი ფონეტიკურად განსხვავებული სახის გამო, მაგრამ ამ დაკავშირებაში უთუოდ გვშეველის ბზიფური დიალექტი, სადაც ხსენებული შხ-ს ნაცვლად ზმნაში ს-ს გარკვეული ვარიანტი ს- მოგვეპოება. ამ დიალექტში ზმნის ვითარების გამოხატველად ს-ც გვევლინება და მისი მქდერი ბგერინაცვალი ზ-ც.

მაგ.:

- დღ-ს-ტყაზ|დღ-ზ-ტყაზ — „როგორც (ვითაც, რანაირადაც) იყო იგი (აღამ.)“
- დღ-ს-ბატუა|დღ-ზ-ბატუა „ „ „ „ მიღის ის (აღამ.)“

ბზიფურში ამ შინაარსის უფრო ძველ მაწარმოებლად ჩვენ ს- მიგვჩინა და არა ზ-. ზ- კითხვით-ვითარებით ფორმებში მქდერი კითხვითი შხ-ელემენტის დართვით უნდა იყოს მიღებული იმავე ს-საგან და შემდეგ უნდა ვრცელდებოდეს თანდათან ვითარების რელატიურს ფორმებშიაც. მაშასადამე, ჯერ დღ-ს-ბატუა — დღ-ზ-ბატუა და ამის ანალოგიით დღ-ს-ტყაზ — დღ-ზ-ტყაზ.

რაც შეეხება თვით ამ ბზიფურ ს-სა და, აბუურ ან სხვა აფხაზური დიალექტების, შხ-ს ურთიერთობას, შეიძლება ვთქვათ, რომ სხვა კერძოულ შემთხვევებშიაც ამ შესატყვისობის ასეთი კანონზომიერება შეინიშნება: ბზიფ. ს აბუურში წარმოდგენილია მაგარი შხ-თი.

- მაგ.: ბზიფ. ასტსკამს აბუ. აშგშაკამს — „ჯიქველა“
- „ ასტქტს „ აშგქტს — „წელიწადი“ და სხვ.:

-ს-სა (აბტ-ს — „მამად“) და ს-ს (დღ-ს-ტყოუ — „იგი (აღამ.) როგორც არის“) იგივეობა ამ კონტექსტში მაინც დასამტკიცებელი რჩება. თანამედროვე

1 იხ. ავტორისავე, „ანგარიში სახატულო მივლინებისა აფხაზური ენის შესასწავლად ლიხნში“. — ენიმკის მოამბე 1937 წ. II, გვ. 290.

ქსერში (resp. ბზიფურ დიალექტში) ისინი სომ სრულიად განსხვავებულ წყნებს წარმოადგენენ. რაკი ძირითადად თითქოს ორივე ს-ა. ამიტომ ერთი იგივე უნდა იყოს, ვერ ვიტყვი. ეს უკვე ნიშნავს თავის თავად ურთულეს სუფიქსურ ბზიფურ ბგერათა ფორმაციის საკლავოზე პასუხის გაცემას. მაგრამ ქსერში შემთხვევაში მათი დაკავშირებისათვის სხვებზე დიალექტივე იძულება შესაძლებლობას.

თვით სახელთა წარმოებაში ბზიფურს დიალექტში მონაწილეობას იღებს ფორმ -ს, ისე -ს. სახელებში ვითარებითი ფორმისათვის იქაც მარტივი -ს გვხვება, მაგრამ ზოგს შეყინულს ზნისართულს წარმოებაში -ს-ც იჩენს თავს. უკლიად უდაოდ მიგვაჩნია, რომ ზნისართები უბ-გ-ს. უ-ს („ისე“): აბა-ს. ბ (-ასე“); აწყ-გ-ს („ნაცვლად“) იგივე ვითარებითი ფორმებია. ამაში უწყუნებს თვით ამ ზნისართების ფუძეთა აღნაგობა. შინაარსი და სხვა მათა მასალის ანალოგიური წარმოება. ამიტომაც მათს დეტალურად განვიხილეთ აქ აღარ შევეუდგებით.

მათ გვერდით რამდენიმე ზნისართი. ასეთივე წარმოებისა ჩვენი აზრით. ახლე ბზიფურში გვხვდება, მხოლოდ და მხოლოდ -ს-თი გაფორმებული (აბტუ-ში ყველგან მხოლოდ -ს-ა). იგივე ვითარებითი ფორმაა, ალბათ, ზნისართი ა-ს „მერმე“, „შემდეგ“ (უკეთ: „შემდგომად“), რომელიც ბზიფურს დიალექტშიაც ამ სახითაა და რომელიც უნდა იშლებოდეს ნა-დ და ს-დ. ნა- მიმართულების აღმნიშვნელი ელემენტია შინაარსით „იქით“. რომელიც ჩვეულებრივ წინდებულადაა გამოყენებული ზმნებში (შდრ. ა-ნა-გარა „იქით მიქნა“ და სხვ.), ხოლო -ს არის ვითარების გადმომცემი. მაშ, ნა-ს=„იქითად“ → „შემდეგ“, „მერმე“ (შდრ. ასევე ზნისართები: ა-ნა-ს-გ-ს „შემდეგ“ „გარდა“; ა-ნა-გ-ს „შემდეგ“...).

ასევე უნდა იშლებოდეს ზნისართი ფასა „უწინ“. „პირველად“. „აღრე“. აქ ფა- აფხაზურ-ადილფურის ზიარი ძირია საერთოდ წინა-ს გამომტყელი (მომდინარე „ცხვირ“. სიტყვიდან). -სა კი იგივე ვითარებითობის უწყისა გახმონებულად წარმოდგენილი.

შინაარსის ერთიანობისა და ფუნქციითა სრული დამთხვევის პირობებში გვეიძლია, მამასადამე, ეს სახეობები (ს და ს) ერთმანეთს დაუუკავშიროთ.

ვითარებითობის კატეგორიის გამომხატველობითი ძალა აფხაზურში მთარ ამოიწურება. არის ნიშნები ვიფიქროთ, რომ იგი გაცილებით უფრო ერთოდ უნდა იყოს აფხაზურ ზმნაში გამოყენებული, ვიდრე ეს დღეს ერთი შეხედვით გვეჩვენება.

ზმნებში გვხვდება იშვიათი წარმოება -ს-თი, რომელიც თითქოს დროის წარმოებას მიჰყვება, მაგრამ რომელსაც თვით დროის წარმოებასთან არაფერი კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ეს წარმოება გვაძლევს თავისებურ საგარე-სებო ფორმას, ამ უკანასკნელის ორად-ორი შემთხვევა მოიპოვება ჩვენ მიერ შერილს ბზიფურს ტექსტებში:

...ანცია დეკას რუმდერტა იფაგანგ იყალაგდტ“— „ღმერთი რომ არის (თუ რომ იყო?) [ამის] არ ცოდნით (არ შეგნებით) მედიდურაჲ ყოყრაღ განდნენ“¹. ე. ი. „ღმერთი რომ არსებობს, ამას ანგარიში არ გაუწი და გამედიდურდნენ“.

„ბუმჰოტუტ ცირჩა იბსაგზ! -იჰიან -„ურაბ ურეჲ უსეჲუბჲუამა? არბ სარა სეჲ- უჰ-ჰია დალჰაგდტ“— ილსაგზხნ დგებახსა-ს ლეგჲრანანამგდტ—... ნას დსჲ- ბაზ ლდერტ“— „შენი ხის სამოსი (ტანსაცემელი) გაიხადეო. მას (ქალს) უთხრა.—შენ შენს ხორცს იხდი? ეს ჩემი ხორციო, უთხრა ქალმა—გადილი რომ-უკვე- დაენახა მას (ქ.) მან (ქ.) არც კი იცოდა—... შედეგ რომ (როგორც) დაენახა მას (ქ.) გაიგო მან (ქ.)“.

ორსავე ამ შემთხვევაში შეგვეძლო და უნდა გამოგვეყენებინა კიდევ საგარემოებო ფორმები,—საგარემოებო ფორმები სწორედ ვითარებისა, ოღონდ აქ უკვე ვითარების გამომხატველი ელემენტი შხ- resp. ს პრეფიქსად მოგველინებოდა. იქნებოდა: „ანცია დესჲყაზ || დეშეჲყაზ...“ და „ილსაგზხნ დესჲგზა- აზ || დეშეგზაზაზ...“ და შინაარსითაც სრულიად იმასვე მივიღებდით, რაც ნვიღეთ წინა გამოთქმაში.

ფექტობთ, რომ აქაც -ს იგივე ვითარების გამომხატველი ელემენტი: ოღონდ სუფიქსად მოქცეული და დროის რაიმე ნიშანთან საქმე არა გვაქვს. ზმნა ასეთი წარმოებით გვაძლევს საგარემოებო ფორმის ან აბსოლუტივის გაგებას. აბსოლუტივის შინაარსის მიღება ამ ფორმისაგან სრულიად რეალურ შესაძლებლობაა. ამის ილუსტრაცია ამავე ენის სხვა მასალაზე და სხვა ენა მასალაზედაც შეიძლება მოვახდინოთ¹.

თუ აქ წამოყენებული ახსნა დეკას, დგებახსას ფორმებისა სწორია, პრინციპული მნიშვნელობა შეიძლება მიენიქოს მას სხვა მაწარმოებლების, რომლებიც დროის მაწარმოებლებად არიან მიჩნეული, ახსნისა და გენეზისის საკითხში. ზოგ მათგანს ასევე სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ გარკვეულს ფორმასთან ფიქსაციით თითქოს დროის ფორმანტად ჩამოყალიბდა.

ვითარებით-გარდაქცევით ფორმასთან დაკავშირებით საყურადღებო ჩვენებას ვაწყდებით აბაზურში (უფრო ზუსტად: ტაპანთურში). ბრუნების მხრივ იქვე თითქმის იგივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო რაც საერთოდ აფხაზურში². განსხვავებული ჩანს გარდაქცევითი ფორმის მაწარმოებელი. -ს-ს ნაცვლად იქ გამოდის -თა³ სუფიქსი. იგივე -თა აბსოლუტივის მაწარმოებელია ზმნებზე. აწარმოებს ზმნისარტებს და გამოყენებულია აგრეთვე და კავშირისათვის ზმნებთან.

¹ შდრ. ასეთივე მორფოლოგიური მონაცემი — „ჲა ადიღურს ენებში სახელისა და ზმნის კატეგორიებში. იხ. გ. როგავა, „ქვემო-ადიღურის ბრუნებისათვის“. —ენიქის მოამბე, ტ. IV.

² დაწერილებით ამის შესახებ—ცალკე.

³ პარალელურად გვხვდება -შეთა-ც.

მაგ.:

„აჲ, ყალა-თა ირფა! (ტაპანთური ტექსტები) ..ღმერთო. ციხედ ქენი!“
 „სარა აშა-თა უსაფიტ — .. „ „ „ნე შენ (კ.) ძმად გაგინდი“
 „არტახაგე რუქტპირ-მაცაქტა იცქა-თა დაჭარანახტ“ (იქვე) — „კვლავ (მათი)
 თაეიანთი კურკელი სუფთად დახვდათ“.
 „ცა-გუფუგე აციტონ და ც-თა იძუქტულტ“ (—იქვე) — „მხედრების ჯგუფიც ეტლს
 ახლდა რა, გაემართა“
 „საგ-თა (იქვე) „ჩქარა-|დ|“ ..მალიად“ და სხე.

მართალია. ტაპანთურს -თა აქვს სახელებთან. ზმნისართებთან და ზმნებ-
 ..მაც (აბსოლუტურში) გამოყენებული. მაგრამ აქა-იქ რამდენსამე ზმნისართში
 ტაპანთურშიც შემორჩენილა -ს-ც. უკეთ, მისი ხმოვნიანი სახეობა -სა. ზმნი-
 ..ართი „ასე“, „ამგვარად“ იქ იქნება: „არა-სა“ (შდრ. აფხ. აბა-ს, ა-ს).
 „ანა-სა“ (შდრ. აფხ. ან-ს); „ისე“. „იმგვარად“ „აჲა-სა“. ამ ზმნისართების
 ..ქანაირი წარმოება არც უხერხდება აბაზურს.

თავისი -თა-ს ფუნქციებით ტაპანთური უფრო მისდევს თითქმის იმავე
 ..წარსის -ნ-თი წარმოებას აფხაზურისას. -ს-ს გვერდით აფხაზურშივე გამოვ-
 ..ლდება -ნ(ღ). მაგ.:

„ აპცა-ნჯ იყალაფეტ“ ..ბატონებად იქცნენ“
 „ნმბაცუზ წესყლაჲ იბეღტ აბჟა-ს-ნჯ. აბჟა-რა-ს-ნჯ“ ბზიფ.
 ტექსტ. — „ჯერ რომ არ ენახა ჩიტი რამ ნახა, ნახეარი ოქროდ.
 ნახეარი ვერცხლად [იყო]“.

თუმცა ამისათვის უფრო დამახასიათებელია პირიან ანუ გაზმნურებულ
 ..წარმებთან გამოყენება:

და აპქსთა-ნჯ დეკალაჲეტ ..იგი (აღანი.) თავად იშვილად იქცა,
 გახდა“
 დეზუქტოლუ უჩიჯრცარშავა-ნჯ უჩიარბუ? (ბზიფ. ტექსტ.) ..იგი
 (აღანი.) რაზედაც ზის (მას) შენი-თავი ის აფრთხობელად აჩვენე!“
 იბზიანჯ „კარგად“ ის (რალაც)“
 იხარა-ნჯ „შორს ის (რალაც)“
 იპსაქტა აძაბუტ იხარა-ნჯ დტან. აფუბუტ— იშაპა-ნჯ (—ბზიფ. ტექსტ.)
 „უფროსი მისი ცოლი თავთან იჯდა. უმცროსი ფეხთან“.

ზმნისართებში:

უშთან — „შემდეგ“
 აშეჟემთან — „დილით“ და სხე.

აფხაზურს სიტყვაწარმოებაში -ნ-ს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. იგი
 ..გვხვდება დროისა და ადგილის ზმნისართებში. მხარეთა სახელებში, კომპო-

ზიტებში. რიცხვათა სახელებში და სხვ. იგი სპეციალურს ძიებას მოითხოვს და აქ მას ვერ შევხვებით.

წარმოდგენილი შედარებითი მასალის საფუძველზე. ე. წ. გარდაქცევა: ბრუნვაც, თავისი წარმოშობით, სიტყვაწარმოებითი ხასიათისა უნდა იყოს.

ე. დ. ა. მ. ე. ი. ლ. ს. აქ განხილულ ე. წ. ბრუნვათა გარდა ყველა თანდებულიანი აფხაზური ფორმა ბრუნების თავში აქვს მოქცეული. თუმცა მან ბრუნვად მონათვლას მაინც ერიდება¹.

ასევე ნ. მ. ა. რ. -ზე „თვის“ თანდებულს მიიჩნევს (აზ - სახეობათ). ქ. ლ.) ქართების მიცენითი ბრუნვის გამქვრებულ სახეობად და შინაარსითაც ამავე ბრუნვის გადმომცემად.

მასვე -ტა თანდებული, „სარა სეკნ ტა“ „ჩემგან“ გამოთქმაში, მიაჩნია იაფეტური მოქმედებითი ბრუნვისა და (ზოგ შემთხვევაში) მიმართულებითი (направительный) ბრუნვის ნიშნიდან მომდინარედ².

-ზ („თვის“ გამომატველ) თანდებულს ისევე არ დაერქმის ბრუნვა, როგორც, ვთქვათ, ინსტრუმენტალისს. ისიც (და სხვა თანდებულებიც, საერთოდ) ცალკე ნაცვალსახელოვანი ნაწილაკებითაა გაფორმებული. მაგ., „აძღაბ ლჩქ იპაქტ“ — „ქალიშვილისთვის თქვა“ — „ქალიშვილ მისთვის (ქნისად) თქვა: „სარა სეკნ დააგაქტ“ — „ჩემთვის მოიტანა“ — „მე მე-სთვის მოიტანა“ და სხვ. იგი ამავე წესით ჩართულია ზმნაშიაც. მოყვანილი ფრაზები აქ სახეთაც გამოითქმის: „აძღაბ ი-ლ-ზ-ჭაქტ“ — „ქალიშვილი ის-(რადაც)- მის-თვის-მან -(კაც.)-თქვა“; „სარა ი-ს-ზ-ააგაქტ“ „მე ის-(რადაც)- მე-სთვის-მან-(კაც.)-მოიტანა“ — „მომიტანა“ და სხვ. ზმნაში ზ-ს გამოყენებას ქვეყნბრი შინაარსის შექმნა შეუძლია.

ზმნასთანვე დაკავშირებული გვხვდება -ტა-ც. არის „სარა სეკნ ტა“ — „ჩემგან“ — „მე ჩემ-კენ-ით“ (აქაც იგი ცალკე ნაწილაკია და არა ბრუნვის ნიშანი). მაგრამ იმავე ქართ. -გან თანდებულის მნიშვნელობით იქნება ზმნაში: „ს-აბან-ტა-აა ტეჟე?“ — „საიღან-მოვდივარ?“ (მღრ. სათანადო შემთხვევები ქართულში). მისი მომდინარეობა იაფეტური -თე ბრუნვის ნიშნიდან ძნელი დასაჯერებელია. ტა-ს სრულიად ნათელი ეტიმოლოგია მოეპოვება აფხაზურისავე ნიადაგზე, იგი კუთვნილებას აღნიშნავს, კუთვნილებითობიდანვე მომდინარეობს შემდეგ ქართ. -გან — თანდებულისებრი შინაარსიც.

საერთოდ კი, თანდებულები აფხაზურში სახელებს შეიძლება ერთვოდნენ და შეიძლება არც ერთვოდნენ. მაგ.:

- | | | |
|------------------------------------|---|--|
| ა ბ ნ ა ა მ შ ი ზ ბ ტ ე ტ | } | -ტყეში დათვი ვნახე ³ |
| და ა ბ ნ ა - ყ ა ა მ შ ი ზ ბ ტ ე ტ | | |
| ა ვ ნ ჯ დ ტ ე მ ტ | } | -იგი (აღამ.) შინ (სახლში) წაიქადა ⁴ . |
| და ა ვ ნ ჯ - ყ ა დ ტ ე მ ტ | | |
- და სხვ.

¹ იხ. მისი, Etudes comparatives sur les langues caucasiennes du Nord-ouest. Morphologie. Paris, 1932. გვ. 41—82.

² იხ. მისი, „К вопросу о полиморфизме афхазск. языка...“ § 6.

უფრო ძველია, ჩუენი აზრით. ის მდევრომარცობა. როცა სახელები უთანდევლოდ იხმარება. თანდებულები ჩანს. რომ ახალი შენაზარდია სახელებთან. თანდებულებს ხომ უმთავრესად მიზართულების გამოხატვა ეკისრებათ და თანადო შინაარსის გადმოცემას აფხაზურში თვით ზნა ასერხებს. სრულიად მოსალოდნელი იქნებოდა. თუ ისინი სახელებს არ დაერთოდნენ. რომ ავილოთ გამოთქმები: „აწლა სა-წი-ტაოუპ“ „ხის წინ-ქვეწ“ „ვხივარ“ „ხე მე-მის-წინ-ქვეწვივარ“ და „აწლა სე-ქე-ტაოუპ“ „აწლა ვივარ“ „ხე მე-წვე-ვივარ“ ზად უნდა დასკირებოდა აქ სახელს („ხე“) თანდებულები. როცა ისინი ზნაში უკვე იღვენ მოცემულნი? ასეთივე მსჯელობა შეგვეძლო სხვა თანდებულებზედაც განგვეცო.

განხილული მასალის მიხედვით ვაზნვეთ. რომ აფხაზურში თანდებულებას და ე. წ. ბრუნვის ნიშნების კავშირი სახელთან ან სუსტი ან სულ არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ აფხაზური და. საერთოდ. აფხაზურ-ადილეური ზნა ზნის პოლისინთეზურ ბუნებასთან არის დაკავშირებული სახელთა ესოფენი სიღარიბე.

დღეს უკვე უჩნდება აფხაზურს ცენტრული სახელებში ბრუნვითი ფლექსის ჩამოყალიბებისა. ასე. მაგ. ნათესაობითისათვის გზას იკვლევს -**ც** (გამოთქმებში „აფხაზ-ც ასსრ“ -აფხაზეთის ავტ. სოციალისტ. საბჭ. რესპ.“ და სხვ.). ნათესაობითისათვის -**ზ**. არა ისე შორეულ მომენტში მოსალოდნელია აფხაზურში ბრუნვები განივითაროს. ყველაზე ადრე ბრუნვად ქცევა ვარდატყვეთ-ვითარებითა ფორმამ მოასწრო. სიტყვაწარმოებისა შინაარსის ფორმები უფრო ადრე მოახერხებენ ამას. ვიდრე პარითადი სინტაქსური ურთიერთობის შექმნილი ბრუნვები. მის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს მოქმედებითი. მიმართულებითი. აბლატივი. ვარკვეული ვიწრო მნიშვნელობით: ნათესაობითი და მიმართითი, რამდენადაც ზმნაში პირთა განრიგებასე არ იქნებოდა ისინი დამოკიდებულნი, ხოლო ყველაზე გვიან—მოთხოვნიითი და სახელობითი. ამ უკანასკნელთა ჩამოყალიბება უკვე მომასწავებელი იქნება აფხაზურ სინტაქსში ძირეული ცვლილებასა.

ერთი, შედარებით უფრო ბრუნვის სახით ჩამოყალიბებულს, ვითარებით-ვარდატყვეთი ფორმის არსებობით—მისი გენეზისისა და ზნურ წარმოებასთან შეხედვლის მიუხედავად რომ ვიმსჯელოთ არ შეგვიძლია ბრუნვების სისტემის არსებობა დავუშვათ აფხაზური სახელის განვითარების თანამედროვე საფეხურისთვისაც კი.

К. В. ЛОМТАТИДZE

ПРОБЛЕМА СКЛОНЕНИЯ В АБХАЗСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

Характерные для кавказских языков падежи, создающие основные синтаксические отношения, — именительный, родительный, дательный, повествовательный или эргативный, — не встречаются в абхазском языке.

Синтаксическое взаимоотношение, связанное с соответствующими падежами (за исключением родительного), в нем выражено в глаголе при помощи разных видов личных показателей и их порядка.

В функции родительного падежа выступают местоименные префиксы.

Абхазский, как типичный кавказский язык, не имеет надобности в винительном падеже; и мы не должны были ожидать в нем такого падежа.

Отмечают в абхазском языке наличие следующих падежей: *Caritivus*, *Comitativus*, *Instrumentalis* и *Factitivus*.

Caritivus ხა-ღа ха-да „без хлеба“ и *Comitativus* (საბჟ-ა სარჩ-ა sabəy sarč-y „я и мой отец [- и]“) нельзя считать падежами. *Caritivus* относится к области словообразования, а *Comitativus* выражает союз „и“. Если всякий именной аффикс квалифицировать, как падежную форму, то мы будем вынуждены изменить само понятие падежа.

Орудийного падежа (*Instrumentalis*) также нет в абхазском языке.

В нем встречается только категория, выражающая орудивность, которая, мы бы сказали, более тесно связана с глаголом, чем — с именем. Частица ლა la, выражающая эту категорию, с именем редко встречается; она даже воспринимается, как отдельное слово (напр., აჩქუა რკლა დეჟა აჭკვა რა la dceyt — „он (человек) поехал на лошадях“ — „лошадю или он (человек) поехал“ — в то время, как в глаголе она дается, как единая форма (ср. აჩქუა დ-რ-ლა-დეჟა აჭკვა d-rə-la-dceyt „лошадю он-(человек)-ими-поехал“). Аффикс этот еще не слился с именем, как, напр., то имеет место в парениях: ხე-ღა ჳა-la „лошадью“, т. е. „верхом“, ხე-ღა პარა-la „рукой“; ხე-ღ-ლა ჳა-la „днем“.

По своему типу образования падежный характер носит единственная обстоятельственная форма имени (*Factitivus*) — с аффиксом -ბ(ა)-s(a), — которая по своему происхождению относится к области словообразования и исходным значением которой надо считать „обстоятельность“.

В этом понимании этот аффикс -ბ -s, должно быть, увязывается с обстоятельственным элементом в глаголе — -შა- ჳ- диалект, и ბ-შ- [ср. ი-შა-ღ-ყო|ი-ბ-ღყო i-sə-ə-əqo|i-s-əqo „так, как он (иногда) есть“]. В виде

b s, — как это имеется и в именах —, нам кажется, он выступает в определенных глагольных формах, как напр., დჟუა-b დეა-s „он (чел.) что был“ — „он (чел.) так, как был“.

Вместо -b -s в тапантском диал. выступает -თა -ta с более расширенной функцией, хотя в единичных наречиях (adverb.) и в тапантском диал. появляется -ბა (ср. აბა-ბა აგა-sa „так“, „таким образом“; აჭა-ბა ღა-sa „сяк“...).

Отсутствие падежей в абхазском языке вызывается тем, что соответствующие функции выполняются аффиксами (частичами), чрезмерно богато представленными в абхазских глаголах.

შოთა მაჭრინდაშვილი

დარგული ენის წუდაკარული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი*

(აულ ზოგალ-მაქის მეტყველების მასალათა მიხედვით)

დარგული ენა დიალექტოლოგიურად თითქმის შეუსწავლელია. განსაკუთრებით მცირეა ცნობები წუდაკარული კილოს შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ამ დიალექტის ფონეტიკურ თავისებურებათა წარმოდგენა აულ ზოგალ-მაქის მეტყველების მონაცემთა საფუძველზე (ამ აულის მეტყველება ძირითადად წარმოგვიდგენს წუდაკარული ტიპის დიალექტების ფონეტიკურ ვითარებას).

1. დარგულის დიალექტებად დაყოფის ჩენი სავარაუდო სქემა ითვალისწინებს სამს ტიპს: ჰურაკულისა, აკუშურისა და წუდაკარულისას. პირველი ტიპის კილოები საკმაოდ შესწავლილია (უსლარი, ყირკოვი, ბიხოვსკაია). მეორე—სალიტერატურო დარგულს უდევს საფუძვლად და ამ მხრივ მკვლევართა უფრო ფართო წრისათვისაა ხელმისაწვდომი; მესამეზე კი მეტად მცირე მასალები მოიპოვება (ფოლკლორული ხასიათის ჩანაწერების, პიესებისა და ლექსების კრებულის სახით).

შურაკულის ტიპის დიალექტებს შემდეგი ძირითადი ფონეტიკური ნიშნები ახასიათებს:

- ა) მუღერი აფრიკატების ძ და ჯ-ს მქონებლობა,
- ბ) ვი „შლადის“ (шладис) წარმოდგენა სხვა დიალექტების წყვილბაგისმიერ მუღერ ხშულ-მსკდომ ბ-ს ადგილას,
- გ) უკანაენისმიერი თანხმოვნების ლაბიალიზაცია,
- დ) დიფთონგების გაუმარტივებლად შემონახვა,
- ე) უკანაენისმიერ თანხმოვანთა პალატალიზაცია.

აკუშურის ტიპის დიალექტები, სალიტერატურო დარგულთან ერთად, შურაკულის ტიპის კილოებს რიგი ნიშნებით უპირისპირდებიან; ესაა:

- ა) მუღერი აფრიკატების ძ და ჯ-ს უქონლობა,
- ბ) ვი „შლადის“ (шладис) ნაცვლად ბ-ს (წყვილბაგისმიერი მუღერი ხშულ-მსკდომის) მქონებლობა.

* ესაა დასკვნითი დებულებები მონოგრაფიისა (საკანდიდატო დისერტაციისა), რომელიც ცალკე გამოქვეყნდება. — მოამბის რედაქციამ საკუროდ დაინახა ეს დასკვნები ხელმისაწვდომი გაეხადა კავასიური ენების სპეციალისტებისათვის.

გ) უკანაენისმიერ თანხმოდანთა დელაპიალიზაცია.

დ) დიფთონგების გამარტივება.

ე) უკანაენისმიერ თანხმოდანთა ხუსტად წარმოდგენილი პალატალიზაცია.

ამიტომ ჰურაკულისა და აკუშურის ტიპის დიალექტების ერთ ჯგუფად გაერთიანება, როგორც ეს ს. ბიხოვსკაიას აქვს მოცემული, უმართებულად მიგვაჩნია.

2. აულ ხოყალ-მაქის მეტყველება (ესპ. წუღაჯარულის ტიპის დიალექტები) დარგული ენის დანარჩენი კილოებისაგან (ჰურაკული, აკუშური) შედეგი ნიშნებით განსხვავდება:

ა) აქვს გემინატები.

ბ) ადგილი აქვს უკანაენისმიერ ხშულ-მსკდომთა პალატალიზაციას სრულ გააფრიატებამდე.

გ) ჩვეულებრივი მოვლენაა ვიწრო ხმოვანთა წინ თანხმოდანთა წარმოების ადგილის წინ გადაწევა,

დ) ვიბრანტთა ერთად თავმოყრის შემთხვევებში დისიმილაციას აქვს ადგილი.

ე) ჰურაკულისა და აკუშურის წ-ს ადგილას წარმოდგენილია უკანაენისმიერი თანხმოვნები.

ვ) აქვს ყელიანი მჟღერი ჯ სპირანტი.

ზ) ინფინიტის დაბოლოებად -ჴ მოუღის ნაცვლად სხვა ტიპების დიალექტთა -ხ-სი.

თ) მეშველი ჴმნა საადა („ვარ“) დ-ონიანი ფორმანტითაა ნაწარმოები; ჰურაკულსა და აკუშურში (აგრეთვე სალიტერატურო დარგულში) ეს ჴმნა რ-იანი ფორმას მქონეა (საჯარა- „ვარ“).

3. აულ ხოყალ-მაქის მეტყველებაში დადასტურებულია ფ, თ, ც, ჯ, კ, ს, შ, ქ, წ გემინატები. პირველი ექვსი --ხშულმსკდომებია, დანარჩენი კი --სპირანტები. სპირანტი გემინატები მარტივი ფშვინიერი „შესატყვისება“-გაორმაგებულ სახეებს წარმოადგენენ, ხშულმსკდომი კი ფშვინიერობის კოფიციენტის მიხედვით დაბლა დგანან „შესატყვის“ ფშვინიერ მარტივ თანხმოვნებზე. ზოგი მათგანი (ფ, თ) მეტად უახლოვდება მკვეთრებს.

ამ ბგერების განხილვა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იმ ენათა (მაგ. ლაკურის) გემინატები, რომლებიც დღეს ნახევარაბრუპტივებს წარმოადგენენ, წინათ ფშვინიერები ყოფილან. მკვლერთა გემინაციის შედეგად ნახევრად მკვეთრთა და მკვეთრთა მიღება აულ ხოყალ-მაქის (წუღაჯარულ) მეტყველებაში დადასტურებული პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს: მჟღერი -- ფშვინიერი გემინატი -- ნახევარაბრუპტივი გემინატი -- მკვეთრი.

ჰურაკულისა და სერგო-ყალღურის, აგრეთვე სალიტერატურო დარგულის (აკუშურის) კჲ, ტჲ და სხვ. თანხმოვნები არ წარმოადგენენ გემინატებს; ისინი ინტენსიური წარმოების მკვეთრი ხიჯდობია.

გემინატები დარგულის მხოლოდ წუდაკარულის ტიპის დიალექტებს სსათებს, იმ დიალექტებს, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან ხუნძურსა და ლაქურს ენობრივ საშუალოს. ამ ენების დარგულზე გავლენა მეტად თვალსაჩინო ფაქტია, რაც კითხვის ბადებს: ხომ არაა გემინაციის პროცესი დარგულში ხუნძურისა და ლაქურის მასზე გავლენის შედეგად მიღებული?

4. უკანაენისმიერი თანხმოვნები კ, ქ, კ̄ ვიწრო ხმოვანთა წინ—პალატალიზაციის ნიადაგზე—ენა-ნუნისმიერ აფრიკატებად იქცევიან ხოლმე: კ—ქ; ქ—ჩ; კ̄—ჩ̄. მოსალოდნელი გ—ჯ პროცესი არა გვაქვს, რადგან წუდაკარულს აფრიკატი არ გააჩნია. ხოლო გ კი, ჩვეულებრივ, კ̄-ს სახითაა წარმოდგენილი.

5. ამავე პალატალიზაციის ნიადაგზე ადგილი აქვს თანხმოვანთა წარჩების ადგილის წინ გადაწევისაც: (გ >) გ'—ფ; ქ'—შ; კ̄'—შ̄. ანალოგიური პროცესი, ნაკლები რელიეფურობით, ჰურაჯულის ტიპის დიალექტებშიაც შეინიშნება. იქ გ—გ', ქ—ქ. ქ'—შ პროცესს ჰურაჯულის ნიადაგზე ვერ აეხსნათ, მსგავსი ფორმები ამ უკანასკნელს წუდაკარულის ტიპის დიალექტებში უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

6. ჰურაჯულისა და აკუშურის ე თანხმოვნის ადგილას (მიგ—'ყინული', ჩე—'რძე', აჭყალ—'ოთხი', ირცტიხ—'ამომშობა', 'ამოშრობა'. იყის—'ყოფნა' და სხვ.) აულ ხოვალ-მაქის მეტყველება გ, ხ, ლ უკანაენისმიერ თანხმოვნებს გვიჩვენებს (მიგ—'ყინული', ნიგ—'რძე', აჭლალ—'ოთხი', ერლტიზ—'ამომშობა', 'ამომშობა', იხტიზ—'ყოფნა' და სხ.). ე ყელისმიერი მკვეთრი ამ უკანაენისმიერი თანხმოვნების რეფლექსია.

7. აულ ხოვალ-მაქის მეტყველებაში ვიბრანტთა თავმოყრისას დისიმილაციას აქვს ადგილი: რრ—ნრ—ნრ'. ამ მხრივ წუდაკარული ემიჯნება დარგული ენის დანარჩენ დიალექტებს (სადაც რრ კომპლექსი ჩვეულებრივია), მაგრამ უახლოვდება ლაქურს ენაში წარმოდგენილ ვითარებას: რრ—რდ.

8. ფონეტიკური პროცესები სახელთა ბრუნებისას წუდაკარულში გაცილებით უფრო მარტივია, ვინემ ჰურაჯულში ან აკუშურში, სადაც ფორმანტისეულ ნ-, ლ-ს ფუძის. -ნ, -ლ დაბოლოებაზე დართვისას ნნ—0 და ლლ—0. ნნ—0 და ლლ—0 პროცესი წუდაკარულისათვის უცხოა, ამიტომ ბრუნვათა ხსტემა ამ ტიპის დიალექტებში გამკვირვალედაა წარმოდგენილი.

9. ინფინიტივისა და მიცემითი ბრუნვის ფორმები წუდაკარულში (აულ ხოვალ-მაქის მონაცემების მიხედვით) უ-ანიანია და არა ს-ანიანი, როგორც ეს ჰურაჯულისა და აკუშურის ტიპის დიალექტებში და ხალიტერაჯურო დარგულშია. წუდაკარული, ამ მხრივ, უქერს მხარს ხუნძურს, სადაც ინფინიტი-

ვის დ — *ძ — ზ (არნ. ჩიქობავა). სალიტერატურო დარგულისა და ჰურაკულ-აკუშურის ტიპის დიალექტების -ს -ზ-ს დაყრუებითა მიღებული: *დ — *ძ — ზ — ს.

10. ზოგი ნაცვალსახელის მიცემითის -ბ ფორმანტით (ნიშბ 'HAM'; ჰუშბ — 'BAM'; დამ<*დაბ — 'MHE') წუდაკარული ამ ბრუნვაში -მ ფორმანტის მქონე ჰურაკულის ტიპის დიალექტებს უპირისპირდება (ნუშიმ — 'HAM'; ჰუშიმ — 'BAM'; დამ — 'MHE').

11. დარგულის სხვა დიალექტებისგან განსხვავებით წუდაკარულს აქვს უელისმიერი სპირანტი ჰ, რომელიც დანარჩენი კილოების უელისმიერი ფშვინვიერის —ჰი-ს მულერი სახეობაა.

12. სიტყვის განაპირას მულერ ხშულთა დაყრუების შემთხვევები (გ — ქ; ბ — ფ; დ — თ) ექვის ქვეშ აუენებენ, როგორც წუდაკარულის, ისე მთლიანად დარგულის მულერ ხშულ-მსკლომ თანხმოდანთა წმინდა მულერობის-საკითხს.

13. გრძელი ხმოვნების ქონა არ არის დამახასიათებელი არც წუდაკარულისა და არც დარგულის სხვა კილოებისათვის; აქ ხმოვანთა სიგრძე მხოლოდ ფონეტიკური პროცესების შედეგად მიიღება.

14. ყოფნა-ზმნა, რომელიც დამხმარე ზმნის მოვალეობას ასრულებს მთელს დარგულში, წუდაკარულში საადა (ვარ) ფორმითაა წარმოდგენილი ნაცვალ სხვა დიალექტების საარა-სი (ვარ).

15. აულ ხოვალ-შაქის მეთველებში ხაზგასმითაა წარმოდგენილი ინდიფერენტული ხმოვანი; იგი ხშირად გვევლინება სხვა დიალექტების უდა-ის ადგილას.

16. წუდაკარული დანარჩენი ტიპების დიალექტებთან შედარებით თანხმოდანთა უფრო მდიდარი სისტემის მქონეა. იგი ჰურაკულისა და აკუშურის ტიპის დიალექტების ხშულ-მსკლომთა სამეულებს და სპირანტთა წყვილებს თავის წიაღში ხშულ-მსკლომთა ოთხეულებსა და სპირანტთა სამეულებს უპირისპირებს.

საწარმოთქმო აღვლი	ჭუაკულის ტიპის დიალექტები			აუშურის ტიპის დიალექტები			წუდაკარულის ტიპის დიალექტები				წარმოების გეარობა	
	სამეულები			სამეულები			ოთხეულები					
	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ	სყნისმეგმ		სყნისმეგმ
ბაგეები	კო	მ, ჰ	მ, ჰ	ბ	მ, ჰ	მ, ჰ	ბ	მ, ჰ	ბ	მ, ჰ	მ, ჰ	} ხშულ-მსკედლო- პი სპირანტი
წინა ენა—კბი- ლები .	ღ ძ ზ	— — —	— — —	ღ — ზ	— — —	— — —	ღ — ზ	— — —	— — —	— — —	— — —	
წინა ენა—ნუ- ნები .	ჯ ე	ლ, რ, ნ	ლ, რ, ნ	— ე	— — —	— — —	— ე	— — —	— ე	ლ, რ, ნ	ლ, რ, ნ	} ხშულ-მსკედლო- პი სპირანტი
ენა—რბილი- სასი	ბ ღ გ	— — —	— — —	ბ ღ გ	— — —	— — —	ბ ღ გ	— — —	— — —	— — —	— — —	
ენის ძირი— ხახა .	ვ —	— — —	— — —	ვ —	— — —	— — —	ვ —	— — —	ვ —	ა	ა	} ხშულ-მსკედლო- პი სპირანტი
ხორხი	— —	— — —	— — —	— —	— — —	— — —	— —	— — —	— —	— — —	— — —	

Ш. Г. ГАПРИНДАШВИЛИ

ФОНЕТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ЦУДАХАРСКОГО ДИАЛЕКТА ДАРГИНСКОГО ЯЗЫКА

(ТЕЗИСЫ КАНДИДАТСКОЙ ДИССЕРТАЦИИ)*

Даргинский язык диалектологически почти не изучен. Особенно мало сведений по цудахарскому диалекту. Цель диссертационной работы—представить фонетические особенности этого диалекта по данным речи аула *Ходжал-Махи* (Речь этого аула в основном выявляет фонетические особенности типа цудахарских диалектов).

1. По предварительной схеме мы предполагаем наличие диалектов трех типов даргинского языка: урахинского, акушинского и цудахарского. Первый тип диалектов изучен в достаточной степени (Услар, Жирков, Быховская), второй тип—лежит в основе литературного даргинского языка и в силу этого доступен широкому кругу исследователей; по третьему типу—имеется слишком мало материалов (преимущественно в виде фольклорных записей и сборников пьес и стихотворений).

I. Для диалектов урахинского типа характерны следующие явления:

а. Наличие звонких аффрикат $d\zeta$ $\chi\zeta$;

б. Наличие z^a v^a „размычного“ в соответствии с δ b других диалектов;

с. ЛабIALIZация заднеязычных согласных;

д. Сохранение дифтонгов без упрощения;

е. Палатализация заднеязычных согласных.

II. Для диалектов акушинского типа характерно:

а. Отсутствие звонких аффрикат $d\zeta$ $\chi\zeta$;

б. Наличие δb (губогубной звонкий смычно-взрывной согласный) вместо z^a v^a „размычного“;

с. ДелабIALIZация заднеязычных согласных;

д. Упрощение дифтонгов;

е. Слабо представленная палатализация заднеязычных согласных.

Исходя из этого, является необоснованным объединение диалектов урахинского и акушинского в один тип—как это дано у С. Л. Быховской.

* Защита состоялась в ИЯИМК имени акад. Н. Я. Марра 18 июня 1941 г. Монография будет опубликована впоследствии.

2. Речь аула Ходжал-Махи (resp. цудахарский тип диалектов даргинского языка) отличается от других диалектов (урахинского, акушинского) следующими признаками:

- a. В ней имеются геминаты;
- b. Имеет место палатализация заднеязычных смычновзрывных до полной аффрикатизации;
- c. Перед узкими гласными место образования согласных передвигается вперед;
- d. В случае стечения вибрантов происходит диссимиляция этих звуков;
- e. Урахинскому и акушинскому ζ ' соответствует заднеязычный согласный;
- f. Имеется гортанный звонкий спирант $\zeta \omega$;
- g. В окончании инфинитива имеем ζz вместо ζs ;
- h. Вспомогательный глагол — „სადა“ *sajda* („есмя“) — с формантом ζd ; в урахинском и акушинском (равно и в литературном даргинском) имеем форму с аффиксом $-r$ -r.

3. В речи аула Ходжал-Махи засвидетельствованы геминаты: $g r$, $t t$, $\zeta \zeta$, $\zeta \zeta$, $\zeta \zeta$, $\zeta \zeta$, $\zeta \zeta$, $\zeta \zeta$. Первые шесть — смычновзрывные, остальные — спиранты.

Спиранты-геминаты представляют собой удвоение „соответствующих“ придыхательных, смычновзрывные же геминаты стоят ниже по коэффициенту придыхательности, чем „соответствующие“ простые придыхательные звуки.

Некоторые из них (ζr , $t t$) весьма близки к абруптивным согласным.

Изучение этих звуков дает возможность утверждать, что геминаты других языков (напр., лакского), являясь полуабруптивами, происходят от придыхательных.

Засвидетельствованный в речи аула Ходжал-Махи переход звонких в полуабруптивы или абруптивы представляет развитие данного процесса: звонкий — придыхательная гемината — полуабруптивная гемината — абруптив.

Согласные $j^{\circ} k^{\circ}$, $\zeta^{\circ} t^{\circ}$ в урахинском, акушинском, а также в литературном даргинском не являются геминатами; они являются интенсивно артикулируемыми абруптивными смычными согласными.

Геминаты характерны только для диалектов, которые соприкасаются с аварским и лакским языками. Влияние этих языков на даргинский язык — очевидный факт. Ставится вопрос: не является ли процесс геминации следствием влияния аварского и лакского яз. на даргинский язык?

4. Заднеязычные согласные $ɣ, ʃ, ʃ̣, k, ḳ$ перед узкими гласными переходят в альвеолярные аффрикаты (на почве палатализации): $ɣ \rightarrow ʃ̣, ʃ \rightarrow ʃ̣, k \rightarrow ʃ̣, ḳ \rightarrow ʃ̣$. Ожидаемого $ɣ \rightarrow ʃ, g \rightarrow ʃ$ не имеем, так как в цудахарском нет $ʃ, ʃ̣$, а $ɣ, g$ замещается придыхательным $ʃ̣, ḳ$.

5. На почве же палатализации имеем передвижение места образования согласных вперед: $ɣ' \rightarrow ʃ, g' \rightarrow ʃ̣, ʃ' \rightarrow ʃ̣, k' \rightarrow ʃ̣, ʃ̣' \rightarrow ʃ̣, ḳ' \rightarrow ʃ̣$. Аналогичный процесс наблюдается, менее рельефно, и в диалектах урахинского типа: $ɣ \rightarrow ɣ', g \rightarrow g', ʃ \rightarrow ʃ', k \rightarrow k', ʃ' \rightarrow ʃ, k' \rightarrow ʃ$.

Этот процесс не объясняется на почве урахинского диалекта: здесь нужно предполагать влияние диалектов типа цудахарского.

6. В речи аула Ходжал-Махи засвидетельствованы заднеязычные согласные $ɣ, b, ɣ, ɣ, ɣ$ на месте согласного $ɣ'$ других диалектов:

მიგ მი'—	მიგ miɡ.—'лед'
აქვალ aw'al—	აქვალ awɣal.—'четыре'
ივის i'is—	იხვიზ ixwiz.—'быть'...

7. В речи аула Ходжал-Махи при стечении вибрантов наблюдается диссимиляция этих звуков: $ɣɣ \rightarrow ɣɣ', ɣɣ \rightarrow ɣɣ'$. Этим цудахарский отличается от других диалектов даргинского языка, но сближается с лакским языком, где $ɣɣ \rightarrow ɣɣ, ɣɣ \rightarrow rd$.

8. Фонетические процессы в склонении имен гораздо проще представлены в цудахарском, чем в других диалектах:

Процесс: $ɣɣ \rightarrow O, ɣɣ \rightarrow O$ и $ll \rightarrow O, ll \rightarrow O$ чужд цудахарскому и поэтому система склонения в диалектах этого типа весьма прозрачна.

9. Инфинитив и дательный падеж в цудахарском образуются аффиксом $ɣz$, а не $ɣs$, как это имеет место в урахинском, акушинском и литературном языке. Цудахарский в этом отношении примыкает к аварскому, где инфинитив имеет формантом $ɣ \rightarrow *ɣ \rightarrow ɣ \rightarrow ɣz$ (Ари. Чикобава).

Аффикс $ɣs$ литературного даргинского и других диалектов получен оглушением $ɣz: ɣ \rightarrow *ɣ \rightarrow ɣ \rightarrow ɣ \rightarrow ɣz \rightarrow s$.

10. В некоторых местоимениях в дательном пад. наличен аффикс $ɣb$ (ბეშაბ pišab—'нам') в противоположность аффиксу $ɣm$ в диалектах урахинского типа (ბეშიმ pišim—'нам').

11. В отличие от других диалектов в цудахарском наличен гор-
 танный спирант ზ ო, который является звонким вариантом гортанного
 прерывательного ჰჷ других диалектов.

12. Оглушение звонких смычно-взрывных в аялауте или аулауте
 ლ→ლ, გ→გ, ბ→ბ d→t, g→k, b→p) ставит под сомнение „чистую
 звонкость“ смычно-взрывных согласных в даргинском языке.

13. Долгие гласные не характерны ни для цудахарского, ни для
 других диалектов даргинского языка; долгота гласных обусловлена
 фонетическими явлениями.

14. Вспомогательный глагол „быть“—представлен в цудахарском
 диалекте в форме საჲდა saġda, являясь соответствием формы საჲრა saġra
 других диалектов.

15. В речи аула Ходжал-Махи представлен звук ჳ ო. Часто он за-
 ьмещает гласные звуки უ u, ი i других диалектов.

16. Трочным смычно-взрывным и парным спирантам других диа-
 лектов в цудахарском диалекте противостоят четверные смычно-взрыв-
 ные и трочные спиранты; тем самым в цудахарском налична более
 сложная система согласных, чем в других диалектах.

დავ. იმანიუზილი

ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუზურსა და ჩაჩნურში*

I. ინგუზური

1. ინგუზურში ისევე, როგორც ჩაჩნურსა და წოვურში, ერთი ბრუნებაა. ბრუნვის ნიშანთა განსხვავებული სახეობა ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული. ზემოლნიშნულ მოსაზრებას ნათელყოფს ინგუზურში სახელთა ბრუნების შეპირისპირება ჩაჩნურისა და წოვურის სათანადო მონაცემებთან. ბრუნების ძველი სახე ჩაჩნურშია დატული, ინგუზურში მის შემდგომ განვითარებასთან გვაქვს საქმე, ხოლო წოვურში ბრუნების პროცესი, როგორც ინგუზურთან, ისე ჩაჩნურთან შედარებით, უფრო შორსაა წასული.

2. ინგუზურში ძირითადია მხოლოობითის ნათესაობითის ფორმა: თითქმის ყველა დინარჩენი ირიბი ბრუნვა მასზეა აგებული. ნათესაობითის ნიშანი ყველა სახელთან არაა შემონახული. ზოგი სახელის ბრუნებისას ნათესაობითის ნიშნის დაკარგვასთან გვაქვს საქმე, ზოგ შემთხვევაში ნათესაობითის ნიშანი შერწყმია ფუძისეულ ნაწილს, ხოლო იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნათესაობითის ნიშანი ხელზეა, იგი ძველი სახით არაა შემონახული.

ზემოლნიშნული პრინციპების ნიადაგზე შეიძლება გამოვეყნოთ ბრუნების ოთხი ძირითადი სახეობა: ე. წ. სრული, უსრული, შერწყმული და გამარტივებული. აღნიშნულ სახეობათა გამოყოფისას ყურადღება უქცევა ერთ-თანდებულიან ბრუნვებსაც, მაგრამ ძირითადია ნათესაობითისა და მიცემითში ნათესაობითის ნიშნის ქონა-არქონა.

ა) როცა სრული ანუ წესიერი სახეობა გვაქვს, ნათესაობითის ნიშანი ნათესაობითსა და მისგან წარმოებულ ბრუნვებში ხელზეა. იგი შესაძლებელია ზოგჯერ -გა, -ცა თანდებულების წინ დაიკარგოს. მაგალითად:

სახ. გოერ — „ცხენი“
ნათ. გოერ-ა — „ცხენის“
მიც. გოერ-ა — „ცხენს“
მოთხ. გოერ-ჟო — „ცხენმა“

* აქ წარმოდგენილია თეხისები მონოგრაფიისა (საკანდიდატო დისერტაციისა), რომლის სრულად დაბეჭდვა მომავალში ივარაუდება. „მომამბის“ რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია საკითხის მონოგრაფიული შესწავლის შედეგები გამოეჭევიანებინა.

დისერტაცია ავტორმა დაიცვა 29.IX.1941.

ერო-თანდებულნიანიები:

გოვრ-წ-გწ — „ცხენისაკენ“
 გოვრ-წ-ცწ — „ცხენთან ერთად“, „ცხენით“
 გოვრ-წ-ლ — „ცხენზე“ (უკეთესი...)
 გოვრ-წ-ხ — „ცხენში“ (სარგებელია).

სონორი თანხმოვნით დაბლოლებულ სახელებში -გწ, -ცწ თანდებულების წინ ნათესაობითის ნიშანი იკარგება: ბჟორღწ-გწ (—ბჟორღწ-წ-გწ) — „მამლისაკენ“, (ბჟორღწ-წ-ცწ→) ბჟორღწ-ცწ — „მამლთან ერთად“, „მამლით“.

ბ) როცა ე. წ. უსრული სახეობა გვაქვს, ნათესაობითის ნიშანი იკარგება ნათესაობითში, -გწ, -ცწ თანდებულების წინ და ნაწილობრივ მიცემითში: მიცემითში იკარგება ნათესაობითის ფლექსიის ხმოვანი, ნკი ხელზეა. მაგალითად:

სახ. სგერღწლჟო — „სინათლე“
 ნათ. სგერღწლჟონ — „სინათლის“
 მიც. სგერღწლჟონ-წ-წ — „სინათლეს“
 მოთხ. სგერღწლჟონ-ჟო — „სინათლემ“

ერო-თანდებულნიანიები:

სგერღწლჟონ-გწ — „სინათლისაკენ“
 სგერღწლჟონ-ცწ — „სინათლესთან ერთად“, „სინათლით“
 სგერღწლჟონ-წ-ლ — „სინათლეზე“ (უკეთესი...)
 სგერღწლჟონ-წ-ხ — „სინათლემში“, „სინათლის შესახებ“.

გ) როცა შერწყმული სახეობა გვაქვს, ნათესაობითის ფორმანტი ერწყმის ფუძისეულ ხმოვანს. იმის მიხედვით, თუ რაა ნათესაობითის ნიშანი და რომელ ფუძისეულ ხმოვანს ერწყმის იგი, ვღებულობთ— ჟო, -ჟე, -წ, -წ, -იჟ ხმოვნებს ნათესაობითსა და მისგან წარმოებულ ბრუნვებში. -იჟ ბოლოხმოვნის სახელები ნათესაობითში -ჟე ხმოვანს გვიჩვენებენ (—...იჟ+წ), -ჟე ბოლოხმოვნის ნიშნები ჟო-ს (—ჟე+წ), წ ბოლოხმოვნის ნიშნები შერწყმული სახეობის შემთხვევაში წ-ს გვიჩვენებენ, ხოლო -იჟ ბოლოხმოვნის ნიშნები--წ-ს:

ე. ი. -ჟე, -იჟ, -წ, -იჟ ბოლოხმოვანი +წ, ნათესაობითის ფორმანტი, გვაძლევს -ჟო, -ჟე, -წ, წ- ხმოვნებს ნათესაობითსა და მისგან წარმოებულ ბრუნვებში.

ნათესაობითის ნიშანი -ი(ე) შესაძლებელია შერწყმის ფუძისეულ წ-ს და შერწყმის შედეგად -იჟ- დიფთონგს მივიღებთ.

დ) როცა ე. წ. გამარტივებული სახეობა გვაქვს, ნათესაობითის ნიშანი იკარგება, როგორც ნათესაობითში, ისე ყველა მისგან წარმოებულ ბრუნვებში. მაგალითად:

სახ. დნ — „მამა“
 ნათ. დწ — „მამის“
 მიც. დწწ — „მამას“
 მოთხ. დწს — „მამამ“

ე რ თ - თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ე ბ ი :

დწ-გწ — „მამისაკენ“
 დწ-ცწ — „მამასთან ერთად“, „მამით“
 დწ-ლ — „მამაზე“ (უკეთესი)...
 დწ-ხ — „მამაში“ (კარგი თვისება).

3. ინგუშურში ოთხი ბრუნვაა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითი. ამ ბრუნვებს ძირითადი ბრუნვები ეწოდება. ამათგან სახელობითი და ნათესაობითი ძირითადი პირველადი ბრუნვებია. მიცემითი და, ზოგჯერ, მოთხრობითი ძირითადი ნაწარმოებები ბრუნვებია.

ა) სახელობითი ბრუნვა. ამ ბრუნვას ნიშანი არა აქვს, იგი წარმოუგენილია წმინდა ფუძით. შეიძლება გამოიყოს ფუძის დეტერმინანტები: -ინ, -წწ, -უნ.

ბ) ნათესაობითის ნიშანია -წ და -ი. ამათგან დიდი გავრცელება -წ ხოვანს აქვს; მიუხედავად ამისა ასეთ-ფორმანტიანი ნათესაობითი მეორეული ტანს: წ - წწ - ინ. წ რომ ი-დანაა მიღებული ამას ფუძისეული ხმოვნის ცვლილება ადასტურებს. -წ- ფორმანტიანი ნათესაობითი:

სახ. გოვრ — „ცხენი“
 ნათ. გოვრ-წ — „ცხენის“

ნათესაობითის წ - ინ:

სახ. გწ — „ტოტი“
 ნათ. გწწ-წ — (—გწწ-ინ) „ტოტის“

ნათესაობითის ფორმანტი შეიძლება დაიკარგოს:

სახ. დწ — „მამა“
 ნათ. დწ — „მამის“.

გ) მიცემითი ბრუნვა. ამ ბრუნვის ნიშანია -წ, რომელიც ერთვის ნათესაობითის ფორმას. -წ- ფორმანტის ნათესაობითზე დართვისას შესაძლებელია:

ა. მიცემითის -წ დაერთოს ნათესაობითის -წ-ს და -წ მივიღოთ:

ნათ. გოვრ-წ — „ცხენის“
 მიც. გოვრ-წ — „ცხენს“.

b. რადვანაც ნათესაობითის ა--ან (--ია), ამიტომ მიცემითში შესაძლებელია ნათესაობითში ერთ დროს არსებული ნ ჩანდეს, ხოლო მის წინ არსებული ხმოვანი დაიკარგოს:

ნათ. სჯერდწლჷონ--სჯერდწლჷონ-ან

მიც. სჯერდწლჷონ-ნ-ან--სჯერდწლჷონ-ან-ან.

c. შესაძლებელია მიცემითის -ან ნათესაობითის ფორმანტ-დაკარგულ ფორმას დაერთოს:

სახ. შან — „ყინული“

ნათ. შან — „ყინულის“

მიც. შან-ან — „ყინულს“.

დ) მოთხრობითი ბრუნვა. ამ ბრუნვის ფორმანტია: -ჟო, -ან, -ან. -ჟო- ფორმანტიანი მოთხრობითი ზოგჯერ ნათესაობითის ფუძეს იყენებს და ამიტომ ასეთ-ფორმანტიანი მოთხრობითი ძირითადი ნაწარმოები ბრუნვების მწკრივში მოექცევა. -ან, -ან ფორმანტი სახელობით ბრუნვას დაერთვის და ამდენად ასეთ-ფორმანტიანი მოთხრობითი ძირითადი პირველადი ბრუნვების მწკრივში უნდა განვიხილოთ.

4. მრავლობითის ძირითადი მაწარმოებელი ფორმანტებია -ან და -იო. დანარჩენი სახეობანი ამ ორი ფორმანტის ვარიაციას წარმოადგენს. მრავლობითის წარმოებისასაც ის პრინციპებია ამოსავალი, რაც მხოლოდობითის ნათესაობითში ენახეთ. -ან ან -იო ფორმანტი შეიძლება შეერწყოს ფუძისეულ ხმოვანს. შეიძლება ამ ფორმანტების ხმოვნური ელემენტი ან ი დაიკარგოს; ან კიდევ, შესაძლებელია -იო ფორმანტის -ი ფუძისეულ ხმოვანს შეერწყოს, ხოლო შ დაიკარგოს. ზემოაღნიშნულის შედეგად შესაძლებელია მრავლობითის სხვადასხვა მაწარმოებელი ფორმანტები მივიღოთ.

-ან ფორმანტი: ა) ჩვეულებრივი ტიპი. მხ. სახ. გოვრ— „ცხენი“, მრავლ. სახ. გოვრ-ან— „ცხენები“; ბ) -ან ფორმანტის ა შესაძლებელია ფუძისეულ ხმოვანს შეერწყოს და მივიღოთ: ან, -იო, -იო, ა-ან, ა-ან $\left[\begin{array}{l} -ან -- ა + ა... \\ -იო -- ი + ა... \end{array} \right]$

გ) -ან ფორმანტის ა შესაძლებელია დაიკარგოს და მხოლოდობითის სახელობითის ფორმას მხოლოდ -ან დაერთოს (ე. წ. გამარტივებული სახეობა). მხოლ. სახ. შან „ყინული“, მრ. სახ. შან.

-იო ფორმანტი. ა) ჩვეულებრივი ტიპი: მხოლ. სახ. ქულგ, მრ. სახ. ქულგ-იო „ხელები“. ბ) შერწყმული სახეობა მხ. სახ. ჰანან „სტუმარი“, მრ. სახ. ჰანანი „სტუმარები“— ჰანან-იო. გ) -იო ფორმანტის ა შესაძლებელია დაიკარგოს, ხოლო მის წინ არსებული ხმოვანი -ი-ა, მაგ., მხ. სახ. დან „მამა“, მრ. სახ. დან „მამები“— დან-იო.

მრავლობითის ნათესაობითის ნიშანია *-ინ, რომლის ხმოვნური ელემენტი ი-ა-ნ ან -ი-ნ ფორმანტის შ-ს დაკარგვის შემდეგ ან ი ხმოვანს ერწყმის და -ი-ა-ს ელემენტობით. -ა-შ, -ჟო-შ, -აჟ-შ, -ა-შ-ფორმიანი მრავლობითში ნათესაობითის ი-ა მრავლობითობის შ-ს დაკარგვის შემდეგ, შ-ს წინ არსებული ხმოვანი მხოლოდობითის ფუძისეულ ხმოვანს ერწყმის: ვორღა („ურმე-სა“) - ვორღა-ა-შ-ინ.

მრავლობითის მიცემითის ფორმანტია -თა, ხოლო მოთხრობითისა -ა-ა-ა. ამ ფორმანტების წინ მრავლობითის სახელობითის მსგავსი ფორმა ვაქვს.

5. ბრუნვის ფორმასთან შეერწყმული თანდებულები.

ა) ერთ-თანდებულებიანი ბრუნვები. თანდებულები -გა, -ცა, -ლა, -ხეთვის ნათესაობითის ფორმას. ამ თანდებულების წინ ნათესაობითის ნიშანი შესაძლებელია დაკარგული იყოს. მრავლობითს რიცხვში დასმულ სახელებში -გა, -ცა თანდებულების წინ ნათესაობითის ნიშანი იკარგება და სახელობითის მსგავსი ფორმა გვრჩება. ამასთანავე გა-ქა, -ლა, -ხ თანდებულების წინ -აჟ დიფთონგი ვაქვს.

ბ) ერთზე მეტ-თანდებულებიანი ბრუნვები. -გა თანდებულს ერთვის:

ა. -ა თანდებული, ადგილმდებარეობის გამომხატველი; იგი დართული ყოფილა -გა თანდებულზე, მაგრამ დაკარგულა და გა-მ იკისრა, როგორც ადგილმდებარეობის, ისე მიმართულების გადმოცემა.

ბ. -ა თანდებული უდრის ქართულ „კენ“-ს, ერთვის (-გა)-ა თანდებულს და (გა)-ა-ს ელემენტობით. მაგ. ღაგაა „მამასთან“, ღაგა-ა-ა „მამისაკენ“, მამის მიმართულებით“.

გ. დაშორებითობის თანდებული -რა (-რინ) შეიძლება დაერთოს როგორც გა-ს, ისე -გა-ა-ა-ს.

-ა თანდებულს (- || ღ) ერთვის მიმართულების -ა თანდებული და ელემენტობით -ა-ს (- || ღა)-ს. მაგ. ღათთ-ა-ღ-ა „მიწაშიკენ“. დაშორებითობის -რა თანდებულის დართვისას -ღა-რა-ს მივიღებთ: მაგ., ღათთაღა-რა -- „მიწაშიკენ“. დაშორებითობის გამოსახატავად ზოგჯერ გამოყენებულია -ა-ს (- || ღა) ფორმაც, რომელიც მიღებულია ასე: -ა (-ღ) - შემცველობის თანდებული + ა, - მიმართულების გამომხატველი თანდებული, + რინ - დაშორებითობის თანდებული, მივიღებთ: ...ღ-ა-რინ - ღრინ - ღინ - ღა.

დ. ბრუნვის ფორმასთან შეერწყმული თანდებულებია: -გა („ზე“), -რა („ში“), -კალ (|| კალხ) („ქვე“). ეს თანდებულები ახლა გამოყენებულია, როგორც მიმართულების, ისე ადგილმდებარეობისათვის. ასეთი პოვნა მეორეულია; ადგილმდებარეობისათვის -ა თანდებულ-დართული ფორმები უნდა გვექნოდეს: -ღა-ა, -რა-ა, კალ-ა. ყველა ეს თანდებული სახელებს მართავს მიცემითში, მაგრამ ამჟამად, უმეტეს შემთხვევაში, სახელებს

მიცემითის ფორმანტი დაკარგული აქვს, აღნიშნულ თანდებულებს შეიძლება დაერთოს დაშორებითობის გამომხატველი—**რწ** თანდებული. მივიღებთ: ტრწ (|| ტერწ) „ზეგან“, ჩურწ—„შიგან“, კალხწ-რწ—„ქვეშითგან“.

თანდებული **ლოლწ** (= „გასწვრივ“, „იო“) დაერთვის -გწ, -ჩუ, -გწ. -კწლ თანდებულებს.

II. ჩაჩნური

1. ჩაჩნურში ერთი ბრუნებაა. აქაც ისევე, როგორც ინგუშურში, შესაძლებელია გვექონდეს: ე. წ. სრული, უსრული, შერწყმული და გამარტივებული სახეობა.

2. ბრუნვის ნიშნები:

ა) სახელობითი: ნიშანი არა აქვს.

ბ) ნათესაობითი: ნიშანია -წს, -ის (წს-ის-ინ).

გ) მიცემითი: იწარმოება ნათესაობითისაგან+წ. აქაც შესაძლებელია ნათესაობითის ფლექსიის ხმოვანი დაიკარგოს ანდა იგი ფუძისეულ ნაწილს შეერწყოს.

დ) მოთხრობითის ფორმანტებია: -ჟო, -წხ, -წ.

3. სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითი ძირითადი ბრუნებებია. ამათგან პირველი ორი ძირითადი პირველადი ბრუნებებია. ხოლო მიცემითი და ზოგჯერ მოთხრობითი ძირითადი ნაწარმოებები ბრუნებებია.

4. ბრუნვის ფორმასთან შერწყმული თანდებულები.

ა) ერთ-თანდებულნი ბრუნვები. -ლ, -ხ, -ცის (|| -ცწ), -გე (- || -გე) თანდებულები ერთვის ნათესაობითის ფორმას. -გე თანდებული ნათესაობითის ის გავლენით -გე-დ იქცევა (-ი-გე -გე).

ბ) ერთზე მეტ-თანდებულნი ბრუნვები. -გე (|| -გე) თანდებულს ერთვის: ა)-მ თანდებული, ადგილმდებარეობის გამომხატველი; ბ) -რის (|| -რწ)- დაშორებითობისა; ც) -ც, რომელიც ქართულ „-მდე“ თანდებულს უდრის. -მ თანდებულს ერთვის მიმართულების გამომხატველი -წ, ე. ი. ვლებულობით:

-გე (|| --გე)+მ: -ღე-გე-მ „მამასთან“ (რაიმე არის)

-გე (|| --გე)+მ+წ: ღე-გე-მ-წ „მამისაკენ“

-გე (|| --გე) { +რის || ღე-გე-რის „მამისაგან“
+რა: || ღე-გე-რწ „მამისაგან“

-გე (|| --გე)+ც: ღე-გე-ც „მამამდე“.

-ხ თანდებულს (-ლ) ერთვის:

ა. -ინ--გამომდინარეობითობისა. მაგ.: ლწ-თთ-წ-ხ-ინ (---„მიწაშიგან“) „ლწთთ-წ-ლ-წ-რინ“.

ბ. -წს (|| -წ) მსგავსობითობის გამომხატველი.

5. მრავლობითს რიცხვში -გე(-ქჷ), -ცჷ(- || -ცჷ) თანდებულების წინ ნათესაობითის -ი დაკარგულია და მრავლობითის სახელობითის მსგავსი ფორმაა ჯარჩენილი. -ლ, -ხ თანდებულების წინ ნათესაობითის ფორმაა. ამ შემთხვევაში ნათესაობითის ფორმანტი არ იკარგება. იკარგება მრავლობითობის მარმოებელი სუფიქსის შ. ნათესაობითის -ინ შ-ს წინ არსებულ ხმოვანთან ესლარის ჩანაწერების მიხედვით არაა შერწყმული, სალიტერატურო ჩაჩურში კი შერწყმულია.

გაურაჲე -- „ცხენების“ (უსლარის მიხედ.)

გოურჷჲე -- „ცხენების“ (სალიტ. ჩაჩნ.)

-ლ თანდ. გაურაჲლ (უსლარით)

-ხ თანდ. გაურაჲხ (უსლარით)

-ლ თანდ. გოურჷჲლ (სალიტ. ჩაჩნ.)

-ხ თანდ. გოურჷჲხ (სალიტ. ჩაჩნ.).

მრავლობითის მიცემითში: გოურ-აშ-ნჷ -- გოურ-აშ-ინ+ა (მრავლ. ნათ.+ა).

6. ბრუნვის ფორმასთან შეურწყმელი თანდებულებია: ტე („ზე“), -ჩუ („ში“), -კელ („ქვეშ“). ეს თანდებულები იხმარება იმ შემთხვევაში, როცა მიმართულებაა გამოსახატავი, მაგალითად, „სო ღნთჷ ტე, ჴება ხი'ირჷ“, „მე სკამზე დაეჯექი“... „აჷს კუდლ ჩუ ხი დრთთირჷ“ -- „დოქში წყალი ჩაეახსი“... „ას ხიენჷ კელ ტულგ დჷაკოსირჷ“ -- „ხის ქვეშისაკენ ქეა კეისროლე“.

ადგილმდებარეობის აღნიშვნის შემთხვევაში -ჷო თანდებულდართული უორმებია: ტე-ჷო „ზე“, ჩუ-ჷო „ში“, კელჷან „ქვეშ“. მაგალ., „ღნთჷ ტეჷო ქნიშქჷ, ჴლლუ“, „სკამზე წიგნი დევს“... „კუდლ ჩუჷო ხი დუ“ -- „დოქში წყალია“.

დაშორებითობის გამოხატვის შემთხვევაში -რჷე-თანდებული ერთვის აღნიშნულ თანდებულებს და ვლებულობთ:

ტერინ--ტიერჷე-- || ტიერჷა

ჩუ-რინ--ჩურჷე-- || ჩურჷა

კელ-ჷანრჷე--კელ-ჷანრა.

ჩაჩურში თანდებული ხულლუ (+-ლოლლუ) უდრის ინგუშურ „ლოლლჷ“-ს, ხმარება ზემოაღნიშნულ თანდებულებთან და გვაქვს: ჩუხულლუ, კელჷანხულლუ, ტეხულლუ.

III. წოჷჷრი

1. ჩაჩურისა და ინგუშურის მონაცემებთან შედარებამ დაგვანახვა, რომ წოჷურში ისევე, როგორც ჩაჩურსა და ინგუშურში, ერთი ბრუნებაა.

2. წოვეურში ოთხი ბრუნვაა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითი. ამათგან სახელობითი და ნათესაობითი ძირითადი პირველადი ბრუნვებია, ხოლო მიცემითი და -ვ-ფორმანტიანი მოთხრობითი—ძირითადი ნაწარმოები.

ბრუნვის ნიშნებია:

ა) სახელობითი ბრუნვა უნიშნოდაა წარმოდგენილი.

ბ) ნათესაობითის ნიშანია -**ეს**, -**ის**. -**ეს**- ჩაჩნურ-ინგუშური -**ეს** ფორმანტის შესატყვისია, ხოლო -**ის** კი ჩაჩნურ-ინგუშური ნათესაობითის -**ის** ფორმანტს უდრის. წოვეურ -**ეს**, -**ის** ფორმანტთაგან პირველადია -**ის**. **ეს**—**ის**—**ინ**.

გ) მიცემითის ფორმანტია -**წ**, მაგრამ იგი უმეტეს შემთხვევაში დაკარგულია და ამჟამად მიცემითი ნათესაობითისაგან მეტ წილად იმთ განსხვავდება, რომ ნათესაობითშია -**ს**, ხოლო მიცემითში—**წ**. ამასთანავე, მიცემითში **წ**-ს წინ არსებული ხმოვანი (ნათესაობითის ნიშნისეული) ზოგჯერ იკარგება.

დ) მოთხრობითია:

ა. ნათესაობითის **ს** დაკარგული ფორმა+**ვ**;

ბ. სახელობითი+**წს** (— || ს).

3. ბრუნვის ფორმასთან შერწყმული თანდებულები.

ა) ერთ-თანდებულიანი ბრუნვები. თანდებულებია:

-**ხ**

-**ციჲ**

-**გწ**—**გო**

-**რჲს**—**რიჲს**

-**ლწ**—**ლო** (=ჩაჩ.-ინგ. -**ლწ**-ს)

-**ჰჲ**

ამ თანდებულებიდან -**ციჲს**, -**გწ**, -**ლწ**, -**ხ** მართავეს სახელს ნათესაობითის ბრუნვაში. ნათესაობითის ნიშანი ზოგჯერ იკარგება. თანდებულები: -**ჰჲ**, -**რჲს** მიმართულებითის ფორმას დაერთვის.

ბ) ერთზე მეტ-თანდებულიანები:

ა. -**ხ** თანდებულს ერთვის -**ის**, როცა საკიროა რომელიმე საგნის შიგნიდან მოძრაობის გამოხატვა, ეს უკანასკნელი ჩაჩნურ-**ინ**-სა და ინგუშურ -**წს** შესატყვისება.

ბ. -**გწ** თანდებულს ერთვის თანდებულები: **რჲს** (—**რიჲს**)—დაშორებითობის გამოხატველი; **ჰჲ**—ადგილმდებარეობის გამოხატველი; -**მციჲ**- მნიშვნელობით ქართულ „მდე“ თანდებულს უდრის. ელებულობთ:

-**გო**-**რჲს**... -**გო**-**ჰჲ**... -**გო**-**მციჲ**...

დაშორებითობისათვის გამოყენებულია გუი-ჰი ფორმა, რომელიც—გოჰი-ი.
 ც. -ლწ-თანდებული მნიშვნელობით უდრის ქართულ -ში- თანდებულს და
 გამოყენებულია ნიეთიერებათა სახელებთან და მრავლობითობის შემთხვევაში.
 ჰე, ხილწ—„წყალში“, ნახლწ—„ხალხში“. მასაც შეიძლება დაერთოს თანდე-
 ბლები -რეს, -მცის, -ჰი და მივიღებთ:

- ლო-რეს: ხილორეს „წყლიდან“
- ლო-ჰი: ხილო-ჰი „წყალში“ (ადგილმდ.)
- ლო-მცის: ხილო-მცის „წყალამდე“.

Д. С. ИМНАЙШВИЛИ

«ОСНОВНЫЕ И ПОСЛЕЛОЖНЫЕ ПАДЕЖИ В ИНГУШСКОМ ЯЗЫКЕ»

ТЕЗИСЫ КАНДИДАТСКОЙ ДИССЕРТАЦИИ*

1. В ингушском языке так же, как и в чеченском и бацбийском (цова-
 нгушском) языках—одно склонение, разнообразие же падежных окончаний
 —результат фонетических процессов.

2. В склонении ингушского языка исходной формой является роди-
 тельный падеж единственного числа, почти все остальные косвенные падежи
 образуются от родительного падежа. В некоторых именах имеет место ут-
 рата флексии родительного падежа, иногда же она сливается с гласным
 звуком основы, или же претерпевает определенные фонетические изменения.

На основе вышесказанного можно выделить четыре основных вида
 склонения: полный, неполный, слитный и упрощенный.

а) Полный вид:

Имен.	gowr	„лошадь“
Род.	gowr- ^а	„лошадя“
Дат.	gowr- ^а -gowr- ^а + ^а	„лошадя“
Эрг.	gowr-wo	„лошадь“

С параченным послелогом:

gowr- ^а -g ^а	„к“	„лошадя“
gowr- ^а -c ^а	„с“	„лошадью“
gowr- ^а -l	„(в сравнении) с“	„лошадью“
gowr- ^а -x	„в“	„лошадя“

* Монография будет опубликована впоследствии. Защита состоялась 29.IX.1941.

б) Неполный вид:

Имен. sjerd^alwo „свет“Род. sjerd^alwon —sjerd^alwon-^anДат. sjerd^alwon-n-^a—sjerd^alwon-^an-^a᠋᠋᠋᠋ sjerd^alwon-wo

С наращением послелогом:

sjerd^alwon-g^a—sjerd^alwon-^a-g^asjerd^alwon-c^a—sjerd^alwon-^a-c^asjerd^alwon-lsjerd^alwon-^a-x

в) Слитный вид:

Имен. ʒw^alij—„собака“Род. ʒw^alje— —ʒw^alij-^an,Дат. ʒw^aljen^a —ʒw^alij-^an-^a᠋᠋᠋᠋ ʒw^alje —ʒw^alij-^a

С наращением послелогом:

ʒw^alje-g^a —ʒw^alij-^a-g^aʒw^alje-c^a —ʒw^alij-^a-c^aʒw^alje-l —ʒw^alij-^a-lʒw^alje-x —ʒw^alij-^a-x

г) Упрощенный вид:

Имен. dā „отец“

Род. dā —dā-in

Дат. dān^a —dā-in-^a

᠋᠋᠋᠋ dās

С наращением послелогом:

dā-g^a —dā-i-g^adā-c^a —dā-i-c^a

dā-l —dā-i-l

dā-x —dā-i-x

3. Как в ингушском, так и в чеченском и бацбийском (цова-тушском) языках именительный, родительный, дательный и эргативный (активный) суть *основные падежи*. Из них, именительный, родительный, а иногда и эргативный суть *основные первичные падежи*. Дательный—основной производный падеж.

ა) Именительный падеж. У этого падежа собственной флексии нет. Обычно в именительном падеже представлена чистая основа.

ბ) Родительный падеж. Флексией этого падежа является: в ингушском -^a, -ⁱ, в чеченском -^a, -ⁱ, в бацбийском (цова-тушском) -ⁱ, -^e. Из них первичной надо признать флексию -^{ip}, которая в ингушском -^{ip}, -^a, в чеченском иногда -^a, а в бацбийском (цова-тушском) -^{ip}, как древний формант -ⁱ (-^{ip}), так и -^e.

ვ) Дательный падеж образуется от родительного при помощи суффикса -^a. Этот суффикс в чеченском и ингушском языках налицо, а в бацбийском (цова-тушском) языке в большей части случаев утрачивается и роль флексии дательного падежа выполняет -^{ip}, остаток окончания родительного падежа.

გ) Флексиями эргативного падежа в ингушском и чеченском языках являются -^{wo}, -^s, -^a, в бацбийском (цова-тушском) -^v (-^v), -^s (-^s).

4. Как в ингушском и чеченском, так и в бацбийском (цова-тушском) языках имеются послелогов, как слившиеся с падежным окончанием, так и сохранившие свою форму. Таким образом, получаются падежи с одним и с несколькими послелогов.

Слитные послелогов

ა) Падежи с одним послелогом:

Ингушский: Чеченский: Бацбийский:

-x	-x	-x
---l	---l
g ^a	-g ^a -je	-g ^o
-c ^a	-c ^a -ci ^a	-ci ^a
-r ^a	-r ^a -ri ^a	-re ^a
.	-hə	-hə
-(l ^a)	-(l ^a)	-(l ^o)

Из этих послелогов, в чеченском и ингушском языках перед -x, -l, -g^a, -c^a в большинстве случаев имеется форма родительного падежа; это же наблюдается в бацбийском (цова-тушском) языке перед послелогов g^o, ci^a, -r^o.

Послелогов -ri^a, -re^a, -r^a, -hə, как в чеченском, так и в ингушском и бацбийском (цова-тушском) языках нарастают на форму направительного падежа. Эти послелогов могут присоединяться и к послеложной форме, образуя падежи с несколькими послелогов.

б) Падежи с несколькими послелогамн:

Ингушский: Чеченский: Бацбийский:

— g ⁿ -r ⁿ	g ⁿ (je)-r ⁿ ri ⁿ	go-re ⁿ
— *g ⁿ -hə	g ⁿ (je)-hə	go-hə
— g ⁿ -hə ⁿ	g ⁿ (je)-hə ⁿ	*go-hə-i
— g ⁿ -hə ⁿ -r ⁿ	- g ⁿ (je)-c	go - m ci ⁿ
	 lo - re ⁿ
	 lo - m ci ⁿ
	 lo - hə
— x (-γ) ⁿ	- x ⁿ	γ (-γ ⁿ)
— x (-γ) ⁿ -r ⁿ {	- x-i ⁿ	x-i ⁿ
	- x ⁿ -r ⁿ	

5. Послелогн, неслившиеся с падежным окончанием:

Ингушский:	Чеченский:	
Местонахождение и направление:	Направление:	Местонах.:
. t ⁿ „на“ tɛ „на“	tɛ-hə
. ɕu „в“ ɕu „в“	ɕu-hə
. k ⁿ l (k ⁿ lx ⁿ) „под“ kɛl „под“	kɛl-hə

К этим послелогам присоединяется послелог -rⁿ || riⁿ (в значении „удаления от чего-либо“).

Ингушский: Чеченский:

. t ⁿ r ⁿ tje-r ⁿ tɛr ⁿ tɛri ⁿ
. ɕu-r ⁿ ɕur ⁿ ɕiŋr ⁿ ɕiŋri ⁿ
. k ⁿ lx ⁿ -r ⁿ kɛlhə ⁿ -r ⁿ

Послелог γolla (ингушский) xula || -γollⁿ (чеченский) = „по“, присоединяется к послелогам —gⁿ, —tⁿ, tɛ, ɕu, kⁿl.

არნ. ჩიძობავა

სტაბილური კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: II კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები*

(წინასწარი მოხსენება)

ხაიითხის დასმისათვის. ერგატიული კონსტრუქცია სინტაქსური კონსტრუქციაა; ამ კონსტრუქციისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია ერგატივის ანუ აქტივის, ჩვენებური „მოთხრობითის“, ან მსგავსი ბრუნვის მონაწილეობა.

ეს ბრუნვა აღნიშნავს რეალურად მოქმედს, რეალურ სუბიექტს, ზმნასა და, რომელიც გარდამავალია თავისი მნიშვნელობით.

მან გააკეთა, ააშენა, შექმნა, დაწერა, გაქრა...

აქედან წარმოდგება ტერმინი: ერგატივი *ergativus*, აქტიური *activus*, ე. ი. მოქმედი.

ერგატიული კონსტრუქცია, ამრიგად, ერგატიული ბრუნვის შემცველი კონსტრუქციაა.

მაგრამ ამ კონსტრუქციის თავისებურება რეალური სუბიექტის ბრუნვით არ ამოწურება: რეალური ობიექტი, ნივთის ობიექტი, ე. წ. პირდაპირი ობიექტი ევროპული ენებისა ერგატიულ კონსტრუქციაში გადმოიცემა სახელობითი ბრუნვით (ანდა ფუძით) მოსალოდნელი ბრალდებითი ბრუნვის ნაცვლად, — ბრალდებითი ბრუნვა, *accusativus*, პირდაპირი ობიექტის ეს ბრუნვა ევროპული ენებისა, ერგატიული კონსტრუქციისათვის უცხოა.

მან დაწერა წიგნი — он написал книгу...

ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა და ერგატივის მქონელობა ერგატიული კონსტრუქციის დამახასიათებელი ხელშესახები ნიშნებია.

ერგატიულ ბრუნვას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ფორმა ანდა შეიძლება სხვა ბრუნვასთან საზიარო ფორმით იყოს წარმოდგენილი.

პირველი შემთხვევის მაგალითია ქართული და მეგრულ-ქანური: მოთხრობითი ბრუნვა აქ დამოუკიდებელი ერთეულია, მკვეთრად განსხვავებული სხვა ბრუნვათაგან: მოთხრობითის ნიშანი ქართულში — მან, ქანურ-მეგრულში — ჰ მხოლოდ ამ ბრუნვისათვის განკუთვნილი ჩანს:

კაც-მან, ძმა-მან — კოჩი-ჰ (|| კოჩ-ჰ), ჯუშმა-ჰ (|| ჯიშმა-ჰ)...

* წაითხულია მოხსენებად საკავშ. მეცნიერ. აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველ სესიებზე 28.IX.1939.

მაგრამ ქართულში მოთხრობითის პირველადი ნიშანი -ნ სახელობითთან დაკავშირებასაც არ გამოიციხავს; ორი სახელიდან, სადაც ეს -ნ დასტურდება, იგი ერთში მარტოდენ მოთხრობითში ჩანს—მა-ნ (ამ სახელს საკუთარი ფუძის სახელობითი არც აქვს), მეორეში კი—ვი-ნ—მოთხრობითი და სახელობითია შეთავსებული: ვი-ნ? კაც-ი—კაც-მან...

ქანურშიც მუჟ-ქ მოთხრობითის როლშიც გამოდის და სახელობითისაშიც. ეს გარჩენილი ცალკეული ფაქტები ვერ შეცვლიან დებულებას, რომ ქართულსა და მეგრულ-ქანურში მოთხრობითს საკუთარი აფიქსი გააჩნია, მაგრამ ამ ცალკეულ ფაქტებში მკრთალად მოჩანს გარკვეული შესაძლებლობა მოთხრობითის ნოზიარეობა სხვა ბრუნვისთან.

ეს შესაძლებლობა თითქოს რეალური ფაქტია ქართველური ენებიდან სვანურში: მოთხრობითის ძირითადი ნიშანია სვანურში -დ; ეგევე ნიშანი უნდა გვექონდეს გარდაქცევივით (მიმართულებითს) ბრუნვაში¹.

სი ი ისევა ჯარღ კალ ემსყედ—შენ და შენმა ჯარმა კალო გამიკეთო (იხ. არსენ ონიანის „სვანური ტექსტები ლაშხურ კილოზე“ პეტროგრ. 1917, გვ. 51); ჯარ-ღ=ჯარმა...

აღ ციგინ ანამბზე შანშე ჯონდან...—ეს ზღაპარი შიამბო შამშე ონიანმა (იქვე გვ. 57); ჯონდან-ღ=ონიანმა...

შღრ. ...ლგგან ესრენ ჯჯნელდ...—მღგარა თურმე ძველად (იქვე, გვ. 54); ჯჯნელ-ღ=ძველად.

ემშვიინ ემჭედღლი ამხაჯ ლამზგრღ თამარ დედჯფად—ერთხელ აქ მოსულა სალოცავად თამარ დედოფალი (იქვე, 50); ლამზგრღ-ღ=სალოცავად².

სვანურისებური მდგომარეობაა მთელ რიგ კავკასიურ ენებში; ასე, მაგალითად, ერგატივის მოზიარედ მოქმედებითი ბრუნვა გამოდის ხუნძურში, დარგულში, კიურულში: ერგატივისაგან განსხვავებული მოქმედებითი ამ ენებს არ გააჩნია. ასეა, ყოველ შემთხვევაში სპეციალური ლიტერატურის ჩვენების მიხედვით. ხუნძურში ასეა ეს III გრამატიკული კლასის (ნიეთის კლასის) სახელებში.

ერგატივს საზიარო ფორმა აქვს ნათესაობითთან ლაკურში³.

ადილურში ერგატივი და ირიბი ბრუნვები ამჟამად ერთნაირად გამოიყურება, თუმცა აქ გაცილებით უფრო რთულ ვითარებასთან უნდა გვექონდეს

¹ სამწუხაროდ, ბრუნვის საკითხი სვანურში არაა იმდენად შესწავლილი, რომ ამ მხრივ ყოველგვარი ეჭვი გამოირიცხოს.

² სვანურში მოთხრობითი ბრუნვის სხვა ნიშანიც გვაქვს; მის შესახებ ისევე, როგორც ქართველურ ენებში ამ ბრუნვის აგებულების შესახებ, საუბარი გვაქვს წერილში: „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“, იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, ტომი X (1939).

³ ეს კია, რომ ისტორიულად ლაკურს ერგატივი, როგორც ცალკე მორფოლოგიური ერთეული, უნდა ჰქონოდა. ამას გვაფიქრებინებს ის თანხმონეები, რომლებიც ნათესაობითის სუფიქსების წინ შემონახულია ხშირ შემთხვევაში და ფუძისეულ მასალად ვერ მიიჩნევა.

ამის შესახებ უფრო დაწერილებით—მოხსენებაში: „ერგატივის წარმოქმნის ისტორია ხუნძურში“ (წაკითხული იყო საქართვე. მეცნიერ. აკადემ. საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების III სესიაზე 1941 წ. ოქტომბერში).

საქმე; სახელდობრ, ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური გზით დაღვევის შემდეგ ერგატივისაგან ნაწარმოები ყველა ბრუნვა ერთ-ერთს დაემსგავსა¹. მაინც არ არის გამოირიცხული, რომ ერგატივი აქაც ხვდებოდა ერთ-ერთ ირიბ ბრუნვას.

ერგატიული კონსტრუქცია, ამრიგად, ერგატიული ბრუნვის საკითხში სხედასხვა ენაში სხვაობას ამჟღავნებს.

სამაგიეროდ, რეალური ობიექტის საკითხი ყველგან—კავკასიურ ენებში—ერთნაირად წყდება: ბრალდებითი ბრუნვა, accusativus არსად მოიპოება.

ერთად ერთი გამონაკლისი დღემდის უდურნი ენა იყო. ამ ენაში ბრალდებით ბრუნვას პოულობდენ. ვლ. ფანჩვიძემ გაარკვია, რომ ეს ბრალდებითი მიცემითის დიფერენციაციას წარმოადგენს. უცხო ენათა გავლენა შეუძლებელია გამოირიცხოს, როცა ამგვარი დიფერენციაციის წარმოქმნა ასახსნელი. ამის გარეშე კი ბრალდებითი ბრუნვის ვინაობის გარკვევა უდურში ცხადყოფს, ჯერ ერთი, იმას, რომ ბრალდებითი ბრუნვა მიცემითს ეკედლება, ფუნქციურად მიცემითია მასთან ახლოს, ამას კი მნიშვნელობა აქვს ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ობიექტის აღმნიშვნელ ბრუნვათა,—სახელთათვისა და მიცემითის,—კვალიფიკაციისათვის; მეორეცაა და, ზოხნილად მიიჩნევა საკითხი ერგატიულ კონსტრუქციასთან ბრალდებითი ბრუნვის, accusativus-ის, შეთავსების შესახებ:

ბრალდებითი ბრუნვის, აკუსატივის, უქონლობა რჩება კონსტრუქტიურ ნაწინად ერგატიული კონსტრუქციისა (კავკასიურ ენებში).

რეალური სუბიექტის ბრუნვის, ერგატიული ბრუნვის საკითხში ნაირ-ნაირხბას უპირისპირდება რეალური ობიექტის ბრუნვაში, ბრალდებითის საკითხში, ერთფეროვნება. ამდენად ეს ნიშანი, თუმცა უარყოფითი, ერგატიული კონსტრუქციისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს.

მაგრამ ერგატივის მივცემთ უპირატესობას თუ აკუსატივის უქონლობას, ფაქტი ისაა, რომ ეს დამახასიათებელი ხელშეხანები მონაცემები გარე სიმპტომებია, სახელებში გამომჟღავნება იმისა, რაც ერგატიული კონსტრუქციის მონაწილე ზმნაშია ჩამარჩული.

რეალური სუბიექტი (RS)—ერგატივში და რეალური ობიექტი (RO)—სახელობითში (ანდა ფუძის სახით) იმიტომ გვაქვს, რომ ამას ზმნა იწვევს, ზმნის ფუძის აგებულება განსაზღვრავს (პირველ რიგში ეს ეხება RO-ს).

ეს ნიშნავს: ერგატიული კონსტრუქციის სათავე ზმნაშია, ამ კონსტრუქციის თავისებურებათა წყარო ზმნაა. ერგატიული კონსტრუქცია თავისებურია იმიტომ, რომ თავისებურია ზმნა და, მაშასადამე:

ეს თავისებური ზმნა საკმარისი პირობაა იმისათვის, რომ მივიღოთ ერგატიული კონსტრუქცია იმისდა მიუხედავად, გვაქვს თუ არა სათანადო სიმპტომები სახელების მხრივ.

ამის მაგალითია აფხაზური ენა; აქ ზმნური სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები არ მოგვეპოება, სახელები არ იბრუნვის; ცხადია, ასეთ პირობებში

¹ ამის შესახებ იხ. ავტორის: „სუბიექტის მოთხრობის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნვის ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში“—სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVIII (1941).

სახელთა ბრუნვა ზმნის დასახასიათებლად, კერძოდ, მის გარდამავლობის საჩქევად არ შეიძლება იყოს გამოყენებული. ზმნა კი გარდამავლობა-გარდაუვალობას განასხვავებს—რით? სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშანთა ადგილმდებარეობით:—**ზმნის დამახასიათებელი ნიშნები ზმნაშივე მოიპოება.**

თუ ზმნა ერთპირიანია, სუბიექტის პირის ნიშანი პრეფიქსია:

სჯყოუპ—ვარსებობ;

სებლუეტ—ვიწვი (იხ. П. У с л а р. Абхазский яз. 43).

თუ ზმნა ორპირიანია და გარდაუვალი, სუბიექტის ნიშანი, პრეფიქსი, წინ უსწრებს ობიექტის ნიშანს, აგრეთვე პრეფიქსს:

სუუცხრაუეტ—გეზმარები მე შენ (ვაეო) (იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“, ენიმკი-ს მოამბე, II, გვ. 193).

მაგრამ თუ ორპირიანი ზმნა გარდამავალია, ობიექტის პრეფიქსი წინ უსწრებს სუბიექტისას:

იზბლუეტ—ვწვავ მე (რალაცას)

ისფუეტ—ყვამ მე (რალაცას) (იხ. П. У с л а р. Абх. яз. 45).

სამპირიან გარდამავალ ზმნაშიც ანალოგიურია პირის ნიშანთა თანამიმდევრობა: ჯერ ობიექტის პირებია ნაჩვენები, მერე—სუბიექტისა: უისთუეტ შენ თავს (ვაეო) მას ვაძლევ (იქვე)¹.

პირველი და მეორე პირის ნიშნები აფხაზურს **სუბიექტისა და ობიექტისათვის ერთნაირი აქვს: I პ.—ს**

II პ.—უ (ვაე-), ბ (ქალ-).

ერთნაირი ნიშნების განსხვავებული ფუნქცია ადგილმდებარეობის ცვლის საშუალებით ხერხდება აფხაზურ ზმნაში. ამ შემთხვევაში ზმნა იყენებს იმ პრინციპს, რომელსაც ჩვეულებრივ **წინადადების შედგენისას** მიმართავენ სუბიექტისა და ობიექტის გასარჩევად (სახელობითისა და ბრალდებითის გაურჩევლობის შემთხვევაში):

აბრაამ შეა ისაა... Abraham zeugte Isaak...: წინ უსწრებს სუბიექტი, მერე ობიექტი.

პირის ნიშანთა ეს განსხვავებული გამოყენება გარდამავალსა და გარდაუვალს ზმნებში აჩენს ერგატული კონსტრუქციის პრობლემას აფხაზურ ენაშიც.

ამავე თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი შემდეგი მოვლენაც აფხაზური ზმნის უღვლილებაში: ნივთის კატეგორიის მესამე პირის სუბიექტი და იმავე პირის ობიექტი ერთი და იმავე პრეფიქსით გაღმოიცემა:

¹ გარდამავალ ზმნათა დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც მოიპოება აფხაზური ზმნის უღვლილებაში. იხ. ამავე ნომერში ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ს ნარკვევი: „გარდამავლობის კატეგორია აფხაზურში“ (გვ. 1-31).

ჩვენ აქ გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის გარჩევის ძირითად პრინციპზე მითითებით ვკმაყოფილდებით.

რყოპ¹—არის (არსებობს) რალაცა
 ისწყეტ—ვკამ რალაცას.

ერგატიული კონსტრუქცია კავკასიურ ენათა სტრუქტურის ნიშანდობ-
 ლი მოვლენაა; არც სომხურში, არც თურქულ ენებში, არც სემიტურსა და
 ინდოევროპულ ენებში ეს კონსტრუქცია ისტორიის სივრცეზე არსად
 წყნ. ზოგიერთი მოვლენის მიხედვით ინდოევროპული ენების განვითარების
 წინა საფეხურისთვის ზოგი ავტორი ცდილობს ივარაუდოს ამგვარი კონსტრუქ-
 ციის იქ არსებობა (ვგულისხმობთ ულენბეკისა და ვაჰანის² წერილებს);
 ამთხი დადებითად ინდოევროპული ენებისთვის ვერ გადაწყდება, სანამ არაა
 უმტკიცებელი, რომ სათანადო მოვლენები ნაშთია და არა ჩანასახი,
 ამგვლად განვითარების შესაძლებლობა არ დაუჩა.

ყოველ შემთხვევაში ახლაც უდაოა, რომ ინდოევროპულ ენებში იმგვარი
 მიყოლიბებული ერგატიული კონსტრუქცია, როგორც კავკასიურ ენებში
 ვხვდება, არც ამჟამად გვაქვს, არც მათი ისტორიის სივრცეზე დასტურდება.
 ეს ისტორია კი ორნახევარ ათას წელს წააქარბებს.

საყურადღებოა, რომ ურარტულ ენაში მიუთითებენ ერგატიულ კონსტრუქ-
 ციის არსებობაზე (ი. მე შჩანინოვი)³. მარტოოდენ ეს ფაქტი რაიმე ხასია-
 ის დასკვნას კავკასიური ენების ურარტულთან გენეტური კავშირის შესახებ
 ვერ გამოგვატანინებს; სხვა გარემოებებთან ერთად კი ეს შეხვედრა გრამატი-
 კული სტრუქტურის ცენტრალურ მომენტებში უთუოდ ანგარიშგასაწევია გე-
 ნეტური პრობლემის რკვევისასაც.

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ცენტრალური პრობლემაა კავკა-
 სურ ენათა სტრუქტურის თვალსაზრისით: **სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვ-**
ჯილების სპეციფიკურობა ამ პრობლემაში იყრის თავს.

საკითხის განხილვისას შეიძლება ბრუნების მოვლენებით დავიწყოთ და
 ზმნის უღვლილებაზე გადავიდეთ ანდა—პირუკუ.

მაგრამ ორსავე შემთხვევაში სიმძიმის ცენტრი ზმნაზე მოდის: ერგატიუ-
 ლი კონსტრუქციის წყარო, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ზმნაა.

კავკასიურ ენათა ზმნის შესახებ არა ერთხელ წამოუყენებიათ დებულება:
 კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისა კი არაა, —როგორც
 ივარაუდება ევროპულ ენათა მასალების მიხედვით, —არამედ ენებითისა.
 მოქმედებითი გვარის ზმნა ამ ენებში არ მოიპოვებო.

დამახასიათებელია ამ მხრივ პ. უსლარისა და ნ. მარის შეხედულება⁴.

¹ იგულისხმება ამგვარი ზმნის უსუბიექტოდ ხმარების შემთხვევა.

² ამის შესახებ დაწერილებით გვექნება მსჯელობა სხვაგან—ერგატიული კონსტრუქციის
 უფროათა სრულს მიმობილვაში.

³ იხ. Мещанинов И. И. Язык ванской клинописи, II. Структура речи. Ленинград,
 1925; შდრ. გიორგი წერეთელი: „საკართველოს მუხუდმის ურარტული ძეგლები“, თბი-
 ლსი, 1939, გვ. 5 და შგვდ.

⁴ პ. უსლარის შემდეგ, ნ. მარხეაძე, პ. შუხარდტი შეხვორცლად ამ საკითხს
 ეთბილს მონოგრაფიაში: Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Spra-
 chen (Wien 1895); მაგრამ ამის შესახებ აქ არას ეიტყვი: პ. შუხარდტი შემდეგში ერთგვარი
 ეკლდება შეიტანა თავის გაგებაში; ამიტომ მისი დაწერილებითი განხილვა სპეციალურა მო-
 ნოგრაფიისათვის გადავდევით. ეგვემ ითქმის ულენბეკის მნიშვნელოვანი წერილების შესახებ.

ჩამოყალიბებული სახით პ. უსლარის კონცეფცია „ხუნძური ენის“ გრამატიკაშია წარმოდგენილი. საქმის ვითარება მოკლედ ასე წარმოიდგინება.

ხუნძური ზმნა ყოველთვის ერთპირიანია, უკეთ რომა ვთქვათ, ერთკლასიანია: მასში აღინიშნება მხოლოდ ერთი სახელის კლასი; ეს სახელი სახელობითს ბრუნვაშია.

მნიშვნელობით გარდაუვალი თუა ზმნა, ეს სახელობითი ბრუნვა სუბიექტი იქნება, რეალური სუბიექტითა და გრამატიკული ქვემდებარეც:

დუნ ვუგო მე (I კლ.) ვარ
დუნ ვაჟანა მე („) მოვედი...

თუ ზმნა მნიშვნელობით გარდამავალია, ეს სახელობითი ბრუნვა რეალური ობიექტითა:

დუნ ვაჩანა... მე (I კლ.) მომიყვანა...

რეალური სუბიექტი ასეთ შემთხვევაში ერგატივეშია (მოთხრობითშია) ჩვეულებრივად, მაგრამ შეიძლება იყოს მიცემითშიცა და ადგილობითს ბრუნვებში:

დუნ ვაჩანა (ინსუცა)—მე მომიყვანა (მამამ): ინსუცა — ერგატივეია
დუნ ვოტულა ინსუფე—მე ვუყვარვარ მამას: ინსუფე — მიცემითია
დუნ ვიხულა ინსუდა—მე შეხდავს მამა („მე ვჩანვარ მამისდა“): ინსუდა — ადგილობითია.

ამრიგად, სახელობითი ბრუნვა, იქნება იგი რეალური სუბიექტი, თუ რეალური ობიექტი, ზმნაში თავის კლასს მაინც ასახავს, ზმნას თანაბრად ითანხმებს; ერგატივეი (მოთხრობითი), მიცემითი და მიმართულებითი ზმნის ფორმას კლასის მიხედვით არ ითანხმებენ.

პ. უსლარმა დაასკვნა: სახელობით ბრუნვას ზმნა იმიტომ ეთანხმება, რომ ეს სახელობითი ქვემდებარეა.—ქვემდებარეა არა მარტო მაშინ, როცა იგი რეალურ სუბიექტს უდრის, არამედ მაშინაც, როცა რეალურ ობიექტს გადმოგვეცემს და ეს იმიტომ, რომ გარდამავალად მიჩნეული ზმნა ნამდვილად არაა გარდამავალი, იგი ვნებითი გვარისაა და არა მოქმედებითისაო.

ამისდა კვალად: დუნ ვაჩანა ინსუცა სიტყვა-სიტყვით უდრის: „მე მოყვანილი ვარ მამის მიერ („მამით“)“ და არა: „მე მომიყვანა მამამ“... დიდე ვოტულა ემენ „мне любитя отец“—„მე მიყვარს მამა“—და არა—„я люблю отца“.

„ხუნძურს ენაში ისევე, როგორც ჩაჩნურში, სრულებით არ არის მოქმედებითი გვარის ზმნები, არამედ მხოლოდ საშუალო და ვნებითები. ბრალდებითი ბრუნვა არ გააჩნია ხუნძურ ენას ხუნძური ზმნის თვით არსებითი თვისების გამო („по самому существу аварского глагола“). იხ. П. Услар. Аварский язык, Тифл. 1889, § 123, გვ. 122—23.

აქედან ცხადია, რომ პ. უსლარისათვის ამოსავალია ზმნის თვისება: ზმნა ვნებითია; მასთან პირდაპირი დამატება ბრალდებითს ბრუნვაში შეუძლებელია დაისვას; რეალური სუბიექტი გრამატიკულად ირიბი ობიექტითა და მოქმედებითს ბრუნვაშია; რეალური ობიექტი გრამატიკულად ქვემდებარეა და სახელობითს ბრუნვაშია.

ინსუცა ვ-აჩანა ღუნ—მამით მოყვანილი ვარ მე „отцом приведен я“
 ინსუცა წა ბ-აქულა—მამით ინთება ცეცხლი „отцом разводится огонь“.

ამით ისიც ახსნილია, ერთი შეხედვით, თუ რატომ ხვდება ერგატივი მოქმედების, რატომ არ ითანხმებს იგი ზმნას და ისიც, თუ რატომ აღინიშნება რეალური ობიექტის „პირი“ (კლასი) ზმნაში.

3. უსლარის შეხედულების სასარგებლოდ ერთი გარემოებაც შეიძლება დადგეს სახელები: ზმნისართებშიც აღინიშნება სახელობითს ბრუნვაში დასმული სახელის კლასი, ერგატივში დასმულისა—არა:

ემენ როყოუ ვუგო—მამა სახლში არის

ემენ ჰანიუ ვუგო—მამა აქ არის...

მაგრამ: ინსუცა წა ბ-აქულა—მამა ცეცხლს ანთებს;

ინსუცა როყოზ წა ბაქულა—მამა სახლში ცეცხლს ანთებს...

როყოზ („სახლში“) მესამე კლასის ნიშანს, ბ-ს, დაირთავს, წა- სახელს (=ცეცხლი) უთანხმდება და არა ინსუცა-ს, ერგატივში დასმულ სახელს.

და მაინც არ არის 3. უსლარის ინტერპრეტაცია მართებული. მართალია, რომ ხუნძურს არ გააჩნია მოქმედებითი გვარის ზმნა; უდაოა, რომ ბრალვებით ბრუნვას ვერ იგუებს ხუნძური გარდამავალი ზმნა ობიექტად. მაგრამ შეიძლება თუ არა აქედან დავასკვნათ, რომ ეს ზმნები ვნებითი გვარისაა? 3. უსლარმა ევროპული ენების ვნებითის სინტაქსური კონსტრუქცია მოიწარმა: отцом разводится огонь ინსუცა წა ბაქულა...

მაგრამ ვნებითი („разводится“) კორელატია მოქმედებითის გვარისა („разводит“) და მისგან იწარმოება; ხუნძურ ბაქულა-ს ასეთი მოქმედებითი ხარდენად არ აღმოაჩნდება: 3. უსლარმა თვითონ აღნიშნა—მოქმედებითი გვარის ზმნები ხუნძურისათვის უცხოაო. მაშასადამე, ბაქულა არ შეიძლება აღირღეს разводится-ს თავის აგებულებით: ენა, რომელსაც მოქმედებითი გვარი არ ეწარმოება, ვერც ვნებითს გვარს გაიჩენს¹.

მაგრამ ეს ზოგადი მოსაზრებაა. უფრო არსებითია შემდეგი გარემოება. ხუნძური ზმნა ყოველთვის ერთ კლასზე მიუთითებს, მაგრამ ხუნძურმა ნაზმნარმა სახელმა,—მიმღობამ,—შეიძლება ორი კლასი აღნიშნოს: ერთი მათგანი რეალურ სუბიექტზე მიუთითებს, მეორე—რეალურ ობიექტზე. სუბიექტის კლასი სუფიქსში ჩანს, ობიექტისა—პრეფიქსად გვაქვს:

ხურ ბ-ეტჟულე-უ ჩი—მიწის მოქმედი („მიწა-დამამუშავებელი კაცი“).
 ბ-პრეფიქსი ხურ- სახელს („მიწა“, „ყანა“) ეკუთვნის, უ- სუფიქსი—პირველი გამატიკული კლასისა—ჩი-ზე („კაცი“) მიუთითებს.

¹ ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი ის შემთხვევები, როდესაც ხუნძური ზმნა აწარმოებს კუბატივს და ამ უკანასკნელის კორელატად ვნებითი ჩნდება. ამგვარი კუბატივები და ვნებითები ახალი ტენდენციის გამოქვადიანებაა. არაკუბატიური გარდამავალი ზმნების დახასიათებას ეს ფაქტი ვერ შეგვაძლევინებს, პირიქით, მათს სხვაგვარობას უფრო გახაზავს. კუბატივების შესახებ—ცალკე.

ინსუცა ხურ ბ-ეტყულა („მამა მიწას ამუშავენს“) ბ- პრეფიქსი ისევ ხურ-თანაა დაკავშირებული; მაშასადამე, ისევეა ობიექტი, როგორც შესაბამის ნი-ლეობასთან (ხურ-ბ-ეტყულე-უ ჩი).

ამგვარად, ის, რაც ერთკლასოვან ზმნაში სადაო იყო—ქვემდებარისა: პრეფიქსი თუ დამატებისა—ორკლასოვან მიმღობაში სრული უშეკვლი-ბით ირკვევა: პრეფიქსით ობიექტი აღინიშნება; წინადადებაში—ინსუცა ხურ ბეტყულა—ხურ („მიწა“, „ყანა“) გრამატიკულადაც ობიექტია და არა სუბიექ-ტი და, მაშასადამე, ერგატივი „ინსუცა“ („მამამ“) არაა ევროპულ ენათა მოქ-მედებითი, ვნებითი გვარის ზმნებთან რომ იხმარება, არამედ სუბიექტის სპე-ციფიკური ბრუნვა. ასეთ პირობებში შემასმენელი ზმნაც არ ეტოლება ვნებითს. არ დაიყვანება ევროპულ ენათა პასივამდის¹.

3. უსლარის თეორია გარდამავალ ზმნათა ვნებითობის შესახებ, ხუნ-ძური ენის მასალაზე ნაჩვენები, ამგვარად, დამაჯერებლად ვერ მიიჩნევა.

3. უსლარმა ზმნის ბუნების კვალიფიკაციით დაიწყო და ერგატივი ამის მიხედვით დაახასიათა. ნ. მარმა მოთხრობითი ბრუნვის (ერგატივის) რაობის გარკვევით დაიწყო და შემდეგ სათანადო დასკვნები გააკეთა გარდამავალ ზმნის შესახებ.

ნ. მართან მსჯელობის საგანია ქართული; ქართულში მოთხრობითი ბრუნვა მან- ნაცვალსახელს დაირთავს და აღწერით იწარმოება: კაც-მან, ძმა-მან... მოთხრობითის რაობა ამ ნაცვალსახელის კვალიფიკაციაზე იქნება დამო-კიდებული.

ნ. მარი ვარაუდობდა: მან მიცემითი ბრუნვააო (ისტორიულად): ქარ-თულ ენას, როგორც სემიტურ ენებთან მონათესავეს, ფორმანტები ხმოვნებით აქვს გამოსახელი; ა ხმოვანი არაბულში (და, მაშასადამე, ქართულშიც!) მიცე-მითის ნიშანია; ამგვარად, მან- ნაცვალსახელში მ რჩება ძირეულ მასალად, -ა ფორმანტია მიცემითი ბრუნვისა (-ნ კიდევ თანხმოვნითი ელემენტი, რომელიც ბრუნვის ნიშანში შედის, მაგრამ ამა თუ იმ ბრუნვისათვის სპეციფიკური არ არის).

რაკი მან- ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვადაა მიჩნეული, მის საშუალე-ბით ნაწარმოები ბრუნვა—კაც-მან, ძმა-მან—„ნაცვალსახელური მიცემითია“ („дательный местоименный“). ამისდა კვლად ქართულს ენაში ორი მიცემითი დასტურდება: კაც-ს, ძმა-ს, (მა-ს) და კაც-მან, ძმა-მან²...

ნ. მარის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“, რომელიც 1925 წელს გამოვიდა, ლაპარაკია „მეორე მიცემითის“ შესახებ: მოთ-

¹ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ავტორის წერილში „პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით“—ენიკი-ს მოამბე, ტ. X (1941).

ხუნძური ერგატივის შესახებ საუბარი გვაქვს მოხსენებაში: „ხუნძური ერგატივის წარ-მოქმენის ისტორია“: წაკითხული იყო საკავშ. მეცნ. აკად. ლიტერ. და ენის განყოფილების იან-ვრის სესიაზე (1941 წ.) ლენინგრადში (პირველი ნაწილი) და საქართვე. მეცნიერ. აკად. სახლგ. მეცნიერ. განყოფ. 1941 წ. ოქტომბრის სესიაზე (მეორე ნაწილი).

² იხ. ნ. მარის «Основные таблицы к грамматике древнеинтературного грузинского языка, СПб. 1908.

ობითი ე. ი. „მეორე მიცემითი“ მომდინარეობს წიგნური ბრუნების განსაზღვრული სახეობიდან; „პირველი მიცემითი“ (კაც-ს, ძმა-ს) შემოსულია ხალხური რუნებიდან¹.

„მიცემითი პირველი“ რეალურ სუბიექტს აღნიშნავს გარკვეულ ზმნებთან².
შას ჰყავს, აქვს, უყუარს...

შას უწერია, უკეთებია, უშენებია, უთქვამს...: არც ერთ ამ შემთხვევაში წინა მოქმედებითი გვარისა არ არის.

„მიცემითი მეორე“ (ე. ი. მოთხრობითი, ერგატივი) გადმოგვცემს რეალურ სუბიექტს გარდამავალ ზმნებთან:

შან აკეთა, აშენა, წერა, კრიბა...

რაკი რეალური სუბიექტის ბრუნვა („მან“) მიცემითია, მაშასადამე, არც აქ მის ზმნა მოქმედებითი გვარისა, სათანადო ზმნა პასიურია თავისი ბუნებით: მოქმედებითი გვარის ზმნათა აორისტის ფორმა გამოუკლებლივ ყველა ზმნასთან წარმოდგენილია, როგორც პასიური წარმოება“-ო, ამბობს ნ. მარო (იხ. Грам. др.-лит. груз. яз. § 178, გვ. 146).

„სპასალარმან კრიბა ლაშქარი“ ზუსტად ნიშნავსო „სპასალარის მიერ შეკრებილია ლაშქარი“ — („воспоначальником — бржа. военпачальнику — собрало есть войско“ (იქვე). და ამას მოსდევს: „ბუნებრივია ამიტომ, რომ აორისტთან და მისგან ნაწარმოებ კავშირებითან ლოგიკური სუბიექტი დგას მიცემითში, სახელდობრ, მეორე მიცემითში — „სპასალარმან“, — ლოგიკური ობიექტი — სახელობითში „ლაშქარი“ (იქვე).

„მოქმედებითს გვარშიაც აორისტს ყოველთვის აქვს ვნებითი გვარის ესა უის ფორმა“ (იქვე, § 179, გვ. 146).

ნ. მაროს ამოსავალი დებულება „მოთხრობითი ბრუნვა ისტორიულად მიცემითია“-ო არ მართლდება არც ქართველურ ენათა სახელთა ბრუნებისა და არც ზმნის უღვლილების ანალიზით.

მიცემითი ბრუნვა ქართულში ვერბალური ობიექტის ბრუნვაა და ყოველთვის პრეფიქსით აღინიშნება ზმნაში; მოთხრობითი ბრუნვა კი — მხოლოდ და მხოლოდ სუფიქსით: მან კრიბა-ა; ხუფიქსით კი ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში მარტოოდენ სუბიექტის პირი გადმოიცემა და არაოდეს ობიექტისა. ქართული ზმნის უღვლილების ეს პრინციპი გამორიცხავს შესაძლებლობას მან-სახელი (ე. ი. მოთხრობითი) მივიჩნიოთ მიცემით ბრუნვად (თუნდაც პირეულ ისტორიულ პერსპექტივაში).

სხვა სახელთა ბრუნებასთან შეპირისპირება, მრავლობითის სათანადო ფორმის ანალიზი და მეგრულ-ქანურთან შედარება აგრეთვე ცხადყოფს, რომ მან-ნიცვალსახელში ა ფუძის კუთვნილებაა (შა- არის ფუძე და არა მ-!), ბრუნვის ნიშნად — თანხმოვანი ლა რჩება. ა- ხმოვანი (მან-ში), მაშასადამე, არც მიცემითის ნიშანია და არც სხვა რომელიმე ბრუნვისა³.

¹ იხ. Грамматика древне-литерат. грузинского языка, Ленинград, 1925, § 28, გვ. 19.

² ივარაუდება ინვერსიული ზმნები.

³ მოთხრობითი ბრუნვის რაობის შესახებ — იხ. ავტორის: „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. X (1939).

საგულისხმოა, რომ იმავე „ძველი ქართული ენის გრამატიკის წინასიტყვაობაში თვით ნ. მარჩი აბათილებს დებულებას, თითქოს მან- მიცემი იყოს:

მუნ- ზმნისართი ნ. მარჩი მიაჩნია **მან-** ნაცვალსახელის შიშინა ვარინათად და ამ სიტყვაში **-უნ** აქვს ფორმანტად გამოყოფილი ისევე, როგორც **მან-ში -ან** (იხ. Грам. др.-лит. груз. яз., § 133, 3ა, გვ. 109).

ასეა ეს ძე. ქართ. გრამატიკის ტექსტში. იმავე წიგნის წინასიტყვაობაში კი იმავე **მუნ-** სიტყვაში სუფიქსად მხოლოდ **-ნ** არის მიჩნეული, **მუ-** კი ფუძისეულ მასალადაა გამოცხადებული: „წმინდა შედარებითმა ფორმალურმა მიჯგომამ გვაიძულა **მუნ...** მიცემით ბრუნვად მიგვეჩინა... მაშინ, როდესაც მეტყველების პალეონტოლოგია ნაცვალსახელურ **მუ-** ფუძეში ააშკარავებს არსებობას ხელს **მურ-** „თავ“-ის მნიშვნელობით (შდრ. ბასკ. ბურ-უ, თჯი-თავ-) და, ბუნებრივია, რომ ახლა გვიხდება დავებრუნდეთ ფორმალურადაც **მუნ-**-ის ანალიზს **-ნ-ნა** სუფიქსით, რაც ჩვენ მიერ უარყოფილი იყო, როგორც ანალიზი პირველი შთაბეჭდილების მიხედვითაო“ (იხ. გრამატიკის წინასიტყვაობა, გვ. V).

რთული, შემოვლილი გზით, არც-თუ უღაო მოტივებით, ნ. მარჩი მივიდა იმ მარტივ ფაქტამდის, რომლის უგულებელყოფაც ედო საფუძვლად **მან-** ნაცვალსახელის გამოცხადებას მიცემით ბრუნვად.

ამრიგად, ბოლოს და ბოლოს ნ. მარჩმა უარი თქვა დებულებაზე: **მან** მიცემითიაო.

მაგრამ თუ **მან** მიცემითი არაა, შეუძლებელია გარდამავალი ქართული ზმნის შესახებ გაკეთდეს დასკვნა: ენებითი გვარისააო (აორისტში),—მოიხსნა ამოსავალი დებულება, შეუძლებელია დაეტოვოთ მისგან გაკეთებული დასკვნებიც...

ქართული გარდამავალი ზმნის ენებითი გვარისად მიჩნევა ნ. მარჩთან პირდაპირი შედეგი იყო მოთხრობითი ბრუნვის, ერგატივის, მიცემით ბრუნვად გამოცხადებისა.

3. უსლართან—პირუკუ: ერგატივის სრული გათანაბრება მოქმედებით ბრუნვასთან უშუალოდ გამომდინარეობდა გარდამავალი ზმნის ენებითად მიჩნევიდან.

ორსავე შემთხვევაში საერთოა ძირითადი დებულება,—მტკიცება, რომ გარდამავალი ზმნა არ არის მოქმედებითის გვარისა, რომ გარდამავალი ზმნა ენებითი გვარისაა.

საერთოა აქ არა მხოლოდ დასკვნა, არამედ პრობლემის გადასაქრელად არჩეული გზაც: უჩვეულო კონსტრუქცია დაჰყავთ ევროპულ ენებში ცნობილ ოდენობამდის, ცდილობენ დაშალონ იგი ჩვეულებრივ ოდენობებად¹.

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის რყევვა ამგვარი გზით შეუძლებელია: ეს პრობლემა მხოლოდ მაშინ იქნება გადაწყვეტილი, თუ **მოხერხდება**

¹ აქ არას ვამბობთ **შუნხარდტის**, **ულენბეკის** და სხვა ავტორთა კონსტრუქციებზე. ერგატიული კონსტრუქციის თეორიათა სრული ანალიზი, როგორც აღვნიშნეთ ზემოთაც, ცალკე ივარაუდება.

იმის ჩვენება, რაც არის სპეციფიკური მასში და რაც იწვევს ამ სპეციფიკურობას.

საამისოდ კი მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ამოსვლა თვით ამ ენების ფაქტებიდან (—და არა შემოსვლა ამ ენების სტრუქტურულ სინამდვილეში სხვა ენებში დადგენილი ცნებებით—) და ამ ფაქტებში დადასტურებული შინაგანი კანონზომიერების მიკვლევა.

თავის თავად ცხადია, რომ ქართველური და სხვა კავკასიური ენების წიდან გასვლა კვლევა-ძიების გარკვეულს საფეხურზე აუცილებელი იქნება: აქ, პირველ ყოვლისა, ბასკურის მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურა მიუყვება ყურადღებას, შემდეგ — სხვა ენებისაც, სადაც კი დასტურდება ერგატული კონსტრუქცია, ჩამოყალიბებული თუ ფრაგმენტარული სახითა.

ქართველური და სხვა კავკასიური ენების შესწავლის დღემდის მოპოვებული შედეგები საკმარისი არ არის ერგატული კონსტრუქციის პრობლემის დასაწყვეტისათვის in concreto, მაგრამ არის შესაძლებლობა მაინც და მაინც ზოგი რამ in principio — გარკვეულად მივიჩნიოთ.

აქ მივუთითებთ უმთავრესზე:

1. ერგატული კონსტრუქციის პრობლემიდან უნდა გამოირიცხოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია რეალური სუბიექტის დასმასთან მიცემითში (და ლოკატივში): ძმას უყვარს და ხუნძ. ვაცასე დოტოულა აც... ვაცასლა მიხულა აც „ძმა ხედავს დას“ („ძმისდა ჩანს და“).

ზმნის საკითხი აქაც საგულისხმოა, მაგრამ სათანადო კონსტრუქციის ახსნა, იმის ჩვენება, თუ რატომია რეალური სუბიექტი მიცემითში (ძმას — უყვარს, აქვს, ჰყავს, სძინავს...), სულ სხვა საფუძვლებზე მითითებას გულისხმობს¹, ვინც იმ შემთხვევაში, როცა რეალურ სუბიექტად ერგატივია.

2. ერგატული კონსტრუქციის პრობლემაში უნდა იქნეს განხილული ის შემთხვევები, როდესაც რეალური სუბიექტი ერგატივით არის გადმოცემული.

ეს ერგატივი ზოგან ხდება მოქმედებითს (თუ ნათესაობითს), მაგრამ აქედან ვერ გაკეთდება დასკვნა, თითქოს ამ ერგატივის ფუნქცია მოქმედებითით (თუ ნათესაობითით) ამოიწურებოდეს. ასეთი მოქმედებითი ვერ დაიყვანება ჩვეულებრივს მოქმედებითამდის² მაშინაც კი, როდესაც სხვა მოქმედებითი სახელს არ გააჩნია (ასეა ეს, მაგალითად, ხუნძურში შესამე გრამატიკული კლასის — ნივთის კლასის — სახელებთან). ასეთი გათანაბრება ერგატივის სპეციფიკურობის უგულებელყოფა იქნებოდა.

ასევე: ქართული მოთხრობითი მეტად ახლოს დგას სახელობითთან (ისტორიულად ესაა პირველი სახელობითი!), მაგრამ მას სახელობითთან ვერ გა-

¹ ამგვარ ზმნებზე შემთხვევა გვექონდა შეფერებულთქვეთ მოხსენებაში „სუბიექტისა და ობიექტის საკითხი ინვერსიულ ზმნებში“. მოხსენება წაკითხული იყო ქართული ენის კათედრის სხდომაზე 1937 წ.

² ამის შესახებ დაწერილებით — მოხსენებაში: „ხუნძური ერგატივის წარმოქმნის ისტორია“.

ვათანბრებთ (თუმცა რუსულ და ევროპულ ენებზე ის მხოლოდ სახელობითი გადმოიცემა): ეს იქნებოდა მოთხრობითის სპეციფიკურობის ნიშლა.

3. **ზმნა, რომელთანაც რეალური სუბიექტი ერგავივშია**, არ არის ჩვეულებრივი მოქმედებითი გვარის ზმნა, როგორსაც ევროპული ენებიდან ვიცნობთ (ამ მხრივ სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრი მართებულია): არის სხვაობა იმ გარდამავალ ზმნას შორის, რომელსაც ნივთის ობიექტი ბრალდებითს ბრუნვაში (აკუზატივში) უზის და იმ ზმნას შორის, რომელიც ნივთის ობიექტად სახელობითს მოითხოვს.

ნეგატიურ ნაწილში სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი შეხედულება დამაჯერებელია. მიუღებელია დებულების პოზიტიური ნაწილი: ერგატიულ კონსტრუქციაში მონაწილე ზმნა ენებითი გვარისააო.

4. **როცა რეალურ სუბიექტად ერგავივა, ზმნა-შემასმენელი არაა ჩვეულებრივი მოქმედებითი გვარისა, მაგრამ არც ვნებითისაა, იგი ნეიტრალურია¹ თავისი ბუნებით.**

ეს ნეიტრალურობა ყველაზე მკვეთრად იგრძნობა იქ, სადაც ენა მოქმედებითსა და ენებითს გვარებს არ განასხვავებს (ან მათი ჩანასახი და მოიპოვება,—ასეა, მაგალ., ხუნძურში).

პირაუკუ, იქ, სადაც მოქმედებითი და ენებითი გვარი, როგორც მორფოლოგიური ფაქტი, ზმნის უღვლილებაში გარკვევითაა მოცემული, გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობა გაცილებით ნაკლებაა საგრძნობი (ასეა ეს ქართველურ ენებში).

5. **ზმნის ნეიტრალური ფუძე შეიძლება აქტიური („მოქმედებითი“) გახდეს გარკვეულს დროებში ანდა შეიძლება ნეიტრალურივე დარჩეს.**

ნეიტრალურ ფუძეს შეეფერება რეალური ობიექტი (ე. წ. „ნივთის ობიექტი“) სახელობითს ბრუნვაში (ანდა ფუძის სახით), გააქტიურებულს—რეალური ობიექტის გადაყვანა სახელობითიდან მიცემითს ბრუნვაში.

ამის ნათელი სურათი ქართულში გვაქვს:

სახლი აშენა—სახლს აშენებს

კაცი კლა—კაცს კლავს...

6. **მიცემითი ბრუნვა გააქტიურებული ზმნის ფუძის ობიექტია**, ისა დგას უფრო ახლოს ევროპულ ენათა აკუზატივთან და არა სახელობითი; სხვანაირად რომა ვთქვათ: ევროპულ ენათა პირდაპირ დამატებასთან უფრო ახლოსაა მიცემითი („ნივთის ობიექტისა“—სახლს აშენებს) და არა—სახელობითი (სახლი აშენა).

¹ ჩაჩურისა და დალისტინს ენათა ზმნის ფუძის ნეიტრალურ ხასიათზე მოგვითხრობს ად. დირი ჯერ კიდევ 1908 წელს გამოსულ შრომაში: «Армянский язык», წინასიტყვე. გვ. IV. მაგრამ სათანადო წინადადებაში გარდამავალ ზმნას ენებითთ თარგმნის, ე. ი. უსლარის გზით მიდის. 1928 წ. გამოსულ Einführung-ში ქართული ზმნა აორისტში („პერფექტი“) პასიურ ბუნებისად არის გამოცხადებული (იხ. Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, გვ. 85, შენიშვნა 1). შდრ. პ. შუხარდტი, რომელსაც ზმნის ფუძე საერთოდ (ე. ი. ყველა ენაში), ნეიტრალურად მიაჩნია (იხ. Über den passiven Charakter des Transitiivs—Ind. Forsch. XVIII (1906), გვ. 528.

7. ნეიტრალური ფუძის გააქტიურება აწმყო დროში გარკვეული მორ-
ფოლოგიური საშუალებით წარმოებს: ესაა აწმყო ფუძის აფიქსები: აშენ-ებ-ს,
ვაშ-ს, კლ-ავ-ს...

ეს სუფიქსები (-ებ-, -აშ-, -ავ...) მოქმედებითი გვარის საწარმოებელი
აფიქსები და ქართულ ზმნაში. ვნებითი გვარის საწარმოებელი ფორმან-
ები—დ-(-ედ), -ენ- სუფიქსები, -ი-, -ე- პრეფიქსები—ყოველთვის იქცევა
ქართულად; ბუნებრივი იქნებოდა მათ გვერდით მოქმედებითი გვარის სუ-
ფიქსები² დაგვეყენებინა.

ეს სუფიქსები მხოლოდ დროთა პირველ ჯგუფში გვაქვს; ბუნებრივიცაა,
თუ იყოს: დროთა მეორე ჯგუფის—ნამყო ძირითადის (აორისტის) ფუძე არ-
ებითად ნეიტრალურია (და არა—აქტიური); ამიტომ შეუძლებელია ეს
სუფიქსები ნამყო ძირითადის ფუძეში. (შდრ. ჰ. შუხარდტი: ქართ. აორის-
ტიკისიურ-აქტიური—ხსენ. შრ. გვ. 530).

8. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ დროთა წარმოება ქართულში,
თუ მას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, გარდამავალ ზმნათათვის
მხოლოდ ვარაუდობს ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფს,—აწმყო ჯგუ-
ფს მორეულია.

ცხადია, ამ პერსპექტივის უძველეს მომენტებს მივყავართ იმ კატეგორიე-
ბების, რომლებიც დროის კატეგორიას წინ უძღოდა.

9. მერე: ფუძის გააქტიურების პროცესი თავის ბუნებით შინაგან კავ-
შია კაუზატევთა წარმოებასთან—ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე სა-
ხელობა გამოყენებული ზმნის ფუძის ტრანსფორმაციისათვის (გააქტიურები-
ლისათვის): აწმყო ფუძე ნამყო ძირითადის ფუძესთან არსებითად ისეთსავე
მართებაშია, როგორშია კაუზატიური წარმოების ფუძე იმყოფება საწარ-
მოებლად აღებულ ფუძესთან.

ყველა ეს საკითხი მონოგრაფიული დამუშავების საგანია. აქ კი სქემატუ-
რულად მსჯელობა მათ შესახებ იმდენად არის გამართლებული, რამდენად ამას
შეუძლია ძირითადი დებულება—ერგატიულ კონსტრუქციაში ზმნის ფუძის
ნეიტრალურობის შესახებ. ზემოთ ნათქვამი ამ დებულების საფუძველზე მოცე-
მული პერსპექტივაა.

ამრიგად, შინაგანი კავშირია ზმნის ფუძის აგებულებასა და ობიექტის
სხევის შორის.

რით განისაზღვრება სუბიექტის ბრუნვათა ცვლა? ორი გარემოებით:

1. იმ ფაქტით, რომ ისტორიულად ორი სახელობითი გვაქვს: ძველი,
ძველ. მოთხრობითი (ერგატივი) და ახალი, ამჟამად სახელობითის სახელწო-
ვით ცნობილი. ერთიცა და მეორეც ნაცვალსახელური ელემენტებით დე-
კლინირებული ფუძეა³.

¹ ეს გარემოება აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ჰ. შუხარდტი—იხ. ხსენ. შრ. გვ. 530.

² ეს სუფიქსები ვნებითშიც გადაყვება ზმნას: ასეთ შემთხვევაში მათ მოსდევს ვნებითის
წარმანტი (-ი-კლ-ვ-ის, ი-კრ-ებ-ის, ი-დგ-შ-ის)—„სანეიტრალისაციოდ“!

³ იხ. ავტორის: „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“—სტალინის
პედაგოგის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. X (1939).

2. ნაცვალსახელური ელემენტების გამოყენება ბრუნებასა და უღელღებობაში ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო. ამ მხრივ ფასეულ მასალას იძლევა ქართული ენის ისტორია (ეს სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, — აქ მხოლოდ საკითხზე მითითებით ვკმაყოფილდებით).

მაშასადამე, მოთხრობითი ბრუნვა (ერგატივი) არც ზმნის ფუძის აქტიურობის გამომხატველია (როგორც, ერთი შეხედვით, გვეჩვენება იმის გამო, რომ გარდამავალ ზმნათა რეალური სუბიექტის ბრუნვად გვაქვს); იგი ზმნის ფუძის არც პასიურობის მაუწყებელია (როგორც ამას ვარაუდობენ ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის დამცველნი), მოთხრობითი ბრუნვა (ერგატივი) მხოლოდ ისტორიული კორელატია ობიექტის აღნიშვნელი სახელობითი ბრუნვისა.

როცა რეალური სუბიექტი მიცემითი ბრუნვითაა გადმოცემული, ეს ძველის-ძველი აზროვნების უკუფენაა; როცა რეალური სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვით (ერგატივით) არის გადმოცემული, ეს სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების თავისებური ისტორიული ურთიერთობითაა შეპირობებული და ზმნის ფუძის ნეიტრალურობის ნიადაგზეა წარმოქმნილი.

ერგატიულ კონსტრუქციაში მონაწილე ზმნის ფუძის ნეიტრალურობის ჩვენება სხვადასხვა კავკასიურ ენაში — ამ ენათა მასალის ანალიზის მეოხებით — გადაუდებელი ამოცანაა (რეალური ობიექტის ბრუნვის მნიშვნელობა ამ მხრივ უკვე მოხსენებული გვაქვს).

ამავე თვალსაზრისით აღნიშვნის ღირსია ერთი სინტაქსური მოვლენა ხუნძური ენისა. მხედველობაში გვაქვს რეალური სუბიექტის ბრუნვის ცვალებადობა ერთ და იმავე ზმნასთან.

პირველ რიგში ეს ეხება ზოგადს აწმყოში დასმულ ზმნას, ხუნძური ზოგადი აწმყო აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივად მიმდინარეობს (და არა იმ მომენტში, როდესაც ამ მოქმედების შესახებ ლაპარაკია). ქართულში ასეთი მნიშვნელობა აქვს აწმყო ზმნებში: მოწაფე სწავლობს, მასწავლებელი ასწავლის... სუბიექტის თვისება ამგვარ მაგალითებში პროცესის სახითაა წარმოდგენილი. ყურადღების ცენტრშია სუბიექტი და მისი დახასიათება, ობიექტი იჩრდილება.

როგორც ერთგან ზემოთ უკვე აღნიშნული გვაქვს, ხუნძური გარდამავალი ზმნა რეალურ სუბიექტს ერგატივში მოითხოვს, რეალურ ობიექტს — სახელობითში.

ინსუცა წა ბაქულა — მამა ცეცხლს ანთებს („მამამ ცეცხლი ანთებს“)

ინსუცა ხურ ბეტულა — მამამ მიწას ამუშავებს („მამამ მიწა ამუშავებს“)
ეაცას წულ ყოტულა — ძმა შეშას კრის („ძმამ შეშა კრის“)...

მსგავსივე აგებულებისაა ფრაზა:

ინსუცა ჩედ ქვანალა „მამამ კამს ხოლმე პურს“; რეალური სუბიექტი — ინსუცა „მამამ“ აქ ერგატივშია, რეალური ობიექტი — ჩედ „პური“ — სახელობითში.

მაგრამ იმავე ქვანალა-ზმნისთან რეალური სუბიექტი სახელობითშიც უსმის.

დუნ ქვანალა¹ „მე ვკამ ხოლმე“—„იმის აღუნიშვნელად, თუ რას ვკამო“, უსმის პ. უსლარი, რომელსაც ეს მაგალითი მოჰყავს (იხ. Авар. яз., ლექსიკონი, გვ. 113)².

სახელობითია რეალური სუბიექტის ბრუნვა აგრეთვე გამოთქმაში:

კანტუნ ქვანალა დოუ—ხარბად კამს ის

ტეატიზეჭან ქვანალა დოუ—გახეთქამდის კამს ის (იხ უსლარი-თან, იქვე).

ქვანალა რომ ვნებით იყოს და ერგატივი რომ მოქმედებითს უღ-სდეს, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ქვანალა დოუ „კამს ხოლმე“ (RS სახელობითში): ერგატივი უნდა დარჩენილიყო რეალური სუბიექტის ჩუნივად იმისდა მიუხედავად, იქნებოდა რეალური ობიექტი (ჩედ „პური“) და-სხელებული იყო არა. მართლაც სულ ერთი არაა, ვიტყვი: кушается му-სან (ობიექტის აღნიშვნით!) თუ кушается му (ობიექტის აღუნიშვნელად): რეალური სუბიექტი მოქმედებითში იყო და მოქმედებითშივე დარჩა.

რუსული და ევროპული ენების რეალური სუბიექტის ბრუნვა გარკვეულ-მანსთან მტკიცედ გარკვეულია. ქვანალა ზმნის რეალური სუბიექტი ცვალებ-ლია: ის ერგატივსაც იფუებს და სახელობითსაც, სინტაქსური კონსტრუქცია-ბუდეგარია, ლაბილურია.

უსლარის —ჩედ ქვანალა დიცა —ამქამად ხუნძებს ცოტა არ იყოს ეჩო-ბრებათ (რჩებენ კონკრეტულ აწმყოს: ჩედ ქუნა დიცა), თუმცა უსლარისეუ-ლი მაგალითი მართალი ხუნძურია.

ესეც არ იყოს, ჩეულებრივია ისეთი მაგალითები, სადაც რეალურ სუ-ბიექტად ზმნა ხან ერგატივს მოითხოვს და ხან სახელობითს.

კვალა „წერს“; „იწერება“ (ინფინ.—ჯვაზე).

წარალაულ ბეტერალდა ნეჟეცა კუდიმაბ ჰაართ ჯვალა „სახელის-სასაწყისში („თავში“) ჩვენ მთავრულ („დიდ“) ასოს ვწერთ“...

წარალაულ ბეტერალდა კუდიმაბ ჰაართ ჯვალა —„სახელის დასაწყისში-ში დი ასო იწერება“.

ამგვარად: ჯვალა--1. წერს, 2. იწერება: ჯვალა ორივეს მაგივრო-ბას ეწევა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი არც წერს-აა და არც იწერება, არც-მოქმედებითი გვარისაა და არც ვნებითისა, ის არც საშუალო გვარისაა ჩეუ-სებრივი გაგებით, ესაა რაღაც სხვა, სპეციფიკური, ნეიტრალური, მოქმედები-ობა-ვნებითობის თვალსაზრისით.

ბ-იტყულა -1. „ყოფს“; 2. „იყოფა“ (ინფინ.—იტყეზე).

დოს ბიტყულა ანწაგო შუგომალდე (|| შუადე)—„ის ყოფს ხოლმე-ათს ხუთზე“

ანწაგო ბიტყულა შუგომალდე (|| შუადე)—„ათი იყოფა ხუთზე“

¹ შდრ. კონკრეტ. აწმყო: დიცა ქუნა ჩედ მე ვკამ (ახლა) პურს და დუნ ქუნა-ბე მკამენ“ (იხ. უსლარი, ლექსიკონი, გვ. 113).

² უსლარის უწერია: ქოანალა; ხუნძური სალიტერატურო ენის თანამედროვე ორთოგრა-ფით გააქვს „ქვანალა“.

რ-ჩიულა—1. „ყიდის“; 2. „იყიდება“ (ინფინ.—-ი ჩ ა ი ზ უ.
ქასირას ბელთალ რ ი ჩ უ ლ ა—„მოლარე ბილეთებს ყიდის ხოლმე“
ბელთალ რ ი ჩ უ ლ ა ქასალდა—„ბილეთები იყიდება სალაროში“...

ამგვარი მაგალითები ჩვეულებრივია. მას ზოგადი აწმყო გვაწვდის. ანა-
ლოგიური ფაქტები სხვა დროებშიც გვაქვს.

ბ-იხანა—1. „დაინგრია“; 2. „დაინგრა“ (ინფინ.—-ი ხ ა ი ზ ე).

დიცა (ერგ.) ბ ი ხ ა ნ ა რუყ (სახელ.)—„მე დაინგრიე სახლი“.

შამილილი ნიზამ ბ ი ხ ა ნ ა ლუნიბ—„შამილის წეს-წყობილება დაინგრა
ლუნიბში“ (იხ. უსლარი, ლექსიკონი, გვ. 104).

ბ-ეჟანა—1. „გატეხა“; 2. „გატყდა“ (ინფინ.—-ე ქ ი ზ ე).

ღრცა (ერგ.) ბ ე ჟ ა ნ ა დოსულ ბეტერ (სახელ.)—„მე გავუტეხე მას თავი“
(„მე გავტეხე მისი თავი“)

დოსულ ბეტერ (სახელ.) ბ ე ჟ ა ნ ა—„მისი თავი გატყდა“ (იხ. უსლარი,
ლექსიკონი, გვ. 76).

ასევე: შიშა ბ ე ჟ ა ნ ა—ბოთლი („შუშა“) გატყდა...

ბ-აქანა—1. „აჩენა“, „გამოაჩინა“; 2. „გამოჩნდა“ (ინფ.—-ა ქ ი ზ ე).

დიცა (ერგ.) დოსიდე ჟო (სახელ.) ბ ა ქ ა ნ ა—„მე მას რამე ვაჩენე“ („გა-
მოვეჩინე“) ე. ი. „ქრთამი მივეცი“.

ლ'ინ (სახ.) ბ ა ქ ა ნ ა ჰანიბ—წყალი გამოჩნდა აქ (იქვე, გვ. 38).

კვანა—1. „მოკლა“; 2. „მოიკლა“ (ინფინ.—-ქ ვ ა ზ ე).

დოს (ერგ.) კ ვ ა ნ ა ჟინდირგო დუშმან (სახ.)—„მან მოკლა თავისი მტერი“
დოუ კვანა ლუნიუ—„ის მოიკლა ლუნიბში“.

რეჟანა—1. „რეჟორცნა“; 2. „მომხვდა“¹ (ინფინ.—-რ ე ქ ი ზ ე)¹.

დიცა (ერგ.) რ ე ჟ ა ნ ა დოსდა თუმანქ (სახ.)—„მე ვესროლე („რეჟორცნე“)
მას თოფი“

დიდა (ლოკატ.) რ ე ჟ ა ნ ა გამაჰ (სახ.)—„მე („ჩემდა“) მომხვდა კვა“ (იქვე,
გვ. 174).

ჰა-ვ-უნა—1. „დაბადა“, „შეა“, „ქმნა“ (მღრ. მეგრ. „ქოქიმინუ“,
„მოიგო-ცხოველმა“; 2. „იშვა“, „დაიბადა“ (ინფინ.—-ჰ ა -ბ-ი ზ ე).

ქაუყუჯალ'ო ვას ჰავენა—„ქალმა ვაჟიშვილი იშვა“...

ვას ჰავენა—ვაჟიშვილი დაიბადა (იშვა), ფუშქინ ჰავენა—პუშქინი იშვა...

ჩვენ განგებ შევარჩიეთ ისეთი მაგალითები, სადაც ზმნაში სრულებით
არაფერი იცვლება და ერთი და იგივე ფორმა სახელობითშიც იგუბებს რეალურ
სუბიექტს და ერგატევიცი.

შეიძლება მოგვეყვანა „გახშირებითი“ ფორმები, სადაც გარდამავალ
ზმნასთან სუბიექტი, როგორც წესი, სახელობითში დაისმის:

¹ „სტყორცნა“ ზმნის ვნებითი არ იხმარება; ამის ნაცვალა „მომხვდა“.

შდრ. დოს (ერგ.) ლ'ილ'ულა როლ'ა (სახ.) „ის მკის პურს“
 ლ'ილ'არიალა ვუგო დოუ (სახ.) „ის მკის ხოლმე“...

აქაც იგივე შესაძლებლობაა ზმნისა იგუოს რეალური სუბიექტი ერგატიეშიაც და სახელობითშიც; მაგრამ აქ ზმნის ფუძეში სათანადო საწარმოებელი აფიქსი ჩნდება და სურათი ისე ნათელი შეიძლება არ გვეჩვენოს, როგორც ზემოთ მოყვანილს მაგალითებში.

და ეს მაგალითები ზმნის ფუძის ნეიტრალურობას ხელშესახებს ხდის. ზმნის ფუძის ნეიტრალური ბუნება მკვეთრად დაჩნდება ხუნძურ მიმღობაშიც; აქ ერთი და იგივე ფუძე მოქმედებითი გვარის მიმღობის შინაარსსაც გამოხატავს და ვნებითი გვარისასაც: სადიფერენციაციო საშუალებაა კლასის ნიშნების გამოყენება პრეფიქსად და სუფიქსად:

შდრ. ბილეთ ბ-იჩარა-უ ქასირ „ბილეთის გამყიდველი (ნამუოა: проданный) მოლარე“.
 ბ-იჩარა-ბ ბილეთ „გაყიდული (проданный) ბილეთი“.

არაეითარი ცვლილება არ მომხდარა მიმღობის ფუძეში მოქმედებითი და ვნებითი გვარის შესაბამისად; ამ მხრივ ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ზმნის ფუძეში გვექონდა. რაც შეეხება გვართა გამოსახატაე საშუალებას, პრეფიქსებისა და სუფიქსების გამოყენებას, მათი თანამიმდევრობა ისეთივეა, როგორიც აფხაზურში: გარდამავალ ზმნისთან ობიექტის ნიშანი უხჭრებს სუბიექტისას.

სუბიექტისა და ობიექტის ნიშანთა ერთნაირი თანამიმდევრობა აფხაზურსა და ხუნძურში იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ზმნის ფუძე ამ ენებში ერთნაირია: აფხაზური ზმნის ფუძე ისევე ნეიტრალური უნდა იყოს, როგორც ხუნძური.

ეგვევ ითქმის აღილური ენის შესახებ¹.

ზმნის ფუძის ნეიტრალურობა და სინტაქსური კონსტრუქციის ლაბილურობა ერთმანეთთან შინაგანს კავშირშია.

ხუნძურში გვაქვს ერთიცა და მეორეც. ეს კია, რომ ხუნძურში შეიმჩნევა სტაბილურ კონსტრუქციაზე გადასვლის ტენდენცია, რაიც მოქმედებითი და ვნებითი გვარების ჩახახვა-განვითარებას გულისხმობს და მოასწავებს.

რაც უფრო შორს წავა სათანადო პროცესი, მით უფრო ძნელი იქნება ზმნის ფუძის ნეიტრალურობის ხელშესახებად ჩვენება.

¹ საკითხი სპეციალურად უნდა იქნეს განხილული. ამჟამად შეიძლება მივუთითოთ ხუნძ. ქვალა-ტიპის ფაქტებზე აფხაზურისათვის ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ს. შრომაში „გარდამავლობის გრეგორია აფხაზურ ზმნებში“ აქვე (ენიმიკის მოამბე, XII, გვ. 10); აღილურის „გარდამავალი და გარდაუვალი კონსტრუქცია წინადადებისა“ ჩვენთვის საინტერესო ფაქტების დადასტურებაა ჯილდურში (იხ. Н. Ф. Яковлев. Краткая грамматика кабардино-черкесского я. 1936, № 12).

ღარგულისხმანლოგიური ფაქტები—იხ. ს. ბ. ი. ს. ო. ვ. ს. კ. ა. ს. წერილში: «Особенности построения переходного глагола в даргинском я.»,—იხ. კრებ. Памяти акад. Н. Я. Марра (1938), გვ. 54—60; მოვლენა ავტორის მეორეულად მიაჩნია.

ქართულში ერგატიული კონსტრუქცია სტაბილურია: მან ააშენა სახლი— მან ააშენა: ორივე შემთხვევაში თანაბრად აუცილებელია რეალური სუბიექტის დასმა მოთხრობითში, —სულ ერთია, ობიექტი იქნება დასახელებული თუ არა...

ერგატიული კონსტრუქციის სტაბილურობა განსაკუთრებით დემონსტრაციული იქნება იმ შემთხვევაში, როცა ზმნასთან უკვე აღარ იხმარება ობიექტი, კონსტრუქციისათვის იგი დაკარგულია საბოლოოდ, ზმნა კი მაინც ერგატივში მოითხოვს რეალურ სუბიექტს:

მან დაიძინა (შდრ. ძვ. ქართ. „მან ძილი დაიძინა“)

მან შეხედა მას (ამოსავალია გააოქმეა: „მან შეჰხედნა მას თჳალნი“) მან იცხოვრა („მან იცხოვრა თავი“)...

კონსტრუქციის სტაბილურობა ართულებს ფუძის ნეიტრალური ხასიათის ჩვენებას ქართულ ზმნაში.

ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფშიც კი ეს ნეიტრალურობა უფრო სუსტია, ვინემ ხუნძურში. ეს ბუნებრივია: **ვნებითი და მოქმედებითი გვარები უკვე ძველ ქართულში ჩამოყალიბებულია**, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, აწმყოშიცა და ნამყო ძირითადშიც: „ვაყიდა“ და „ვაიყიდა“ კონტექსტის გარეშეც ცხადად გაიჩვენა (შდრ. შესაბამისი ხუნძური მაგალითები ზემოთ).

და მაინც ჩანს ამ ნეიტრალურობის გარკვეული კვალი ქართულში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი ფაქტები:

1. ნამყო ძირითადში, როგორც ეს ცნობილია, გარდამავალ ზმნასთან ნივთის ობიექტი დგას სახელობითში, ე. ი. იმ ბრუნვაში, რომელშიაც გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი დაისმის.

2. ნამყო ღროის მიმღეობა არ შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარისა: მკუდარ-ი, მოკლულ-ი, დაწერილ-ი, გაკეთებულ-ი...

3. ნამყო ღროის მოქმედებითი გვარის მიმღეობის შინაარსის გადმოსაცემად ქართული მიმართავს იმავე საშუალებას, რაც ხუნძურისთვის ნორმას წარმოადგენს: **ობიექტი უძღვის ზემოხსენებულ მიმღეობას და მასთან ერთად კომპოზიტს ქმნის!**

თავ-გასულ-ი, ხმალ-ამოწედილი, თავ-დადებულ-ი, ბედ-კრულ-ი, გულ-ამოსკენილ-ი... კურს-დამთავრებულ-ი (ახალი წარმოება!).

აქ ქართული მიდის იმ გზით, რომელიც ზმნის ფუძის ნეიტრალურობის პირობებშია აუცილებელი, ნეიტრალურობითაა გამოწვეული.

4. ნამყო ძირითადის ჯგუფის ღროებში ერთმანეთს „ემთხვევა“ გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევა და ი-ანი ვნებითი:

მო-ი-კლა: ა. მან წყურვილი მოიკლა

ბ. ის ბრძოლაში მოიკლა...

ასევეა: შეიღება, დაიხატა, დაიწერა, დაიშალა, გაიშალა და სხვ. მრავალი.

¹ ეგვევ პრინციპია გატარებული ატრიბუტიულ კომპოზიტებში ტიპისა: მკარგრძელი, სულ-მოკლე-, გულ-ზეიად-ი.

დამთხვევას აქვს აქ ადგილი ახლანდელი გაგებით: ისტორიულად სა-
ანადო წარმოება არც ენებითი ყოფილა და არც სათავისო ქცევა, ეს უფრო
რეფლექსივს წარმოადგენდა და ორგვარს კონსტრუქციას იგუებდა: ე. ი. ნეიტ-
რალური ბუნებისა იყო, ლაბილური კონსტრუქცია მასთან ბუ-
ნებრივია.

5. ძველ ქართულში მოგვეპოება ზმნათა წყება და უღვლილების მოვლე-
ნათა რიგიც; რაიც შესაძლებელია გასაგები გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ ვივარაუდებდით, რომ ქართულშიაც სტაბილურ კონსტრუქციას წინ უსწ-
რებს ლაბილური კონსტრუქცია სათანადო თეორიული წინაპირობით: ზმნის
ფუძის ნეიტრალურობით¹.

შეიძლება დავასკვნათ. ქართული, ხუნძურ-დარგული, აფხაზურ-ადიღეუ-
რი—სამი ძირითადი კავკასიური ენობრივი წრის წარმომადგენელი—მოწმობს,
რომ სტაბილური ერგატიული კონსტრუქციის სათავეები ლაბილური კონსტრუქ-
ციაა, სტაბილური ერგატიული კონსტრუქცია მომდინარეობს ლაბილურისაგან.
ლაბილური კონსტრუქცია კი გარდამავალი ზმნის ფუძის ნეიტრალუ-
რობის ნიადაგზე წარმოიქმნება.

ამგვარად, კავკასიური ენებისათვის დასტურდება ნეიტრალური ბუნების
ერგატიული კონსტრუქცია, როგორც კანონზომიერი პროდუქტი ამ ენათა
მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებათა.

P. S. ამ წინასწარი მოხსენების დებულებები ცალკე საკითხთა მონოგრა-
ფიული დამუშავებისას, ალბათ, ერთგვარად დაზუსტდება, მასთან მას ახალი
საუბრელებიც შეეძინება, აქამდის წარმოებული ძიება ამის თქმის უფლებას
გვაძლევს.

ასეთ პირობებში ამ წინასწარ მოხსენებას მიზნად აქვს:

ა. წარმოგვიდგინოს, რა ადგილი უჭირავს ენის ინსტიტუტის კავკასიურ
ენათა განყოფილების მუშაობაში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემას,—
რომელიც კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და გენეზისის თვალსაზრისით ძი-
რითადი პრობლემაა და იმავე დროს ლამობს ზოგადი ენათმეცნიერების პრობ-
ლემად გადაქცევას.

ბ. მიუთითოს იმ გზებზე, რომლებიც ისახება ამ პრობლემის დასმისა და
გადაჭრის მხრივ ჩვენი ენების შესწავლის თანამედროვე დონეზე.

აქ მოცემულია მეტ წილად სქემა, რომელიც რიგი მონოგრაფიების და-
მუშავებას გულისხმობს კავკასიურ ენებზე მომუშავე ჩვენი კოლექტივის მხრივ.

გ. წინასწარი მოხსენების მიზანი უთუოდ ისიცაა, თვალსაჩინო გახადოს,
რამდენად აუცილებელია კავკასიურ ენათა ფონი ქართული ენათმეცნიერების
ძირითადი საკითხების სწორად დასმისა და გადაჭრისათვის. თეორიაში მას
შვითათად თუ ვინმე უარყოფს, სამეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკაში კი მას
არც თუ ხშირად ეწვეა ანგარიში.

¹ ყველა ზემოხსენებული მოვლენა ქართული ენისა სპეციალურად ცალკე გვიქნება გან-
ხილული.

АРН. ЧИКОБАВА

**ПРОБЛЕМА ЭРГАТИВНОЙ КОНСТРУКЦИИ В КАВКАЗСКИХ ЯЗЫКАХ:
СТАБИЛЬНЫЙ И ЛАБИЛЬНЫЙ ВАРИАНТЫ ЭТОЙ КОНСТРУКЦИИ**

(РЕЗЮМЕ)

1. Для эргативной конструкции характерно наличие эргативного падежа („ergativus“, „activus“) и отсутствие винительного падежа (accusativus).

Эргативный падеж может представлять собою отдельную морфологическую единицу (груз. ჯო-ბ ღაც-თაი „человек“, ბა-ბ თა-ი „он“) или же иметь общую с другим падежом форму (совпадать с трансформативным—„директивным“ пад., как то имеем в сванском яз., или с творительным падежом—наприм., в аварских именах существительных третьего грамматического класса).

Во всех случаях эргативным падежом обозначается „реальный субъект“ RS („реальный деятель“ „agens“), т. е. эргатив выступает в роли именительного падежа европейских языков (ბებ ჯაჯოთა თაი გააკეტა „он сделал“...).

2. *Отсутствие винительного падежа и наличие эргатива обусловлено характером глагола: своеобразие склонения имен обусловлено своеобразием спряжения глагола.* Тем самым проблема эргативной конструкции должна рассматриваться, как центральная проблема при анализе структуры соответствующих языков.

Поскольку в характере глагола приходится усматривать основу своеобразия эргативной конструкции (в особенностях склонения налицо лишь симптом особенностей спряжения глагола!), проблема эргативной конструкции может ставиться применительно и к таким языкам, в которых нет склонения,—если только в переходном глаголе фиксируются характерные особенности.

Так обстоит дело, например, в абхазском языке, где переходный глагол в отличие от непереходного дает иное расположение субъективных и объективных формантов и где показатель (3 л.) субъекта непереходного глагола совпадает с показателями объекта переходных глаголов.

3. Эргативная конструкция характерна для картвельских и других кавказских языков (абхаз., адыгейск., чеченско-ингуш. группы, дагестан. языков), а также реликтового баскского языка.

Эргативная конструкция отмечается исследователями и в некоторых мертвых языках Передней Азии (напр., в урартском—И. Ф р и д р и х, И. И. М е щ а н и н о в) в то время как этой конструкции нет (во всяком слу-

ში, в сложившейся форме) ни в индо-европейских, ни в семитических, ни в тюркских языках.

Это обстоятельство—при наличии и других данных—не лишено значения и в перспективе генетических взаимоотношений картвельских (и других кавказских языков) с древними мертвыми языками Передней Азии.

4. Из вышеуказанных двух характерных признаков склонения имен (см. § 1) отсутствие винительного падежа выступает в качестве конститутивного признака: оно неизменно налицо во всех кавказских языках.

Лишь удинский язык, казалось бы ограничивал категоричность этого утверждения: в нем отмечалось наличие винительного падежа.

Ныне можно считать твердо установленным, что в удинском языке винительный падеж явление вторичного порядка, этот падеж генетически восходит к дательному падежу (В. Н. П а и ч в и д з е).

5. Отожествление эргативного падежа с дательным или творительным, как то имеет место в специальной литературе (Н. Я. М а р р, П. К. У с л а р) не подтверждается историей склонения соответствующих языков.

В эргативном падеже ряда языков предлежит детерминированная при помощи местоименной частицы основа (таков эргативный падеж в грузинском, занском..., в адыгейском, в аварском... языках).

Эргативный падеж не является косвенным падежом и тогда, когда он выступает в функции косвенных падежей европейских языков.

Эргатив—такой же прямой падеж, как и именительный.

В этой связи должно быть отвергнуто положение о пассивности переходного глагола соответствующих языков.

6. *Основа переходного глагола—в ее простейшем виде—в кавказских языках нейтральна по своей природе.*

Отсутствие противостоящих друг другу действительного и страдательного залогов—морфологическое выражение нейтральности главной основы в этих языках.

В определенных условиях нейтральная основа может стать активной, но может и оставаться нейтральной во всех временах.

Реальный „объект вещи“ (RO) при глагольных основах нейтрального строя ставится в именительном падеже (груз. გააკეთა საქმე გააქტა sakme [имен.] „сделал дело“), при основах же активного строя RO—в дательном падеже (груз. აკეთებს საქმეს აკეტებს sakmes [дат.] „делает дело“).

С винительным падежом европейских языков, с падежом прямого объекта, ближе—дательный падеж (кавказских языков), а не

именительный (хотя ни тот, ни другой не являются падежами прямого объекта в понимании европейских языков).

7. Показателем нейтральности основы переходного глагола служит *лабильность конструкции*:

а. при переходном глаголе реальный субъект ставится в эргативном падеже, если налицо реальный объект; при отсутствии же последнего при том же глаголе реальный субъект ставится в именительном падеже:

авар.: დოს (ერგ.) ქვანალა ჩედ (სახელ.) dos (erg.) kvanala čed (nomin.) „он ест (обыкновенно) хлеб“

ლოუ (სახელ.) ქვანალა dou (nomin.) kvanala „он ест“ („обыкновенно“—не указывая, что).

ср. абхаз.: ს-ძახუეღ s-ḡaxwejḡ „я шью, занимаюсь шитьем“ (без указания объекта)—глагол непереходный
 ი-ზ-ძახუეღ i-z-ḡaxwejḡ „я шью что-то“—глагол переходный (см. К. В. Ломтатидзе: „Категория переходности в абхаз. глаголе“, здесь же, стр. 10).

ს-ჭუეღ s-čwejḡ „я пишу“ (без указания объекта)—непереход. глагол.

ი-ზ-ჭუეღ i-z-čwejḡ „я пишу что-то“ (переход. глагол).

Аналогичные факты засвидетельствованы и в адыгейском языке (Н. Ф. Яковлев), и в даргинском языке (С. Л. Быховская).

б. Одна и та же глагольная форма может выполнять функцию и действительного и страдательного залогов, не являясь ни тем, ни другим, но сочетаясь с субъектом в эргативе или номинативе:

авар.: დოს სთაქან ბეკანა dos stakan bekana „он разбил стакан“
 სთაქან ბეკანა stakan bekana „стакан разбился“.

Эргативный падеж оказывается исторически коррелятивным падежу реального объекта (вещи).

8. В грузинском — и других картвельских языках — эргативная конструкция ныне стабильна. Стабильность конструкции закономерно уязвима с ясно выраженным различием действительного и страдательного залогов.

В грузинском — и других картвельских языках — реальный субъект (RS) — ставится в повествовательном падеже в определенных случаях независимо от того, наличен или отсутствует реальный объект (RO).

მან გააკეთა საქმე man gaaketa sakme „он сделал дело“
 მან გააკეთა man gaaketa „он сделал“...

Эта стабильность конструкции особенно ярко проявляется в тех случаях, где реальный объект RO, некогда необходимый член словосочетания, впоследствии исчез, падежом же реального субъекта RS по-прежнему является аргатив:

კ. რუჯ.: მან დაიძინა (ძილი) man daijina (zili) „он заснул“
 მან შეჰხედნა (თუალნი) man shehedna (twalni) „он посмотрел“.

9. Но и в грузинском языке прослеживаются пережитки лабильной конструкции:

- მო-ი-კლა mo-i-klā: 1. მან წყურვილი მოიკლა man csurvili moiqla „он утолил (букв. „убил“) себе жажду“
 2. ის ომში მოიკლა is omši moiqla „он на войне убил“.

Одна и та же форма—с префиксом *o- i-*—в аористе в зависимости от контекста может выступать, то как действительный залог субъектной версии, то как страдательный залог: потому то от такого действительного залога нельзя образовать страдательной формы (единственный в своем роде случай в грузинском языке!).

Ряд и других данных древнегрузинского литературного языка может быть правильно истолкован лишь в аспекте наличия лабильной конструкции (к этому вопросу надеемся вернуться впоследствии).

10. *Нейтральный характер глагольной основы, недифференцированность действительного и страдательного залогов, лабильность синтаксической конструкции*—внутренне между собою связаны.

Там, где действительный и страдательный залогов не различаются, лабильная конструкция выступает ярко; там же, где эти залогов уже сформировались, конструкция становится стабильной; и, естественно, лабильность конструкции, нейтральный характер основы прослеживаются лишь пережиточно (так обстоит дело в грузинском и остальных картвельских языках).

В ряде горских кавказских языков (напр., в аварском) начинают зарождаться залогов (действительный—в виде каузатива—„побудительный зал.“—и страдательный), что ведет к стабилизации синтаксической конструкции.

Исторически лабильная конструкция предшествовала стабильной: *стабильная эргативная конструкция возникает из лабильной.*

ARN. TCHIKOBAVA

**LE PROBLÈME DE LA CONSTRUCTION ERGATIVE DANS LES
LANGUES CAUCASIQUES: VARIANTES STABLE ET LABILE
DE CETTE CONSTRUCTION**

(RÉSUMÉ)

1. La présence du cas ergatif („ergativus“, „activus“) et l'absence du cas accusatif (accusativus) sont caractéristiques pour la construction ergative.

Le cas ergatif peut être une unité morphologique à part (*głor.* յօյ-ձե կառ-man „l'homme“, ձա-Ն ma-n „lui“) ou avoir une forme commune avec un autre cas (coïncider avec le transformatif—„directif“, comme nous l'avons en svane, ou avec l'instrumental—par exemple dans les substantifs avares de troisième classe grammaticale).

Dans tous les cas l'ergatif désigne un „sujet réel“—RS—(„agent réel“, „agens“), c'est-à-dire l'ergatif fonctionne au rôle du nominatif des langues européennes (ձաՆ զապրտա man gaqeta „il fit“...).

2. L'absence de l'accusatif et la présence de l'ergatif dépendent du caractère du verbe: *l'originalité de la déclinaison des noms se détermine par celle de la conjugaison des verbes.* Par cela même le problème de la construction ergative doit être considéré comme problème central dans l'analyse de la structure des langues correspondantes.

En tant qu'il faut voir le fondement de l'originalité de la construction ergative dans le caractère du verbe (dans les particularités de la déclinaison nous avons affaire à celles de la conjugaison du verbe tout simplement!), le problème de la construction ergative peut être posé aussi conformément aux langues n'ayant pas de déclinaison, pourvu que les particularités caractéristiques se fixent dans le verbe transitif.

C'est ainsi que les choses se trouvent par exemple dans l'abkhaze où le verbe transitif contrairement à l'intransitif donne un autre arrangement des formantes subjectives et objectives et où l'indice (de la 3^m pers.) du sujet du verbe intransitif coïncide avec celui de l'objet des verbes intransitifs.

3. La construction ergative est caractéristique pour les langues kharthvéliennes et d'autres langues caucasiques (abkhaze, adygué, groupe tchéchéno-ingouche, langues daghestaniennes) ainsi que pour la langue relicte basque.

La construction ergative est aussi signalée par les explorateurs dans quelques langues mortes de l'Asie Antérieure (dans l'urarte—J. Friedrich J, J. Mechtchaninof...), tandis qu'elle n'existe (tout au moins dans une forme bien faite) dans les langues indo-européennes, ni chez les Sémites, ni chez les Turcs.

Cette circonstance—en présence de quelques autres données—n'est pas privée de signification dans la perspective des rapports réciproques génétiques entre les langues kharthvéliennes (et autres langues du Caucase) et les langues anciennes mortes de l'Asie Antérieure.

4. Parmi les deux susdites marques caractéristiques de la déclinaison des noms (v. § 1) l'absence de l'accusatif se manifeste comme signe constitutif: elle est toujours là dans toutes les langues caucasiennes.

Seul, l'oudine, paraît-il, limite le caractère péremptoire de cette affirmation: on y signalait la présence de l'accusatif.

Maintenant on peut tenir pour fermement établi que dans l'oudine l'accusatif est un phénomène de second ordre; génétiquement il remonte au datif (V. N. Pantchvidzé).

5. L'identification de l'ergatif avec le datif ou l'instrumental comme cela se fait dans la littérature spéciale (N. J. Marr, P. K. Uslar) ne se confirme pas par l'histoire de la déclinaison des langues correspondantes.

Dans l'ergatif d'une série de langues on a un thème déterminé à l'aide d'une particule pronominale (tel est l'ergatif dans le géorgien, le zane, l'adygué, l'avare...).

L'ergatif n'est pas un cas oblique, même s'il fonctionne comme les cas obliques des langues européennes.

L'ergatif est un cas aussi direct que le nominatif.

Dans cette connection il faut répudier la thèse de la passivité du verbe transitif des langues correspondantes.

6. *Le thème du verbe transitif—dans sa forme la plus simple—est neutre d'après sa nature dans les langues caucasiennes.*

L'absence des voix active et passive qui s'opposent est l'expression morphologique de la neutralité du thème verbal dans ces langues.

Dans certaines conditions le thème neutre peut devenir actif, mais il peut aussi rester neutre dans tous les temps.

L'objet réel „de chose“ (RO) se met au nominatif avec les thèmes verbaux de structure neutre (géorg. გააკეთა საქმე gaaketa sakme 'nomin.' il fit l'affaire“), avec ceux de structure active RO il est au datif (géorg. აკეთებს საქმეს aketებს sakmes 'dat.'—„il fait l'affaire“).

C'est le datif (des langues kharthvéliennes) et non le nominatif qui est le plus proche de l'accusatif des langues européennes, de ce cas de l'objet direct (bien que ni l'un ni l'autre ne soient pas des cas du régime direct selon la conception des langues européennes).

7. C'est la construction labile qui est significative pour la neutralité du thème du verbe transitif:

a. avec le verbe transitif le sujet réel se met à l'ergatif, si l'objet réel est en présence; en absence d'un tel le sujet réel se met au nominatif avec le même verbe:

avar. დოს კვანალა ზედ dos (erg.) kvanala čed (nomin.) „il mange (habituellement) du pain“

დოუ კვანალა dou (nomin.) kvanala „il mange“ („habituellement“— sans désigner l'objet).

cf. abkhaz. ს-ძახუეღ s-zaxwejt „je couds“, „je pratique de la couture“ (sans désigner l'objet)—verbe intransitif (v. K. V. Lomtadidzé: „La catégorie de la transitivité dans le verbe abkhaze“—ici même, p. 10).

ი-ზ-ძახუეღ i-z-zaxwejt „je couds qch.“—verbe transitif
ს-ჰუეღ s-awejt „j'écris“ (sans désigner l'objet)—verbe intransitif

ი-ზ-ჰუეღ i-z-awejt „j'écris qch.“—verbe transitif.

Des faits analogiques sont attestés également dans l'adygué (N. T. Jakovlev) et dans le dargwa (S. L. Bykhovskaja).

b. la même forme verbale peut remplir la fonction de l'actif et du passif, n'étant ni l'un ni l'autre, mais se réunissant avec le sujet à l'ergatif ou au nominatif:

avar. დოს სთაქან ბექანა dos (erg.) stakan (nom.) bekana „il rompit le verre“

სთაქან ბექანა stakan bekana „le verre se rompit“.

L'ergatif se trouve historiquement corrélatif au cas de l'objet réel.

8. Dans le géorgien—et dans les autres langues karthvéliennes—la construction ergative est maintenant stable. La stabilité de la construction se coordonne régulièrement avec la distinction de l'actif et du passif nettement exprimée.

Dans le géorgien—et dans les autres langues kharthvéliennes—le sujet réel (RS) se met au narratif dans certains cas indépendamment de la présence ou de l'absence de l'objet direct (RO):

მან გააკეთა საქმე man gaaketa sakme „il fit l'affaire“

მან გააკეთა man gaaketa „il fit“.

Cette stabilité de la construction se manifeste d'une façon particulière dans les cas où l'objet réel (RO), jadis membre nécessaire de la phrase, a disparu dans la suite, tandis que l'ergatif reste au rôle du sujet réel (RS):

anc. géor. მან დაიძინა (ძილი) man daizina (zili) „il s'endormit“

მან შეჰხედნა (თუალნი) man šexhedna (twalni) „il regarda“.

9. Mais dans le géorgien lui-même on relève des survivances de la construction labile:

მო-ი-კლა mo-i-kla:

1. მან წყურვილი მოიკლა man çqurvili moiḱla „il apaisa (*litt.* „tua“) sa soif“

2. ის ომში მოიკლა is omṣi moiḱla „il est tué à la guerre“.

La même forme—avec le préfixe *o-* *i-*—à l'aoriste, en dépendant du contexte, peut figurer tantôt comme actif d'une version subjective, tantôt comme passif: c'est la raison qu'on ne peut former la forme passive d'un tel actif (cas unique en géorgien).

Bon nombre d'autres données de l'ancien géorgien littéraire ne peut être correctement interprété que sous l'aspect de la présence de la construction labile (nous espérons revenir à ce sujet à l'avenir).

10. *Le caractère neutre du thème verbal, l'état non-différencié de l'actif et du passif, la labilité de la construction syntaxique*—sont intérieurement liés entre eux.

Là, où l'actif et le passif ne se distinguent point, la construction labile ressort vivement marquée; mais si ces voix se trouvent formées, la construction devient stable et, comme ceci est naturel, la labilité de la construction, le caractère neutre du thème ne se laissent entrevoir que dans les vestiges du passé (cela est ainsi dans le géorgien et dans les autres langues kharthvéliennes).

Dans quelque langues caucasiennes (*avare*, par exemple) les voix commencent leur engendrement (*actif*—sous la forme du causatif—et *passif*, ce qui mène à la stabilisation de la construction syntaxique.

Historiquement la construction labile précède à la construction stable: *la construction stable ergative surgit de la construction labile.*

ს. ჯანაშია

სიანურ-ადილეური (ჩერქეზული) ენობრივი შემხვედრები

(პარტიველურ-ადილეური ბარალელები. I)

(წინასწარი ცნობა)

მას შემდეგ, რაც ჩვენთვის უეჭველი გახდა ჩერქეზული (ადილეური) ელემენტის არსებობა ძველ საქართველოში¹, ბუნებრივი იყო დაბადებულყოფილი საკითხი ქართულ-ჩერქეზული ენობრივი ურთიერთობის შესახებაც, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, შემდეგი საკითხი: ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელ არსებობას საქართველოს მიწაწყალზე, რასაც აღნიშნული ტოპონიმიკური მოვლენა ადასტურებს, ხომ არ დაუტოვებია კვალი თვით ამ ენებში, რაც, თავის მხრივ, ამ ხალხების რეალური კონტაქტის მოწმობა იქნებოდა.

ზოგი რამ ამ მხრივ ჩვენთვის გაირკვა ლიტერატურული მასალების ანალიზის გზითაც², დანარჩენი კი „იმ საკითხების წრეს მივითვალეთ, რომელთა შესწავლაც ადგილობრივ მიგვაჩნდა საჭიროდ“³.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ეს „ჩერქეზული (ადილეური)“ საკითხი ჩვენთვის განმარტოებით არ მდგარა, იგი უფრო ვრცელი პრობლემის („საქართველოს უძველესი მოსახლეობა“) ნაწილი იყო მხოლოდ, და, ქართულ-ჩერქეზული ურთიერთობის საკითხის გვერდით, ჩვენს ინტერესს იწვევდა ქართულ-ქისტური („ქისტი“ აქ სიმოკლისათვის = თუშ-ლილიღ-ქიტების გვარტომობას), ქართულ-ლეკური („ლეკი“ = დალისტნის კავკასიელ ტომთა გვარტომობას)... ურთიერთობის საკითხებიც. ამიტომ „ადგილობრივ მუშაობა“ გულისხმობდა მუშაობას კავკასიონის მთელი მთიანეთის ფარგლებში. ეს გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

1929 წლის გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომით ჩვენ ვიმუშავეთ, აღნიშნული მიზნით, ქვემო-ადილეურზე ანუ კიახურზე (შავიზღვისპირელები და კუბანისპირელები) შეფასებებთან, ბზადულებთან, კემგუებთან, მამხელებსა და აბა-

¹ ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადილეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში: „სსრკ ჯენ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე“, ტ. I, № 8, 1940, გვ. 623—628.

² სათანადო დაკვირვებათა შედეგები (თამადა, ბოზო-ბოზი, ჯვარ-ჯორი, მარჯ და სხვა) გამოკვეყნებული იყო ჩვენს ორ მოხსენებაში, რომლებიც წაკითხული იყო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომებზე, გ. შარვაშიძის გარდაცვალებიდან 10 წლისთავთან დაკავშირებით 1928 წლის XII 7-სა (ოქმი № 269) და XII 28-ს (ოქმი № 272).

³ იხ. „ჩერქეზული (ადილეური) ელემენტი“, გვ. 625-6.

ძახებთან), ადიღეს ავტონ. ოლქისა და ჩერქეზთა ავტონომიური ოლქის აბაზების (პირიქითელი აფხაზების) მეტყველებზე, შუა-ადიღეურზე, ანუ ბასლინაურზე, ზემო-ადიღეურზე (ყუბანისა და დიდი ყაბარდოს ყაბარდოელების მეტყველებაზე), ქისტურზე, ხუნძურზე, დარგულზე და ლაქურზე¹. ასეთი ვრცელი არის აღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამუშაო ამოცანის ერთგვარი შეზღუდვის პირობებში (ჩვენ მაშინ საკითხს უმთავრესად ონომასტიკონის მასალაზე ვაკვირდებოდით).

უკვე პირველმა, საგაზაფხულო მოგზაურობამ, ქვემო ჩერქეზებში (კიახებში) ჩვენ ბევრი რამ შეგვიძინა და ბევრ საკითხს მოჰქვინა ჩვენთვის ნათელი. ამ შედეგების შესახებ ჩვენ მოვახსენეთ თბილისის სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს (1929.VI.10-ს), სამივლინებო ანგარიშში, და ჩვენს მეცნიერულ საზოგადოებრიობას საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე². მეორე მოგზაურობამ (ყაბარდოში, ზაფხულში) განა-

¹ პირველი მივლინება მოეწყო, თბ. სახ. უნივერსიტეტისა და საქ. განსახლების სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის სახსრებით, 1929 წ. 22 აპრილიდან ივნისის 3-ამდე. აპრილის 25-იდან მაისის 10-ამდე, შემდეგ იმავე თვის 12-14-ს ვმუშაობდი ქ. კრასნოდარში, სადაც იმჟამად თავმოყრილი იყო ჩერქეზული ინტელიგენცია და ოლქის მთავარი სასწავლებლები თავისი ინტერნატებით; როგორც მისწვლელ ახალგაზრდობა, ისე მასწავლებლები და საერთოდ, ინტელიგენცია ყველა კიახურ დიალექტსა და ყაბარდოულსაც წარმოადგენდნენ, ისე რომ ჩვენ საშუალება გვეძლეოდა ამ თემებსა და მათს მეტყველებას გავსცნობოდით და სიმელო მთარგმნელების დახმარებაც გამოვეყენებინა. კრასნოდარშივე შევხვდით აბაზებსაც. კრასნოდარში მოაქვებული მდიდარი მასალა შემდეგ ჩვენ შევამოწმეთ ადგილობრივ, ძველი ტომებისა და თემების ნაშთებით დასახლებულ აულებში: მაისის 10-სა და 11-ს ყუბანისპირულ შაფსულებში, აულ აფიფსიფში, 14—16-ს—ბახდულეებში, აულ თლასთონაჰაბლში, 18—19-ს—ქემგუებში, აულ ჯამბეიჩი-ში, 19—21-ს—აულ ულაფში, სადაც გვერდისგვევრდ ცხოვრობენ ბასლინაები და აბაზები, 21—23 გავატარე აბაძახებისა და მამხელების მომიჯნავე აულებში, ჰაქურინაჰაბლსა და მამხელში. მაისისავე 24—25-ს ვიმუშავე შაიხზღვისპირულ შაფსულების მეტყველებებზე, სოფ. აგუიში (ქალ. ტუაფის მახლობლად).

მეორე მივლინება მოეწყო, საქ. გან. სახ. კომ-ტის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის სახსრებით, ყაბარდოა ავტონ. ოლქში (1929 წლის ივლისის 31-დან აგვისტოს 18-მდე). აქ ვმუშაობდი ოლქის დედაქალაქ ნალჩიკში ქობ-სამკითხველების მუშაკთა კურსებზე როგორც ყაბარდოელებთან (უმთავრესად), ისე ქისტებთან (ჩანებთან); აბაზებთან, ბასლინაებთან, ყარაჩებთან და მალყარებთან. იმავე თვის 14 და 15 გავატარე ყაბარდოულს აულ ნართანში. იმავე წლის აგვისტოს 19-იდან სექტემბრის 2-მდე ვმუშაობდი დალისტნის ავტ. რესპუბლიკაში სხვადასხვა ენებზე: დარგულზე (სოფ. ლავაშში)—21—23 აგვისტოს, ხუნძურზე (ლუნიში)—იმავე თვის 24—28, ლაქურზე (სოფ. ლახი-ლუქუქში)—29 აგვისტოდან სექტემბრის 5-მდე.

² 1929 წლის ივნისის 21-ს, იხ. ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 287. რადგანაც საზოგადოების ოქმების ბეჭდვა შეწყვეტილია, მოგვყავს აქვე ვრცელი ამონაწერი ოქმიდან. ოქმში აღნიშნულია რომ „მოგზაურობას მიზნად აქონდა ადგილობრივ შეკრება თუ შემაწმება ისეთი მასალებისა ჩერქეზთა მოდგმის ტომების ენობრივი და ეთნოგრაფიული სინამდვილიდან, რომელთა საკირობა მომხსენებელს უგრძენია საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის დროს. ამასთან ერთად, აფხაზური ენის კვლევასთან დაკავშირებით, მომხსენებელს აინტერესებდა თვით გრამატიკული ბუნება ჩერქეზული ენისა და დიალექტების მდგომარეობა... მომხსენებელი აღწერს თავის მგზავრობას, ჩასვლას ქ. კრასნოდარში და იქ მიღებას, მუშაობის პირობებს. ჩერქ. ტომების წარსულის შესახებ მკორე ექსპურსის შემდგომ მომხსენებელი გადადის ოლქის თანამედროვე მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ავტონომიის ისტო-

აჟღერა ჩვენი მასალები, გაჰჟანტა ზოგი ჩვენი ეპევი, შეგვეძინა ახალი დასკვნები, მაგრამ ამასთან ერთად აღძრა ახალი საკითხები და დაგვიინერგა რწმენა, რომ საჭიროა ყურადღება გავუთქვამოთ ხანგრძლივი, გულდასმითი მუშაობა ჩერქეზულ ენებზე, რათა მიღებულ შედეგებს ჰქონდეს სრული მეცნიერული დამაჯერებლობა და რათა წამოჭრილი, აგრამ გადაუწყვეტელი საკითხები უსიამოვნო ტვირთად არ აწვევს შეგნებას.

ია, ოლქის ტერიტორია და ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა და მისი მოძრაობა, ჯანმრთელობის დაცვა, მეურნეობა, სახალხო განათლება და კულტურული დაწესებულებები). შემდეგ მიმსწინებელი თავისი კვლევის შედეგებს ალაგებს. სპეციალურად მუშაობდა იგი ჩერქეზულ ზოგადეტიმოლოგიაზე, რაც ცალკე ნარკვევის საგანი უნდა იყოს. 1) მორფოლოგიაში ყურადღებას იქცევს: ზმნა საესებით „აფხაზური“ ტიპისა—პრეფიქსულ ელემენტებში გამოსახულია პირი, რომელიც დამატება და მათი რიცხვი; ამას გარდა, ზმნა, ისევე როგორც აფხაზურში, ირთავს სხვა ელემენტებსაც (სხვადასხვა გარემოებათ, თანდებულებს...). სახელთა კატეგორიაში: წინააღმდეგობა ლაულაჟ მტკიცების 7 ბრუნვის არსებობის შესახებ ჩერქეზულში, საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ორი ბრუნვის (პირდაპირი და არაპირდაპირი) შესახებ იყოს, და ეს კვლევა იკავიათ არ შეიძლება საბოლოოდ ჩაითვალოს; განმსახვრელი ნაწილაკი რ არ იხმარება, თუ სიტყვა გაფორმებულია მიჩემებითი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით; როგორც რ, ისე არაპირდაპირი ბრუნვის (?) ფორმანტი მ არ ერთიან აგრეთვე საკუთარ სახელებს; არსებობს ნაწილაკი, რომელიც ბრუნვის ფორმანტად ვერ ჩაითვლება და რომელიც instrumentalis-ის როლს ასრულებს. 2) ფონეტიკაში აღსანიშნავია: წინა და ამკვირვებელთა (ლელაჟ და სხვ.) „აჟ“ უდრის ორს დამოუკიდებელ ბგერას (ლ' და ლ), რომელთაც ლ-ს ლატერალურ პარანტივებს წარმოადგენენ; არსებობა იმ ტიპის თ-სი (საშუალეო ქართულ თ'ს და ტ'ს შორის), რომელიც აღწერილია პროფ. გ. ახვლედიანის მიერ ოსურში (მესამე ტ.); არსებობა კ-სი, რომელიც, როგორც ჩანს, დღემდე მიჩნეული იყო ყ-დ (ქუბ—ძე) და სხვ. უღარესად საყურადღებოა კილოების ფონეტიკური ურთიერთობა: შაფსულურის გაპალატალბეულ კ, ქ, გ'ს უდრის ჰერეზურში გაპალ. კ, ჩ, ჯ; ბევრდღური ზოგჯერ ემბრობა ქემგურს, ზოგჯერ დამოუკიდებელია (მაგ., შაფს. გ ო ქემგ. კ. ო ბეჟ. ჯ.); შაფსულურს დამოუკიდებლად ახასიათებს ზოგიერთი სიჩრანტის პალატალიზაცია (შ...), ქემგ. გაპალ. კ'-ს აბაძებურში უდრის თავისებური სიჩრანტი „სა“, და სხვ. ცალკე დგას საკითხი ჩერქეზულის მონათესაობისა და კულტურული ურთიერთობისა აფხაზურსა და ქართულთან. აფხაზური გენეტურად უკავშირდება ჩერქეზულს და აქვე დროს მისს მეტად დიდ გავლენას განიცდის. ქართულის ჩერქეზულთან ნათესაობის პრობლემა თუ ნაადრევი არ არის, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით არ შეიძლება მკაფიოდ დასწლდ იქნას. სამაგიეროდ უღარესად საინტერესოა ფაქტები მათი კულტურული ურთიერთშედრების სფეროდან: ქართ. მოთხრობითი ბრუნვის წარმოშობისა და მისი ფორმანტის ბუნების შესაგნებად უღარესი მნიშვნელობა ენიჭება ჩერქ. არაპირდაპირი ბრუნვის ფორმანტს. შეგველოა, კავშირში იმყოფებიან სევან. მრავლ. რ. ფ. ხ და ანალოგიური ფუნქციის ჩერქ. ზ; ზ. ქართ. კითხვითი ნაწილაკი ა და ასეთივე ა ჩერქეზულში და მრავალი სხვ. შენიშნულია კლინ ქართულის გავლენისა ჩერქეზულზე უკვე ქრისტიანულ ეპოქაში („ჯუტარ...“). შემდეგ მიმსწინებელმა გაუხიარა საზოგადოებას თავისი ეთნოგრაფიული დაკვირვებები: ა) ისტორიული კრნების სიმბაფერ ჩერქეზში: 1) ადილურის მუხრების მხატვრები, 2) ბრანტი და მისი მუხუში, 3) ისტორიული ეპოსი, 4) ისტორიული ინტერესი; ბ) ტომური თვითმუხვების სიცხაველ; გ) „ადლ'ზ'ზაბზ“—ადლური „რჯული“: 1) სტუმარ-მასპინძლობა, 2) პურისკამა, 3) უფროს-უმცროსობა, 4) ქალის მდგომარეობა, 5) მისაღების წესები, 6) ქორწინებისა და დასაფლავების წესები, 7) კაფში, 8) პანცაფაში, 9) მიმართვა, 10) ჩაცმულობის წესი და სხვ. დასასრულ, ჩერქეზული ხალხური შემოქმედებისა და, კერძოდ, ჩერქ. ლექსის ფორმის ზოგადი დახასიათების შემდგომ, მომხსენებელი შეჩერდა აბახებსა (პირიქითელი აფხაზები) და აბახურზე. უკანასკნელს მომხსენებელი სწავლობდა ბათალაფინსკელი და ადგილობრივი (ულაფელი) ინფორმატორების შემწეობით. აულ ულაფში მომხსენებელს რამდენიმე დღე დაუყვია, და აბახურსა და ბასლინაურ ენებზე მუშაობის გარდა, გასცნობია აბახების ყოფიბობრებასაც.

სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიის მთის ენებზე მუშაობის განგრძობის შესაძლებლობა ჩვენ შემდეგ აღარ გვექონია. ამიტომ, მეორე მოგზაურობის შედეგები გამოქვეყნებულ იქნა ისევ-ისე მხოლოდ საჯარო მოხსენებათა სახით¹. ბეკდური სიტყვის სტუმარმასპინძლობისადმი მიმართვას ამეამადაც ჩვენ ჩვენი მეცნიერი ამხანაგები გვაბედვინებენ. ქვემოთ ჩვენ დავალაგებთ ჩვენი მუშაობის შედეგებს შეკუმშულად და წინასწარი ცნობის სახით.

ჩვენ მიერ შემჩნეული შეხვედრები ქართველურ და ჩერქეზულ ენათა შორის საშუალებას გვაძლევს ამ ენათა ურთიერთობის ფაქტები სამ კატეგორიად დაჯგუფოთ: 1) საერთო ელემენტები, 2) გავლენები ქართველური ენებისა ჩერქეზულზე და 3) გავლენები ჩერქეზული ენებისა ქართველურზე. ჩვენ დაეწეებთ ამ მიმოხილვას იმ ფაქტების ანალიზით უპირატესად, რომელნიც, როგორც გვგონია, ჩერქეზულ წვლილს შეადგენენ ქართველური ენების საგანძურში.

* * *

დაეწეებთ გამოცალკევებით სვანურიდან, რადგანაც ვფიქრობთ, სვანურ ენაში, ქართველურ-ადილეური საერთო ელემენტების გარდა, მთელი ჩერქეზული ფენა შეიძლება გამოიყოს. სვანური ენის ნარეგობის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა ნიკო მარის. მარის სათანადო დებულებები (იმ დროისა, როდესაც იაფეტიდოლოგიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საყოველთაო პრინციპში აყვანილი ენათა ნარეგობა), როგორც ჩანს, ისე უნდა გავიგოთ, რომ ქართველურ ძირეულ ფენასთან ერთად სვანურში წარმოდგენილია მეორე, ასევე ძირეული ფენა, რომელიც სვანურს აფხაზურთან ანათესავებს². მარის აზრის მო-

¹ თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის 1933.VI.26-ის საჯარო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი, ოთხი უნივერსიტეტის კონფერენციაზე 1936.V.28-ს (იხ. „Программа работ научной сессии Тифлисского Гос. Университета 25—29 мая. Тфл. 1936“) და საქ. მეცნ. აკადემიის ენის ინსტიტუტის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე 1942 წლის მარტის 9-ს.

² „Речь об одном из двух коренных этнических слоев сванов и о том же этническом слое в абхазах. Слой этот восходит, как выяснено (Н. Марр. Ист. термины „абхаз“, ИАН 1912, 697—706), к народности масков (> маскутов || масагетов) или мосохов, собственно мошохов (<мошхов> москов), или месков, даже мелхов (<mehq, если назвать вполне спарантную разновидность термина. В наименовании абхазов (<a-bazq || abzq) поднесь сохранилось это этническое название, сваны же успели переименоваться по названию второго составного слоя в их этнической природе, совершенно утратив память о своем родстве с мосохами, если не считаться с названием одной сванской области Лашх“ (Н. Марр. К дате эмиграции мосохов из Армении в Сванию, ИАН 1916 г., 1689).

„Намечено генетическое сродство [сванского языка] с одним, именно яфетическим, слоем абхазского языка“ (Н. Марр. Из поездок в Сванию. Отд. отт. из „Христ. Востока“, т. II, вып. I, 16).

„...Сванский приходится признать типом мешаного языка: один слой, коренной, роднится с абхазским языком, другой, если не столь же коренной, то все-таки основой с тубал-кайпскими“: ibid.

ჩაობას ამ მიმართულებით ბიძგი მისცა პეტრე ქარაიამ თავისი ცნობილი წიგნით, რომელიც აფხაზურისა და ქართველური ენების მონათესაობას ამტკიცებდა. მარის მიერ ნაჩვენები ფაქტები ქარაიას მიერ მოხაზულს ლექსიკურ წრეს არ სცილდება (იხ. ქვემოთ). მეტიც: მარი აცხადებდა რომ სვანური „იწყნარებს სიტყვა-ძირების მატერიალური ნაწილის, რომელიც იაფეტურ ენებში თანხმოვანთა სახით არიან წარმოდგენილნი, და არა ფორმების სესხებას“-ო¹. თუმცა ბრუნების საკითხში ამ აზრს თვითონვე მთლიანად არღვევდა (იხ. ქვემოთ). უფრო ზუსტია ვ. თოფურიას შენიშვნა ამ საგანზე: სვანური „ნარევი ტიპის ენაა“: მასში შენიშნულია ქანურ-მეგრული (შიშინა წრის) ჟენა (ნ. მარი), აფხაზური ელემენტები..., სომხური და შეიძლება სხვა კავკასური ენისაც²...

სვანურს აფხაზურთან მართლაც მოეპოვება მეტად საგულისხმო შეხვედრები, მაგრამ ქარაია—მარის მიერ დადგენილი ფაქტები განეკუთვნება ჩერქეზულ ფენას სვანურში. ამ ფენის მნიშვნელობა სვანურის სტრუქტურის თვალსაზრისით უცილობელია, მაგრამ მისი გათანაბრება ქართველურ კომპონენტთან შეცთობაა. სვანური ქართველურ ენად რჩება და ეს დებულება ურყევია. ჩერქეზული ელემენტი სვანურში მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ამ ქართველურს და, ზოგად-ქართველურის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებო ენას რომელიღაც ისტორიულ პერიოდში (შეიძლება ესლავე დავაზუსტოთ: რიგს ისტორიულ პერიოდებში) მკიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულს. ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან. ურთიერთობის ინტენსიურობისათვის ყოვლის უწინარეს სწორედ მორფოლოგიური ფაქტებია ნიშანდობლივი.

სვანურის მორფოლოგიაში ამ მახრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბრუნება. სვანური ბრუნების შესახებ მარმა გამოსთქვა, კატეგორიული ფორმით, შემდეგი აზრი: „სვანურში ამჟამად წარმოდგენილი ბრუნება შესდგება ნასესხებ ბრუნებათაგან, რომელთაც მთლიანად ან თითქმის მთლიანად გადაეცეს ძირეული სვანური ბრუნება. ნასესხები ბრუნებები, უფრო სწორედ—ბრუნვათა დაბოლოებანი, სვანურმა შეითვისა მონათესავე იაფეტური ენებიდან, სახელდობრ, ქართ-მესხური (კაშდ-მოსოხური) და თუბალ-კაინური ჯგუფებიდან“. სვანურის სავი ძირითადი ანუ ორგანული ბრუნვა უნდა ყოფილიყო, მართი:

¹ ... სვანურში „допускается заимствование материальной части слов—корней (в яфетических языках согласных), но не форм. Следовательно, такие случаи влияния можно бы полвести под обычную формулу о заимствовании, по которой языками друг у друга заимствуются только слова, а не грамматика“. Н. Марр. Из поездок в Сванию, стр. 18.

² ვ. თოფურია, სვანური ენა. I, ხმნა. ტფ. 1931, გვ. IX.

N.	[-um]
G.	-iu
D.+A.	-an ¹ .

ნამდვილად, სვანურ ბრუნებას ქართულ-ზანურთან შედარებით, მართლაც თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს რომ სვანურს თითქოს ბრუნების ორი სისტემა მოეპოვება, რომელთაგანაც ერთი, გაბატონებული, ქართველურია, მეორე-კი, დაქვემდებარებული და აშკარად გარდმონაშთის სახით მოღწეული,— „უცხო“. ამ ორი სისტემის ბრუნებათა ფორმები ან წმინდა, დამოუკიდებელი სახით არიან წარმოდგენილი, ან ერთმანეთს ერწყმიან. რამდენადაც ეს შერწყმული ფორმები არსებობს და „წმინდა უცხო“ ფორმებთან შედარებით უფრო გავრცელებულიცაა. შეიძლება, რათქმუნდა, მესამე ბრუნების შესახებაც გვესაუბრა. მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ამ კლასიფიკაციის დიდი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ აქ მასზე არ ვჩერდებით.

ცხადია, ეს შერწყმული, რთული ფორმები მეორეულ მოვლენას წარმოადგენენ. ამასთანავე ანგარიშგასაწევია ფონეტიკური მოვლენებიც, როცა ბრუნებათა დაბოლოებანი, კერძოდ შერწყმულ ფორმებში, თავის პირვანდელს სრულ სახეს ვერ ინარჩუნებენ. მაგრამ შეუკვეციელი ფორმების აღდგენა ასეთ შემთხვევებში არავითარ სიძნელეს არ შეიცავს. განვიხილოთ ბრუნებათა დაბოლოებანი ცალ-ცალკე.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი. სვანურ სახელობითს ა მ ჟ ა მ ა დ საკუთარი დაბოლოების ფორმა არ გააჩნია, სიტყვა აქ ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი. მისი ჩვეულებრივი ფორმატივია ქართველური -იშ, თავისი ფონეტიკური ვარიაციებით. „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ე ა ნ ი ს“ მტკიცებით, „ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება არის „ა“, „ა“, „იშ“, „იშ“, „ეშ“ და „ნა“. ზ ა ე ა დ ს კ ი კ ი ამ ბრუნვის ნიშნებად უჩვენებს დაბოლოებებს „ი, ა; იშ, აშ; ა(ე)მიშ“ და ამბობს: „დაბოლოება ეში, აში, ეშიშ, აშიშ გვხვდება მცირეოდენ (в немногих) არსებით სახელებში და ჩვეულებრივად (обычно) ზედსართავებში“¹.

¹ ... „в сванском падежное теперь склонение представляет подбор заимствованных падежей, полностью или почти полностью вытеснивших коренное сванское склонение. Заимствованные падежи, точнее—падежные окончания, сванским усвоены из родственных яфетических языков, именно из языков к'арт'-месхетской (капл.-мохетской) и тубал-капской групп“ (И. Марр. Где сохраняются сванское склонение? ИИАН 1911 г., 1199).

სვანური ამ წყაროში წოდებულია „соп-сом-ех“-ურა ჯგუფის ენად (გვ. 1200). დასკვნა: ... „Три основных или органических падежа яфетических языков в сванском должны были звучать“ (იხ. ზემოთმოცემული სქემა), იქვე, გვ. 1205.

² თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ე ა ნ ი, მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა. „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტფ. 1911—1913, ტ. II, განყ. II, გვ. 87 (ქვემოთ ყველგან=„თავისუფალი სვანი“).

³ იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X, Тф., 1890, წინასიტყვაობა, გვ. XXXIII, XXXV (ქვემოთ ყველგან=ზავადსკი).

ზავადსკის მსგავსად ასხვევებდა ამ ფორმებს უფრო ადრე, ჩანს, უსლარიც, რომელიც ამბობს რომ ფორმები დაჩაურემი, მუვემი იხმარება თავისუფალ სვანეთში, დაჩაურემიშ, მუვემიშ-კი—სადადიშქელიანოში¹. იქვე უსლარი უჩვენებს ოთხს პარალელურ ფორმას სიტყვისათვის შუ, იამა, ნათე-საობითში:

მუვე, მუვეშ, მუვემიშ, მუვემი.

ბალს-ზემოურში, ვარლამ თოფურიას ცნობით, მუ სიტყვის ნათე-საობითში გვექნება:

მუშუ || მუვეშიშ,
ხოლო მარე სიტყვისაში:
მარემ-იშ

მიცემითი ბრუნვა. ზავადსკი ამბობს: „არსებითი სახელები მიცემით ბრუნვაში ბოლოვდებიან ს-ზე, ხოლო ზედსართავეები მხოლოდით რიცხვში—აშ, ეშ-ზე; ზოგჯერ მ იკვეცება (отрывается, გვ. XXXIII). თავისუფალი სვანი შენიშნავს: „მიცემითი ბრუნვის ჩვეულებრივი დაბოლოება არის ს, თუმცა სხვა ასოებიც გვხვდება. მაგალითად... მაგრამ ავტორის მაგალითებიდან მხოლოდ ის ჩანს რომ ზოგჯერ აღნიშნული ს იკვეცება (მარა-|ს|—კაცს) („თავის-უფალი სვანი“, გვ. 88).

მოთხრობითი ბრუნვა. „მოთხრობით ბრუნვას (творительный падеж)... აქვს დაბოლოება დ ან ეშ (ეშდ). უკინასკენელი დაბოლოება აქვთ ზოგიერთ არსებით სახელსა და ნაცვალსახელებს“,—ამბობს ზავადსკი (გვ. XXXIII), თავისუფალი სვანი, რომელიც მოთხრობით ბრუნვას „მეორე სახელობითს“ ეძახის, აცხადებს: „მეორე სახელობითი ბრუნვის დაბოლოებანი არიან „შ“ და „დ“. მაგალითად: მარემ—კაცმა, დოშდულდ—მთვარემ“ (გვ. 88).

„მოქმედებითი ბრუნვა ბოლოვდება შვ ან შ“,—ამბობს „თავის-უფალი სვანი“ (გვ. 88), ზავადსკით მოქმ. ბრ. აგრეთვე ბოლოვდება შვ ან ოშ-ზე (გვ. XXXIII).

წოდებითი ბრუნვა სვანურს არ მოეპოვება, ხოლო ვითარებითის შესახებ არც ზავადსკი და არც თავისუფალი სვანი არაფერს ამბობენ.

მრავლობითი რიცხვის შესახებ ზავადსკი ამბობს, რომ მას „აქვს იგივე ფლექსიები, რაც მხოლოდით რიცხვს, ნათესაობ. ბრუნვის გარდა, რომელიც თავდება ე-ზე“-ო (გვ. XXXIV), მაგრამ საბრუნვო დაბოლოებათა ტაბულაზე, რომელიც იქვეა მოთავსებული (გვ. XXXV), მრავლობითი რიცხვის დაბოლოებანი იმ მხრივაც განსხვავდებიან მხოლოდითის დაბოლოებათაგან, რომ ისინი—შ (-აშ, -ეშ...) ელემენტს არ შეიცავენ.

თავისებურება სვანური ბრუნებისა უფრო რელიეფურად გამოჩნდება, თუ აქ პარალელურად წარმოვადგენთ მაგალითებს სამივე შემთხვევისათვის: I. წმინ-

¹ П. К. Услар. Грамматический очерк сванетского языка: Абхазский язык, Отд. II, стр. 108, Тфл., 1887 (ქვემოთ ყველგან=უსლარი, სვანური).

და ქართველური (ორგანული) ბრუნება, II. წმინდა (ან: თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნება და III. შერეული ბრუნება (ამოღებულია ზავადსკის პარადიგმებიდან და ნაწილობრივ შეესებურება მისივე ცალკეული მაგალითებით).

	I		II		III	
სახ.	ნათი	ნაწილი	ხადა	რომელი	აღ, ალა	ეს
მოთხრ.	ნათიდ		ხადემ		ამნემღ, ამნემ	
ნათეს.	ნათიშ, ნათი		ხადემი		ამიშ, (ამი), ამნემი(შ)	
მიცემ.	ნათის		ხადამ		ალახ	
მოქმ.	ნათიშვ		ხადამშვ		ამნოშ	

„უცხო“ ფორმების სპეციფიკა კიდევ უფრო ნათლად გამოსჭვივის ზედსართავი სახელების ბრუნებაში. აი, ორი მაგალითი ზავადსკის მიხედვით (გვ. XL):

სახ.	ხოჩა	კარგი	თრთენე	თეთრი
მოთხრ.	ხოჩემღ		თრთენემღ, თრთენემ	
ნათეს.	ხოჩემიშ, ხოჩემი		თრთენემიშ, თრთენემი	
მიცემ.	ხოჩამ		თრთენამ, თრთენა	
მოქმ.	ხოჩამშვ		თრთენამშვ ¹	
კითარ.	ხოჩამღ			

მაგრამ ამასთან ერთად ზავადსკის შეუნიშნავს: „ზედსართავი სახელები მეტწილად არსებითი სახელის წინ დგას. უკანასკნელთან დაკავშირებით ირბ ბრუნებებში ზედსართავი სახელი ინარჩუნებს ერთსადაიმივე ფორმას, სახელობრ—მიცემითი ბრუნვის დაბოლოებას აშ-ს (ან უ-შ-ოდ). მაგალითად, ხოშა(შ) უდილდ ხაქე; ხოშა(შ) უდილს ხეკვად, მემშა მაროლა რაშ და მ. თ.“ (ზავადსკი, გვ. XLI).

კიდევ უფრო საყურადღებოა, როგორც ჩაწერის სიზუსტით, ისე თავისი ფორმებით სვანური ბრუნების მაგალითები ბალს-ზემოურიდან:

სახ.	ხოჩა (ასევე—ხოლა)	თვეთნე	თე თე ალი
მოთხრ.	ხოჩენენე	თვეთნენე თვეთნენენე	თედ
ნათეს.	ხოჩენიშ	თვეთნენიშ	თენიშ
მიცემ.	ხოჩამ	თვეთნა	
მოქმ.	ხოჩამშვ	თვეთნოშ	
კითარ.	ხოჩამღ	თვეთნად	

¹ ვარლამ თოფურია მიაქცევა ჩვენი ყურადღება, რომ ორთოგრაფია, როგორც ზავადსკის, ისე თავისუფალი სვანის ჩანაწერებში არ არის ზუსტი. ვარლ. თოფურიას მოწმობით ამჟამად არ დასტურდება აგრეთვე ზავადსკის მიერ ნაჩვენები ზოგი გრამატიკული ფორმაც. შესაძლოა, რათქმუნდა, რომ ცალკე შემთხვევებში ზავადსკი ცთუბოფეს. ჩვენი მიზნისათვის ამ გარემოებას გარდამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

აზ.	ვოშა	ეჯა	შაგ
მოთხრ.	ვოშემ ვოშემნემ	ეჯნემ	ჩიემ
ნათეს.	ვოშემიშ	ეჩიშ	ჩიმიშ ჩიშშ
ბიგემ.	ვოშამ	ეჩას	ჩი
პოქმ.	ვოშამშუ	ეჯნოშუ ეჩნოშუ	ჩიშშუ ჩიემშუ
უთარ.	ვოშამდ	ეჯნარდ	ჩინარდ

საზ.	ალა
მოთხრ.	ამნემ
ნათეს.	ამიშ (ამი—მსაზღვრელად)
ბიგემ.	ალას ამის
პოქმ.	ამნოშუ

მაგრამ სრულიად განსაკუთრებულია და ღრმა ინტერესის შემცველი „ხედა“ აცვალსახელის ბრუნება ბალს-ზემოურადვე:

სან.	ხედა
მოთხრ.	ხედაშნემ
ნათეს.	ხედაშიშ
ბიგემ.	ხედაშ
პოქმ.	ხედაშშუ ¹ .

აქ თავისებურება და ინტერესი მდგომარეობს, ჯერ ერთი—ორმაგ სუფიქსაციის შხოლოდ ქართველური ფორმანტების მეშვეობით (ხედაშიშ...), ხოლო შემდეგ—შერეული ორმაგი სუფიქსაციის ქართველური და „უცხო“ ფორმანტების შებრუნებული რიგით: ქართველური წინ უსწრებს „უცხო“ და არა პირუკუ, როგორც ეს გეაქვს ყველა დანარჩენ მაგალითში: ხედაშნემ (ჩვენ აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ჩაღრმავებულმა ანალოზმა მომავალში აქ შეიძლება მესამე აფიქსიცი -ნ- გამოავლინოს და განზარტოს).

ხედაშნემ ფორმა იმიტაცია მნიშვნელოვანი, რომ აშკარად მოწმობს: ფორმანტების რიგი არ გამოდგება საკმაო საბუთად „უცხო“ წარმოების სიძველისა და უპირატესობის დასამტკიცებლად სვანურ ბრუნებაში. თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ „უცხო“ წარმოების სიძველე ვერ დამტკიცდებოდა, თუნდაც ეს ფაქტი არ გვექონოდა².

¹ ამ მასალის, ისევე როგორც ცალკეული შენიშვნების მოწოდებისათვის აზხ. ვარლამ იოფურიას გულითად მადლობას მოვასწავებთ.

² არნ. ჩიქობავა საწინააღმდეგო შეხედულებისა: «ისტორიულად მ-აფიქსი უსწრებს მ-აფიქსს სვანურში, სვანურისათვის,—უფრო ზუსტად, სვანურის გარკვეული ფენისათვის,—პირველი უფრო ძველია. ამას მოწმობს ის შემთხვევები, სადაც მოთხრობითში ორივე აფიქსია ერთად გამოყენებული, მ-ცა და მ-ც: ხოხვრემდ ესტეიშ—„უმცროსმა უპასუხა“. იხ. სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და ბრუნების ორფუძიანობა კავკასიურ ენებში: „სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, XVIII, 1941, გვ. 49.

მოვიტანოთ დამატებით ცალკეული მაგალითები „უცხო“ (და შერეული) ბრუნებისა.

ნათეს. ბრ. თავისუფალი სვანი, რომელიც ამ ბრუნვისათვის ჩვენთვის საინტერესო აფიქსს სრულებით ვერ ამჩნევს, თავის რიცხვმცირე მაგალითებში მას მაინც ფაქტიურად გვაძლევს: „მარე—მარემიშ, კაცისა“ (გვ. 87). ხოლო თავისუფალი სვანის ამ წერილის დასასრულს გამოკვეყნებულ სვანურ ანდაზებში (გვ. 99) ჩვენ ვპოულობთ შემდეგ ფორმებს:

ხოლოემიშ ი ხოჩემი მეთარდ მარე ხაკუ—ავის და კარგის შემტყობად კაცი უნდა (ხოლა—ავი, ხოჩა—კარგი; თავის სვანურ-რუსულ ლექსიკონში ზავადსკი უჩვენებს ამ სიტყვებთან: ხოლამდ—xγaο; ხოჩა, ხოჩემი); ჩიმი ნამკახუნ იქვი—ყველაზე რამე სასარგებლო ითქმის; თემიშ ესერ კვამს ოხვაქვისგან, გვიიმიშ—ჰარაპს—თვალს თურმე კვამლმა ათქმევინა, გულს—არაყმა; (თე—თვალი, გვი—გული; თავის სვანურ-რუსულ ლექსიკონში ზავადსკი ამ სიტყვებისთვის საგანგებოდ უჩვენებს ნათ. ბრუნვას: თრ—თრში, გვი, გუ—გვიმი, გუმი).

ზავადსკისთან:

მარემი ფაყე=კაცის ქული (გვ. XXXVI) (მარე--კაცი, მამაკაცი; ზავადსკის ლექსიკონში: მარე—მარემი).

ნათხვარემი ლაღე--ნადირის ხორცი (იქვე)

(ნათხვარ--ნადირი).

ზავადსკის დასახელებულ ლექსიკონში, გარდა ამისა, ნაჩვენებია მთელი რიგი სიტყვები ნათესაობითი ბრუნვის „უცხოური“ წარმოებით:

აყუნდ, -ი,-ემი--აბეანდა, უხანგი

ამახე, ამხეჳ, -შემი--მტერი

ბაღე, -ემი—ფოთოლი

ვარე, -ემი—წვერი

ვოშა, -ემი—რამდენი

ღერბეთ, -ა, -ემი—ღმერთი

ქვიშე, -ემი—ქვიშა

ლარე, -ემი—სათიბი

ღეზვებ, -ი, -ემი—საკმელი

ღეზნე, -ემი—სივრცე

ღემღენე, -ემი—მამული

ღერყნე, -ემი—ცარიელი

ღჯჳე, -ემი—რძე

ღემშარე, -ემი—შეწუხებული

მანესგარე, -ემი—საშუალო

შარე, -ემი—ღრუბელი

მაჳე, -ემი—ახალი

მაშანე, -ემი—უფროსი

მერამე, -ემი—მეორე

(მუ, მუჳე --მამა)

მუღღვერ,	-ერემი	—შემოდგომა
მუხვბე,	-ემი	—ძმა
ნაგზი,	-ჩემი	—კვირეული
ფისე,	-ემი	—ფისი
ფხოლე,	-ემი	—თითი
ყვიყე,	-ემი	—ღვიძლი
ყვითელ,	-ი, -ემი	—ყვითელი
ყურჩჷ,	-აი, -ემი	—ძალი [ყურშა! ს. ჯ.]
ტყვე,	-ემი	—ტყვე
თხპრე,	-ემი	—მგელი
ხოხვრა,	-ემი	—უმცროსი
ხოშა,	-ემი	—უფროსი
ჩიყე,	-ემი	—სიძე
ში, შიმი		—ხელის მტევანი

ეს ფორმები, რომლებიც მოცემულია ზავადსკის პატარა ვოკაბულარში, ჩვენ ამოვწერეთ იმისათვის. რათა დაეუპიროსპიროთ ისინი ზავადსკის განცხადებას, რომ უწყებელი წარმოება მცირეოდენ არსებით სახელებში გვხვდება და აგრეთვე იმის საილუსტრაციოდ, რომ მ-ანიანი წარმოება ეხება, როგორც ბირეულს ქართველურ სიტყვებს სვანურში (ღერბეთ...), ისევე ქართულიდან შეთვისებულ სიტყვებსაც (ყვითელ, ტყვე...).

მოთხრობითი და ვითარებითი ამ გრამატიკოსებს, ჩანს, გაიგივებული აქვთ. ასე, ზავადსკი მოთხრობითისათვის (творительным) უჩვენებს აქარად ვითარებითის ფორმებს: ლაღირდ=ნიჩბად (გადააქციე), ბერეჟდ=ჩინად (აქციე), ულუფდ=საქმელად (მოამზადეს) და სხვა. ამათ შორის საინტერესოა ზავადსკის მიერვე ნაჩვენები ფორმა: ხოჩამდ—კარგად (ხოჩა—კარგი). თუმცა ზავადსკი ამ შემთხვევასაც მოთხრობითს (ქვემდებარის) ბრუნვას მიათვლის, მაგრამ ცხადია, რომ აქაც ვითარებითი გვაქვს და, მაშასადამე, ეს ვითარებითშიაც ჩნდება. საკუთრივ მოთხრობითისათვის ზავადსკის მაგალითებიდან შეიძლება აქ მოვიტანოთ:

ხახემ—ცოლმა (უთხრა) (გვ. XXXVII).

საკურადღებოა ნაცვალსახელების ბრუნება. აქ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება ზავადსკის მასალების მიხედვით, თითქოს „უცხო“ ფორმანტის გაორკეცებულ ხმარების შემთხვევებსაც ჰქონდეს ადგილი. გარდა ამისა, საინტერესოა ცალკე ფორმებიც. მაგალითები (ზავადსკის პარადიგმიდან ამოღებული):

იშგვი—ჩემი აჯა—იგი*—მისი ალ, ალა—ეს*—რა *—ყველა

ქოხზ. მიშგვად აჯნემ(ღ) მიჯნემ(ღ) ამნემ(ღ) იმნემ ჩიემ

|| მიშგემნემ

ათეხ. მიშგვემი აჩა, შ მიჩა, შ ამი (ამნემი) იმშა, მ; იმიშ ჩიში, შ

ორმაგი სუფიქსაციით ნაწარმოები ჩანს ფორმები მიშგე-ემ-ნ-ემ, ა-მ-ნ-ემ, ა-მ-ნ-ემ(ი)¹. პირველ შემთხვევაში ეს უცილობელია, შეიძლება ეკვივალენტურად ორი უკანასკნელი ფორმის გამო: ხომ არ ეკუთვნის პირველი „მ“ ფუძესა? მაგრამ რომ ამ ნაცვალსახელის (ალა) ფუძე სწორედ ალ არის (და არა „ამ“, როგორც კითხვითი ნიშნით ნაჩვენები აქვს ზავადსკის), ეს ჩანს მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან, სადაც ალ ფუძე გაჰყვება ყველა ბრუნვას (ალიარ, ალიარდ, ალიარემ, ალიარს და სხვა), და აგრეთვე მხოლოლობითის მიცემით ბრუნვის ქართულ ფორმიდან—ლას. ამრიგად, შეიძლება ფორმანტი იყოს და სათანადო ფორმებში ფუძე გაცვეთილი (ლ დაკარგულა). აქ ჩნდება ერთი საკითხი: სვან. ალ ქართ. ეს'ის კანონზომიერი შესატყვისია, და ხომ არ არის ქართულის სათანადო ფორმებში: ამან (resp. იმის...), ამის და მ. თ. მისეთივე წარმოშობისა, როგორც სვანურში? ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ქართ. ამ, იმ არ ეწყობა სახელობითს.

სრულიად უცილობელია ორმაგი სუფიქსაციის („უცხო“ ფორმანტის შევებით) ფაქტები მაგალითებში: ხოჩმწნემ, თეთნწმწნემ, ვოშმწნემ.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ხადა რომელი ნაცვალსახელის ბრუნვა, რომლის შესახებაც ზავადსკი შენიშნავს: „ბრუნვის ზედსართავების მსგავსად“-ო (გვ. XLIII). ინტერესი კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ სიტყვას გამართული „უცხო“ ბრუნვა აქვს, მ ფორმანტი გადაჰყვება მრავლობითშიაც (ხადალმშიდ, იხ. ზავადსკი, პარადიგმი, გვ. XLIV) და თვითონაც სიტყვა მთლიანად უცხო წარმოშობისაა.

თუ ჩავუკვირდებით ზემოთმოცემულ ფაქტებს, უნდა, დავასკვნათ, რომ ეს გარემოება—გარკვეული ფორმანტის უცვლელი ბრუნვათა მთელ წყებაში—თავს იჩენს არა მარტო სახელარსთან შეუღლებული ზედსართავის ბრუნვაში, არამედ იგი ნიშანდობლივია საერთოდ სვანურის „უცხო“ ბრუნებისათვის. ეს ფორმანტი წარმოდგენილია თანხმოვან მ-ს სახით, რომელსაც ზოგჯერ წინ უძღვის ხმოვანი (ა, ე). ფორმანტის წინამდგომელი ხმოვნის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება მომდევნო ხმოვანს, რომელსაც უსლარი და ზავადსკი ნათესაობით ბრუნვის ვარიანტული დაბოლოების ორგანულ ნაწილად სთვლიან, როგორც ჩანს, იგი ნაშთი ქართველური ფორმანტისა, ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაში, შერეული (შერწყმული) ბრუნებით.

ამ ბრუნების ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება იქნებოდა:

-მიშ, -ამიშ, -ემიშ

რაც იშლება შემდეგნაირად:

-მ + იშ, -ა-მ + იშ, -ე-მ + იშ

ნათესაობითი ბრუნვის ქართველური დაბოლოების მ თანხმოვნის დაკარგვა სვანურში ჩვეულებრივი ამბავია წმინდა ქართველური ბრუნებისის, იგი იკარგება შერეულ (შერწყმულ) ბრუნებაშიაც.

¹ ცალკე განსახილველია ნ-ს წარმოშობა და ფუნქცია.

რაც შეეხება წინამავალ ხმოვნებს, უნდა ითქვას შემდეგი:

ჯერ ერთი, არ ჩანს, რომ ისინი მკაფიოდ განსხვავდებოდნენ ბრუნვათა მიხედვით. ეს აშკარაა სათანადო საბრუნვო დაბოლოებათა ზავადსკის მიერ შედგენილ ნუსხიდანაც: მოთხრ. -ემ..., ნათეს. -ემ..., -ამ..., მიცემ. -ემ..., -ამ... მასალის განხილვაც გვარწმუნებს რომ ამ გვაქვს მოთხრობითში, ნათესაობითში, მიცემითში („მარამ“—კაცს, ლენტეხ., აკ. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული“, I—II, გვ. 9, ტფ. 1924; ხმოვნისათვის შდრ. ორგანული (ქართველური) ბრუნების ფორმა: მარა(ს), რომელიც ჩვეულებრივია), ვითარებითში; ეს გვხვდება მოთხრობითში, ნათესაობითში, მიცემითში. ეს—მხოლოდ გარეგნულად, ვინაიდან აშკარაა, რომ აქ მნიშვნელობა აქვს ფუძის დაბოლოებასაც: ა-ზე დაბოლოებული სახელებისათვის ფორმანტი მეტწილად მხოლოდ თანხმოვნის სახითაა წარმოდგენილი; ხოა, მიცემ. ხოამ, მოქმ. ხოამშვ, ვითარებ. ხოამიდ. ასევე: ხნდამ, ხნდამშვ. რაც შეეხება ამგვარფუძიან სახელთა ნათესაობითს, აქ-ემ გვაქვს. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ეს ფუძისეული ა-ს სახეცვლილებაა ქართველური -იშ დაბოლოების ზეგავლენით გამოწვეული, ე. ი. ემი—ა-მ-იშ. ყოველ შემთხვევაში, ფონეტიკური წესების, რომელთა განხილვას ჩვენ აქ ვერ გამოვეყილებით, ზეგავლენას ანგარიში უთუოდ უნდა გაეწიოს სვანურ ბრუნებაში არა მარტო ნათესაობითი, არამედ სხვა ბრუნვათათვისაც.

რომ ნათესაობითი ბრუნვის საწარმოებლად, უწყებული ფორმანტი, წინამავალი ხმოვანი საკირო არ არის, ეს ფაქტურად დადასტურებულია ტექსტებში: ჩაჟმი (სახ. ჩაჟ)—ცხენისა (ზავადსკი, XLVIII). ეს შემთხვევა საინტერესოა, რამდენადაც თანხმოვანფუძიან სიტყვასთან გვაქვს საქმე; ხმოვანფუძიანებში ხომ ამგვარი ფორმები ჩვეულებრივია: გვი(გუ)—გვიმი (გუმი), ვარე—ვარემი, თო—თომი, თხარე—თხარემი, ში—შიმი.

უფრო საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა ეს დაბოლოება დაერთვის ხმოვანფუძიან სიტყვებს და იმავე დროს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი იკარგება. ეშხვი—ერთი, მოთხრ. აშხვეშ, ნათეს. აშხვეში(შ)...

უფრო მკვიდრად გრძნობს თავს ფორმანტის წინამავალი ხმოვანი თითქოს მოთხრობით ბრუნვაში.

სათანადო ფონეტიკური წესების განხილვა, რომელნიც უეჭველად მოქმედებენ საბრუნვო დაბოლოებებზე, ჩვენთვის ამჟამად აუცილებელი არ არის. ვფიქრობთ, ის მაინც ცხადი უნდა იყოს, რომ მოცემულ დაბოლოებათა თავკიდური ხმოვანი ნიშანდობლივი არ არის, კონკრეტული საბრუნვო ფორმის წარმოების თვალსაზრისით, და არც ყოველთვის აუცილებელი.

რა წარმოშობისაა ეს ფორმანტი? ქართული მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტთან იგი ძალიან ახლოსაა მატერიალურად, შეიძლება ითქვას—ეიგივება მას, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება მისგან ფუნქციურად, რადგანაც სვანურში მას ევალება გამოხატოს არა მარტო ქვემდებარის ბრუნვა, არამედ მთელი რიგი არაპირდაპირი ბრუნვები, მათ შორის—არაპირდაპირი დამატების ბრუნვა.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ფორმანტის, როგორც მატერიალურ მხარეს, ისე მის ფუნქციასაც, მაშინ უნდა ვთქვათ რომ იგი სავსებით ემთხვევა ჩერქეზული (ადილეური) ენების სათანადო მექანიზმის ფორმანტს¹.

ჩერქეზულ ენებს, თავის მონათესავე აფხაზურისაგან განსხვავებით, მოეპოვება ბრუნების სისტემა, მაგრამ ეს ბრუნება უაღრესად ორიგინალურია თავისი ხასიათით. სახელი ჩერქეზულ ენებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს განუსაზღვრელი და განსაზღვრული სახით. პირველ შემთხვევაში სახელი მოკლებულია რაიმე სპეციფიკურ ფორმას, იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, განსაზღვრული მნიშვნელობით ნახმარი სახელი-კიჩირთავს ორ სუფიქსს—რ და შ. რ-ს ფუნქციაა, ქართული სახელობითი ბრუნვის მსგავსად, გამოჰხატოს ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან და პირდაპირი დამატება—გარდამავალთან. შ-ს ფუნქციაა გამოხატოს, როგორც ქვემდებარე, ისე არაპირდაპირი დამატება გარდამავალ ზმნებთან. გარდა ამისა, შ აღნიშნავს, თავისებურად, სხვა არაპირდაპირ ბრუნებებსაც და სიტყვათწარმოებაში მონაწილე ბრუნვის ნიშნაც გამოდის. როგორც ზემოთაღებულნი ანგარიშიდან ჩანს, ჩვენ თავდაპირველად ამ ბრუნვებს აღენიშნავდით პირობითად, როგორც პირდაპირს (rectus) და არაპირდაპირს (obliquus), უკანასკნელს—კითხვითი ნიშნით. მაგრამ რამდენადაც შ ქვემდებარის ბრუნვის ნიშანიცაა, ცხადია, მისთვის ეს სახელი არც კითხვითი ნიშნის თანხლებით გამოდგება. ქვემოთმოტანილი მაგალითები ამოღებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი ქვემო-ადილეური, კიახური, როცა ეს სპეციალურად აღნიშნული არ არის, და ყაბარდოული ტექსტებიდან და აგრეთვე კიახური ანბანის წიგნიდან.

გ ა ნ უ ს ა ზ ლ რ ე ლ ი ფ ო რ მ ა

შჷ	ცხენი
უნწ	სახლი
სტოლ	მაგიდა
თ'ხლ'	წიგნი

გ ა ნ ს ა ზ ლ რ უ ლ ი ფ ო რ მ ა

შჷრ	ცხენი	(ცნობილი)
უნწარ	სახლი	(" ")
სტოლჯრ	მაგიდა	(" ")
თ'ხლ'ჯრ	წიგნი	(" ")

აქედან ჩანს, რომ, თუ ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, ბრუნვის აფიქს 5-5 ხმოვანი (ჷ) უჩნდება. სავსებით იგივე მოსდის შ აფიქსს.

შ-ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი:

მ ო თ ს რ ო ბ ი თ ი ს მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ:

- ქალამ თ'ხლ'ჯრ ავთ'ხჷ—ყმაწვილი წიგნს (წერილს) სწერს
- სიყჷწ'შჷმ თ'ხლ'ჯრ ეთ'ხჷ —ჩემი ძმა წერილს წერს (ყაბ.)
- სიყჷწ'შჷმ მუჯარკსწ სიფშუფხჷმ დირაწ—ჩემი ძმა ჩემ დას ვაშლს აძლევს (ყაბ., მეორე შემთხვევაში შ ფორმანტი მიცემითს აწარმოებს).

¹ შ-ანიანი მოთხოვრებით ბრუნვის შესახებ ამჟამად იხ. აგრეთვე არნ. ჩიქობაძე. სვანური მოთხოვრებითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში: „სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, XVIII, 1941.

ნათესაობითის მნიშვნელობით:

მარამუშტუშ თპაშტუშ მან — დიდი მარიაში. დიდი ლმერათის დედა (რელიქტური გამონათქვამი).

ნათესაობით ბრუნვას, ჩვენი გაგებით, მ აფიქსი დამოუკიდებლად ვერ აწარმოებს, საზღვრული სიტყვაც ამ შემთხვევაში საჭიროებს გაფორმებას კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის მეშვეობით.

მიცემითის მნიშვნელობით:

არ ჰამ ძაჟუ — ის ძალს სცემს

შემ უც მასთელ — ცხენს (ცნობილს) თივა მივეცი

ოსმან დანსამ ძაჟუ — ოსმანი კითხულობს გაკვეთილს

ზელასი ზასამ კუშ (ანდაზა) — ჯერ ისწავლე, შემდეგ წადი ყრილობაზე (ზას).

მიცემითი — ლოკატივი:

ბაჯარ მანუშ ხანს, (ბემ ის) — მელა ტყეში ზის (ცხოვრობს). (ბუნავში ზის).

(შდრ. მიცემითის ამგვარივე ხმარება ქართველურ ენებში).

მოქმედებითის მნიშვნელობით: აქ უწყებული ფორმა საჭიროებს ახალი ნაწილაკის დართვას, რომელიც წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვაა და ნიშნავს კუდს:

ნემჯან (დიალექტურად: ნემჟან, ნემჯან) სნფალან — მე ვამაყობ დედით¹.

-მ ფორმანტი საერთოა ყველა ჩერქეზული ენაკავისა და კილოკავისათვის და, ამასთან ერთად ჩანს, — თითქმის სავსებით ერთიდაიმავე ფუნქციისა. ამავე დროს იგი ჩერქეზული ენების ორგანულ კუთვნილებას წარმოადგენს და ნაცვალსახელოვანი წარმოშობისაა:

მე (განუსაზ. ფ.), მერ (განსაზ. ფ.) — ეს

მეზარ „ „ — ესენი

მედან აქეთ (შდრ. ჟედან — იქით)

(შდრ. აგრეთვე ქართ. მანდ, მანდა).

უშეველია, რომ იგვევ ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი აწარმოებს სუბიექტის შესამე პირის ნიშანს ზმნებში:

მათხან — წერს

მადან — კრავს

მაკუშ — მიდის

საყურადღებოა გ. ტურჩანინოვის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც -მ ფორმანტის ნაცვლად ყაბარდოული ენის დიალექტებში გვხვდება არქაული -მან ფორმა და რომ ეს უკანასკნელი გვხვდება აგრეთვე გილდენშტედტის, კლაპროტის, ნოლმასა და შეგარენის ჩანაწერებში².

¹ ადიღური (ჩერქეზული) ბრუნებისათვის ეხლა იხილეთ გ. როგავა, ქვემო ადიღურის ბრუნვათა საკითხისათვის: „ენიმკის მოამბე“, IV.

² Г. Турчанинов, М. Цагов. Грамматика кабардинского языка, I, стр. 57—58, М.-Л. 1940.

ყურადღებას იქცევს რომ მ ფორმანტი ადილეურში თავის ფუნქციას, მეტწილ შემთხვევაში, დამოუკიდებლად კი არ ასრულებს, არამედ სხვა ელემენტების დახმარებით. ეს სრულიად თვალსაჩინოა, მაგალითად, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში: ნათესაობითში მის გვერდით აუცილებელია ნაწილაკი, რომელიც კუთვნილებითი ნაცვალსახელიდან **მ**ა (თუ: **მ**ა) | **გ** „მისი“ მოდის, მოქმედებითში ხომ იგი პირდაპირ ირთავს ახალს მატერიალურ ელემენტს. ჩვენ აქ არას ვამბობთ იმ შემთხვევებზე, როცა **მ** ფორმანტი დასაყრდენს პოულობს ჩერქეზული პოლიპერსონალური ზმნის პირიელ ელემენტებში. აღნიშნულიც საკმაოა იმისათვის, რომ ცხადი გახდეს, თუ რატომ საჭიროებდა ეს მექანიზმი ქართველურ ენაში (სვანურში) ქართველური მორფოლოგიური ელემენტების დახმარებასაც და თუ როგორ ჩნდებოდა ასეთ შემთხვევებში ორმაგი სუფიქსაცია (ნათესაობითი, მოქმედებითი...). შემდგომმა კვლევამ იქნებ ისიც დაადგინოს, რომ სვანური „შერეული“ ნათესაობითის ბოლოკიდური „ი“ ქართული ფორმანტის ნაშთი კი არაა, როგორც ეს ჩვენ ზემოთ მივიჩნიეთ, არამედ აღნიშნულის ჩერქეზული ნაცვალსახელოვანი ნაწილაკისა.

შეტომა იქნებოდა ზემოთქმულის მიხედვით დაგვესკვნა, რომ მოთხრობითი ბრუნვის წარმოება ქართულშიაც აქ განხილულ ჩერქეზულ გრამატიკულ მექანიზმთან არის დაკავშირებული. ეს ურთიერთობა ჩვენ შემდეგი სახით წარმოგვიდგება. ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელი **მ**ა- (მიცემ. მახ, მოთხრ. მან) უთუოდ ენათესავება გ ე ნ ე ტ უ რ ა დ ჩერქეზულს ასეთსავე ნაცვალსახელს **მ**გ- (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით—სხვიან). მაგრამ მოთხრობითს ქართულში თავდაპირველად აწარმოებდა -**მ** (მისი კანონზომიერი შესატყვისია სვანური -**ლ**), როგორც ეს უკვე გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში¹. მეორეული და ორმაგი (შედგენილობით) აფიქსაცია მოთხრობითისათვის -**მ**ან ქართულმა ენამ გაიჩინა სრულიად დამოუკიდებლად, შეიძლება ითქვას—ისტორიის თვალწინ. დამოუკიდებელი გზებით ქართული და ჩერქეზული კვლავ დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

უღვლილება

ერთმანეთს ხვდება ჩერქეზული და სვანური ზმნის წარმოებაც ერთ პუნქტში. აქ ჩვენ აღარ დაგვირღება სიტყვის განვრცობა იმიტომ, რომ სვანური ზმნა ამჟამად უკვე გამოწვლილივით მეცნიერულად არის შესწავლილი ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა ს მიერ, და აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს შეხვედრა ნაწილობრივ უკვე არის შემჩნეული სხვების მიერაც. საქმე ეხება მრავლობითი რიცხვის **ხ** აფიქსს სვანურ ზმნაში.

სვანურ ზმნაში ჩვენ ვხვდებით მრავლობითის ფორმანტებს —**ლ**-სა და —**ხ**-ს. როცა საქმე ეხება ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს გამოხატვას ზმნაში, მაშინ პლურალობის მაჩვენებელია I და II პირისათვის—**ლ**, III პირისთვის—**ხ** (ვ. თოფურია, სვან. ზმნა,

¹ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნებისა და წარმოშობისათვის ქართველურ ენებში იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, X, თბ. 1939.

გვ. 1, 4, 5, გვ. 4, ტაბ. I, გვ. 5, ტაბ. II, გვ. 9, ტაბ. III და გვ. 10, ტაბ. IV, ხოლო როცა ობიექტი უნდა გამოიხატოს ზმნაში, მაშინ პლურალობის სუფიქსებად II და III პირში ჩნდება—ხ (ვ. თოფურია, ზმნა, გვ. 15—16 და ტაბ. V).

და აფიქსი ამჟამად სამართლიანად ქართულურ ფორმანტად არის მიჩნეული (შეესატყვისება ქართულ-ზანურს თ-ს), ხოლო ხ-ს შესახებ ვარლამ თოფურია ამბობს: „—ხ განხილულ უნდა იქნას —ე ნაწილაკთან და კავკასურ ენებში (ჩერქეზულში, აფხაზურში...) ანალოგიური ფუნქციით აღკურვილ მსგავს ფორმანტებთან დაკავშირებით (პ. შუხარტი. Georgische ge. 280. ყუ ნაწილაკი, გვ. 68. ქართ. გრამ. 97, შნშ. В Архазиях, 322. К вопросу арх. яз. 14. Ахем. 18, შნშ. 2)“ (იხ. სვან. ზმნა, 9).

უეკველია, რომ ეს არის მრავლობითობის აფიქსი 'ხ (|| 'ხჲ), რომელიც ყველა ჩერქეზული ენა-კილოსათვის ამჟამად სათანადო ძირითადი ფორმანტია როგორც სახელებში, ისე ზმნაში.

ზმნაში 'ხ (|| 'ხჲ) გამოხატავს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას, ოღონდ მ ფორმანტისა არ იყოს, ეს აფიქსიც ყოველთვის დამოუკიდებლად არ გამოდის. ეს გარემოება აიხსნება პრეფიქსების პრიმატული წინშენელობით ზმნის წარმოებაში და ამ პრეფიქსების უნარით გამოჰხატონ არა მარტო პირი, არამედ რიცხვიც.

მაგალითები:

გარდაუვ. ზმნა: არ მათ'ხჲ —ის წერს (დამატება აღნიშნული არ არის)
ა'ხჲრ მათ'ხჲ'ხ—ისინი წერენ „ „ „

გარდამ. ზმნა: აშ მათ'ხჲ —ის სწერს რალაცას
ა'ხჲშ მათ'ხჲ —ისინი სწერენ „
აშ მათ'ხჲ'ხ —ის სწერს ბევრს რასმე
ა'ხჲშ მათ'ხჲ'ხ —ისინი სწერენ ბევრს რასმე.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნის სუფიქსი -'ხ გამოჰხატავს, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას. ხოლო იმავე წარმოშობის აფიქსი -'ხჲ— მრავლობითობას აღნიშნავს ნაცვალსახელებში.

სარწმუნოა, რომ მრავლობითობის ეს ადიღური ნიშანი ენათესავენება იმავე ფუნქციის აფხაზურ ფორმანტს -ქჷჲ და სომხურ -ქ-ს.

'ხ-სა და ქ-ს ფონეტიკური შესატყვისობისათვის შეიძლება ვუჩვენოთ ჩერქ. 'ხაბჲ || 'ხაბჲჲ—აფხ. ქაბჲ მნიშვნელობით „რჯული“ (ჯანონი), „ადათი“, „წესჩვეულება“, ჩერქ. აბჲჲ'ხ—აფხ. აბაზა ქ (ტომი).

მრავლობითის ეს სუფიქსივე უნდა გვევლინებოდეს კავკასიური ეთნიკას ერთი კატეგორიის მაწარმოებლის როლში (მესხი, ტაოხი, ჯაუახი და სხვა). ამის შესახებ ჩვენ სპეციალურად გვექნება საუბარი. იქი ადვინშნავთ შემდეგს: 'ხჲ ჩერქეზ ულის ყველა ენა-კილოში აწარმოებს

გვარის-სახელებს კრებითი მნიშვნელობით (=ქართ. -იანი და მისთანანი); ამ ფუნქციით იგი იმდენად ძლიერი ფორმატივია, რომ უცხო გვარების სახელებში ენაცვლება (ამ სახელების ჩერქეზულად ხმარებისას) უცხო სათანადო ფორმატებს: ნალჩიკში გამოცემულს რუსულიდან ნათარგმნ წიგნზე რუსი ავტორის გვარი აღნიშნულია როგორც „ბელოუს'ხზ“, რაც რუსული „ბელოუსოვის“ თარგმანია; ესევე სუფიქსი აწარმოებს ჩერქეზულში სატომო სახელებსაც. ასეთია, პირველ რიგში, აბაძახების სახელი—„აბაძახ'ხზ“, „აბძა'ხ“.

ზმნასთან უნდა განხილულ იქნას კითხვითი ნაწილაკები. კითხვა სვანურ ზმნაში გამოხატულია ზმნის ფორმის ბოლოში დართული ელემენტებით: ა (მა), აა ან შო, მიუთითებს ზ ა ე ა დ ს კ ი (გვ. XXI). და, ალბათ, ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული ვარიანტია -ა-სი, რომელიც საერთო ქართველური კითხვითი ნაწილაკია (=ძვ.-ქ. -ა, მეგრ. -ო). ეს ქართველური -ა ფორმანტი გენეტურად ენათესავენება ჩერქეზულს -ა სუფიქსს, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორც სახელებთან, ისე ზმნასთან:

მათ'ხზ — წერს!

მათ'ხა?— წერს? (ასე ყველა პირში!)

ის — ზის! (ოთახში, ორმოში...)

ღაჲს — ზის! (ბაღში...)

ისა? — ზის? (ოთახში, ორმოში...) ეხლა, შინ

არის თუ არა?

ღაჲსა? — ზის? (ბაღში...). შინ არის

საერთოდ თუ არა?

ზიზვეი ა'ხმამ ადღაჯა?—ზიზვეიც მითთან ერთად სწაელობს? (კიახური ანბანიდან)

არ ადღაჯა — ის ბევრთან ერთად სწაელობს

მვჭუ ინემ ვაჭუნჯარ ჳინ! — ძნელია დიდი თივის თიბვა (კიახური ანბანიდან)

მვჭუ —თივა

ინჯ —დიდი

ჳინ —ძნელი

ვაჭუნჯარ —ცემა, თიბვა (პირიელი გაფორმებით)

მვჭუ ინემ ვაჭუნჯარ ჳინა?—დიდი თივის თიბვა ძნელია?

რაც შეეხება -შო ნაწილაკს სვანურში, მას განსხვავებული მნიშვნელობითი ნუანსი უნდა ჰქონდეს. ზ ა ე ა დ ს კ ი ს მაგალითით:

ონფუშდედ-შო?—впустить-ли? (გვ. XXI). უ ს ლ ა რ ი ს მაგალითით:

მახუში ჳორს არი-შო?—хозяин дома есть-ли? (дома-ли хозяин)?

ჳორს არი!—дома есть (გვ. 109).

ვარღამ თოფურიას ცნობით, შესაძლებელია აგრეთვე ფორმა „არი მა?“.

ზემოთ მოტანილი მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ მა || მო ნაწილაკი თუობით (უარყოფით) — კითხვით ფორმას აწარმოებს.

მა || მო ფორმანტი ფორმალურად ძალიან ახლოს დგას აფხაზურთან, სადაც სუფიქსი -მა კითხვითი მნიშვნელობის მატარებელია. მაგრამ აფხაზური — მა ამჟამად წმინდა კითხვას აწარმოებს: უცრმა? — მიდიხარ? ჩაქმა? — ცხენია?¹ ჩვენ ვამბობთ — ამჟამად, რადგანაც გვაქვს საფუძველი წინამორბედი ეპოქისათვის სხვაგვარი ვითარება ვიგულისხმობთ: ცალკე მ აფხაზურში უარყოფითობის მნიშვნელობას გამოჰხატავს (უცრმა — არ მიდიხარ, ჩაქ — ცხენი არაა), მაშასადამე, კითხვით მნიშვნელობას — მა აფიქსში სწორედ ა ხმოვანი ჰქმნის.

რაც შეეხება ჩერქეზულ ენებს, იქ კითხვითი ნაწილაკების სისტემა უფრო ნათელი ჩანს თითქოს. მ || მჟ უარყოფითობის აფიქსია². როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დადებითი კითხვის აფიქსი არის -ა (ჩვენი მასალები კიახურიდანაა)³.

ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ ორი აფიქსის შერწყმა მოგვეცემდა თუობით (უარყოფით) — კითხვით ფორმას. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენ ხელთარსებული მასალები ნაკლოვანია. ამ მასალების მიხედვით, გვაქვს:

-მა აფიქსი.

კინ — ძნელია

კინბა? — ძნელია არა, განა? (трудно, не правда-ли?)

არკ — პო!

არბა? — არა, განა? (не правда-ли? да, нет? რუსული თარგმანები

ჩემს კიახელ ინფორმატორებს ეკუთვნის).

ხომ არ მოდის მა მა-საგან?

კიახურიში, ამას გარდა, გვაქვს ფორმანტი -ში:

კინში — თუმცა ძნელია (хоть и трудно)

კინში ვაჭან — თუმცა ძნელია, მოსთიბავ (хоть и трудно, будешь

носить).

ყაბარდოულის შესახებ ნ. იაკოვლევი ამბობს, რომ ამ ენაში „ირიბი ბრუნვა“, ე. ი. დამოკიდებული (придаточное) წინადადება კითხვითი მნიშვნელობით, იწარმოება „მა“ ანუ „ში“ სუფიქსების მეშვეობით:

Ар к'уаама, са сш'аркхым

Я не знаю, поехал ли он.

Ар к'уагутами, са сш'аркхым

Я не знаю, поехал ли бы он⁴.

¹ აფხაზურში გვაქვს სხვა კითხვითი ნაწილაკებიც. მათ შორის ყურადღებას იქცევს -უ (უცოტ? ჩაქ?), რომელიც შესაძლოა ქართ. ა-ს აფხაზურ შესატყვისობას წარმოადგენდეს (შდრ. მეგრ. -ო).

² ყაბარდოულისათვის ამის შესახებ იხ. ტურჩანინოვისა და ცაგოვის ზემოთდასახ. ნაშრომი, გვ. 92, 117—122.

³ ყაბარდოულში — ტურჩანინოვი და ცაგოვი, გვ. 119.

⁴ Проф. Н. Ф. Яковлев, Краткая грамматика кабардино-черкесского языка. Вып. I: Синтаксис и морфология, стр. 64. Ворошиловск, 1938.

კილოებში იაკოვლევნი უჩვენებს კითხვითს, თუობით-კითხვითს (сомнительно-вопросительное) და დადებით-კითხვით (подтвердительно-вопросительное) კილოებსაც¹.

ტურჩანინოვიც ადგენს 3 კითხვით კილოს; ამათგან: 1 კითხვითის ნიშანი ნამყოში არის „акцентуированное временное а“, ხოლო მყოფადში—ასეთივე ხასიათის -უ (შდრ. აფხ. -უ! ს. ჯ.), აწყოში-კი—რწ. უარყოფითი ფორმის წარმოებისას კითხვით კილოში ჩვეულებრივად ზედ ერთის მ უარყოფა, რომელიც ზმნის ძირის წინ დაისმის-“ა². ესევე მ ნაწილაკი აწარმოებს უარყოფით ფორმებს ნებართვითს (позволительное), ნატვრითსა (желательное) და პირობით კილოებშიო³.

ჩერქეზულის კითხვით ფორმებთან კავშირშია ძველი ქართული -მე ნაწილაკი, მაგრამ ამის შესახებ—ცალკე.

კავშირები

სვანურს მოეპოვება სრულიად თავისებური, ქართველურ ენათა თვალსაზრისით, კავშირი *ი*. ის ისმის ჩვეულებრივად შესაკავშირებელ სიტყვათ შუა, მაგრამ შეიძლება დაისვას მათ შემდეგაც განმეორებით: სიი მიი—შენ და მე (ზავადსკი, XLVIII). მარს შენიშნული აქვს, რომ ეს იგივეა, რაც *ი* კავშირი აფხაზურშიო, თუმცა თვით ურთიერთობის ხასიათი გარკვეული არა აქვს⁴.

ეს კავშირი საერთოა აფხაზურისა და ჩერქეზულისათვის. კიახურში ის იხმარება, როგორც ქართ. „და“-ს, ისე ქართ. „ც“-ს მნიშვნელობით. აი, მაგალითები ანბანიდან:

ნანი სასი მადა—დედა (ნან, ნანა) და სასი (სას, სახელია) ჰყერავენ.

ზიზვეი ზაზი ზვი ზადაჯაზხ—ზიზვეი, ზაზი და ზვი (ზიზვე, ზაზ, ზვე სახელებია) ერთად სწავლობენ.

ნანვეი დახზვ მათხზ—ნანუც (ნანვე, სახელია) ლამაზად წერს.

ლექსიკა

საყურადღებო შეხვედრები მოეპოვებათ სვანურსა და ჩერქეზულ ენებს ლექსიკაშიაც. ის ფაქტები, რომლებზედაც მარი ამყარებდა თავის მტკიცებას საერთო ფენის არსებობის შესახებ აფხაზურსა და სვანურში, ლექსიკური ფაქტები იყო: გარდა *ი* კავშირისა (იხ. ზემოთ), რომელსაც ჩვენ მისი სინტაქსური ბუნების თვალსაზრისით განვიხილავთ, მარი მიუთითებდა აგრეთვე თოვ-

¹ იქვე, გვ. 91.

² დამოწმებული ნაშრომი, გვ. 119—120.

³ იქვე, გვ. 121—122.

⁴ „Из недосмотров в моей собственной работе О полож. абх. яз. среди яфетических сешу здесь указать на случай принятия |> (после гласного) „у“ в выражении абе-у, афе-у и т. п. на стр. 11, хотя и гадательно, за суффикс Р. падежа, тогда как в данных примерах это совз и (русск.), наличный в том же виде | и в сванском“ (Н. Марр. Из ливгвист. поездки в Абхазию, СИБ, 1913 г.).

ლის აღმნიშვნელი სიერთო სიტყვის ქონებაზე ამ ორ ენაში. ეს ფაქტი თავდაპირველად ჰარაიამ შენიშნა¹ და დაათასა იგი, როგორც ამ ენების ნათესაობის ფაქტი, მა რ მ ა-კი აქ დაინახა აფხაზური ფენის შემკვიდრეობა სვანურში. ამასთან ერთად, მარმა სამართლიანად მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას რომ თოვნი ზმნისათვის სვანურში გამოყენებულია განსხვავებული, უკვე ქართველური, ძირი „შღვ“². ვ. თოფურიას გამოკვეული აქვს რომ სვანური შღვ უკვე „თოვს“ არის კანონზომიერი შესატყვისობა ქართული ფორმისა „თოვს“³.

აფხაზურში თოვლის აღმნიშვნელი სიტყვა ამჟამად წარმოდგენილია „სუ“ ფუძით. შესიტყვებებში ეს ფუძე შეიძლება შეიკვეცოს და მხოლოდ თანხმოვანი დარჩეს. ფუძის ამ შედგენილობის თვალსაზრისით ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზური ფუძე ბევრად უფრო დაშორებულია სვანურისაგან, ვიდრე, — უეჭველია იმავე ძირის და, — იმავე ცნების აღმნიშვნელი ჩერქეზული ფუძე. სიტყვა „თოვლისათვის“ ჩერქეზულის ლექსიკოგრაფები უჩვენებენ:

ყაბარდოულში — თჷს, ასევეა ჩემი ჩანაწერებითაც, ხოლო
კიახურში — ჭასჷ (ჩემი ჩანაწერი, ბზადლუურისათვის)

წოцц (ლჷულჷე).

ამ ფაქტისადმი ინტერესი უფრო გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩერქეზულს ხვდება აგრეთვე სვანური.

უჩხა || ჭუჩხა — წვიმა (მარი, ლექსიკონი), რომელიც უკვე სრულიად დაშორებულია აფხაზურ აქჷა-საგან, იმავე მნიშვნელობით.

საინტერესოა, რომ სვანური ენა ზმნის ფორმებსაც იმავე ძირიდან აწარმოებს. იგივე მარი უჩვენებს დიალექტურ ფორმებს სიტყვისათვის წვიმებას:

ლჷ-კჩხე, უჩხე, კუჩხე.

წვიმა სიტყვისათვის ყაბარდოულში ლოპატინსკი (ლექსიკონი) უჩვენებს:

ошх

ხოლო Русско-кабардинский словарь, გამოცემული სსრკ ხალხთა ცენტრალურ გამომცემლობის მიერ (ქვემოთ ყველგან — რუს-ყაბ. ლექსიკონი)

шѣх

კიახურისათვის ლჷულჷე გვაძლევს:

дождь la pluie — Вѣошхѣ

дождливый, pluvieux — Вѣошхилѣ

дождить il pleut — Вуошхѣ-нѣшхѣ

ჩემი ჩანაწერით (აული აფიფსიფი, შაღსულები)

ჭაშხე, მაგრამ აგრეთვე — ჭჷჷჷჷჷჷ.

¹ იხ. П. Чарая. Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб. 1912.

² Н. Марр. К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, СПб. 1912, გვ. 28.

³ ვ. თოფურია. ბევრით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართველურ ენებში: „მომომზიდველი“, 1, გვ. 201 და განსაკუთრებით — 202.

იაკოვლევი შლის ამ სიტყვას შემდეგნაირად: „სიტყვა 'წვიმა' ზღაპრულად იქნა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ზეცა ანუ ჰაერი მოდი წვიმად, ხოლო წინადადება 'წვიმა მოდის' o/x qye/xa სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ზეცა წვიმად მომავალი მოდის წვიმად¹. შდრ. uex qaox წვიმა მოდის (რუს.-ყაბ. ლექს.). იაკოვლევს მხედველობაში აქვს ალბათ ყაბარდოული სიტყვა ზეცის მნიშვნელობით: yafe (ლოპატინსკი), uafe (რუს.-ყაბ. ლექსიკონი). თუ იაკოვლევს ეტიმოლოგია მართალია, მაშინ იგივე თაქვილური ნაწილი უნდა დაგვეჩვენა აგრეთვე სიტყვაში ჟასღ და ზოგ სხვა სიტყვაშიაც, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. ყოველ შემთხვევაში, ზმნის ფორმა თითქოს საშუალებას უნდა იძლეოდეს გამოყოფილ იქნას ძირი შხ(გ), რომელიც უახლოვდება ქართულს შხაპი, შხაპუნა, ლეში, შხეპი და სხვა, რის შესახებაც—ცალკე. სვანურში სიტყვა მთლიანად შეთვისებული უნდა იყოს ჩერქეზულიდან, ისევე როგორც 'მუს'.

თოვლი, 'წვიმა' სიტყვების ისტორია სვანურში გვაიძულებს დავსვათ საკითხი, ხომ არ უკავშირდება ჩერქეზულს აგრეთვე

კვლე

რომელსაც, ნამის მნიშვნელობით, ლაშხურისათვის უჩვენებს მარი თავის ლექსიკონში. აქ შერყეობას იწვევს ის გარემოება რომ ნამისათვის ჩერქეზულში ამჟამად სხვა სიტყვა გვაქვს:

ყაბარდოულში—yocenc (ლოპატინსკი)

—uaseps (რუს.-ყაბ. ლექსიკონი)

კიახური —yocence (ლჟულაე),

რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს 'თოვლის წყალი'.

სამაგიეროდ, 'სიტყვას' ლექსიკოგრაფები სთარგმნიან ყაბარდოულისათვის:

ye (ლოპატინსკი)

ue (რუს.-ყაბ. ლექსიკ.)

კიახურისათვის: cxnie (ლჟულაე).

ყაბარდოული ზღაპრული მატერიალურად ძალიან ახლოს დგას სვანურ ჟედ-თან, სემასიოლოგიურადაც 'სიტყვა' და 'ნამი' ცნებებს შორის ისტორიულ-გენეტიკური საკავშირო ძაფის გაბმა შეუძლებელი არ უნდა იყოს.

ამ სიტყვებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ისინი მთავარ ატმოსფერულ მოვლენებს აღნიშნავენ... ცალკე საკვლევიამ ამ სენებათა ფონეტიკური მხარე, რისთვისაც ამჟამად ჩვენ მასალა გვაქვია...

ამჟამად ნასესხობას წარმოადგენს ჩერქეზულიდან სვანური

ლემესგ—ცეცხლი.

¹ Краткая грамматика адыгейского (кяхского) языка для школы и самообразования 1930 (=ქვემოთ, იაკოვლევი, კიახური გრამ.), გვ. 43.—ეს წიგნი ჩვენ ვიშოვეთ, ამბ. გ. როგ ავას თავაზიანობის წყალობით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აწყობილი იყო ამ წერილის დიდი ნაწილი. ამიტომ მისი გათვალისწინება მორფოლოგიური საკითხების განხილვის დროს სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

მარი (ლექსიკონი) უჩვენებს სიტყვის დიალექტურ ვარიანტებს: ლემესკ, ლემესქ, ლემეს და ძირად გამოპყობს: მსგ > მხ. ყოველ შემთხვევაში, უპიკველია რომ ლე- პრეფიქსია.

სიტყვა უკავშირდება ჩერქეზულს

მასკა—ნაპერწყალი (შაფსულური, სოფ. აგუჟ; ჩემი ჩანაწერით)

мас'не—искра (ყაბ., ლოპატინსკი)

mask'e—იგივე (რუს.-ყაბ. ლექსიკონი).

‘ცეცხლი’ ჩერქეზულად იქნება:

ma'xhe (ყაბ., ლოპატინსკი)

ma'he (რუს.-ყაბ. ლექს.)

მასაჲა (შაფსულური, აგუჟ; ჩემი ჩანაწერით), რაც, იქნებ, იგივე მასკა იყოს, ფონეტიკურად სახეცვლილი სემანტიკური დიფერენციაციის ნიადაგზე. ასევე პრობლემატურად შეიძლება წარმოვადგინოთ თვით მასკა-ს ეტიმოლოგია დაკავშირებით ზმნასთან წვა, რომელსაც ლექსიკოგრაფები სთარგმნიან:

ссын—гореть (ლოპატინსკი)

syn maf hem—гореть (რუს.-ყაბ. ლექს., სიტყვა-სიტყვით: ‘ცეცხლის წვა!’)

აქედან შესამე პირის ფორმა იწვის’ იქნება

მას (ყაბ., ჩემი ჩანაწერით).

ამიტომ, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ: მასკა—მას+კა=იწვის+კული — ‘ცეცხლის კული, თუ ასეთი სიტყვაწარმოება ზმნის პირიელი ფორმისაგან ჩერქეზულისათვის შესაწყნარებელია.

სვანურში შეთვისებულია სიტყვა მთლიანად სწორედ ნაპერწყლის მნიშვნელობით და აქედან საკუთარი მორფოლოგიური საშუალებებით (ლე-!) გაკეთებულია ლემესკ || ლემესგ, ‘ცეცხლი’=სანაპერწყლე. ასეთი წარმოება სვანურში (ლე- — ქართ. სა-ო/ე) ცნობილია: შღიმ, ყური—ლეშღიმ, საყური; წიფრა, წიფელა—ლეწფერ, წიფლნარი, სა-წიფელ-ე... სტრუქტურულ ანალოგიას წარმოადგენს ხომ თვით ქართ. ცეცხლი — სე-ცხ-ლ-ი, მეგრ. და-ჩხ-ირ-ი...

საყურადღებოა რომ სვანურს იგივე პრეფიქსი გამოუყენებია გაორმაგებითაც ახალი მნიშვნელობის საწარმოებლად:

ღალამესგ/კ—კერა, ე. ი. საცეცხლე; კერიდან წალღებული ცეცხლი მის სხეაგან დასანთებად; კვეს-აბელი (ლაშხ.)

ღალმესკ—კერა (ბალსზემოურ კილოებში),

ღალმესგ, ღალმასკ—იგივე დიალექტურად (მარი, ლექსიკონი).

ინტერესს იზიდავს კვეს-აბელის მნიშვნელობა: ნაპერწყლის გამჩენი ეს უძველესი იარაღი შეიძლება ერთს უძველეს გზათაგანს წარმოადგენდეს თვით ლექსიკური ურთიერთობისათვის.

ამ ფუძესთან დაკავშირებით უნდა განვიხილუდ იქნას ჰან. მწკა, ქართ. ნაპერწყალი და სხვები, იქნებ აგრეთვე მასკულაიც.

ლემესგ ზემოთმოტანილ ჯგუფთან ერთად ჩვენ განვიხილეთ იმიტომ, რომ მისი მონათესავე (თუ არ ვცდებით) სიტყვები სხვა ქართველურ ენებში ისევ ზეციურ სამყაროს უკავშირდებიან.

მკიდროდ არის დაკავშირებული ჩერქეზულ სამყაროსთან სვანური სოციალური ტერმინები ფუხღ და ვარგ, მაგრამ რადგანაც ამ საკითხს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იგი ჩვენ ცალკე წერილის საგნად გვაქვს გამოყოფილი.

ერთმანეთს ხვდებიან სვანური და ჩერქეზული (ადიღეური) ენები სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიის, კერძოდ—შინაური ცხოველების სახელთა სფეროში. ასე, ადიღეურიდან უნდა იყოს სვანურში შეთვისებული

ღველაქ—ცხვარი, ვერძი.

მარი (ლექსიკონი) უჩვენებს ამ სიტყვის დიალექტურ ფორმებს: ღოლინქ (ლაშხ.), ღოლდაქ (ჩოლ. და სხვა), ღოლაქ (ეცერ. და სხვა), ჯელინქ (იფარ.), ოლიაქ (უშგ.), ოლაქ (ლახამ.). უკანასკნელი სამი ფორმა უეჭველობით ადასტურებს ისედაც სავარაუდებელს (ღ ბგერის სათანადო ისტორიის მიხედვით სვანურში) მოსაზრებას, რომ თავიდან და გარეგანი და რომ სწორედ იფარულ—უშგულურ—ლახამულური ფორმები წარმოგვიდგენენ, ამ მხრივ, ფუძის თავდაპირველ სახეს (საანალოგიოდ შღრ., სხვა ცნობილ ფაქტებს გარდა, მარის ლექსიკონში იქვე ნაჩვენები ღვაზ ფაზი, ღვანა || ონადრო, ღვეშღ || ჯვეშღ უკან). სიტყვა თითქოს ფუძეშედგენილი უნდა იყოს:

ფელ (ოლ)+**აქ** (იაქ || აქ).

პირველი ნაწილი იგივეა, რაც ადიღეური ცხვარი, ვერძი

ყაბ. *mel* —баран (ლოპატინსკი)

mel —баран (რუს.-ყაბ. ლექს.)

კიახ. *melə* —овца (იაკოვლევი)

შღლ || **შღლღ**—ცხვარი (ჩემი ჩანაწერი).

-აქ უღრის ქართ. ძა—ო—ს (აკ. შ ა ნ ი ძ ე, ვ. თ ო ფ უ რ ი ა). ასე რომ მთლიანად წარმოება ნიშნავს ძა-ფელ-ო; რა აზრით? შღრ. ძე. ქართ. ძა-ცხოვარ-ი, საბას განმარტებით—ცხვრის არევე. ხომ არ ჰქონდა სიტყვას სვანურში ასეთივე მნიშვნელობა? ან ხომ არა გვაქვს ტავტოლოგიური, ორმაგი, უცხო და მკიდრი ფორმანტებით, აფიქსაცია: ძა-ხორც-ო, თუ მართალია იაკოვლევის ეტიმოლოგია?

იაკოვლევი ამ სიტყვაში *me*-ს პრეფიქსად მიიჩნევს და ფუძის დარჩენილ ნაწილს აიგივებს *ix* ძირთან, რაც ხორცს აღნიშნავს (კიახ. გრამ., 53).

ლოპატინსკი (ლექსიკონი) ყაბარლოულს ამ შემთხვევაში აახლოებს ბერძნულ τὸ μῆλον-თან.

სიახლოეს აჩვენენ

სვან. **ჟინაღ**

და ყაბ. **Цыно** (ლოპატინსკი)

Цыно (რუს.-ყაბ. ლექს.)

ორსავე ენაში—ბატკნის, ყრავის მნიშვნელობით. შღრ. აგრეთვე ჯოცხვარი, ჯოცხვრის ფარა, ჩაჩნურში (Услар, Чеченский язык, 174). (აქვე ქართ. ჯოგო?)

ჩერქეზულ-აფხაზური სამყაროსაკენ, უფრო პირველისაკენ—თითქოს, იხრება სვანური

ხჃშ—ლორი (ზავადსკი, დასახ. ნაშრომი, ლექსიკონი).

სათანადო სიტყვას ადიღურთ ენა-კილოებში მრავალი დიალექტური ფორმა აქვს. ჩემი ჩანაწერთ:

ყაბ.	კუხ
ბასლ.	კუა
აბადეხ.-მაჰხ.	კუჰ
ქემგ.	კუჰ
შათს. (აფიფსიფი)	ხტჰ
შათს. (აგუჟ)	ხტჰ, ხჃტჰ

იმავე ძირისაა აფხ. ა-ჰია. ჩერქეზულსა და აფხაზურს გენეტურად ენათესაება ქართ. ლფ-რი. სვანური ფორმის წარმომავლობის გზა კი საკვლევია¹.

დასასრულ, სვანურივე ჩააფ 'ცხენი' უახლოვდება, როგორც ეს უკვე აღნიშნული აქვს ქარაიას, დასახ. ნაშრომი, § 10, 128, იმავე ცნების აღმნიშვნელ აფხ. ა-ჩგ და ჩერქ. შგ-ს (ყაბ.: шш, ლოპატინსკი, ჰყ, რუს.-ყაბ. ლექს.; კიახ. сшш, ლფულფე, შგ ჩემი ჩანაწერი).

ეკვი არ არის, ჩერქეზულიდან შეთვისებული აქვს სვანურს ნაცვალსახელი ხჃდა который (ზავადსკი), რომელი.

კიახურში გვაქვს:

xel, xeta; pl. xetex, xetxa, 'ვინ' (ამოღებულთა „ანბანიდან“).

ყაბარდოულში:

xet—кто (ლოპატინსკი)

xet—кто (რუს.-ყაბ. ლექსიკ.).

საფიქრებელია, რომ ა ჩერქ. კითხვითი ფორმანტიდან მომდინარეობს. შესაძლოა, ამასთან დაკავშირებით, xet თავდაპირველად მიმართებითი ნაცვალსახელი ყოფილიყო. ლოპატინსკი თავის ლექსიკონში სიტყვა который-ს ქემშ აღნიშნავს: „относительного местоимения нет“, კითხვითი მნიშვნელობით-კი უჩვენებს детхенер?

ჩვენი ინფორმატორები ნიუანსს ხედავდნენ ა-ნიანსა და უ-ა-ნო ფორმებს შორის:

xet = кто?

xeta = кто это?

ტურჩანინოვი (გრამ., 79; შდრ. გვ. 52) ყაბარდოულში хэт-ს უჩვენებს, როგორც კითხვით ნაცვალსახელს ვინ-ის მნიშვნელობით (განეკუთვნება

¹ ქართული ჩერქეზულთან ამ შემთხვევაში დაახლოებული ჰქონდა უკვე ქარაიას, დასახ. თხზ., § 10, 141; მარიკი იქვე სვანურიდან იგონებს მხოლოდ ყერ-ს.

მხოლოდ ადამიანს-ო). იაკოვლევი თავის ყაბარდოული ენის გრამატიკაში (გვ. 73) გვაძლევს ტრანსკრიფციას (რუსული ასოებით) хат. იქვე იაკოვლევა ამტკიცებს: „относительных местоимений в кабардинском языке не имеется“.

ამრიგად, ღ-ონიანი სახე ამ ნაცვალსახელისა ახალ ლიტერატურაში დასტურებული არ არის.

მხოლოდ ღჟულღე თავის ლექსიკონში იძლევა ასეთ დაწერილობას:

кто, qui — хъдъ.

დიდად საყურადღებოა ჩერქეზულისა და სვანურის შეხვედრა აზრე და დღე ცნებების აღმნიშვნელ სიტყვებში, მაგრამ რადგანაც ეს საკითხი ეხება ყველა ქართველურ ენას, იგი ჩვენ განხილული გვაქვს ჩერქეზულ-ქართულ-ზანური პარალელებისადმი მიძღვნილ წერილში.

დასასრულ, მოვიხსენიებთ ზოგიერთს ჩვენ მიერ შემჩნეულს ნამღვილსა თუ მოჩვენებითს ლექსიკურ შეხვედრას ადიღეურსა და სვანურს შორის. მათგან ყველაზე ნაკლებ საეჭვო გვეგონია

სვან. ფაჟუ — ქული

ფაჟუ — ქული (კემგ., ჩემი ჩანაწერი)

კიახ. пагуо — шапка, un bonnet (ღჟულღე)

ყაბ. паа (ლოპატინსკი)

пуџ (რუს.-ყაბ. ლექსიკონი).

ამ დაპირისპირებასთან დაკავშირებით ე. თოფურიამ მიაქცია ჩვენი ყურადღება მეგრულ გამოთქმის ფეფაჟუ.

სვან. ჯგოდია — შორეული, ნაჯვდა — დაშორებული (ზავადსკი)

ყაბ. жыже — далекий; нар. жыжо (ლოპატინსკი).

სვან. დადილ — цветок (ზავადსკი)

ქან. დადალი — цветок, цветы (на земле, не на деревьях) || დადა; ფერა-

დადალი жирная трава (მარი, ქან. ლექს.)

ყაბ. дадиј мальва (ლოპატინსკი).

С. Н. ДЖАНАШИА

СВАНСКО-АДЫГЕЙСКИЕ (ЧЕРКЕССКИЕ) ЯЗЫКОВЫЕ ВСТРЕЧИ

(РЕЗЮМЕ)

В статье рассматриваются некоторые факты морфологии, синтаксиса и лексики сванского языка, в свете генетических связей и интенсивных исторических взаимодействий между черкесскими (адыгейскими) и картвельскими языками. По отношению к собственно сванскому языку автор считает возможным утверждать о существовании черкесского (адыгейского) слоя в этом бесспорно коренном картвельском языке. В доказательство этого положения:

1. Дапа попытка наличное в сванском склонение имен разбить на две основных системы—I. господствующую, ведущую и II. подчиненную, пережиточную; факты двойной (и даже тройной) падежной аффиксации (обычно по схеме: флексия II системы+флексия I системы; очень редко— в обратном порядке) могло бы послужить основанием для выделения склонения мешаного типа (к этому последнему не могут быть отнесены редкие случаи использования в двойной аффиксации флексии одной и той же системы, обычно—II-ой, реже—I-ой).

Указанные две системы склонения сванского языка различаются не только материально, но и по морфологическому принципу: I система находится в полном соответствии с системой склонения в остальных картвельских языках и потому должна быть признана органической для сванского также; II система резко отличается от системы склонения картвельских языков неизменностью флексии для ряда косвенных падежей (родительного, дательного...), а также для эргативного падежа, при чем некоторые различия в форме данного окончания по падежам автор объясняет на фонетической почве; сама падежная флексия данной системы, долженствующей быть признанной, по указанным чертам, «чуждой» с точки зрения морфологии картвельских языков, представлена согласным *m*, которому, в определенных фонетических условиях, предшествует гласный *a* или *e*. Примеры склонений:

I («органической») системы

N. *patí* *родственник, доля*E. *patid*G. *patif* || *natii*D. *natis*I. *patifu*

II системы

xāda *который**xādem**xādem**xādam**(xādamfu)*

мешаного типа

- N. *ხოცა ხოციში*
 E. *ხოცემდ*
 G. *ხოცემიშ* || *ხოცემი*
 D. (*ხოცამ*)
 I. *ხოცამშუ*

(Все примеры—из парадигмов Завадского).

Неизменяемость флексии II склонения выдерживается особенно строго при склонении имен прилагательных в сочетании с именами существительными, которым они предшествуют.

Примеры двойной аффиксации флексии II системы

- | | |
|--|-----------------|
| N. <i>მიშგვი</i> <i>მომი</i> | <i>ხოცა</i> |
| E. <i>მიშგვად</i> <i>მიშგვენიემ</i> | <i>ხოცენიემ</i> |

Пример двойной аффиксации флексий I системы

(по верхнеабхазским наречиям; сообщение В. Т. Голурна):

- N. *ხედა* *კომორში*
 E. (*ხედაჰნემ*)
 G. *ხედაჰიშ*
 D. *ხედაჰ*
 I. *ხედაჰშუ*

Форма эргативного падежа из давнего склонения *ხედაჰნიემ* сугубо интересна: здесь в двойной аффиксации картвельская флексия (*-იშ*) предшествует «чуждой» (*-ემ*). Инфикс *-ი* требует особого рассмотрения.

Автор считает, что пестрота и своеобразие сванского склонения объясняется интенсивным взаимодействием сванского языка с другими кавказскими языками и что II система сванского склонения усвоена, как в структурном смысле, так и в материальной части, от одного из адыгейских языков. Флексия II системы *-მ* есть флексия *-მ* т. е. «косвенного падежа» адыгейских языков.

Этому положению не противоречит гласное и согласное «сопровождение» данной флексии в сванском: предшествующий гласный—появляется и в адыгейском, при склонении основ с согласным исходом; последующий *ი* для родительного п. (остаток картвельской падежной флексии *-იშ*), а также наращение картвельских формативов в творительном и направительном падежах находят аналогию в структурной особенности адыгейского склонения, где флексия *-მ* для производства некоторых косвенных падежей (родительный, творительный) нуждается в дополнительных языковых средствах. При этом автор не исключает возможности объяснить наращен-

ный *i* в родительном падеже сванского склонения мешаного типа воздействием адыгейского притяжательного местоимения *i* || *ij* || 2.

2. Подчеркивается значение уже отмечавшейся в литературе (Шухардт, Топуриа...) связи суффикса множественности в сванском глаголе *-x* с подобным же суффиксом множественности в адыгейских языках; при этом указывается, что данный суффикс в сванском глаголе выражает как субъект (III лицо), так и объект (II и III лица), что находит себе аналогию в адыгейских языках. Автор считает, что в данном случае мы также имеем заимствование адыгейского морфологического элемента, суффикса множественности имен и глаголов—*-x^a*, в связи с которым должны быть рассмотрены аналогичные суффиксы абхазского (*kwa*) и древнеармянского (*k*), а также одной группы кавказских этнических наименований (*mes-x-i*, *ḡo-x-i*, *ḡava-x-i*...).

3. Ставятся в связь с вопросительными частицами в адыгейских (а также—в абхазском) языках вопросительные частицы сванского глагола *a* (*ja*), *mo* || *ma*; при этом автор *a* (|| *ja*) считает, в качестве утвердительно-вопросительной частицы, общим достоянием картвельских и западно-кавказских языков, а *ma* (и его фонетические варианты) рассматривает, в качестве отрицательно-вопросительной частицы, сложным, по происхождению, формантом: отриц. *m* (зап.-кавк. яз.) + вопр. *a*. Автору кажется, что сложный характер последнего суффикса более убедительно показан на материале адыгейских языков.

4. Признается заимствованным из адыгейского сванским союз *i*, являющийся общим как для адыгейских языков, так и для абхазского; в пользу адыгейского говорит комплекс отношений между данными языками.

5. Указывается на ряд лексических заимствований в сванском из адыгейского:

- a) *mus*, 'снег'—каб. *w^as*, кях. *waso*
- b) *uḡa* || *wiḡa*, 'дождь'—каб. *w^aḡx*, кях. *waḡxo*
- c) *wed*, 'роса'—каб. *w^a*, 'град' (с допущением большей первоначальной семасиологической близости)
- d) *lemesḡ* || *lemesḡ* || *lemesk*, 'огонь'; *lalamesḡ* || *lalmesḡ*, ..., 'очаг' (основа—*mesḡ*, *le* || *la*—префикс назначения, места...)—каб. *masḡ^a*, кях. (шанс.) *masḡ^a*, 'искра' (для адыгейского слова проблематично предлагается этимология «огненный хвост» от глагола *sap*, 'гореть')
- e) *ḡweljāk* || *weliāk*, 'овца', 'баран' (основа—*wel*)—каб. *m^al*, 'баран', кях. *m^al^a*, 'овца'
- f) *xāda* || *xeda*, 'который'—каб. *'x^at*, кях. *'x^at*, *'x^ata*, 'кто'.

6. Сближаются между собой:

- а) сван. žipaγ, 'ягпенок'—каб. çəp^a, 'ягпенок'
- б) сван. xət, 'свинья'—каб., бесл. qwa, чемг., бзед., абадз., qw^a, шал. xw^a 'свинья' (также абх. a-hoa, id.).
- в) сван. paqγ—каб. paə, кях. paγo (Люлье)—'шапка'
- д) сван. žvodia, 'далекий', pažvda, 'удаленный'—каб. žəž^a, нар. žəžo, 'далекий', 'далеко'
- е) сван. dadil, 'цветок' (чан. dadali, 'цветок', 'цветы (на земле, не на деревьях)' || dada; peri-dadali, 'жирная трава')—каб. dadij, 'мальва'

7. Сближаются между собой также сванские и адыгейские социальные термины (pusd—pса, vārg—woγq), но рассмотрение этого вопроса автором исключено из данной статьи.

კ რ ი ტ ი კ ა დ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ვლ. ზანკვიძე

«K. Bouda. Beiträge zur Kenntnis des Udlischen auf Grund neuer Texte» — «Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft» 1939, Bd. 93, H. 1 (გვ. 60—72)

კ ი მ ე ნ ზ ი ა *

სარკენზიო ნარკვევი წარმოდგენს უმთავრესად ფონეტიკური ხასიათის შენიშვნებს. „ახალ მასალად“ (ავტორის თქმით) გამოყენებულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წინანდ. კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის უღურო კომისიის ინიციატივით 1934 წელს გამოცემული საანბანო წიგნი¹. ავტორს ყურადღება მიუქცევია იმ ახალი ენობრივი ფაქტებისათვის, რომელიც ამ წიგნში დასტურდება. ეს ახალი ფაქტები ორი გარემოებით აიხსნება: ვართაშნულის მონაცემები ჩაწერილია უფრო ზუსტად (ფონეტიკურად), ვიდრე წინა მკვლევრებს (ა. შიფნერს, ა. დირს) ჰქონდათ; მეორე მხრივ, ამ წიგნში მოცემულია ნიჯური დიალექტის მასალაც, რაც საერთოდ გამოყენებული არ იყო წინათ. ავტორი არ აღნიშნავს, ჰყავდა თუ არა მას ინფორმატორი (დამოუკიდებელი მოახდინა განხილულ მოვლენათა ანალიზი, თუ ვისიმე დახმარებით). როგორც აღვნიშნეთ, ნარკვევში უპირატესად წარმოდგენილია ფონეტიკური დაკვირვებები; მორფოლოგიურ საკითხებს ავტორი გაცივრით ეხება, თუმცა „საანბანო წიგნი“ ამისთვის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

მოვლენები განხილულია ხან მხოლოდ ვართაშნული კილოს თვალსაზრისით, ხან კი—შედარებითი თვალსაზრისით (ნიჯურ კილოსთან მიმართების გათვალისწინებით). უკანასკნელი თვალსაზრისი სისტემატურად არაა გატარებული: ზოგჯერ ორი რიგის მოვლენები არეულია ერთმანეთში. ამასთან ყველა საკითხი, რომელიც შეიძლება დასმულიყო, მას განხილული არა აქვს. რაც შეეხება თვით საკითხთა დამუშავებას, საერთოდ ავტორი კარგად ერკვევა მასალაში და მართებულად აქვს შენიშნული მოვლენები. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ზოგჯერ სათანადო სიღრმით არ განიხილავს საკი-

* წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახ. ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის სხდომაზე 3.XI.1941.

¹ Çejrani Tıdgr. Samçı das. Suxum 1934 usen [ჯეირანი თედორე. პირველი გაკვეთილი. სოხუმი, 1934].

თხებს, იმეორებს წინა მკვლევართა შეცდომებს, ზოგჯერ კი უფრო აღრმავებს მათ.

ავტორი, სახელდობრ, ეხება შემდეგ საკითხებს:

1. პირველ რიგში იგი განიხილავს შიშინა სპირანტებისა და შიშინა აფრიკატთა მეორე რიგის ბგერათა არსებობას უღღრში. ავტორი აღნიშნავს, რომ ა. ში ფ ნ ე რ შ ა გამოყო ეს ბგერები, მაგრამ არც მას და არც ა. დირს არ მოუცია საილუსტრაციო მასალა (გვ. 60). ავტორი მათ უწოდებს „mittlere Sibilanten“, რაც ფონეტიკურად სწორი არ უნდა იყოს: ეს ბგერები წარმოადგენენ „გაძლიერებულ თანხმოვნებს“.

2. ავტორი იგონებს ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ის მოსაზრებას, რომ კავკასიურ ენებში და, კერძოდ, უღღრში გვაქვს ორი რიგის თანხმოვნები: „ემფატიკურ-დარბილებული“ „emphatisch-mouillierte“ და „არა-დარბილებული“ — „nicht-mouillierte“ (გვ. 61). უღღრი ენის მიმართ ეს დებულება არაა სწორი. სახელდობრ, სადაც ნავარაუდევია ეს „ემფატიკურ-დარბილებული“ თანხმოვანი, იქ ივარაუდება თავისებური ხ ო რ ხ ი ს მ ი ე რ ი ხმოვანი: ხმოვნის თვისება მიწერილი აქვს თანხმოვანს. ეს შეცდომა მომდინარეობს იქიდან, რომ ორივე ავტორი ემყარება წერილობით ძეგლებს, უღღრი გამოთქმა კი, როგორც ჩანს, მათ არ მოუსმენიათ. უღღრში დასტურდება ხუთი ხორხისმიერი ხმოვანი აჲ, ეჲ, იჲ, ოჲ, უჲ და მათთან კომპლექსში თანხმოვანი თითქოს იცვლის ელფერს. ჩვენ გვხვდება სიტყვები, სადაც ასეთი ხმოვანი გვაქვს, თანხმოვანი კი არ უძღვის მას წინ, რაც ეწინააღმდეგება ავტორის მტკიცებას. ჯ ნიშანი მას შიანია ცალკე ფონემის გამომხატველად (იგი იძლევა ႁ ნიშანს), რაც სწორი არ არის: ამ ნიშნით „საანბანო წიგნში“ გადმოიცემა ხმოვანთა ხორხისმიერობა. იჲ — ხმოვანს ავტორი ვერ გამოჰყოფს. იგი ამბობს, რომ „ემფატიკურ-დარბილებული“ თანხმოვანი არ შეიძლება იყოს ი-სა და გ-ს წინაო (გვ. 61). ნამდვილად იჲ-ფონემა უღღრში არსებობს ი-სა და გ-ს გვერდით¹.

§ 3-ში დადასტურებულია კ-ს არსებობა უღღრში (რაც ახალი არაა).

§ 4-ში სწორადაა აღნიშნული, რომ უღღრს არ აქვს არც ლ ა ბ ი ა ლ ი - ზ ე ბ უ ლ ი (gerundete) და არც მ ა გ ა რ ი (starke) თანხმოვნები. სწორია აგრეთვე, რომ გემინატები („doppelte Konsonanten“) გვხვდება უცხოურ სიტყვებში და ფონეტიკური პროცესების შედეგად. საჭიროა დაემატოს ოლონდის, რომ გვაქვს ძლიერი ტენდენცია გემინატთა გამარტივებისა ამ პირობებშიც.

§ 5-ში მოცემულია უღღრ ბგერათა კლასიფიკაცია (გვ. 62), „საანბანო წიგნის“ ანბანი და ავტორის ტრანსკრიფცია. კლასიფიკაცია საერთოდ სწორია, ოლონდ ზედმეტია ე. წ. „მულირებული“ თანხმოვნები და აკლია ხორხისმიერი ხმოვნები.

¹ იხ. ჩვენი: „К вопросу о взаимоотношении диалектов удинского языка, I“, Собр. Груз. Фил. АН СССР, т. I, № 9, გვ. 704 შმდ.

§ 6 და 7-ში შედარებულია ერთმანეთს ვართაშნული და ნიჯური სიტყვები, მაგრამ ავტორი არ იძლევა რაიმე კანონზომიერებას, წესს. ამასთან სრულებით არაა დიფერენცირებული მასალა: რა არის ერთი კილოს ფარგლებში შედეგი ფონეტიკური პროცესისა და რა უნდა აიხსნას შედარებითი აულისაზრისით. მაინც ზოგი მოვლენა შენიშნულია სწორად (თუმცა არაა გააულისწინებული ამ მოვლენათა მნიშვნელობა ენის ისტორიისათვის), ზოგჯერ კი გვაქვს მოვლენათა არასწორი კვალიფიკაცია¹; მოვლენათა განხილვაც არასისტემატურია: ერთგვარი მოვლენები სხვადასხვა ადგილას არის განხილული, სხვადასხვაგვარი კი—ერთგან. ამასთან უმართებულაა ზოგი დასკვნა. მაკალითად, 63 გვ. ის ამბობს: „ვართაშნული აორისტის -ი და პერფექტის -ე სუფიქსების საპირისპიროდ ნიჯურმა იცის მხოლოდ -ი“ („Gegenüber den Suffixen W. -i für den Aorist und -e für das Perfektum kennt N. nur -i“). ეს ვითარება ავტორის სჭირდება ფონეტიკური შესატყვისობის დასადგენად: ვართ. ელ ნიჯ. ი. მაგრამ არაა სწორი, თითქოს ნიჯურში არ გვხვდებოდეს აორისტი II (ავტორით პერფექტი) -ე მაწარმოებლით. ჩვენს ნიჯურს ტექსტებში ასეთი ფორმები საკმაოდ დასტურდება².

§ 8-ში შედარებულია უღური კილოების ლექსიკა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო „საანბანო წიგნით“.

§ 9—13-ში განხილულია მორფოლოგიური მოვლენები, მაგრამ აგრეთვე არათანამიმდევრულად. ზოგი მოვლენა, მართალია, სათანადოდ არის შენიშნული, მაგრამ გათვალისწინებული არაა ამ მოვლენათა მნიშვნელობა უღურის ისტორიისთვის. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგი რამ. მაგალითად, § 9-ში აღნიშნულია, რომ «აკუზატივი» ნიჯურში აღარ გვხვდება. ნამდვილად კი ეს ფორმა ნაშთის სახით მაინც დასტურდება (ნაცვალსახელებში), რაც გათვალისწინებული არაა³.

§ 10 ეხება მიცემით-სუბიექტიან ზმნებს; სწორად არის აღნიშნული, რომ ნიჯურში ისინი აღარ გვხვდებიან. მაგრამ არაა სწორი, როცა ავტორი ამბობს, ვართაშნულში სუბიექტი არ დაისმის მიცემითში, იგი წარმოდგენილია ფუძითაა (გვ. 67). ავტორი შეცდომაში შეჰყავს ფონეტიკურ მოვლენებს. ნამდვილად სუბიექტი ამგვარ ზმნებთან ვართაშნულში ჩვეულებრივ დაისმის მიცემითში (კანონზომიერად), თუმცა მას შეიძლება ჰქონდეს პარალელური ფორმა ზოთხრობითში, და არა—ფუძით წარმოდგენილი (მაგალ.: ბეზ ვიჩენ (Ergat.). ზებუნ თე-ტუ-ბუყსა. А. Д и р р, Грамм., 9216.—ჩემ ძმას ცოლი არ უნდა).

¹ ამ ნაწილში ავტორი ზოგჯერ იძლევა ისეთსავე დასკვნებს, როგორც ჩვენ გვაქვს წიგნში „უღური ენა და მისი კილოები“ (ენიშკი-ს მლაშე, ტ. II-3, თფილისი 1937). ვართაშნული და ნიჯური კილოს ძირითადი მოვლენები შედარებითი თვალსაზრისით განხილულია ჩვენს წერილში „К вопросу о взаимоотношении диалектов удинского языка“. I ნაწ. «სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის მოამბე», ტ. I № 9; II ნაწ. «საქ. მეცნ. აკად. მოამბე», ტ. II, № 1—2.

² არა ჩანს, იცნობს თუ არა ავტორი კავკასიურ ენათა შესახებ ლიტერატურას ქართულ ენაზე.

³ იხ. ჩვენი „მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურ ენაში“, აქვე, გვ. 66 შმდ.

⁴ იხ. ჩვენი „აკუზატივის გენეზისისათვის უღურ ენაში“, «ენიშკი-ს მოამბე», ტ. V—VI, გვ. 141 შმდ.

